

ମେଘତଳ

ପାତାଲ ପାତାଲ

• IN A PANTEE EN ΩΣΙ • UT OMNES UNUM SINT
• ଆ କ୍ଷଣ ଏକିନ୍ତିରୁ ବିଦ୍ୟାରୁତିରୁ • ହାତୁ-ଚାନ୍ଦି-ଫାନ୍ଦି-ଗୁରୁଦୀନ
• QUE TOUS SOIENT UN • ଦା ବୁଦୁତ ବ୍ୟେ ଏକିନ୍ତି
• THAT THEY MAY ALL BE ONE • DAB ALLE EINS SEIEN

لَيَكُونَ أَجْمَعِينَ وَاحِدًا • زَوْجَدَتْ مُنْدَهِدًا سَيِّدًا



საქართველოს მთხოვნებათა პალატის 14 წლიური
აკად. გ. ლეროვლის სახელობის აღმოსავლეთი დროშის
იცსტიტუტი
ბერძნული კულტურისა და ძრისტიანული აღმოსავლეთის
კვლევის სამსახური ცენტრი

თამარ გესხი



მართლმადიდებელი ეპლესია
ღა
ეპამენერი მოძრაობა



თბილისი
2002



**TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES,
GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES**

Research Centre of Greek Culture and The Christian Orient

Tamara Meskhi

Orthodox Church and
Ecumenical Movement

**TBILISI
2002**

ISBN 99928-0-338-x

© მ.მ. 2002

შინასიტყვაობა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში ამ ბოლო წლებში დატრიალუბულ მოვლენებს გელგრილი არავინ დაუტოვებია. ბუნებრივია, ვერც მე დავრჩებოდი. ავორდებოდა თუ არა ეკლესიისადმი დაპირისპირების ახალი ტალღა, მაშინვე საპასუხო წერილებს ვწერდი. იმ საყითხებზე კი, რომლებზეც თავს კომპეტენტურად არ ვთვლიდი, რომ მე გამეცა პასუხი, სხვას მივმართავდი შეკითხვებით. ინტერვიუები ჩამოვართვი მის ყოვლადუშენდესობას მსოფლიო პატრიარქ ბართლომე I-ს, მართლმადიდებელ მღვდელმთავრებსა და ღვთისმეტყველებს. მაგარმ ამ წერილებიდან და ინტერვიუებიდან მხოლოდ მსოფლიო პატრიარქის ინტერვიუები გამოვჭეუნდა. დანარჩენები ან არ დამიბეჭდეს გაწეობმა, ან, ვიღრე მე ამ ინტერვიუების აღება მოვახერხე, ის ტალღა უკვე გადავლილი იყო და შეგნებულად შევიყავე თავი, რათა არ გავმხდარიყავი საკამათო საყითხის ხელახლა წამომჭრელი და სიუტაციის გამამძაფრებელი. ეს წერილები, აღბათ, გამოუქვეუნებელი დარჩებოდა სამუდამოდ, ოდნავ მაინც რომ განელებულიყო რელიგიური ვწებათალელება საქართველოში.

მიმდინარე პროცესებმა მიმახვედრა, რომ ჩვენი სამოგადოების დიდი ნაწილი ბოლომდე მაინც ვერ არის გარუეცული რელიგიური საყითხებში, არ იცის ამ ბოლო წლებში გაჩენილ პრობლემათა გამომწევევი ნამდვილი მიზნები. ამიტომაც თავი მოვუყარე წლების მანძილზე ჩემს მიერ დაწერილ თუ მოპოვებულ მასალას და დღეს მეოთხელის სამსჯავროშე გამომაქვს.

მართალია, ამ ხნის განმავლობაში ზოგიერთი საყითხი მეტ-ნაყლებად გაირკვა; ზოგიერთ მოვლენას მორწმუნენი ახლა უკვე სხვაგვარად უქრუებენ, მაგრამ მე არ შევეცადე გადამექოთებინა ჩემს მიერ დაწერილი წერილები, არც ამ მოვლენათა ფიქსირება და კომენტირება გამიხდია მიშნად. ამას დაინტერესებული და საქმეში ჩახდული მეოთხელი თავად გააკეთებს. მე ამ წერილებსა და ინტერვიუებს ზუსტად ისევე ვპეტდავ, როგორც იმ დროს დაიწერა. ყოველ მათგანს დაწერის თარიღი აქვს მითი-

თებული. ამიტომაც ვთხოვ მკითხველს, უსათუოდ მიაქციოს ფურადლება ამ თარიღებს.

წინდაწინვე ვაძცნობ მკითხველს, რომ ეს წიგნი პოლუმრვისათვეს კი არა, მორწმუნეთა და იმ კონკრეტულ პირთა დასახმარებლად ქვეყნდება; ვინც მართლმადიდებლობისადმი გულწრფელი სიყვარულიდან გამომდინარე, მაგრამ სათანადო ცოდნას მოყლებულმა, პრობლემა შეუქმნა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და პირველ რიგში კი – საცუთარ თავს. იქნებ იპოვონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე, და თუ რა გზას უნდა დაადგნენ მომავალში, არჩევანი თავადვე გააკეთონ.

ახლა, ამ გადასახედიდან, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უკვე კარგა ხნის გამოხულია ეკუმენური მოძრაობიდან, შეიძლება ვინმეს დაგვიანებულად, ან სულაც უაჩროდ ეჩვენოს წინამდებარე წერილებისა და ონტერჯუუბის ერთ წიგნად გამოქვეყნდა. მაგრამ არავინ იცის, ხვალ ვინ რა სახის ულტიმატუმს წამოუყენებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. უაბლოეს წარსულში მომხდარ ფაქტში გარევება და მისი გაანალიზება, კუიქრობა, უსათუოდ გამოგვადგება სამომავლოდ.

მოსახლეობის ინფორმირების მიშნით განზრაბული გვაქვს ინტერვიუები ჩამოვართვათ, აგრეთვე, არამართლმადიდებელი ეკლესიების საჭეომპყრობელებსა და კომპეტენტურ პირებს; იმათაც, ვინც ეკუმენური მოძრაობისა და დიალოგის მომხრენი არიან და იმათაც, ვინც წინააღმდეგია. ვნახოთ, რაში მდგომარეობს მათი არგუმენტები. წიგნის სათაურიც ასე წარმოგვიდგენია: „არამართლმადიდებელი ეკლესიები და ეკუმენური მოძრაობა“.

წინამდებარე წიგნთან დაკავშირებულ ნებისმიერ შენიშვნას, რჩევას და სურვილს კი სიამოვნებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ. იქნებ სხვა საყითხებიც გაინტერესებთ? დაგვიყავშირდით, გაგვაცანით თქვენი სურვილები, შეკითხვები და ჩვენ შევცდებით, კომპეტენტურ პირთა პასუხები მოგაწოდოთ.

თავმოყრის პრეზენტაცია

რა ხდება საქართველოს ეპლესიაში

1997 წლის მაისი. ის, რაც დღეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ხდება, ლოგიტური გაგრძელებაა იმ შორსგამიშნული კონკრეტული გეგმისა, რომელიც საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმისავალისათვის ერთად დაიწყო. უფრო ზუსტად კი გეტიკით, რომ 1988 წლიდან დაიწყო შეტევა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ და, სამწუხაროდ, ამას ჯეროვანი ყურადღება არავინ მიაქცია. იმ ვაი-უბედურებაში, რაც საქართველოს 90-იან წლებში თავს დაატყდა, ეს უმნიშვნელო პრობლემად ჩათვალა ერთაც და ბერძაც და დღეს კი ასეთ სავალალო შედეგამდე მივეღით. სავალალო კი არა, თუ კარგად ჩავუკვირდებით, ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და ვერ გაგვიცნობიერებია.

წინასწარ მინდა მყითხელს განვუცხადო, რომ არავისთვის ჭკუის სწავლება არ განმისმახავს. მინდა, უბრალოდ, რამდენიმე ფაქტი გავაცნოთ და სათანადო დასკვნები თავად გამოიტანოთ. მე კი, რომ არ ვთქვა ჩემი სათქმელი, თავს დამნაშავედ ვიგრძნობ ერისა და ეკლესიის წინაშე და, მით უფრო, იმათ წინაშე, კინც დღეს ასე გაშმაგებით უტევს საქართველოს ეკლესიის ერთიანობას, რადგან ისინი ბოროტ ძალთა მარიონეტები აღმოჩნდნენ და თავადაც არ იციან, რას სჩადიან.

მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი, ერთ სელთქმად ქცეული, დამოუკიდებლობის ლოგიტურით გამოდიოდა, თბილისში უკვე ხელიდან ხელში გადადიოდა სტატიები და წერილები მსოფლიო საპატრიარქოს, საბერძნეთის, ანტიოქიის და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების (გარდა იერუსალიმის საპატრიარქოს; ამის მიზებს ქვემოთ განვიმარტავთ) და, რა თქმა უნდა, ვკუმუნური მოძრაობის წინააღმდეგ. წერილები ვრცელდებოდა რესულ ენაშე, თარგმნილი სხვადასხვა ევროპული ენებიდან და თვით ბერძნული ენიდან (ბერძენი სქიზმატების უურნალ-გაზიერებიდან); უფრო მეტად კი რესული ემიგრანტული ეკლესიის წარმომადგენელთა

ორიგინალური ნაშრომები. მოგვიანებით ეს წერილები ქრისტულადაც ითარგმნა და დაიბეჭდა სხვადასხვა ქართულ განეთებსა და უკრაინულებში.

იმ დროს მე თბილისის სასულიერო აყადების პედაგოგ გახლუფით. მოდიოდნენ ჩემი სტუდენტები, მოპერნდათ ეს სტატიები და მეუბრულებები დანენ: აი, თამარ მასწავლებელო, ის თქვენი ბერძნები სულაც არ ყოფილან მართლმადიდებლები („ჩემი ბერძნები“, რადგანაც მე ბერძნულს ვასწავლიდი). აი, თურმე განდგომისან მართლმადიდებლობას. აი, თურმე მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი რომის ჰაპს შეხვედრია. აი, თურმე ეკუმენურ მოძრაობაში იღებენ მონაწილეობას. . .

ჩემთვის რეს ლეთისმეტყველთა და ბერთა ნაწერების გარდა სიახლეს არაფერი წარმოადგენდა. 1978 წლიდან ჩემს ხელში, ვითარცა საპატრიარქოს ოფიციალური თარჯვემანისა ბერძნულ ენაში, გადიოდა ბერძნულებოვანი პერსა და ამსათანავე თითქმის ყველა უკრნალი და განეთი, რაც კი ქრისტიანულ სამყაროში გამოიდის და მეტადებად ვიცნობდი ამ მხარესაც. თუ რატომ ითარგმნებოდა სწორედ მაშინ ეს სტატიები რესულად და რატომ ხდებოდა ისინი ხელმისაწვდომი ჩვენი სტუდენტებისათვის და მორწმუნეთა ფართო მასებისათვის, ამის მიხედრას განსაკუთრებული ნიჭი და აღლო სულაც არ სჭირდებოდა.

— პოლიტიკურად ჩვენ კუდილობთ გამოვყეოთ რესეტს, — შევეცადე ამებსნა სტუდენტებისათვის, — და სწორედ ანლა ისინი სხვა მხრიდან გვიტევენ. თორემ, რატომ ადრე არ ითარგმნებოდა ეს სტატიები, რატომ უფრო ადრე არ ცდილობდნენ რესი ლეთისმეტყველები და ბერძნები ჩვენს „განათლებას“ და ჭეშმარიტ რჯულზე მოქცევას? თქვენ, ვისაც ჩვენგან გასვლა გინდათ, — გვეუბნებიან ისინი, — საით მიდისართ? ვისი იმედი გაქვთ? ბერძნების? მსოფლიო საპატრიარქოსაც იღებთ ორიენტაციას? ისინი ხომ მართლმადიდებლები აღარ არიან! მართლმადიდებელი ქვეყანა, და თანაც მძღავრი, რესეტია! ეკლესიურად, რწმენით ხომ ერთი ვართ, პოლიტიკურადაც ერთად უნდა ვიყოთ! — ეს იგულისხმება ამ წერილებში, და ყველა ისინი, ვინც ამ პროცესაციებს აჰყვება, თავის უნებურად რესეტის წისქვილზე ასხამს წყალს. ერთი სიტყვით, მაშინ, როდესაც ჩვენ კარები გვინდა გამოვუხუროთ რესეტს პოლიტიკურ სარბიელზე, ფანჯარას ვაღებთ და თვითონ მივძერებით რესეტი, — ასეთი უხეში შედარებით დავისრულე ჩემი განმარტება.

სტუდენტების დიდი ნაწილი დამეთანხმა, რამდენიმე მათგანი მაშინვე განმიღება. უფრო მეტსაც გეტყვით, თბილისში მეტად პოპულარული ბერის გავლენით, სტუდენტთა ერთი ჯგუფი კვლავ მოვიდა და

მითხრა: ნუ დადინართ, ძალაშიარებელო, მიტინგებზე, ეროვნული მოძრაობა სატანური მოძრაობაა. თუ ღმერთს უნდა ჩვენი დამოუკიდებლობა, ამ აქციების გარეშეც მივიღებთ.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ კიდევ უფრო გაიძარდა ამგვარი ხასიათის წერილთა რაოდენობა. მტერი სულ უფრო და უფრო აღწევდა თავის მიზანს. სტუდენტების გარდა მათ ბერ-მონაზვნებზე, სამღვდელო პირებზე და მოსახლეობის გარსებულ წრეებზეც მოახდინეს გავლენა.

აი, ამის შესანიშნავი მაგალითიც:

1990 წლის 4 მარტს, მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო საპატრიარქო აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის უძველესი ავტოკეფალია და ამ ეკლესის საჭერმპყრობლის საპატრიარქო ტიტული.

25 თებერვალი იყო. მე საპატრიარქოდან შინ მივიჩქაროდი, რადგან მეორე დილით ადრე მოსკოვს მივემზეავრებოდი საქართველოს ეკლესის დელეგაციასთან ერთად. მოსკოვში თურქეთის ვიზები უნდა აგველო (მაშინ საქართველოში ჯერ არ არსებობდა საელჩოები) და 3 მარტს სტამბულში უნდა ვყოფილიყავით, რადგანაც 4 მარტს, მართლმადიდებლობის ზეიზზე, საგანგებო ცერემონიალი უნდა ჩატარებულიყო და ჩვენი ეკლესის საჭერმპყრობლისათვის ავტოკეფალიის აღიარებისა და საპატრიარქო ტიტულის დამადასტურებელი სიგელები გადაეცათ. ის-ის იყო საპატრიარქოს კიბეები ჩამოვირბინე, და კიბესთან ერთი სამღვდელო პირი შემხვდა (მის სახელსა და გვარს მე დღეს შეგნებულად არ ვასახელებ. თუ ვინმე ეჭვს შეიიტანს ჩემს მიერ მოთხოვნილი ამბის სისწორეში, მაშინ, იმედი მაქვს, რომ ის თავად გამოეხმაურება ამ წერილს და ჩემი დასკვნების სისწორესაც შეაფახებს).

— თამარ, — მითხრა მოძღვარმა, — შენთვის ყველა ბერძნულენოვანი ურნალ-გამზეთი ხელმისაწვდომია. ძალიან გოთხვა, მომაწოდო პატრიარქ დიმიტრიოსის წინააღმდეგ არსებული ლიტერატურა. დღეს მე ინტერვიუ მივეცა გამზეთ „ახალგამზრდა ივერიელს“; იქ ვკმიბ და ვამხელ მის საქციელს, მაგრამ ეს არ არის საყმარისი, შენი მოწოდებული მასალით და იმ მასალით, რაც მე უკვე შეკრებილი მაქვს, კიდევ უფრო ჭაცრად ვაპირებ მის შხილებას. 28 თებერვლის „ახალგამზრდა ივერიელში“ კი ჩემს ინტერვიუს გაეცანი.

— კი მაგრამ, მამაო, — იყო ჩემი პასუხი, — თქვენს მრევლში, ჩვენს ეკლესიაში ყველაფერი მოწესრიგებული გაქვთ, რომ აქედან სტამბულში, სხვებისაგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უპირებთ მსოფლიო

პატრიარქეს განკითხვას? ჩვენი პატრიარქისაგან გაქვთ ლოცა-კურონხევა?

იცის ამის შესახებ ჩვენმა პატრიარქმა?

— არა, — იყო პასუხი.

— მაშინ, მამაო, ის თუ იცით, რომ მე ახლა იმიტომ გაუდინდებარ ასე სულმოუთქმელად, რომ ჩემოდანი მაქვს ჩასალაგებელი, ხვალ პატრიარქი, მისი ხუთი თანძლები პირი და მათთან ერთად მე მოსკოვს მივემგვავრებით და იქედან სტამბულში, რათა 4 მარტს მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსის წინაშე წარდგეთ და მივიღოთ ავტოკუფალისა და საპატრიარქო ტიტულის დამადასტურებელი სიგელები; ერთი მითხარით, 28 თებერვლის ქართულ გმირთში რომ დიმიტრიოსის სალანძლავი ინტერვიუ დაიბეჭდება, 4 მარტს რა პირით წარდგეს ქართული დელეგაცია და მით უფრო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მსოფლიო პატრიარქის წინაშე? ან იქნებ გვონიათ, რომ ისინი, ვინც თქვენ დიმიტრიოსის საწინააღმდეგო მასალებით გამარაგებენ და სწორედ ახლა გიგზავნიან ფურნალისტებს ინტერვიუს ასალებად, არ აცნობებენ მსოფლიო საპატრიარქის ამ ინტერვიუს შესახებ? რატომ დგამთ ასეთ სერიოზულ ნაბიჯს ისე, რომ არავის არ უთანხმდებით?

შემთხვევადა მოძღვარი. აღმოჩნდა, რომ არაფერი იცოდა საქართველოს დელეგაციის სტამბულში მოსალოდნელი გამგზავრების შესახებ. მაშინვე რედაქციისაცენ გაეშერა და მოითხოვა, რომ არ დაეცემდათ ინტერვიუ.

ამ მოძღვრის და ჩემს შემთხვევით შეხვედრას დღესაც დათის განვებას მივაწერ. აღბათ, მართლაც გადაწყვეტილი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკუფალიის საყითხი ზეცაში, და იმიტომაც შეგვახვედრა ჩვენ ერთმანეთს. მე იმას სულაც არ ვფიქრობ, რომ თუ ეს ინტერვიუ დაიბეჭდებოდა, რაიმე შეიცვლებოდა; რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სინოდი გადაიფიქტებოდა და აღარ გადმოგვცემდა იმ სიგელებს; მაგრამ ხომ ცხადშე უკადესია, რომ საქართველოს პატრიარქი და საქართველოს ეკლესიის მთელი დელეგაცია ძალიან უხერხეულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა. იმ ზარ-ზეიმს, კონსტანტინეპოლიში რომ ჩატარდა, ნამდვილად სხვა ელიტერი ექნებოდა და ის სიხარულიც, რაც სრულიად საქართველომ განიცადა იმ დღემში, აღარ იწებოდა ჭუშმარიტი სიხარული. მაღლობა ღმერთს, მოძღვრის კეთილგონიერებითა და გამჭრიახობით სრულიად საქართველოს ასცდა ეს არასასურველი უხერხეულობა.

თუმცა გამგებისათვის ეს ერთი შემთხვევაც საყმარისია იმის მისა-ხვედრად, თუ საიდან იღებს სათავეს დღევანდელი სიტუაცია, მე მაინც

ვისარგებლებ თქვენი მოთმინებით, და ერთ სხვა შემთხვევასაც გიამბობთ:

ავტოვეფალიის საყითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი მოღაცარი აუგვის 1989 წლის მაისში შედგა. მირონის მიტროპოლიტმა ქრისტოსტომოსმა (ამჟამად ის ევესოს მიტროპოლიტი გახლავთ) საბოლოო პროექტი ჩამოიტანა კონსტანტინეპოლიდან. ვერც ეს საბოლოო პროექტი მიიღო საქართველოს საპატრიარქო გარუვეული შესწორების გარეშე. საკანოდ ცხარე კამათი შედგა პირველ შეხვედრაზე. თითქოს ჩაიმაღა კიდევაც ეს ამდენი წლის ოუდინებით ნაღვაწი.

ლოცვა უნდა აღვლენილოყო სიონის საკათედრო ტაძარში. პატრიარქი, სტუმარი და საქართველოს ეკლესიის სამღვდელოება მოლაპარაკებიდან პირდაპირ საკათედრო ტაძარში გაემართნენ ლოცვის აღსავლენად. უცნაური ის არის, რომ ხალხი საოცრად დამუხტელი იდგა ეკლესიაში. ისე ზუსტად იცოდნენ საპატრიარქოში მიმდინარე მოვლენები, რომ გევონებოდათ, პირდაპირი საეთერო ჩართვით იყვნენ ინფორმირებული. ყველას დავიწყებული ჰქონდა ლოცვა. ცხარე კამათი და დებატები მიმდინარეობდა სიონის ტაძრის ქროში. ქალები იწყევლებოდნენ, ლანბძავლენ ბერძნებს, იმუქრებოდნენ. ეს ლანბძავა-გინება მთელი ორი თვის მანძილზე არ შეწვეტილა თბილისმი იმის გამო, რომ მათ არ იცოდნენ საბოლოო მოღაცარების შედეგი, აღარც არავის უგდებდნენ ყურს. სადაც კი ამ გაათრებულ ხალხს გადავეყრებოდი, ვცდილობდი, დამეშოშმინებინა; ვუხსნიდი, რომ საბოლოო ინფორმაციას არ ფლობდნენ, რომ ყველაფერი უკვე სასიცეოდ იყო გადაწყვეტილი და სულ რამდენიმე თვის მოთმინება იყო საჭირო საბოლოო შედეგის მისაღწევად (საქმე, ძირითადად, მეორე შეხვედრაზე გადაწყდა, წირვის შემდეგ, რომელმიც სტუმრის თხოვნით, შხოლოდ პატრიარქი და მე ვმონაწილეობდით).

პატრიარქი შეეცადა დაეშომინებინა მრევლი, სიონის ტაძრის ამბიონიდან მოუწოდა მათ სიმშვიდისაცენ, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. აღარც იმისი სიტყვისა სჯეროდათ. ფანტასტიკური ვერსიები შეითხა იმ ბოლო შეხვედრის შესახებ. მოვლენათა მსვლელობას, რომელიც, ფაქტობრივად, პატრიარქისა და ჩემს გარდა სხვამ არავინ იცოდა მთელი სისუსტით, პირიქით, აქეთ მიამბობდნენ. ერთმა ისიც კი მითხრა – შენ კი თარგმნიდი, მაგრამ არ გესმოდა, რა იმალებოდა იმ სიტყვების მიღმაო.

ერთ დღესაც, ივლისის ბოლო დღეები იქნებოდა, ქალბატონ იდა თვარაძის მეშვეობით, ბატონმა მერაბ კოსტავამ შემომითვალა შეხვედროდი.

— თამრიყო, — მითხრა, — ამ საქმეში ყველაზე კარგად მაინც შენ უნდა იყო ინფორმირებული. სამღვდელოებისა და მორწმუნეთა კორპუსი ნაწილშე დაყრდნობით, მე და ზეიადმა საპროტესტო წერილი გაკამაჯიც დეთ, მთელს მსოფლიოს უნდა ვამცნოთ, თუ როგორ იჩატრება-ჟაქარონი ველოს ეკლესია. იქნებ გვითხრა, ის ვერსიებია სწორი, რაც ხალხში გავრცელდა, თუ არის რაიმე იმედი და მომზინება სჯობს?

მე ავუხსენი ბატონ მერაბს საქმის ვითარება. კონვენცია, თავი შეეკავებინათ, სხვებისთვისაც დაეშალათ ამ საქმეში ჩარევა, თორებ ის, ვინც დროშე აღრე ხმას ამოიღებს, იმას დაბრალდება ამ საქმის ჩამლა-მეტე. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად წარიმართა და შედეგიც შესატყვისი გამოიდგა. დასანანი ის არის მხოლოდ, რომ მერაბ კოსტავა ამ დღეს ვერ მოესწორო.

სტამბულიდან დაბრუნების შემდეგ სიონის ქოში ვიდექი. ახალგანხრდა ვაჟი მომიახლოვდა და მითხრა, ზეიად გამსახურდია მადლობას გითვლით, საშინელ სკანდალს რომ გადაარჩინეთ და გონვთ, რელიგიურ საყითხებთან დაკავშირებით სხეა დროსაც არ დაიშაროთ სწორი ინფორმაციის მიცემა. ზეიად გამსახურდია და მისი ჯგუფი შორიახლო იდგა. ბატონმა ზეიადმა შორიდან თავი დამიქნია მადლობის ნიშნად, მაგრამ, სამწეხაროდ, ამის შემდეგ აღარავის მოუმართავს ჩემთვის.

ეს შემთხვევები იმიტომ გვიხსენე, რომ ნათლად დაგანახოთ, თუ როგორ იძრძვის ბოროტი ძალა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ, და რომ ის, რაც დღეს ხდება, საბჭოთა კავშირის რღვევის პირველი დღიდანვე სწორედ ამ ძალის მიერ შემუშავებული გეგმის გავრძელებაა. თუმცა მოვლენებს სრულად ვერ აღიქვამთ, თუკი იმასაც არ წარმოგიდგნთ, თუ როგორ გვებრძოდა ეს ბოროტი ძალა უცხოეთში, კერძოდ კი მართლმადიდებლურ სამყაროში. ამის მაგალითად მე 1988 წლის 27 ნოემბერს საბერძნეთის ცენტრალურ განმეორინში “გამოქვეყნებულ განცხადებას გაგაცნობთ:

„ბეწოლა“ საქართველოში მცხოვრებ ბერძნებშე,
მოცოვი, 27 ნოემბერი

„ბეწოლა“, რომელსაც საქართველოს სახალხო ფრონტი რესპუბლიკაში მცხოვრებ ბერძნებზე ახდენს იმ მიზნით, რომ აიძულოს ისინი, დაგოვონ საქართველო, ათენის ახალი ამბების სააგენტოს

წინაშე გააპროგესტა მოსკოვში მცხოვრებ ბერძნთა კავშირის თავ-
მჯდომარემ გილოვან გრაპეზნივოვმა”.

ბ-ნ გრაპეზნივოვის განცხადების თანახმად, საქართველოს სკოლა
ხალხო ფრონტის წარმომადგენლები აფხაზეთისა და ჭუევე სუქუმარებულ
თველის სხვა რევილნებში მცხოვრები ბერძნებისაგან მოითხოვენ,
რომ მათ „გაყიდონ თავიანთი სახლები და საბერძნეთში გადასახ-
ლდნენ”.

იმის გამო, რომ საქართველოს ბერძნულმა მოსახლეობამ
1930 წლის შემდეგ უკვე ოთხების განიცადა დევნა ქართველთა
მხრიდან (ნეგავ რომელ ოთხ დევნას გვლისხმობს?! – თ.მ.), ასეთი
სახის „დარიგება“ ბერძნი მოსახლეობის მხრიდან მუქარად აღიქ-
მება, – ხაზვასმით აღნიშნა გ. გრაპეზნივოვმა.

ბერძნთა ერთმა ნაწილმა, – განაცხადა აგრეთვე მოსკოველ
ბერძნთა კავშირის თავმჯდომარემ გ. გრაპეზნივოვმა, – უკვე გა-
ყიდა თავისი საცხოვრებელი სახლები, მაგრამ იმ გაურცვევლობი-
სა და სირთულეების გამო, რაც საბერძნეთში დასახლებასთან არის
დაკავშირებული, აღარ იყიდა, რა ქნან და ამიგომ დროებით კრას-
ნოდარის, ყირიმისა და მარიუპოლის რევილნებს შეაფარეს თავი.

ბოლოს კა გ. გრაპეზნივოვმა საქართველოს სახალხო ფრონ-
ტი დაადანამაულა იმაში, რომ იგი „ეროვნულად განწმენდილი“ სა-
ქართველოსაცენ მიიღოვის, ხოლო აღვილობრივი ხელისუფლება –
იმაში, რომ არ ალევეთს მის ასეთ ქმედებას.

თუმცა, თბილისში და მის ირგვლივ მცხოვრებ ბერძნთა წრე-
ებში ემაყოფილებას გამოთქვამენ და აფასებენ იმ ფაქტს, რომ ჯერ-
ჯერობით დედაქალაქი მცხოვრებ ბერძნებს არა აქვთ მსგავსი
პრობლემები და მათი ქართველებითან ურთიერთობები გარევნუ-
ლად კარგად გამოიყერება. ბუნებრივია, რომ მათაც აშეოთებს რეს-
პუბლიკაში არსებული მდგრადრეობა, რაც ქართული შეკინიბმის
სულ უფრო და უფრო მგრული ღონისძიებების გაფარებით ვლინდე-
ბა”.

* ტრაპეზნივოვი, დუდით ბერძნი, იმ დროს მოსკოვის მარქსისტ-ლენინისტის ინსტიტუ-
ტის დირექტორი გახდათ. ეს ის ტრაპეზნივოვია, რომელმაც 1979 წელს სოჭში წყალტუ-
ლ საცარი ლექციაში განაცადა: „ბერძა რომ არ დაქცერიტათ, აფხაზებს გაასახლობდნენ და
მათ მიწებზე ქართველები ჩასახლებოდნენ“. მაშინ იგი სსრუ მეცნიერებათა აკადემიის
სწავლული მდივანი გახდათ.

როგორც ხედავთ, ბოროტ ძალას ორმხრივი სტრატეგიული გეგმა ჰქონდა შემუშავებული: ქართველ მართლმადიდებლუბში მსოფლიო საპატრიარქოსა და აღმოსავლეთის მართლმადიდებლური სამყაროსადმი მტრულ დამოუიდებულებას აღვივებდნენ, „მართლმადიდებლურ უწყება“ მენტალიზმს „აყალიბებდნენ და ამ გზით ცდილობდნენ, გამოეთიშათ საქართველოს მართლმადიდებელი კელებია სრულიად მართლმადიდებელი სამყაროსაგან; იქ კი, ქართველებს ისეთ ურჩხულებად წარმოგვადგენდნენ, რომელიც თვით ერთმორწმუნებერჩებსაც კი არ ინდობენ.“

1991-1993 წლებში ამგვარმა და კიდევ უფრო მძაფრმა განცხადებებმა წალეპა საბერძნეთის პრეზა. ეჭვისგარეშე, რომ სხვა კეცენების ურწოდალ-განწევებშიც იგივე ხდებოდა. ალბათ, ვინმე გაირჯება და ამცნობს ამას საქართველოს მოსახლეობას. თუმცა, ამასობაში ბოროტმა ძალამ მიაღწია საწადელს.

1997 წლის 20 მაისს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი ბეთანიის, შიომღვიმისა და ზარჩმის მონასტრების ზეწოლით იძულებული გახდა, გამოსულიყო მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან და უკროპის ეკლესიათა კონფერენციიდან. დღეს კი ამასაც აღარ სჯერდებიან „წმიდა მამანი“ და მოითხოვენ, რომ საქართველოს საპატრიარქომ ევქარისტიული კავშირი გაწყვიტოს კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, რუსეთის, ამერიკის, ფინეთის, საბერძნეთისა და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან.

კი მაგრამ, მამანო, და თქვენ, ვინც მათ უჭერთ მხარს, ამ დასუსტებულ და შევიწროებულ საქართველოს სრულიად მართლმადიდებლობას და სრულიად საქრისტიანოს რომ ჩამოაშორებთ, რისი იმედი გაქვთ, როგორდა დაიცავთ საქართველოში მართლმადიდებლობას?!

ან კიდევ, იცით თუ არა თქვენ, რომ საქართველოს ეკლესია 1962 წლიდან არის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრი. დღეს საქართველოს ეკლესის სამღვდელოებაში სულ ორიოდე მღვდელია დარჩენილი ძველი თაობიდან. თქვენ ყველანი 1977 წლის შემდეგ ხართ მოსული საქართველოს ეკლესიის წიაღში. ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპურობლად კათოლიკოს-პატრიარქი იღია II მოგვევლინა. სად დაეწაფეთ მართლმადიდებლობას, თუკი საქართველოს ეკლესია მწვალებლურ გზას ადგას ამდენი სინის განმავლობაში? ნუთუ ერთხელ მაინც არ დაფიქრდებით იმზე, რომ მართლმადიდებლობას უწუნებთ და უშვერი სიტყვებით ლანძღვავთ იმას, ვისგანაც პირვერის გადასახვა და

მართლმადიდებლობის ანბანი ისწავლეთ და ვისგანაც ხელდასხმულები ხართ?! მრავალი თქვენგანი წლების განმავლობაში გვერდიდნ არ მოუშორებია პატრიარქს, ჰყაუმარიტ გზას აცდენილნი ცხოვრებისაც შემოაძრუნა. ყოჩალ! რა კარგად გცოდნიათ ამაგის დაუკავშია!

დღეს საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა ხელყოფილია. საქართველოში უმძიმესი ეკონომიკური მდგრადირობაა. პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს ჭამენ. ერთ გათიშულია. ერთადერთი, რაც ერთი-ანია ჯერჯერობით საქართველოში, ეს ეკლესიაა, და მოლით, ისიც გახლიჩეთ; მოდით, ისიც ჩამოაშორეთ სრულიად მართლმადიდებლობას და სრულიად საქრისტიანოს, და გავახაროთ მტრის გული! – აი, ეს არის მისი მისანი. მაშინ კი მართლაც წაიშლება საქართველო.

გამოდიხართ და წერთ: „საქართველოს ეკლესია, იყო რა ე.წ. „ეპლესიათა მსოფლიო საბჭოს“ წევრი ათწლეულების მანძილზე, მონაწილეობდა ამ საბჭოს ერუტიფულ, ანტიმართლმადიდებლურ და დამდებულელ საქმიანობაში“ (იხ. „ბეთანიის მონასტრის ღია წერილი სინოდის“).

ძალიან ზოგადი ფრაზებია. რატომ კონკრეტულ ფაქტებს არ ასახელებთ, – სად, როდის და რომელ ასეთ დოკუმენტს მოაწერა საქართველოს ეკლესიამ ხელი. რაში მოუძღვის ბრალი? ზემოთ მოყვანილი თქვენი სიტყვები დემაკოვადა და სხვა არაფური. თქვენ შესანიშნავად იცით, რომ ხალხი მოყლებულია ინფორმაციას, ჩვენმა მოსახლეობამ სრულიად არ იცის, რა არის ეკუმენიზმი, მსოფლიო ეკლესიათა საბჭო და ეკროპის ქლესიათა კონფერენცია; არ იცის მათი მუშაობის სტილისა და მიწნების შესახებ და ამიტომაც ადვილად აგყვებათ. მართლმადიდებლობის დაღატმით ქართველი ხალხი ყოველთვის ერის დაღატს, სამშობლოს დალატს ხედავდა და ამიტომაც, რა თქმა უნდა, მართლმადიდებლობის დამცველთ ამოუდგება გვერდით (!).

მაგრამ ხართ კია თქვენ მართლმადიდებლობის დამცველი? რა ცოდნა გაგაჩნიათ თქვენ, რა გამოცდილება? მოსახლეობამ არ იცის-მეთქი, თქვენ კი იცით, რა არის მართლმადიდებლობა და რა არის ეკუმენიზმი? ყოფილხართ ეკუმენური მოძრაობის ფორუმებზე? დასწრებისართ და მოგისმენიათ მართლმადიდებელთა, ან სხვა აღმსარებლობის ქრისტიანთა გამოსულები? წაგვითხავთ ამ ფორუმების აქტები? თქვენ ხომ ამ მოძრაობის მტრების შერითა და ბოლშით აღვსილი სტატიების მეტი არაფური წაგვითხავთ!

მაგრამ ცოდვა გამხელილი სცობსო, ნათქვამია, და საქეცყოდ ვაცხადებ, რომ ამაში თქვენ არ მიგიძლვით ბრალი. 1978 წლის მაისიდან

1995 წლის დეკემბრამდე ვმუშაობდი მე საქართველოს საპატიოარქოს საგარეო განყოფილებაში და არც ერთხელ არ მომისმენია მსგავს ფორმებშე და საერთაშორისო კონფერენციებშე წარგზავნილ მიღება¹ ანგარიში. საქართველოს საპატიოარქოში ორი ფურნალის და ერთს განეთი გამოდიოდა; არც ერთ მათგანში არ გაშექებულა, თუ რა არის ეპუმენური მოძრაობა, რა ხდება თანამედროვე ქრისტიანულ სამყაროში. მეტსაც გეტივით, 1990 წელს თბილისში ჩატარდა ევროპის ეკლესიათა კონფერენციის სხდომა. მიუხედავად იმისა, რომ სხდომები ეუროალისტთა სახლის დაბაზში შედგა, საქართველოს არც ერთ განეთში არ გაშექებულა ამ სხდომების მუშაობა. მე ინტერვიუ ჩამოვართვი ევროპის ეკლესიათა კონფერენციის საყონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარეს, მსოფლიო საპატიოარქოს წარმომადგენელს ამ კონფერენციაში, დოქტორ ალექსანდროს პაპალეროს და გზეთ „მაღლა“ გადავეცი. ინტერვიუ გმჩეობა არ დაბეჭდდა, პოლემიკას გამოიწვევსო.

პროფესიით ფურნალისტი არ გახლავართ, არც მოცულილობის გამო გამდევთებია ეს. უბრალოდ, ვერძნობდი რაც შეიძლებოდა მოცყოლოდა დექინფორმაციას და ამიტომაც გავისარჯე. მინდოდა გაეგო ერსაც და ბერსაც ის საყითხები, რაც ასე აღლელებს დღეს ჩენს საშოგადოებას. თუდაც კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინა მაშინ ის ინტერვიუ მავანს და მავანს, კიდევ უკეთესი, პოლემიკა თავისას გაიტანდა, დღეს გარეული აჩრი იქნებოდა ჩამოყალიბებული.

როგორ გაგამტკუნოთ ყოველივე ამის არცოდნის გამო თქვენ, როდესაც ჩემთვისაც კი, ვინც 18 წელი ვიმუშავე საქართველოს საპატიოარქოს საგარეო განყოფილებაში, ბევრი ამ საყითხთაგანი ბუნდოვანი იყო ბოლო დრომდე. ვხვდებოდი და ვაცილებოდი საქართველოს ეკლესიაში ჩამოსულ ოფიციალურ დელეგაციებს. ვასწავლიდი ბერძნულს ჯერ მცხეთის და მერე თბილისის სახელიერო სემინარიასა და აკადემიაში, მაგრამ არც ერთხელ არც ერთ კონფერენციას არ დავსწრებივარ უცხოეთში, მიუხედავად უმრავი მიწვევისა.

საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობს თუნდაც ერთგვერდიანი ინფორმაციები რომ მიეწოდებინათ საპატიოარქოს ფურნალ-განეთებისათვის, ერთი მოხსენება მაინც რომ გაეკეთებინათ საპატიოარქოს თანამშრომლებისა და სამღვდელოების წინაშე, აკადემიისა და სემინარიის სტუდენტების წინაშე, ხომ არ იქნებოდა დღეს ეს გაურკვევლობა? მაგრამ სულ სამიოდე ადამიანს პქონდა უცხოეთში გასვლის უფლება და გამუდმებით შეაში იყვნენ. სად პქონდათ ამისი დრო? იქნებ, ამ საყითხების

გაშუქების უფლებაც არ ჰქონდათ? რა გასაკვირია. ათეისტური სახეობის მწიფოს ხელისუფლება რატომ მოისურვებდა, მიმდინარე რელიგიურ პროცესებში გარკვეულიყვნენ მისი მოქალაქეები?!

ახლა კი, მე მომისმინეთ. მე დავესწარი ამა წლის 23–29 ივნისს აუტრიაში, ქ. გრაცში ჩატარებულ ევროპის ეკლესიათა მეორე ეკუმენურ ასამბლეას. მას შემდეგ, რაც თქვენის წყალობით, საქართველოს ეკლესია გამოვიდა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან, საქართველოს ეკლესიამ აღარ გაავსავნა დელეგაცია ამ ფორუმზე (ეს თქვენთვის უკვე ცნობილია, თორემ ვინ იცის, კიდევ რა ულტიმატუმებს წამოაყენებდით!). რაყო ბუნტია, ბუნტი იყოს-მეთქი, და ისუევ, როგორც თქვენ, მეც ავიღე თავზე ხელი და ყოველგვარი ლოცვა-კურთხევის გარეშე გრაცს გავეძმიავრუ. წუ გვონიათ, რომ მარტო თქვენა გაქვთ პრეტენზიები საქართველოს ეკლესიის მიმართ. მეცა მაქვს და უფრო არგუმენტირებულიც. ძალიან ბევრს წარმოუდგენია, რომ საქართველოს ეკლესიას მხოლოდ სამღვდელოება წარმოადგენს. არა, ბატონი! საქართველოს ეკლესია – ვარ მეც და მთელი ქართველი ერი, ვინც კი მონათლურებია, კაციც და ქალიც. ნათლობის საიდუმლოს შესრულების დღიდან ჩვენ ყველანი ერთად – ბერი და ერი – წარმოვადგენთ საქართველოს ეკლესიას. მაგრამ ამ ეკლესიას და მის წმიდა სინოდს არ გაუთვალისწინება ჩემი, და არც ასიათასობით ჩემნაირის აჩრი, გვინდოდა თუ არა, მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროს მოვწყვეტოდით.

ისმის კითხვა: ოთხი ბერისა და ექვსიოდე მორჩილის ულტიმატუმი რატომ გახდა საკმარისი, რომ სინოდს უკან დაეხსია; კარგი, ბატონი, ბერებზე აღარაფერს ვამბობთ, მაგრამ ექვსიოდე მორჩილი ვითომ რა უპირატესობით სარგებლობს ყველა იმაზე, ვინც ამისი წინააღმდეგი ვართ?

გვინდა დავიჯვეროთ, რომ საქართველოს საპატრიარქომ განხეთქილების მოთავეთა უკან მდგომი იმპერიული ძალების შესაძლებლობები გაითვალისწინა.

განხეთქილების მოსურნენი წუ გაბრიყვდებიან და ახლა იმას წუ წარმოიდგენენ, რომ მე ან საქართველოს ეკლესიის წარმატებილი ვიყავი გრაცში და ან კიდევ ვინმეს დავალებით ვწერ ამ წერილს.

გრაცში ჩატარებულ მეორე ეკუმენურ ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად მე გრაცის აღგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტიდან მქონდა მიღებული მიწვევა ჯერ კიდევ საბერძნეთში მივლინებით ყოფილისას. არაფერი მაქვს დასამალი. გრაცში მე საბერძნეთის სახელით არ

გამოვსულვარ და არც არასოდეს გამოვალ (შარშან ზაფხულში მე-
ცრემლებს ვღვრიდი საბერძნეთში ტელევიზორის წინ, როდესაც
ოლიმპიურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კახი კახიაშვილი საბურძ-
ნეთის სახელით გამოვიდა და იქ ჩაიტანა მოპოვებული ოქროს მედლების
ეს კიდევ სხვა უბეღურებაა, თავს რომ დაგვატყდა, და ჩვენი მთავრობა
ამასე დროა, დაფიქტდეს!). გრაცში მე წარვდექი, როგორც მეცნიერი
საქართველოს მეცნიერებათა ყადემის აღმოსავლეთმცოდნების ინს-
ტიტუტიდან და, უპირველეს ყოვლისა, ვითარცა ქართველი მორწმუ-
ნე, რომელმაც თვრამეტი წელი იმსახურა საქართველოს ეკლესიაში.
მტკრმა ყველანაირი ღონე იხმარა, რომ საქართველოდან არავინ გამოჩე-
ნილიყო ამ ასამბლეაზე. ვერა, მე ვერ გავანარებდი მას.

ისიც მომავონდა რომ, როდესაც „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს
დროებითმა საბჭომ მართლმადიდებელი ეკლესიები 1948 წლის სექ-
ტემბრისათვის ამსტერდამში დაგვემილ I გენერალურ ასამბლეაზე (სწო-
რედ მაშინ დაფუძნდა ემს-ი) მიიწვია, რყინის ფარდის მიღმა არსებულმა
ეკლესიებმა და მათთან ერთად აღექსანდრისა და ანტიოქიის ეკლესიებ-
მა, რომელთაც 1948 წლის 8-10 ივნისს მოსკოვში გამართულ მართლ-
მადიდებელი ეკლესიების კონფერენციას დაესწრნენ, უარი განაცხადეს
ამსტერდამის ასამბლეაში მონაწილეობის მიღებაზე და ამგვარად,
სრულიად მართლმადიდებელი ეკლესია, ისტორიის მანძილში პირველად,
გათიშული აღმოჩნდა თავისივე ინტერესების საწინააღმდეგოდ“ [5, 9, 701].

ცხადია, მაშინ ათეისტური საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის
კურსი ამოქმედდა. მნელი მისახვედრი არ იყო, რომ ახლაც რომელიმდაც
იმპერიული ძალების ჩარევამ გამოთიშა ჩვენი ეკლესია საქრისტიანოს,
მაგრამ გაგონილს თვალით ნანაბი სჯობიაო, ნათქვამია, და ამ რომ-
ტრიალში კიდევ უფრო მომებალა ამ ფორუმზე დასწრების სურვილი.

ახლა კი გიგამბობთ, რა მოხდა გრაცში.

გრაცი. 1997 წლის ივნისი.

მინისტრის მიერაცხა მართვა

ეპუმანური ასამაღლება

ათი ათასი ადამიანი იყო შიწვეული ავსტრიის ქალაქ გრაცში ევროპის მეორე ეკუმენურ ასამბლეაზე. იგი გრაცის ერთ-ერთ დიდ მოქადანზე, ფრაიპატლატცეზე გაიხსნა. მოედანი გადაჭედილი იყო მოწვეული სტუმრებით და გრაცის მოსახლეობით. უნდა აღინიშნოს აგრძელებული რომ გრაცში საყუთარი ინიციატივით იყო ჩამოსული ხალხი ევროპის სხვადასხვა კუთხიდან. სასტუმროები გადაეხებული იყო და ამიტომ ქუჩებში, სკვერებში, მერხებზე ათევზენ დამეს. ევროპის მოსახლეობამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ამ ფორმებს. მისი დევზი ხომ ასეთი იყო: „შერიგება – საბოძვარი ღვთისა და ახალი ცხოვრების დასაწყისი“. მისი ორგანიზატორები იყვნენ: ევროპის ეკლესიათა კონფერენცია, ევროპის ეპისკოპოსთა საბჭო – კონფერენცია. მათთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს ავსტრიის ეკლესიათა ეკუმენურმა საბჭომ და ავსტრიის კათოლიკურ ეპისკოპოსთა კონფერენციამ.

ამ გადაჭედილ მოედანზე მისასალმებელი ისტყვებით გამოვიდნენ მართლმადიდებელი, კათოლიკური, პროტესტანტული ეკლესიების წარმომადგენლები, ამ ასამბლეის ორგანიზატორები, ავსტრიის პრეზიდენტი, ქალაქ გრაცის მერი და სხვანი.

„დაირღვა პოლიტიკური საჩლევები ევროპაში. არსებითად შეიცვალა პირობები ჩვენს კონტინენტზე. ჩვენ ყველანი იმის მოწმენი ვართ, რომ დიალოგისა და ურთიერთგაგების არარსებობამ, რასაც შეეძლო ევროპაში არსებული პოლიტიკური ვაფუუმის შევსება, ადამიანთა გაუცხოებამ, სიძულვილმა და მტრობამ ომამდე მიგვიყვანა“, – ასე განმარტავდნენ ამ ასამბლეის მოწვევის მისანს. საბედნიეროდ, ევროპის სახელმწიფოებმა საერთო გამონახეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში, მაგრამ თუკი ამას რელიგიური შერიგებაც არ მოჰყვება, მაშინ ევროპა ისევ საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ამიტომაც ამ ასამბლეის მოწოდება იყო, რომ ქრისტიანულმა ეკლესიებმა გააერთიანონ თავიანთი ძალები

და შეძლებისდაგვარად იღვაწონ ურთიერთგაგებისა და შერთებისათვის, ამ ჭით კი, თავიანთი წვლილი შეიტანონ ევროპის გაერთიანებაში

ამიტომაც მისასალმებელი სიტყვების შემდეგ, სოტყვე შესცემა წარმომადგენლებს კონფლიქტური ზონებიდან. თავიანთი კერძო ურთიერთგადგენლებმა და მე ევროპელები გრძნობენ, რომ თუკი რომელიმე ევროპულ, ან მის ახლოს მდებარე ქეყანაში ომი და კონფლიქტი იქნება, ეს მათ უსაფრთხოებასაც ემუქრება. ამიტომაც ჩვენს მიერ იქ წარმოთქმული სიტყვები, ასამბლეის გახსნის მთელი ცერემონიალი, პლენარული სხდომები, იმ დღეების კულტურული ქრონიკა ცოცხალ ეთერში გადიოდა, ტელევიზიითა და რადიოთი გადაიცემოდა მთელს ევროპაში. „ხმა კონფლიქტური ზონებიდან“ კი გაფორმდა, როგორც ამ ასამბლეის დოკუმენტი №6. აი, ჩემს მიერ იქ წარმოთქმული სიტყვა:

მე ვარ თამარ მესხი. მე ვარ იმ ქეყნიდან, სადაც ქრისტეს მოძღვრება პირველივე საუკანებიში იქადაგეს თვით ქრისტეს მოწაფეებმა: ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა, სადაც უფლის კვართად დამარხული და ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა მეოთხე საუკანის პირველ მეოთხელი. ღვთისმმობლის წილხველ საქართველოს განმანათლებლად ქალი მოვლინა უფლის მიერ, მოციქულთა სწორი წმიდა ნინო, და უკვე მტხუთე საუკუნეში ქართველი ხალხი მმობლიურ ენაბეჭელობდა სახარების.

საქართველოს ისტორია სავსეა სამშობლოსათვის და ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული გმირებითა და მოწამეებით, საცუთარი ერისა და სხვა ხალხების მოყვარული და პაგივისმცემელი პიროვნებებით. მაგრამ არც პირველი ევროიბით შეპყრობილი ადამიანები დაპყლებია მას. საქართველოს პეტრი დიდი გამარჯვებებიც და პეტრი მარცხიც. მაგრამ რაც მგრობას დაუნიდებენ, სიყვარულს უშენებია.

ღღეს ჩემი ქეყანა უდიდესი განსაცდელის წინაშე დგას. ბოროგმა ძალებმა შეძლეს და დააქცევმაცეს მისი ერთიანი სხეული. ისინი ცდილობენ, საქართველოს ჩამოაშორონ აფხაზეთი და შიდა ქართლის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავგონომიური ოლქი, ის, რაც საქართველოს განუყოფელი ნაწილებია.

საქართველოში კონფლიქტს მესამე ძალა ქმნის. ის ძალა, რომელიც ვერ შეურიგდა დიდი რუსეთის იმპერიის დაშლას, რომელსაც



ეკონომიკური მეცნიერების მუშაობის მასშტაბური გამზინა.
გრიაუ, 1997 წლის 23 ივნისი

სურს დამოუკიდებელი რესპუბლიკის კულატ თავის წიაღში გამართდა, თიანოს, ახლა უკვე ახალი სახელითა და ახალი ლომბუზით, და ამათ კულატ თავისი დამპყრობლური პოლიტიკა განახორციელდა.

რაში კედებათ გამოსავალს ქართველები? – ძეგლ სისტემაზე, რომელიც ქართველმა ხალხმა პოეგურად ასე გამოხატა:

ახალგამრდა მოყმე კეფხვს შეებრძოლა. ცხადია, კეფხვი სიმბოლურად მგერს ნიშანეს. ბრძოლაში დაეცა მოყმეცა და კეფხვიც. შეილდა კარგულმა მოყმის დედამ წარედ დაიგირა შეილი, მაგრამ თან სიამაყით განაცხადა: „ერთ შვილ ხომ მაინც გაეგმარდე კეფხვებთან მეომარი“. კონს რომ მოუკი გამწარებული ქალი, კეფხვის დედის საძებრად წავიდა, რომ სამძიმარი ეთქეა მოულული შეილის გამო. ისიც ხომ შეილმკვდარი დედაა. მასაც ხომ იგივე ტკავილით სგკივა.

ბალადა ხალხურია. იგი საუკუნეების წინ იმვა ქართველი ერის წიაღში. ე.ი. ქრისტეს მოძღვრება – „გიყვარდეს მგერი შენი“ – ფესვგადგმულია ქართველი ხალხის აზროვნებაში. იგი დღესაც მჩაღაა შერიგებისათვის. ამიგომაც ქართულ გამეოთებში არცთუ იშვიათად ნახავთ აფხაზეთში შეილდალუპული ქართველი დედა შერიგებისაკენ რომ მოუწოდებს აფხაზ დედას. დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზ დედასაც იგივე სურვილი ამოძრავებს და ეს შერიგება მოხდებოდა კიდეც, რომ არა ის მესამე ძალა.

ამიგომ მე გთხოვთ და მოგიწოდებთ ყველას, რომ ილოცოთ ჩემი ქვეყნისათვის, საქართველოსათვის და მისი მოსახლეობისათვის, განურჩეულად ეროვნებისა, რომ ღმერთმა ყოველ მათგანში გააღვიძოს მიგევებისა და შერიგების უნარი.

ვეცადოთ, პირველ ყოვლისა, ქრისტიანები შევრიგდეთ ერთმანეთში, შევრიგდეთ კულესიურად, შევრიგდეთ პოლიტიკურად. მოუძებნოთ გმები და შევრიგდეთ ადამიანური არსებობის ყველა სფეროში და ნურც პრძნოთაგან თქმულს დავიუწყებთ, რომ ბოროგების გამარჯვების ხელშემწყობ ძალას წარმოადგენნ არა იმდენად ერთული ბოროგი ადამიანები, რამდენადც უთვალავი რაოდენობის უმწეო კარგი.

მოდით, ნუ ვიქწებით უმწეო კარგი!

ლექსიმა „კეფხვისა და მოყმისა“ არნაზული შთაბეჭდილუბა მოახდინა. მთელი იქ მყოფი საზოგადოება მქუჩარე ტაშით შეეგება ჩემს გამოსვლას. ეს არ მომხდარა არც ხორვატის, არც ნორვეგის და არც ბაქეთის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ. ჩვეულებრივ, დაასრულებდა თუ

არა რომელიმე გამოიშველელი სიტყვას, მაშინვე გუნდი იწყებდა გალოიბის, მოედნის ოთხსავე მხარეს ოთხი გუნდი იდგა და მონაცელებით ასრულებდნენ საგალობლებს. სიტყვა დავასრულე თუ არა, ტრიბუნაზე ურთოა სახული განჩრდა ვაჟი ამოიჭრა. მამუკა თავზელიმე აღმოჩნდა. იგი ახლა რეგენტის ბურგის სალოისმეტყველო ფაზულტეტის სტუდენტია. თბილისის სახულიერო აკადემიის წარმატების დროზანილი. იგი რეგენტის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფთან ერთად ჩამოიყვანეს ამ ასამბლეაზე და, სამწუხაროდ, სამცურდე ბარათზე „გერმანია“ ეწერა.

— ვიცოდი, რომ საქართველოს ეკლესია არ მონაწილეობდა ამ ფორუმში და არ ველიდი თქვენს აქ ყოფნას. როგორც კი თქვენი სახელი და გვარი გაეიგონე, გვარლეი ხალხის ტალღა და თქვენსკენ გამოვეშურე, — მითხრა მამუკამ. — რა კარგია, რომ საქართველოს სახელი გაისმა ამდენი ხალხის წინაშე.

ერთი ქართველი ბაპტისტიც მომიახლოვდა, რომელიც მოსკოვიდან ბაპტისტების დელეგაციას ჩამოჰყოლოდა. ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ მისი სახელი და გვარი ამომივარდა მებსიერებიდან. ან კი როგორ არ ვიქნებოდი აღელვებული. მშიანი დღე იყო. ასეთი ცხელი დღე აღარც ყოფილა ჩემი გრაცი ყოფნის განმავლობაში. ვიდექ კრიბუნაზე და ოფლი ღვარად ჩამომდიოდა. მზე პირდაპირ იმ მხარეს ანათებდა, სადაც მე ვიდექი. უცებ მოიღოუბდა. ცოტათი აგრილდა კიდეც. ამოვისუნთქე. ნეტავ, არ გაწვიმდეს-მეთქი. ეს კი გავითქირე. ამასობაში ჩემი გამოსვლის დროც დადგა. ის იყო, აფხაზეთი, სამაჩაბლო და მესამე ძალა ვახსენე, რომ უცებ დაიგრგვინა და სამინელი თქემი წამოვიდა. ავღელდი, ქალალზე მელანი იშლებოდა, აღარ ვიცოდი შემტყვიტა კითხვა, თუ გამეგრძელებინა (გერმანული იმდენად კარგად არ ვიცი, რომ ზეპირად მეთქვა ჩემი სათქმელი). თვალი მოედნისაუკი გავაპარე. ჩოჩქოლი ატყდა, ხალხი ქოლგებს შლიდა. უცებ რეგენტი გოგონა დამადგა თავს დიდი ქოლგით. ამოვისუნთქე. კითხვა გავაგრძელე. ვეფხვისა და მოყმის ამბავი დავასრულე და მზებ კვლავ გამოანათა. რაღაც წამებში მონდა ეს ყველაფერი.

— ისმოდა ჩემი ხმა? ხომ არ ჩაიკარგა ჩემი სიტყვები ამ ჩოჩქოლში? მიგდებდნენ ყურს? — ვკითხე მამუკას.

— ერთ ადამიანსაც არ დაუტოვებია მოედანი, — დამაშვიდა მამუკამ, — მხოლოდ ქოლგები გაშალეს. ყველა გისმენდა. ტამიც ხომ ამის დამადასტურებელი იყო. ყველაფერი მშენივრად ჩატარდა, მე ეს ყველაფერი ვიდეოფირზე აღვბეჭდე. აი, გაჩვენებთ მერე და ნახავთ, ნუ დელავთ, ნუ ღელავთ, — მიმეორებდა მამუკა. ბაპტისტმა ქართველმაც იგივე მითხრა.

აშასობაში ტრიბუნასთან ახლომდგომშია ქალებმა ჩემი წარმო-
თქმული სიტყვა მთხოვეს. სამწეხაროდ, მე მხოლოდ ორი ეგზემპლარი
მქონდა და ორივე გავეცი, მაგრამ, აღათა, სხვასაც ენდომენტიდა.

ასამბლეა მართლაც რომ შესანიშნავად იყო ორგანიზებული: დამტკიცავთ ავრიდა თუ არა გახსნის ცერემონიალი, პროელამაციებივით გადმო-
იყარა ვერტმფრენიდან კულა იქ წარმოთქმული სიტყვა ხუთ ენაზე –
გერმანულად, ინგლისურად, ფრანგულად, იტალიურად, რუსულად.
მოედანი ამ ფურცლებით აივსო. როცა ტრიბუნიდან ჩამოვედი და
შინისაკენ მივიყვლევდი გზას, უცებ წრე შემოძარტყა ათლეტური აღ-
ნაგობის ზანგების ერთმა ჯვეუფა და მთელს მოედანზე გაიძახოდნენ VIVA GEORGIA, იმათ სხვებიც შემოუერთდნენ და ასეთი შეძახილე-
ბით დავტოვე ის მოედანი.

რა გავეთდა ცუდი ჰერმენურ შეკრებაზე ჩემი გამოსვლით? დაუკარგე
მართლმადიდებლობა, თუ პირიქით, მთელს ევროპას გავაცანი, სულ
რაღაც სამწეოთანი გამოსვლით, საქართველო, მისი პრობლემები და მისი
მისწრაფებები?!

პირველი დღიდანვე ძალაშე პოპულარული გახდი მთელს გრაცში.
ზოგი სახეზე მცნობდა, ზოგიც, როგორც კი წაიყითხავდა სამერდე
ბარათზე GEORGIA-ს, მაშინვე მეკითხებოდნენ: ეს თქვენ იღაპარავეთ
გუშინ მოედანზე? და მაშინვე საქართველოშე ჩამოიგდებოდნენ საუბარს.

– შესანიშნავი მოწოდებით დაამთავრეთ თქვენი სიტყვა, – მითხრა
ერთმა ზანდაზულმა გრაცელმა ქალბატონმა. ნეტავ მართლაც გამოვ-
ძებნიდეთ საერთოს, ნეტავ მართლაც დაისადგურებდეს ქვეყნად მშვი-
ლობა!

ევროპელებს ეტყობათ, რომ მეორე მსოფლიო ომი მწარე გაუვე-
თილი აღმოჩნდა მათთვის. ძრწიან ომის გაგონებაზე. ამიტომაც ჭუჩაში,
კაფეში, ტრანსპორტში ღიმილით გხევდებოდნენ კულას, ვისაც ამ ასამბ-
ლების სამერდე ბარათი გვეკეთა. უსათუოდ გამოგველაპარაკებოდნენ,
წარმატებებს გვისურევებდნენ, გვლოცავდნენ და საკუთარ ქვეყანაში
მშვიდობას ლოცავდნენ.

– Прекрасно выступила, Тамара, – гафомидаша ქუჩის მეორე
შხარიდან მეორე დილასვე ვიღაც ახალგაზრდა ვაჟმა. პირველივე პლე-
ნარულ სხდომაზე კი, 24 ივნისს, მომიახლოვდა ერთი შუახის რუსი კაცი
და მითხრა: – ქართველები ყველაფერს ჩვენ რატომ გვაძრალებთო.

– მე რუსეთი არ მისუნებია, ბატონო, მე მესამე ძალა ვახსენე. ჩემი
სიტყვა ათი ათასმა ადამიანმა მოისმინა, გერმანელებმა, ფრანგებმა,

ინგლისელებმა და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ. არავის გამორცვაქამს პრინცესტი, არვის უგრძვნია თავი შეურაცხყოფილად. რატომ მიიღეთ საყუთარ თაქშე. მართლაც თქვენ ხომ არა ხართ ის მესამე ძალა? მრეულე მუქი

— ეს რა გვიქენი, ქალბატონო, გუშინ, — მითხრულ და დღიული მომიახლოვდა მიტროპოლიტი დიონისე და, მადლობა ღმერთს, ამ უსიამოვნო საუბარს მომწყვიტა.

— არ დაგვამხო ცა თაქშე? — შემოუერთდა მას კრეტის მართლმადიდებელი ყადემიის დირექტორი ალექსანდროს პაპალეროსი — რა ხართ ეს ქართველი ქალები? ხმა ამოიღო თუ არა, მეხი, გრგვინვა, თქეში... მთელი ზეციური ძალები არ აამოძრავა? ამათ ეტყობა, განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ ზეციურ ძალებთან, ეს ჩვენი ჩრდილოელი ძმები კი ვერა ხვდებიან, — თავისთვის ჩვეული მანერით ჩაიქირქილა და მერე სწრაფი მზერა გვტყორცნა ჯერ მე და მერე იმ ბატონს.

— ეტყობა ძველ ბერძნულ მითოლოგიას არ იცნობენ, არ სმენიათ მედეას შესახებ, — განავრძო მიტროპოლიტმა.

ერთი სიტყვით, ჩემს გამოსვლას გულგრილი არავინ დაუტოვებია.

სტატისტიკური მონაცემებით, გრაცის ამ ფორუმს 992 წარმომადგენელი დაესწრო რუმინეთიდან, გერმანიიდან — 945, ავსტრიიდან — 808, იტალიიდან — 685, შვეიცარიიდან — 387, რუსთას ფედერაციიდან — 338, ლიტვიდან — 300, უკრაინიდან — 181 და ა.შ. ესენი იყვნენ მართლმადიდებლები, კათოლიკები, პროტესტანტები, ბაპტისტები... ორგანიზაციებიდან „ქრისტიანი“ და „დიაკონია“ და კიდევ ვინ მოთვლის იმ ორგანიზაციებს.

საქართველოდან 11 კაცს გაუვლია რეგისტრაცია. მაგრამ მე, სამწერაოდ, მხოლოდ ორი მათგანი გავიცანი. ესენი იყვნენ მამა გაბრიელი (ბრიგანტინი), იტალიელი პადრე, რომელიც ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში მოღვაწეობს ამჟამად, და გამოიტანა „საბას“ რედაქტორი, ქალბატონი მანანა ანდრიაძე. მამა გაბრიელი თურმე სულ სამი წელია, რაც იტალიიდან ჩამობრძანებულა ქუთაისში. შესანიშნავად შეუსწავლია ქართული. ისე მეტყველებს, ვერც კი წარმოიდგენთ, რომ ქართველი არ არის. ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ბევრი რამ იცის უკვე საქართველოს შესახებ. მამა გაბრიელი და ქალბატონი მანანა მოვიდნენ და დაესწრნენ ჩემს მოხსენებას ქალთა ფორუმზე, რომელიც 26 ივნისს შედგა. ჩემი მოხსენების თემა იყო: „ქალის ადგილი და როლი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში“. ძალიან მგულშემატებივრობდნენ.

იმავე საღამოს 6 საათზე შედგა პრესკონფერენცია მართლმადიდებელ ქალებთან. ამ პრესკონფერენციაში მონაწილეობა მივიღეთ მე და კიდევ ორმა ბერძენმა ქალბატონმა: კრეტის მართლმადიდებელი ქალი. მეცნიერ თანამშრომელმა, ღვთისმეტყველმა კატერინა ზორბაზი, ბერძნული დიასპორის სახელით კი გამოვიდა გერმანიის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი – ღვთისმეტყველი და სოციოლოგი ქალბატონი დესპინა, რომლის გვარიც, სამწუხაროდ, აღარ მახსოვეს.

პრესკონფერენციის შემდეგ ჩატარდა კოლოკვიუმი მართლმადიდებელ, კათოლიკე და პროტესტანტ ქალებთან, თუმცა დარბაზში დამსწრე მამაკაცთა რიცხვი საყმაოდ დიდი იყო. ამ კოლოკვიუმში მონაწილეობა მიიღეს ქალბატონებმა ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, რუმინეთიდან, ფინეთიდან.

ამ პრესკონფერენციასაც დაესწრო ქალბატონი მანანა. საერთოდ, დიდ ინტერესს აელენდა ყველაფრისადმი. ვიგრძენი, რომ იქ, იმასაც და მეც, დავიწყებული გვქონდა იმ წუთებში ის დოგმატური განსხვავება, რაც ჩვენს ეკლესიებს შორის არსებობს, ჩვენ იქ ქართველები ვიყავით უპირველეს ყოვლისა და ვცდილობდით, ჩვენი საუკეთესო თვისებები, ჩვენი წარსული და ჩვენი ახლანდელი სატკივარი გაგვეცნო ყველასათვის.

– ეს არ გამოგრჩეს, – მეტყოდა ქალბატონი მანანა, – ამაზეც იღაპარავე, – შემაგულიანებდა ისევ. ერთი სიტყვით, დიდი სიხარული მომანიჭა მისმა იქ ყოფნამ. სამწუხაროდ, თვითონ არ მიეცა სიტყვის წარმოთქმის საშუალება. მისგანვე გავიგე, რომ ამ ფორუმზე ჩამოსულა ქალბატონი ნინო ყაუხეჩმვილი იტალიიდან. ქალბატონ ნინოს მოხსენება წაჟამარის ქართველის შესახებ. ჩემი გაცნობის სურვილი გამოუწევამს, მაგრამ ათი ათას კაცში ფრაიპატიკლატცენზე რას მიპოვიდნენ. პროგრამის მიხედვით მიპოვეს ქალბატონმა მანანამ და მამა გაბრიელმა 26 ივნისს. მაგრამ 25 ივნისს ქალბატონი ნინო უკვე იტალიაში დაბრუნდა. სულ ორი დღით ყოფილა ჩამოსული და ჩვენი შეხვედრა არ მოხერხდა.

იქვე მახლობლად, სადაც პლენარული სხდომები ტარდებოდა, ერთი სკოლის შენობაში გამოყოფილი იყო ოთახები ყველა ქვეყნის წარმომადგენლებისათვის. თავიანთ ოთახებში იყრიბებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების წარგზავნილნი თავისუფალ დროს, შეიმუშავებდნენ გარკვეულ გეგმას და მერე ასე წარდგებოდნენ სხდომებზე ან საორგანიზაციო კომი-

ტეტის წინაშე. GEORGIA რომ დავინახე დაწერილი, მაშინვე ამ შენობისაკენ გავემართე. მინდოდა სხვა ქართველებიც გამეცნო, ვიცოდი, რომ ბაპტისტები და ორგანიზაცია „ქარიტასიდა“ იყვნენ ჩამოსულების შემთხვევაში და მაგრამ იქაც მხოლოდ მამა გამრიცელი და ქალბატონი მოწყვეტილი იქნია. ისინიც ამ იმედით წამოსულან, მაგრამ ბოლოს ისევ ჩვენი სამეცნიერო მეცნიერების ერთმანეთს. ცოტა ხანში მამუკაც შემოგვემატა. ერთი სიტყვით, ორი მართლმადიდებელი და ორი კათოლიკე შევხვდით ერთმანეთს საქართველოსთვის გამოყოფილ აუდიტორიაში. თუმცა, მე არ მქონდა ამის გამოცდილება და ცოტა გვიან შევიტყვე, თორუმ სპეციალური ფოსტაც კი არსებობდა საამისოდ. პლენარულ სხდომათა დარბაზის წინ გამოყოფილი იყო ყუთები ყველა ქვეყნისათვის და იქ შეეძლო მსურველს, დაუტოვებინა ბარათი ვისიმე სახელშე. ბევრმა ჩემმა ევროპელმა მეგობარმა მიპოვა ამ გზით. დღის ბოლოს საორგანიზაციო კომიტეტი იქ გვიტოვებდა ინდივიდუალურად სამუშაო დღის მასალას და ინფორმაციას მომავალი დღისათვის.

პლენარულ სხდომათა დიდი დარბაზის გვერდით მდებარეობდა აუდიტორია მართლმადიდებელთათვის. 28 ივნისს ამ აუდიტორიაში შეიცრიბნენ სრულიად მართლმადიდებელნი: საბერძნეთიდან, კვიპროსიდან, რუსეთიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და სხვანი. მართლმადიდებლებმა იქ თავიანთი დეკლარაცია შეიმუშავეს დასკვნითი პლენარული სხდომისათვის. მართლმადიდებელთა ამ შეკრებას თავმჯდომარეობდა შევიცარიის მიტროპოლიტი დამასკინოსი. შესანიშნავი სიტყვით გამოვიდა და ტექსტში კორექტივები შეიტანა ალბანეთის მთავარეპიკოპოსმა ანასტასიონმა. იგი ხომ საქვეყნოდ ცნობილი ღვთისმეტყველია, მისი წიგნი „ისლამი“ ძალზე პოპულარულია ევროპაში და შესლიმანურ სამყაროშიც. ამ შეკრებაში სახელიერო პირები და საპატრიიარქების მიერ წარგზავნილი ღვთისმეტყველი მეცნიერები, საერო პირები მონაწილეობდნენ. ასე რომ, ნურავის ჰერონია, მართლმადიდებლები მხოლოდ მორჩილ უმცირესობას წარმოადგენენ ასეთ ფორუმებშე. სამ საათს გაგრძელდა ამ სხდომის შუშაობა, სანამ ისეთი ტექსტი არ შეიმუშავეს, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნებოდა.

23–24 ივნისს, პირველსაცე პლენარულ სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ და მოხსენებები წატითხეს რესეტის პატრიარქმა ალექსიმ და სომხეთის პატრიარქმა გარეგინმა. მიღანის კარდინალმა მარტინიმ, კარდინალმა ვიტო – პრაღიდან, გრაცის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ გრიგორიოს ლარენდაკისმა, მოძრაობა Fokolare-

ს პრეზიდენტმა, ქარალუბიშვილი — რომიდან, საშერეთ აფრიკის ეკლესიათ საბჭოს გენერალურმა მდივანმა, დოქტორმა, ბრიგალია პოპი ბამბა. წაიყითხეს აგრეთვე რომის პაპის ითანე-პავლეს გამოგზაენილი მისტერიული მეტელი სიტყვა. მსოფლიო პატრიარქის ბართლომეს შეტყვევა კი 423 ე ივნისს, ასამბლეის გახსნის ცერემონიალზე, ფრაიპაიტპლატცენე გაგვაცნეს.

მე საგანგებოდ მინდა შეკჩერდე სომხეთის პატრიარქის გარეული I-ის გამოსვლაზე. გარდა იმისა, რომ პატრიარქმა შესანიშნავი იიტყვა წარმოთქვა — „პირისპირ საკუთარ თავთან“, დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა დარბაზში მსხდომებზე. მას სპეციალური ღორცვა დაუწერია შერიგების თემაზე. ეს ღორცვა წარმოული იყო მის მოხსენებაში, მოხსენება კი ზუთ ენაზე იყო თარგმნილი და დარბაზში მსხდომი წამოურიგეს თავიანთვის სახურველ ენაზე. პატრიარქი ინგლისურ ენაზე კითხულობდა, საოცრად ემოციურად, დიდის შემართებით. როდესაც ღორცვის ტექსტს მიუახლოვდა, პატრიარქმა სთხოვა დამსწრე სამოგადოებას, რომ შესაბამისი გვერდი გადაემალათ და თვალი ედევნებინათ ამ ტექსტისათვის. თვითონ კი ჯერ პატარა ექსკურსი გააყეთა ზეპირად სომხეთის ისტორიაზე, მისი ენის სიძველეზე და ბოლოს, ამ უძველეს ენაზე წაგვითხვოთ ამ ღორცვას, — განუცხადა დარბაზს. და ასე, სომხურ ენაზე აღოცა ეს ამოდენა ხალხი. ამას ჰქეია რწმენისა და სამშობლოს სიყვარული. ამას ჰქვაა, იყო შენი ერის სულიერი მამა, და არა იმას, ჩაიყეტო, ჩაიმალო საკუთარ ნაჭუჭმი და მსოფლიოს მოსწყვიტო შენი ერი და შენი ხალხი! ეს შესანიშნავად იცის ჩვენმა მტერმა და ამიტომაც გამოითხა ამ ასამბლეას საქართველოს პატრიარქი და საქართველოს ეკლესია მოლიანად.

მოვლენები კი, აი, ასე წარიმართა:

მარტის თვეში თბილისში ხმა დაირჩა, თითქოს რუსეთის ეკლესიის სინოდმა საყითხი დააყენა, გამოსულიყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭო-სა და ეკროპის ეკლესიათა კრინიკურნიციდან და, შესაბამისად, არც გრაციის ასამბლეაში მიეღო მონაწილეობა. ამას თან დაერთო წინასწარმეტყველებანი ამ „მწვალებლური ორგანიზაციების“ წევრობით გამოწვეული მოსალოდნელი უბედურების შესახებ. საქართველოს ყოვნა-არყოფნის საყითხი გრაცის ასამბლეაში მონაწილეობა-არმონაწილეობით განისაზღვრებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა. საქართველო მშობლირებული აღმოჩნდა, რუსეთის ეკლესია კი არც იმ „მწვალებლური ორგანიზაციებიდან“ გამოსულა და გრაცის ასამბლეაზეც, პატრიარქის მეთაურობით, უსარმაზარი დელევაციით წარდგა.

რუსეთის საგარეო პოლიტიკა მარტო ამით არ შემოფარგლული.

გრაცის ასამბლეა მისასალმებელი ისტყვით უნდა გახსნა მის კოვლადუშმიდესობა მსოფლიო პატრიარქ ბართლომე I-ს. ეს მოვლენა შეატაცირდა თლიმადიდებელმა სამყარომ ეკირპაში მართლმადიდებლრმაც გამარჯვე კებად აღიქვა. მაგრამ 21 ივნისს, „ასოციებიშე პრესის“ საშუალებით ცნობილი გახდა, რომ რუსეთის პატრიარქმა აღექსი II-მ, რატომლაც მაინცადამაინც გრაცი და მაინცადამაინც ასამბლეის გახსნის წინა დღეს, 22 ივნისს დაგეგმა შეხვედრა რომის პაპთან, რათა მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა შორის არსებულ ზოგიერთ პრობლემატურ საკითხზე ემსჯელათ tete-à-tete.

იმ დღების ნებისმიერი ქვეყნის პრესა ამ ცნობას ასეთ კომენტარს უკეთებდა: „ამ გადაწყვეტილების უკან დიდი დიპლომატიური და პოლიტიკური ჩანაფიქრი იმაღლება“, ხოლო თუკი ბერძნულენოვან გამოც „კირიაკატიცის“ დაუკარგერებთ, „რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და პრეზიდენტ ელცინის კაბინეტმა ზეწოლა მოახდინეს პატრიარქს, წასულიყო გრაცი და რომის პაპს შეხვედროდა. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ნატომ ხელი მოაწერა აღმოსავლეთთან თანამშრომლობის გაფართოებაზე, რუსების სურთ, რომ გამარჯონ თავიანთი ქვეყნის ავტორიტეტი უცხოეთში. ბუნებრივია, პატრიარქ აღექსის და პაპის საუბრები მარტო რელიგიური საკითხებით არ შემოფარგლუბა...“*

ასეა თუ ისე, ამ ფაქტმა მსოფლიო პატრიარქის უქმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან ამ ქმედებით ერთი მხრივ, ირლევოდა სრულიად მართლმადიდებელთა ერთიანობა, ხოლო მეორე მხრივ, არ იყო შეეჩეული შესაფერისი დრო და ადგილი, და რაც მთავარია, პრობლემატურ საკითხთა განხილვას შესაძლებელი იყო, გარუკეული უთანხმება მოჰყოლოდა, რაც გრაცის ასამბლეის სელისკვეთებას სულ სხვა მიმართულებას მისცემდა და შედეგიც შესატყვისი იქნებოდა. ამიტომ მსოფლიო პატრიარქმა, პროტესტის ნიშანად, უარი განაცხადა გრაცის ასამბლეაში მონაწილეობის მიღებაზე. რომის პაპმა ანგარიში გაუწია მსოფლიო პატრიარქის გადაწყვეტილებას და აღარც თავად ჩამობრძანებულა გრაცი. ასე რომ, პატრიარქ აღექსისა და პაპის შეხვედრა ჩაიშალა. მსოფლიო პატრიარქისა და პაპის მისასალმებელი სიტყვები, როგორც უკვე გითხარით, მათმა წარმომადგენლებმა წაიყითხეს. პატრიარქ ბართლომე I-ის სიტყვაში კი აშკარად დაინახავთ მთელი ამ ორომტრიალის გამოძახილს:

* იხ. ბერძნულენოვანი გმირთი „კოსმოსი“, 22 ივნისი, 1997 წ.

თქვენო აღმაგებულებავ აქსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტო,
თქვენო აღმაგებულებავ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლურო,
ეკლესიათა საყარელო წარმომადგენლურო, ეკლესიათა
ყველას, ენც ქრისტიანის სახელს აგარებთ და მის მიერცხულებულ
ბას ელოდებით,

ეკროპის ეკლესიათა II ეკუმენური ასამბლეის მონაწილენო,

„მაღლი უფლისა ჩუენისა იქსო ქრისტესი თქუნ ყოველთა თანა“.

ამ სამოციქულო მისალმებით მოგმართავთ მთელი გულით, ჩვენი
წარმომადგენლის მეშვეობით, და პირდაპირ ვაცხადებთ, რომ ჩვენი უმ-
დაბლესობის ასამბლეაზე უშეალო არ დასწრება წარმომადგენს ჩვენს
მიერ მეგად შემძერელი სულიერი მსხეურპლის გაღებას, რაც ცივი ვო-
ნებით გადაწყვეტეთ, რათა თავიდან აგვეცილებინა უფრო დიდი დანა-
კარგი და ხელი შევვეწყო შერიგების სულისკუთხების გაძლიერებისათ-
ვის. არავის ვსაყველერობთ ასეთი გადაწყვეტილების მიღების გამო და,
ამასთან ერთად, დიდ მაღლობას მოვახსენებთ ამ ასამბლეის მასპინძე-
ლი ქვეყნის, აქსტრის ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს, ჩვენ-
გან დამოუკიდებელ მიჩებთა გამო მიღებული ასეთი გადაწყვეტილების
სათანადო გაგებისათვის.

გამოეთქვამთ, აგრეთვე, ჩვენს დიდ სიხარულს, ენადან შერი-
გებისა და ურთიერთგაგების სულისკუთხებამ, რის დასამეციდრებლა-
დაც ადამიანთა შორის ძალიან ბევრს ვცდილობთ, თავი მოუყარა ამ
ასამბლეაზე ასეთი დიდი რაოდენობის სიყვარულით აღსავს ხალხს
ეკროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, იმ მიზნით, რომ გამოინახოს გზები
შერიგებისა, რათა ახალმა და მრავალსახოვანმა ევროპამ ხელახლა
შეიძინოს თავისი სულიერი საბუძველი და იქცეს ივი, უპირველეს ყოვ-
ლისა, ეკროპად მოვეცარული და სოლიდარობის გრძნობით გამსჭვა-
ლელ გელთა და არა მხოლოდ მოვებისა და ანგარიშისა.

მავრამ ისევე, როგორც სათნოების წებისმიერ სახეს, შერიგება-
საც გათავაისებისა და რეალიზებისათვის სხვადასხვა საუხური გააჩ-
ნია. წარმაგებით განველეთ გზა აქამდე, გარეგნული შერიგებისა და
თანამშრომლობის დასაწყის სგაღიამდე, რაც იმის საწინდარია, რომ
შემდგომს სგაღიამდე გადავიდეთ.

ეს შემდგომი სგაღიამდე კა არის ქრისტესმიერი ერთიანობის ცხოვ-
რებაში რეალიზება, ვითარცა ყოფიერების ელემენტისა, რომელიც
თითოეული ჩვენთაგანის პიროვნული არსისათვის არის დამახასი-

ათებელი. ამ ერთიანობის განცდა არ არის სარგებლის, ან მისწოდებებით გაერთიანების უბრალო გრძნობა. არც გარკვეულ საკითხთა მიმართ რწმენის გაერთიანების უბრალო გრძნობა. ყველაფერმ ქადაგი რწმენასთან ერთად, არის გაერთიანება ცხოვრებისა და გაუწიოს თანება მომავლისა, რაც არის გაერთიანება უმაღლესი. ეს არის ქრისტეს მიერ გაცნობიერება ჩვენი გელებისა, მმშვიდით, რომ არავის ხელეწიფება ცხოვნება, სხვისი ცხოვნების გარეშე; რომ წარწყმება სხვისა – არის ჩვენივე წარწყმედა; ხოლო ცხოვნება სხვისა, არის ჩვენივე ცხოვნება. ეს არის გამორიცხვა პიროვნების გამართლებისა და ცხოვნების სამართლებრივი თვალსაზრისისა და გათავისება ქრისტეს მიერ თვალსაზრისისა, რომელსაც „ყოველთა კაცთა მნებავს ცხორებად და მეცნიერებასა ჰემმარიგებისასა მოსლვად“ (გიმ. I, 2,4.); რომელსაც საუფლო ღოცეს თანახმად, სურს, რომ იყოს ნება ღმრთისა ყოველსა ადამიანსა ბედა, რამეთუ წმიდა იოანე ოქროპირის განმარტების თანახმად, უფალმა ამ სიგყვებით თითოეულ მღლეველს მთელს მსოფლიოზე ჩრუნვა გვიბრძანა, არ უთქვამს მას – იყოს ნება შენი ჩემბე ან ჩემნებე, – არამედ თქვა: იყოს ნება შენი ქეყყანასა ბედა, ანუ განცხადდეს სიცრუე და დაინერგოს ჰემმარიგება, რათა განიღევნოს ყოველგვარი ბოროტება და მოხდეს სიკეთის კვლავ გაღვივება”.*

ამგვარად, ეს სამომავლო გაერთიანება, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთარი ცხოვნებით, არამედ ქრისტეს მიერ შერიგებასა და ცხოვნებას ისახავს მიზნად, წარმოადგენს ცხოვრებას წმინდანთა ცხოვრებით, რაც მოციქულმა პავლემ თავის მეგად ცნობილ, დიდებულ გამონათქვამში ასე ჩამოაყალიბა: „რამეთუ ვიღოცევდ მე შეჩუნებულ ყოფად თავსა ჩემსა ქრისტესაგან ძმათა ჩემთათვეს და ნათესავთა ჩემთა კორციელად“ (რომ. 9,3), ანუ შერიგებისაცენ უნდა მივისწრავოდეთ არა ჩვენი პირადი სარგებლის გამო, არამედ ვითარცა ღმრთის საშახურისაცენ, რომელიც ითვა-

* შერ. ექვთიმე მთაწმინდელისტეული ქ. ქართული თარგმანი: „უძრობნებს ჭაცალ-ჭაცალა ღოცებად ჟილისა სოფლისათვეს წესიერად და ჯურიონად, რამეთუ არა ესრულ გვამცნო ღოცებად: იყანი ნება შენი ჩემის, ანუ ჩენი ზედა, არამედ – ყოველსა ქუვყანასა ზედაო, რადთ დაუსინას საცოტრი და დაცნურების ჰემმარიგება, რადთ განიღენოს ყველავე ვეკორებად და განცხადოს ღმრთისმასაურებათ, და ქეთ რად იქმნას, არაღარადთა განყოფილ იყოს ქუვყანად ცათავან, დაღაცათ ბრენგათ განყოფილ არს, არამედ საქმითა მყრვითი იგი ქუვყანისანა იქმნენ ანგალიშ (წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისაა, წიგნ II, თბილისი 1996 წ. ბერძნული ტექსტისათვის ის. PG. 57, 280. პომილია XIX).

ლისწინებს თითოეული აღამიანის ქრისტესმიერ ცხოვნებას, რომელთა ცხოვნების გარეშეც ვერც ჩვენივე ცხოვნებას მივაღწეუთ.

მხოლოდ ამგვარი შერიგებითა და ყოფიერების ღწმენაზე საცი კერთო შედევრს მიმართ, დაითრგვნებიან პიროვნული მისწრავები და რომელიც ხშირად ხდებიან მიზეზი შეგავებებისა აღამიანთა შორის, რისი შეცვლაც შესაძლებელია ერთიანობით ქრისტეს სამსახურში, საერთო მიზანსწრავებით, საერთო პერსპექტივებით, რაც, ჭეშმარიგად, ყოველი ეკუმენური მოძრაობის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს.

აქედან გამომდინარე, მოგწოდებთ ყველას შერიგების სიღრმისეული განცდის გასაცნობიერებლად და გისურვებთ მას. ეს განცდა არის სწორედ ის ერთადერთი და უსაფრთხო გბა, შერიგებისა და სოლიდარობის კრძობით გამსჭილელი, მშეიღობიანი და სამართლიანი ეკროპისაცენ. ამიტომაც ვუსურვებ ყოველ თქვენგანს და გრაციში მიმდინარე ეკროპის ეკლესიათა II ეკუმენურ ასამბლეას ყოველგვარ წარმატებას და შევთხოვთ ღმერთს კურთხევას.

მოულიო პატრიარქი ბართლომე I

გრაცის ამ ასამბლეაზე სხვადასხვა სექცია მუშაობდა. ესენია:

1. დიალოგი ეკლესიათა შორის;
2. დიალოგი რელიგებსა და კულტურებს შორის;
3. თანამდებობების სოციალური სამართლიანობის განხორციელებისათვის, სიღარიბისა და სოციალური დისკრიმინაციის დაძლევისათვის;
4. შერიგება ეროვნებათა და ხალხთა შორის. კონფლიქტების არააძლისმიერი გადაწყვეტისათვის ხელშეწყობა;
5. ბრძოლა ადამიანთა გონივრული დამოუიდებულებისათვის ეკოლოგიური პრობლემებისადმი და მისი პასუხისმგებლობისათვის მომავალი თაობების წინაშე.
6. მონაწილეობა სამართლიანობისა და თანასწორობის დამყარებისათვის მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში.

რა თქმა უნდა, ყველა ამ სექციის მუშაობას ვერ დავესწრებოდი. ფინანსურად შეუძლებელი იყო. მე მხოლოდ პლენარულ სხდომებს და თითო მოხსენებას დავესწარი ყოველ სექციაში, შერჩევით, რათა წარმოდგენა მქონოდა, თუ რა ხდებოდა იქ. კონფლიქტური ზონების სექციი

აში ცალკე იყო გამოყოფილი 28 ივნისს „კავკასიური პრობლემები“. მე და მამუკამ მთელი დღე იქ დავალამეთ. თუმცა ვიცოდით, რომ მხოლოდ ჩეჩენეთის, ჩრდილოეთ ოსეთის და ინგუშეთის პრობლემები მუქადებით. იქნებ აფხაზეთი და შიდა ქართლიც ახსენოს ვიმწერ და მქ-უციცხოს, უც გამბობდით. იქნებ საჭირო განხდეს თუნდაც პატარა რეპლიკით გამოსვლა, მაგრამ ამაოდ. არავის ეს რეგიონები არ უხსენებია. ჩეჩენები გამოვიდნენ და ბრალი დასდეს კაცობრიობის წინაშე მართლმადიდებელ რესესის ჩეჩენეთში განალებული ომის გამო; ასევე სხვებმაც: ინგუშებმა, ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლებმა. პოდა, მე გვეითხებით: უნდა განხილულიყო თუ არა აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემა ამ ფორუმზე? უნდა გამოსულიყო თუ არა ან ბერის, ან ერის წარმომადგენელი და განცხადება გაეკეთებინა ჩვენს თავს დატრიალებულ უბედურებაზე? როცა ვამბობ, რომ მტერს არ უნდოდა საქართველოს იქ გამოჩენა და ყოველი ღონე იხმარა, რომ ეს ასე მომხდარიყო-მეთექი, ამას ვკულისხმობ და ჩვენი მეამბოხე „მართლმადიდებლობის დამცველი მაშები“ კი ბრძა იარაღი აღმოჩნდნენ იმათ ხელში, თორუმ რაღა მაინცდამაინც ახლა, ამ ასამ-ბლეის დაწყების წინ მოხდა ეს ამბოხება ჩვენს ეკლესიაში; რაღა ახლა მიაღწია კულმინაციას დაძაბულობამ! გამოგვეყენებინა ეს ტრიბუნა, გვეთქვა ჩვენი სატევიარი, მოგვეხმო მთელი მსოფლიო ჩვენდა საშველად და, ბოლოს და ბოლოს, ამის შემდეგ გამოვსულიყავით იმ ორგანიზაციებიდან. 1962 წლიდან ვართ იმათი წევრი და ერთი თვე რაღა იყო. 20 მაისის ნაცვლად 20 ივლისს გამოსულიყავით, თუ ეს ასე აუცილებელი იყო. არ გავონებთ სტამბულში გამგზავრების წინ მომხდარ შემთხვევას?

ან ვინმეს ის ხომ არ ჰერნია, რომ ჩეჩენები და ინგუშები გაქრისტიანდნენ, რაკი ამ ასამბლეას დაესწრენენ და მონაწილეობა მიიღეს?

მე ასე ვკიტრობ, რომ უფრო გონივრული ის იქნებოდა, რამდენი სექტიაც მუშაობდა ამ ფორუმზე, იმდენ დელეგატს მიეღო მონაწილეობა საქართველოს ეკლესიდან, რათა კველა ამ სექტიის მუშაობისათვის ედენებინა თვალი და შეძლებისდაგვარად თავისი სიტყვაც ეთქვა. რაც შეეხება კონფლიქტური ზონების სექტას, იქ ამ პრობლემათა მცოდნე, კარგად მომზადებულ კადრს წარგზავნიდა, ამ საქმის ნამდვილ სპეციალისტს. ეკუმენურ ასამბლეაში მარტო სასულიერო პირები კი არ იღებენ მონაწილეობას, არამედ სხვადასხვა სახოგადოების წარმომადგენლებიც.

ამ ასამბლეაზე უსათუოდ უნდა გამოსულიყო სიტყვით ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისტონის დანიელი, როგორც ეპარქიიდან გაძე-

კებული მთავარეპისკოპოსი, რომელსაც ზუთი წელია ფეხი არ ჩაადგმევინეს ეპარქიაში და სამწყსო მიტოვებული ჰყავს. უნდა ელეპარეფა 300 ათასი ლტოლვილის ბეღძე. უნდა ელაპარეფა იმ ანტივანონიუსუ შემდებზე, რაც რესეტის საპატრიარქოში ჩაიდინა; იმაზეც, რაც ათონის მთის წმ. პანტელეიმონის მონასტრის ბერებმა ჩაიდინეს. უნდა ელაპარეფა, აფხაზეთის ეპარქიის ისტორიის გაყალბებას რომ ცდილობენ ჩვენი „ქვთილის მყოფელი“ მართლმადიდებელი მმები.

აი, ეს რომ არ გაყეთდა, ამაზე უნდა აცნადებდეთ პროტესტს, მამანო, და მათ უკან ამოფარებულო ძალებო, და მაშინ მეც თქვენთან ერთად ვიქნებოდი.

ჩემი საერთო შთაბეჭდილება საბოლოოდ ის არის, რომ ასეთ ფორუმებში არმონაწილეობა სიმხდალეა და სხვა არაფერი. ეს ბრძოლის ველიდან გაქცევის ტოლფასია. ამაში განსაკუთრებით დავრწმუნდი პრეცონფერენციაზე.

როდესაც მე შეკითხვებზე ვპასუხობდი, ერთმა პროტესტანტმა ქალბატონმა მიმდინარე წლის მაისის თვეში სტამბულში ჩატარებული კონფერენცია გაიხსენა. კონფერენცია ეძღვნებოდა ქალის როლს ქრისტიანულ ეკლესიაში. ქალბატონს მართლმადიდებელ ეკლესიაში ქალების ხელდასხმის შესახებ დაუსეამს შეკითხვა. წამომდგარან რესი ქალები და დარბაზი დაუტოვებით პროტესტის ნიშნად – ეს პრობლემა ჩვენ არ გვაწეხებოთ. ამ ქალბატონმა მეთხა: იგივე შეკითხვით რომ მოგმართოთ, თქვენც დატოვებთ დარბაზს? გამეცინა. არა-მეთქი, ვუპასუხე და შევეცადე ამებსნა მისთვის, თუ რას ნიშნავს ტრადიცია მართლმადიდებელთათვის. შევეცადე ამებსნა, რომ ხელდასხმა ერთ-ერთი საიდეოლოო მართლმადიდებელ ეკლესიაში და არ შეიძლება მისი გაიგივება პროტესტანტულ არჩევნებთან. აქ კამათში ჩაებნენ ქალბატონი კატერინა კრეტიდან და ქალბატონი დესინა გერმანიდან. ისინი ხომ მართლმადიდებლები არიან და თანაც დავთისმეტყველები. იმათ სჯულის კანონზე და დოგმატურ საფუძვლებზე დაყრდნობით წარმართეს შემდგომ ეს დიალოგი. საბოლოოდ კი მე ისიც ვუთხარი, რომ შესაძლოა, იერარქიასთან იმდენ პრობლემას არ გადავაწყდე, რამდენსაც თვით ჩვენს ქალებთან გადავაწყდები-მეთქი, თუკი მე ამ პრობლემას დავსვამ. თუმცა ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნე, რომ მე ქალთა ხელდასხმის მომხრე არა ვარ, დარბაზში მსხლომნი გაგებით შეხვდნენ ჩემს განცხადებას. რა კარგია, რომ დიალოგის წინააღმდეგი არა ხართო; რა კარგია, რომ

გარევეულწილად გაგვაგებინეთ, თუ რაში მდგომარეობს პროპლეტარიატის რომ, ნურავის შეეშინდება დიალოგის! აუცილებელი კი არ არის, იმათი აზრის ქვეშ მოვექცეთ მაშინვე. პირიქით, ეს ფორუმები ჩვენთვის გულტურის, ჩვენი რწმენის ჭეშმარიტების საქადაგებლად უნდა გამოვიყენოთ. მარტი ის რად ღირდა, რომ ამდენმა ხალხმა მოისმინა და გაიკო წმიდა ნინოს, წმიდა შეუძანების, წმიდა ქეთევანის და წმიდა ქეთილმორწმუნე თამარ მეფის შესახებ. მათი ღვაწლისა და მათი თავდაღების შესახებ სარწმუნოებისა და მამულისათვის. ეს ფორუმები უნდა გამოვიყენოთ ჩვენივე თვალსაწიერის გასაფაროობლად. რატომ არ უნდა ვიცოდეთ ჩვენ, რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ეკონომიკურად წელგამართული კვრიპელი ქალი თუ კაცი. ეს ხომ სამომავლოდ გამოგვადგება. სულ ასე ხომ არ ვიქნებით!

ახლა, რაც შეეხება ლოცვას და თანალოცვას.

გრაცის გამოფენის ქოში დადგმული იყო უხარმჩარი კარავი. მსურველს შეეძლო ან იქ დასწრებოდა ერთობლივ ლოცვას, ან წასულიყო თავისი კონფესიის მიხედვით გრაცი მოქმედ ეკლესიაში. მე გრაცის ბერძნულ ეკლესიაში დავდიოდი. სადაც დღეებში წირვას ამ ეკლესის მოძღვარი ატარებდა, ხოლო 29 ივნისს, კვირა დღეს, იქ სამღვდელმთავრო წირვა ჩატარდა. წირვა შეასრულა შვეიცარიის მიტროპოლიტმა დამასკინოსმა და მამა პროკოპიმ ელადის ეკლესიდან. წირვას დაქსწრენ დელეგაციები საბერძნეთიდან, კვიპროსიდან, ბულგარითიდან, რუმინეთიდან... აგრეთვე გრაცის აღგილობრივი მოსახლეობა, უმეტესწილად ბერძნები. რუსები მე ამ ეკლესიაში არ შემინიშნავს. შესაძლოა, გრაცი რუსული ეკლესია არსებობს და ისინი იქ წავიდნენ. დანამდგილებით ვერ გეტყვით. გამომრჩა მხედველობიდან, რომ ამის შესახებ მაშინ მეკითხა.

წირვის დამთავრების შემდეგ ყველანი ერთად გრაცის პარტიისკენ გავეშურეთ, ასამბლეის დახურვაზე. მართლმადიდებელთა ლიტანიას ჰყავდა ჩვენი მსვლელობა. წინ მღვდელმთავრები და სამღვდელოება მიდიოდა, უკან ჩვენ მივყვებოდით.

ხალხს ვერ იტევდა გრაცის პარტიის მოედანი. მოწყობილი იყო სპეციალური სცენა. იქიდან კიდევ ერთხელ მოგვიწოდეს შერიგებისაკენ და მერე ყველამ ერთად იგაღობა სპეციალურად დაწერილი საგალობელი „შერიგება“. „ღმერთმა ინებოს, ღმერთმა ინებოს ქრისტიანთა საყოველთაო შერიგება“ – ასეთი იყო ამ საგალობლის ტექსტი.

მერე კი დაიწყო ე. წ. „ეპარქენური ლიტურგია“.

სცენტზე გუნდი იდგა. გუნდის რეგენტი მოგვიწოდებდა: ახლა გუნდთან ერთად გთხოვთ იგალობრთ 66-ე და 67-ე ფსალმუნები. ახლა ბერძნულ ენაზე ვიგალობრთ „წმიდაო ღმერთო“, ახლა წავიყით ნა... წყვეტი ითანეს სახარებიდან (20, 19-23), ახლა ყველამ თავის შმიდობით ენაზე წაიკითხოს მრწამსი (ეკუმენურ ლიტურგიაში მიღებულია მართლ-მადიდებლური მრწამსი). მრწამსის შემდეგ კი ერთმანეთის მონაცემე-ობით სრულდებოდა ძველი და ახალი საგალობლები სლავურად, ფრანგულად, გერმანულად, იტალიურად, ესპანურად, ჩეხურ, ხორვა-ტიულ, სლოვაკურ, ჰოლანდიურ, შვედურ, ფინურ ენებზე. დამთავრდა ეს კ. წ. ლიტურგია თუ ლოცვა, არც ვიცი, რა დავარქვა. იქნებ, სულაც „ეკუმენური მანიულსტაცია“ გვეწოდებინა*. მერე ასამბლეის საბოლოო რეზოლუცია გაგვაცნეს და ბოლოს მოგვიწოდეს, რომ შერიგების ნიშნად ერთმანეთისათვის ხელი ჩამოგვერთმია. დაიხურა ოფიციალური ნაწილი, მაგრამ ისევ ისმოდა მუსიკა, სიმღერა, ხალხი ცეკვავდა მოედანზე. ერთმანეთს ეხვეოდა. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს გასტანა ამ ეიფორიამ. მართლმადიდებელთა ჯგუფმა „თანალოცვის“ დამთავრებისთანავე დატოვა მოედანი და მეც იმათთან ერთად.

რავი სიტყვა თანალოცვაზე და შერიგებაზე ჩამოვარდა, არ შე-მიძლია, არ გიამბორ ერთი მეტად საინტერესო მაგალითი, რომელსაც შემთხვევით გადავაწყდი. როგორც უკვე გითხარით, გრაცში სასტუ-

* დამერწმუნებით, ეს ტერმინი უფრო მიესადაგება ზემოაღწერილ ცერემონიალს და მათინ გადავრჩებოდით კიდევაც იმ სკანდალს, რახაც სიტყვა „თანალოცვა“ იწვევს მორწმუნება შერის. მაგრამ აქვე ერთ სხვა გარემოებაზე მინდა შევაჩრო მყითხველის ფრაგმენება.

სინას მთას ტურისტთა დადი ნაცადი აწყება. ცალადა, მათ შერის ბერზი არამართლ-მადიდებელია. წირისას, მართლთა ლიტურგიის დაწყებამც, ისინი ტაძარში იმყოფებან, ხოლო როლებსაც დაიყვან განაცალებებს: „რაოდენი ქათუმეველი ხართ, განვედით“, მანათე საითოართ ჩამოცველის მათ და სიხთვეს, აუტოორ ტაძარი. ტურისტებიც ნართვებში, ან ჭირით გადაინაცვლებენ. ზოგა ტაძალად ლოკურობს და პირჯვარი იწერს, ზოგიც თავის გულში, აღაბათ, თავისი მრწამსის შესაბამისად მოუქობს ღმერთს. ახევე ხდება, რამცნაცაც ვიცი, ათონის მთაშეც, მაგრამ ეს ფაქტი, რატომდაც, არ აშეფოთებთ მართლმადიდებლობის დამცელო. აქედან გამოიძნარა, ცოტა არ იყო გასაცირია, რატომ ითვლება მომცვე-ნებელ ცოლებს პარეში, ან სახელმძღვანელოდ დაღმტველ კარავში აღსრულებულ „თანალოცვაზე“ დაწერება.

და გარდა ამისა, საცეკვენოდ ცნობილია, რომ ათონის მთის მონასტრები, რომელიც ცეკვინ ბერების მისაბამ მაგალით წარმოადგენ, უმრავ არამართლმადიდებელ ტურისტს მასპინძლობენ, დამეტ ათეციანებენ და ა.შ. საყოთხავა, რატომ გამოწევა, ამ რამდენიმე წლის წინ, ერთი კოროლებულ ბერის სიონის ტაძარში „თანალოცვულობაზე“ კა არა, ღოცვის დაწერება?

მროვები გადაჭედილი იყო და ამიტომ მე ერთ-ერთ ოჯახში მოშინდა ცხოვ-
რება. ოჯახის უფროსი აქსტრიელი კათოლიკე აღმოჩნდა, დიასახლისი –
ბერენი მართლმადიდებელი. პირველივე დღეს შევნიშნე, რეზესტრციაზე ი-
ტემილი ცოლ-ქმრია ჰქონდათ.

გვარის მიერ

– თქვენს ურთიერთობას ხელს არ უშლის კონფესიური განსხვა-
ვება? რომელი თქვენგანი წავიდა დათმობაზე? – კვითხე დიასახლისს,
რომელსაც ძალასან დაუკუმენტრდი სულ ორიოდე დღეში. სარწმუნოებით
ერთნი ვართ, თან მისი შშობლიური ენა ვიცი, სხვა რაღა იყო საჭირო?!
– დათმობაზე? არც ერთი. ჩემი ქმარი კათოლიკეა. იგი კვირაობით კათო-
ლიკურ ეკლესიაში დადის, მე – მართლმადიდებლურში. წირვის შემდეგ
შეეხვდებით ხოლმე ერთმანეთს დათქმულ ადგილზე და შინ ერთად
ვბრუნდებით. დიდი დღესასწაულები კი განაწილებული გვაქვს. შობას
მე მივყვები კათოლიკურ ეკლესიაში, აღდვომას ის მოდის მართლმა-
დიდებლურ ეკლესიაში. კათოლიკები ძალიან ლამაზად დღესასწაუ-
ლობენ შობის დღესასწაულს და მე ამიტომ უფრო მივდივარ იქ. ეტყობა
ქალისთვის სილამაზეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემი ქმარი კი შეეხებით
მოდის აღდვომის ლიტურგიაზე მართლმადიდებლურ ეკლესიაში. მას
მართლმადიდებლური აღდვომა უფრო მოსწონს, უფრო სწორად მი-
იჩნევს. მარტო ლიტურგიაზე კი არა, ვნების კვირაში არც ერთ განგებას
არ დაკავლდება, – მიასუხა დიასახლისმა.

– შვილები? – შვილები რომელ სარწმუნოებას მისდევენ? –
შევეკითხე ისევ მე.

– მე ხომ სამი ვაჟი მყავს. სანამ პატარები იყვნენ, მე დამყავდა
მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ახლა წამოიშარდნენ და მამასთან ყოფნა
ურჩევნიათ. ხომ იცი, ბიჭებისთვის მამა რას ნიშნავს, თანაც ამ ასაყვი. მე
სულაც არ განვიცდი ამას. ნეტავ, მამასავით კარგ ადამიანებად ჩამო-
ყალიბდნენ. მერე კი, როცა გაიხრდებიან, როგორც მათ ენდომებათ, ისე
გადაწყვიტონ. მე კი შშენივრად ვკრიბობ თაქს, თავისუფალი ქალი ვარ,
– იცინის, – იქ ჩემს თანამემამულებს ვწვდები. ლიტურგიის შემდეგ
იქვე კაფეში შევალთ ყავის დასალევად. საბერძნეთს ვიგონებთ. თუ
შემაგვიანდა და დათქმულ დროს არ მივედი დანიშნულ ადგილზე, მაშინ
ოთხივე იქ მომყითხავს და ჩემს კომპანიას შემოუერთდება.

უფრო მეტად საინტერესო აღმოჩნდა საუბარი ოჯახის უფროს-
თან. იგი ფრიად განათლებული კაცია. პროფესიით იურისტი. იმდენი
რამ იცოდა საქართველოს შესახებ, რომ გაოგნებული დავრჩი. გადმო-
მილაგა ცნობილი აქსტრიელი მეცნიერის პერძერტ პუნგერის წიგნები

და ის აღვიღები წამყიონა, სადაც ბიშანტია-საქართველოს ურთიერთობაშეა ლაპარაკი. ჩვენი დღევანდელი პრობლემები ჩემშე უკეთესად იცოდა. საოცრად მძიმე აქცენტით, მაგრამ შშვენივრად ლაპარაკობს ძერმწყველად. ამაშიც ხომ ცოლისადმი პატივისცემა და სიყვარული ჩანს.

— ერთის მხრივ, კარგი აღმოჩნდა სხვა ეროვნებისა და სხვა კონფესიის ქალშე რომ დავკრიტიზოდი, — მითხვა დამილით. მე მოსამართლე ვარ. განსაკუთრებული სისათუთით და პასუხისმგებლობით ვკიდები ლრივე მხარეს, თუკი ეს შერეული ქორწინების დარღვევისთანაა დაკავშირებული. ვცდილობ, არცერთი მხარე არ დახარალდეს. ორივე მხარის კონფესიურ ტრადიციებს ვითვალისწინებ.

ძალიან გთხოვთ, ამ მაგალითს შერეული ქორწინების პროპაგანდად წერ გაიგებთ. მე ამის მომხრე სულაც არა ვარ. მე ეს შემთხვევა, უბრალოდ, შშვიდობიანი, შეგნებული თანაცხოვრებისა და თანაარსებობის მაგალითად აღვიქვი და ასევე მინდა გაიგოთ თქვენც.

გრაცის შთაბეჭდილებები სრულყოფილი არ იქნება, თუკი იმ კვირის კულტურულ ცხოვრებაშეც არ გიამბობთ ორიოდე სიტყვით.

რაკი ადრე დამავიწყდა ამაჩე მეთქვა, იქიდან დავიწყებ, რომ გრაცის გამოფენის ერთ უკიდეგანო პავილიონში, პლენარული დარბაზის გვერდით, ყველა ეკლესიას, ყველა ორგანიზაციას დათმობილი ჰქონდა პატარა კუთხე, ანუ ჯიხურები, როგორც ისინი უწოდებდნენ. იქ მოეწყო გამოფენა-გაყიდვა. გამოფენილი ჰქონდათ პლატფარტები და აფიშები სხვადასხვა მოწოდებით, ბრძნული გამონათქვამებით, თავ-თავიანთი ქვეყნის ხედებითა და ეკლესიებით. ყიდვნენ ბუკლეტებს, საღვთის-მეტყველო და ისტორიული ხასიათის წიგნებს, სუვენირებს, ღია ბარათებს. ვათვალიერებდი ამ დარბაზს და სულ იმაჩე ვფიქრობდი: რა იქნებოდა, საქართველოს ხედებიც რომ ეყიდოს აქ? რა იქნებოდა ჩვენი ლამაზი ტაძრების ფოტოები რომ ამშვენებდეს აქაურობას? რა იქნებოდა ჩვენც გაგვერცელებინა წიგნები და ბუკლეტები ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს სარწმუნოებაზე. ვისხე ნაცლები ვართ? ჩვენც გაგვეყიდა ქართული სუვენირები... წუთუ ამით დავკარგავდით მართლმადიდებლობას?

ასამბლეის მონაწილეთათვის ღია იყო გრაცის მუზეუმები და საგამოფენო დარბაზები. გალერეაში მოეწყო ეკროპის ცნობილ მხატვართა და გრაფიკოსთა ნამუშევრების გამოფენა.

ყოველდღე იცვლებოდა აფიშები გრაცის ფილარმონიის წინ. შესრულდა ვერდის, მოცარტის, ბიზეს, ბახის, შტოლცის, ბრამსისა და

შტრაუსის ნაწარმოებები, ვენის სახელმწიფო ოპერის, გრაცის ოპერის, ვენის სიმფონიური ორკესტრისა და ვენის ფილარმონიის მუსიკოსთა მიერ. 27 ივნისს, ლა-სკალას ოპერის თეატრში, ფრაინჰიტბლატცენჟა, იმ მოედანზე, სადაც ასამბლეა გაიხსნა, საგანგებოდ მოწყობილ სცენიზე „ნაბუქო“ წარმოადგინა. მეორე დღეს იქვე კოპენჰაენის ვაჟთა სამეფო გუნდის კონცერტი ჩატარდა. კათოლიკურ ეკლესიაში საორრონ მუსიკის კონცერტი ჩატარა ცნობილმა ორლანისტმა ემანუელ არტმანმა...

კინოდარბაზებში ეწყობოდა აღიარებული ფილმების ჩვენება და დისკუსიები. წარმოდგენილი იყო ანგელოპულისის „ოდისევას“ და კოსტროფას „უნდერგრუნდი“. და კიდევ ბევრი სხვა, მაგრამ ყველაფერი არ დამამახსოვრდა. ყველაფერს ხომ ვერ დავვესწრებოდა.

მერიის საგამოფენო დარბაზში მოეწყო ფოტოგამოფენა: „ეკლესია და სინაგოგა“. წარმოდგენილი იყო ფოტოდოკუმენტები მთელი ევროპიდან.

ყოველ საღამოს ცხრა საათიდან თორმეტ საათამდე გრაცის პატარა და ლამბა მოედნებშე სახელდახელოდ მოწყობილ სცენებშე გამოდიოდნენ ფოლკლორული ანსამბლები სხვადასხვა ქვეყნიდან. იქვე იყიდებოდა სუვენირები, ტბილეული... სახელდახელოდ დადგმულ სამზარეულოებში კეთდებოდა ეროვნული კერძები. მე მხოლოდ ბელორუსის ანსამბლ „ალექსა“ და ბერძნული ფოლკლორული ჯგუფის გამოსვლებს გადავეყარე შემთხვევით, თორმეტ გრაცის ნებისმიერი მოედანი რომელიმდევ ქვეყნის წარგზავნილი პქნინდა დაყავებული. სპეციალური პროგრამაც კი არსებობდა, თუ რომელ დღეს რომელი ქვეყანა იყო ამა თუ იმ მოედანზე. ყოველდღე იცვლიდნენ ადგილს. ამისი თვალის გადევნების საშუალება ნაძღვილად არ მქონდა. გადავდომდი ერთი მოედნიდან მეორეზე მარტო და სულ იმას ვფიქრობდი: ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის რომელიმე ანსამბლს რომ გაემართა აქ კონცერტი, დავკარგვადით მართლმადიდებლობას?

სულ ბოლოს კი, როცა ასამბლეამ მუშაობა დაასრულა, 29 ივნისს საღამოს 9 საათიდან 30 ივნისს დიღლის 6 საათამდე, ისევ ფრაინჰიტბლატცე ჩატარდა დიდი კონცერტი: „მუსიკა მთელი ღამის განმავლობაში“. იმ ღამეს ყველა ფოლკლორულმა ანსამბლმა ამ მოედანზე მოიყარა თავი და ერთიმეორის მიყოლებით გათენებამდე მღერალენენ და ცეკვავდნენ.

მთელი ამ კვირის განმავლობაში გრაცში თეთრი დროშები ფრიალებდა წარწერებით: RECONCILIATION, POMIRENIE,

VERSOHNUNG, KATALLAGI, SCHERIGEBA ... და ა.შ. თითქმის კველა ენაზე.

SCHERIGEBA-ს რომ წავიტახავდი, გული მექუმშებუღა! წეტეჭა — ॥
სხვა ვის წინაშე დგას ასე მწვავედ ეს პრობლემა?! ნეტავ ჰის სკორდებზე ॥ ეს
იგი ჩვენზე მეტად?! ქალაქი აჭრელებული იყო ნაირფერი ტრანსპა-
რანტებით, მოწოდებებით შერიგებისაცენ. აფიშებით: თეთრყანიანი შავ-
კანიანს კვავილს უწვდის, სხვადასხვა ფერის ხელები შშვილობის თეთრი
მტრდის აფრენას ლამობენ და ა. შ. ჩვენს საქალალდეებზეც, იქ რომ
დაგვირიგეს, კველა ენაზე აწერია სიტყვა „შერიგება“. მამინვე მოვძებნე
ლათანურია ასოებით დაწერილი ქართული სიტყვა SCHERIGEBA, წითე-
ლი მელანი შემოვავლე და ასე დავდიოდი გრაცის ქუჩებში მარტოდმარ-
ტო ამ სიტყვის იმედით.

ერთი სიტყვით, ასეთი ეკუმნური ასამბლეის მომსწრე გავხდი.
მართალი გითხრათ, ბედნიერი ვარ, რომ ეს კველაფერი საკუთარი თვალით
ვნახე. შევხვდი დიდი სნის უნახავ მეგობრებს და გავიხარე. ახლებიც
შევიძინე. მე კმაყოფილი ვარ, თანაც ძალიან. თქვენ?

1997 წლის ივლისი.

გვარდიანი თუ არა კავშირი მართლმადიდებელ ეპლესიებთან?

1997 წლის 20 მაისს საქართველოს ეკლესიის სინოდმა დააკმაყოფილა მეამბოხე ბერთა მოთხოვნა, გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან. არ წარტყავნა დელეგაცია ავსტრიის ქალაქ გრაცში 23-29 ივნისს გამართულ ეკუმენურ ასამბლეაზე. არა მგრინია, რომ საქართველოს საპატრიარქომ არ იცოდა, სიმართლე ვის მხარეზე იყო, ან კიდევ ის ვერ გაეკო, თუ რას ნიშავს დღევანდელ პირობებში ევროპას მოსწყვიტო ერთ და სამწყსო. მაგრამ ეს ნაბიჯი გადადგა იმის გამო, რომ არ გათიშულიყო 1500 წლის ერთიანი ეკლესია, და მერე მძიმე ცოდვად არ დასდებოდა ეკლესიის გახლეჩა.

საკითხის აკრერიგად გადაჭრას, ალბათ, იმ ფაქტმაც შეუწყო ხელი, რომ დღემდე გაურცვეველია ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაცია. ისევე როგორც ნებისმიერ ჩვენთაგანს, ჩანს, ეკლესიასაც ვერ გაურცვევია, საითურ მიგვიძლვის ჩვენი ხელისუფლება – დსტ-საკენ, თუ ევროპისაკენ?

ასეა თუ ისე, მონასტრების გადაყენებულმა „გამარჯვებულმა“ წინამდღვრებმა პატრიარქეს მადლობა გადაუხადეს პრესის საშუალებით და თან მოინანიეს თავიანთი ურჩობა, ანუ ეკარისტული კავშირის გაწყვეტა (იხ. გამოცემა „დროის ქრონიკა“ №2, 1997 წ. და სხვა გამტებიც).

მიაღწიეს საწადელს მეამბოხებმა, მოინანიეს კიდეც ურჩობა. ამის შემდეგ თითქოს მშვიდობა უნდა დამყარებულიყო საქართველოს ეკლესიაში. მაგრამ მტრის მიზანი მარტო ის ხომ არ ირის, ევროპას ჩამოაშოროს საქართველოს ეკლესია. მისი მიზანი უფრო შორს მიმავალია. საქართველოს ეკლესია უნდა განმარტოვდეს, უნდა მოსწყვდეს მთელს მსოფლიოს. არსად, არავინ ხმა არ უნდა ამოიღოს მის დასაცავად. ამიტომაც სასწრაფოდ ახალი დირექტივები მისცეს მეამბოხეთ – საქართველოს ეკლესიას სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ეკარისტული კავშირის გაწყვეტა მოსთხოვეს. ამის არგუმენტად ის

გამოიყენეს, რომ საქართველოს ეკლესიის გარდა ყველა დანარჩენი მართლმადიდებელი ეკლესიები ეკლესიათა შსოფლით საბჭოს და ევროპის ეკლესიათა კონფერენციის წევრებია. აქედან გამომდინარე კი ტენია ყველანი მწვალებლები არიან და საქართველოს ეკლესიაშე უშერისებრი გაწყვიტოს მწვალებლებთან. ერთი შეხედვით, რეინისებური ლოგიკაა. პირველი „გამარჯვებით“ თავბრუდახვეული მამები ისევ წამოეგნენ ან კეშე.

მე კი ვისარგებლებ წლების განმავლობაში საქართველოს საპატ-რიარქოში დაკავებული თანამდებობის წყალობით მოპოვებული ოფიციალური მაციით და სააშეარაოზე გამოვიტან იმ დღუშენტაციას, რომელიც ნათლად გვაჩვენებს, თუ რატომ არ უნდა გაწყვიტოს საქართველოს ეკლესიამ კავშირი სხვა მართლმადიდებლებთან. ვიცი, ეს ფაქტი ბევრს გააღმიანებს. იქნებ თვით საპატრიარქისაც არ ესიამოვნოს, მაგრამ ამ-დენმა სიფრთხილემ და ბოდიშობამ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა.

საპატრიარქოს სიფრთხილე ბუნებრივია. იგი ცდილობს, არ და-ძაბოს ურთიერთობა ქართველ და რუს მორწმუნეთა შორის, მაგრამ განა ქართველმა ხალხმა არ იცის ვისი შექმნილიცა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემები და მაინც, მოუხედავად ამისა, საქართველოში არ მომხდარა არც ერთი ინციდენტი ქართველებსა და რუსებს შორის. ხუთი-ექვსი პოლიტიკური მოღვაწისა და საეკლესიო იერარქიის იმპე-რიალისტური მიწნების გამო, ნამდვილად ვერ აგებს მთელი ერი პასუხს და ეს შესანიშნავად ესმის ქართველ ხალხს. მეგობრული და ძმური ურთიერთობა გვჭირდება ჩვენ რუსეთის ეკლესიასთან, მაგრამ სწორედ ძმასთან მიმართებაში ყველაფერი ნათელი და გარკვეული უნდა იყოს.

1994 წლის 30 აგვისტოს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსიმ წერილობით მიმართა საქართველოს პატრიარქი ილია II-ს და შსოფლით პატრიარქ ბართლომე I-ს (შესაბლოა, სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების საჭეთმცყრობელებსაც, ამის შესახებ მე ინფორმაცია არ გამაჩნია), რომ ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დანიელმა და საქართველოს ეკლესის მოძღვრებმა მთატოვეს აფხაზეთის ეპარქია, სამწყსო სამღვდელოების გარეშე დარჩა, არ სრულდება აუცი-ლებელი რიტუალებით. აფხაზეთის მოსახლეობამ თხოვნით მომმართა, რომ იქ სამღვდელო პირები წარვგზავნო და მე შზად ვარ სააშისოდ, როგორც კი თქვენგან დადგებითი პასუხი მომივაო.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რომ პროტენტი განაცხადა და და სთხოვა რუსეთის პატრიარქს არ ჩარეცდიყო აფხაზეთის საკითხებში, ეს ბუნებრივია; სხვაგვარად აბა როგორ მოიქცეოდა, შავრამ აბა, დაავირდით მსოფლიო პატრიარქის, ბართლომე I-ის წევაჭკმას! მარტი

მსოფლიო პატრიარქმა ბართლომებ მაშინვე საპროტესტო წერილი გაუქმავნა რუსეთის პატრიარქ ალექსის და განუცხადა, რომ აფხაზეთში რუსი სამღვდელოების შეყვანა საქართველოს ეკლესიის ორისდიქციაში შეჭრას ნიშნავს და ამას მსოფლიო საპატრიარქო მხარს არ დაუჭერს. პატრიარქ ალექსისადმი გავტავნილი თავისი წერილის ასლი კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს გამოუტავნა. აი, ამ ასლის მეშვეობით გახდა ჩემთვის ცნობილი პატრიარქების, ალექსისა და ბართლომებს, პოზიციები აფხაზეთთან დაყავშირებით.

რუსეთის საპატრიარქო აღარ წარუქავნა სამღვდელოება აფხაზეთში, მაგრამ...

1994 წლის განაფხულშე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ნებართვის გარეშე აფხაზეთში შევიღნენ ათონის მთის წმიდა პანტელეიმონის სახელობის რუსული მონასტრის ბერები. არაჩვეულებრივი სტრატეგიული სელა იყო. ათონის მთა მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში შედის და ამიტომ ათონის მთის ნებისმიერი მონასტრის ქმედებაზე მსოფლიო საპატრიარქო აგებს ჰასეუსს.

აფხაზეთში უკანონოდ შემოჭრილი ათონის მთის რუსული მონასტრის სამღვდელოება სასწრავოდ გაწეულ იქნა მსოფლიო პატრიარქის მიერ. მაგრამ ამ მონასტრის იღუმენი ჰეტრე (პიგოლი) კვლავ აგრძელებს თავის უკანონო მოქმედებას აფხაზეთის ეპარქიაში. მოსკოვში არსებობს ათონის მთის წმ. პანტელეიმონის სახელობის მონასტრის წარმომადგენლობა და იღუმენმა ჰეტრემ მოსკოვის ამ წარმომადგენლობასთან დააარსა აფხაზეთის ახალი ათონის სიმონ კანანელის სახელობის მონასტრის წარმომადგენლობა. მასთან დაკავშირებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კვლავ საპროტესტო წერილით მიმართა რუსეთის პატრიარქ ალექსის, ათონის მთის წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის იღუმენს და მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს. საპასუხო წერილებიც დაუყოვნებლივ მოვიდა.

გაეცანით ამ წერილებს და ნახავთ, სჭირდება თუ არა საქართველოს ეკლესიას მსოფლიო საპატრიარქოსთან და სხვა ნებისმიერ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობა და თანამშრომლობა. დაავირდით ამ წერილებს და ამოიყითხავთ მათში, ვინ უდგას მხარში საქართ-

ველის ექლესიას და ვინ ცდილობს ათონის მთიდან აუზაბეთში უკანონოდ
შეჭრილი რეის ბერების თვითნებობის აღკვეთას, ხოლო მეორე მხრავ,
ვინ ცდილობს, თითქოსდა მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული სიყვარული
რეულიდან გამომდინარე, რესული მონასტრის ქმედების უფრო წმინდა
რად კი თავისი ექლესის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიჩქმალვას და
იმ ბერების დაცვას. დაკავირდით პატრიარქ ბართლომეს სიმკაცრეს, მის
კატეკორიულ განცხადებას.

მის უწმიდესობას და უნეგარესობას, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს იღია II-ს

ძმური სიყვარულით გაუწყებთ, რომ ფრიად დამძიმებული გვლით
გაეცანით წმ. სინოდის სხდომაზე თქვენი უნეგარესობის ა. წ. 5
თებერვლის წერილს. ჩვენ დარწმუნებული ვიყავთ, რომ ათონის წმ.
პანგელეიმონის მონასტრის მიმართ 25.07 და 16.08. გაეგბავნილი
წერილების შედევრად ამ მონასტრის ბერთა მიერ თქვენი უფლება-
მოსილების ფარგლებში შემოჭრის თემა ამოწურული უნდა ყოფილიყო.
ამიგომ ჩვენთვის ეს იყო მოულოდნელობა და დიდად ვწესვართ, რომ
უნებართვო ქმედებანი კელავ გრძელდება.

ჩვენ კვლავ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი და გადაეწყეთ გთხოვთ,
გაგვევგბავნა ახალი წერილი მკაცრი გაფრთხილებით უწესრიგობის
მოთავე ამ მონასტრისადმი. აქევე დაეჭერთ, რომ მათი მხრიდან
უარყოფითი ან საქმისაღმი გვლერილი დამოკიდებულების შემთხ-
ვევამი მიემართავთ საეკლესიო კანონებით გათვალისწინებულ
დამსჯელ ზომებს ამ ანგივანონივური ქმედების მოთავეთა მიმართ.
ამასთან გვიგბავნით წმ. პანგელეიმონის მონასტრისა და წმ. მთის
ძმობისაღმი გაეგბავნილი ჩვენი საპატრიარქო წერილების ასლებს.

გვინდა დაგარწმუნოთ, ფრიად პატივცემულო ძმარ, რომ
კონსგანგინებოლის დედა ეკლესია არავითარ ანგივანონივურ
ქმედებას არ დაუშევს და არც მოიწონებს. გთხოვთ, კვლავაც
მოგვაწოდოთ ცნობები მოვლენათა განვითარების თაობაზე.

გისურევებთ, მალე მოგვარებულიყოს აფხაზეთისა და სამხრეთ
ოსეთის პრობლემები.

კვლავაც ძმური სიყვარულით ვეამბორებით თქვენს უნეგარე-
სობას დიდი სიყვარულით და ღრმა პატივისცემით

ბართლომე კონსგანგინებოლელი
26 თებერვალი, 1997 წ.

მის უწმიდესობას, უწმიდეს ილია II-ს, სრულიად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

თქვენო უწმინდესობავ, ქრისტეს მიერ საყვარელო მუსიკის

ძმური სიყვარულით მოგესალმებით და გისურვებით ღვთის დიდ შეწევნას თქვენს საპასუხისმგებლო მამამთავრულ მოღვაწეობაში.

თქვენი №75 05.02.97 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ გულმოდებინედ შემოწმდა 31.01.97-ის „Независимая Газета“-ში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა იღუმენ პეტრეს (პიგოლი) მიერ მოსკოვში ათონის წმ. პანგელეიონის წარმომადგენლობასთან, ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის წარმომადგენლობის დაარსების საკითხს. შემოწმების შედეგად მსგავსი არაფერი დადასტურებულა.

იურილიული უფლებების და საბანკო ანგარიშის მქონე ახალი ათონის მონასტრის წარმომადგენლობა მოსკოვში მყოფ ათონის წარმომადგენლობასთან არ არსებოւლა და არც დღევანდელ დღეს არსებობს.

რაც შეეხებათ იღუმენ პეტრეს (პიგოლი) და ათონის წმიდა პანგელეიონის მონასტრიდან მოსკოვში ჩამოსულ სხვა პირებს, ისინი, ისე როგორც ყველა სხვა მღვდელმსახური, ღებულობრივ ნებართვას ათონის წარმომადგენლობაში მხოლოდ ღამის გასათევად დარჩენაზე.

შევთხოვ ყოვლადმოწამე უფალს, რომ მდგომარეობა აფხაზეთში სულ მაღლე მოწესრიგდეს მთელი ეკლესიის სასიცელოდ.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით

აღექსი

პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთისა

მის უნეგარესობას, სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს

თქვენო უნეგარესობავ, ღრმა მოწიწებითა და ქრისტესმიერი შვილერი სიყვარულით გაუწყებთ, რომ მივიღეთ თქვენი №74/52. 1997-ის დათარილებული წერილი, რომლითაც კვლავ გვამცნობთ, ახალი ათონის (აფხაზეთი) წმ. სვიმონ კანანელის ჩვენი მეგოქის თაობაზე.

ამასთან დაკავშირებით გაუწყებთ, რომ აღნიშნული საკითხის არსიდან გამომდინარე, ჩვენ სრულიად არ გვექონია ჩაფიქრებული რაიმე ანგივანონიერი ქმედება, როგორადც იქნა მიჩნეული ჩვენი

საქციელი; ქრისტესმიერი სიყვარულისა და შევიღობის წყდლობით
ჩენ არ განვიზრახავს არაფერი მსგავსი. ყოველ შემთხვევაში,
1995 წლის გაფხულს ჩენს შორის კორესპონდენციების ურთიერთ-
გაცვლის შეძლება, ყველანაირი სკანდალური შემთხვევის თავიდან
აცილების მიზნით, ჩენმა წმინდა მონასტერში გადაწყვიგზ,
შეეწყვიგა საქმინობა აღნიშნულ მონასტერში (იგულისხმება ახალი
ათონის მონასტერი) და უკან გამოეხმო დასახელებული მღვდელ-
მონაბონი პეგრე (პიგოლი). ხოლო ვინაიდან იგი არ დამორჩილდა
ჩენს დადგენილებას, 1996 წლის 3 იანვრიდან ამოღებულ იქნა
ჩენი მონასტრის ნუსხიდან და გამოქვეყნებულ იქნა კიდეც შესა-
ბამისი განსაგევებელი ბარათი. ამდენად, ამჟამად ჩენს ძმათაგან
არც ერთი არ იმყოფება აფხაზეთში.

ამასთან, იმედს ვიტოვებთ, რომ მღვდელმარეობის გაუმჯობე-
სების შეძლება თქვენი უნგარესობა ნებას დაგერთავს, ვითანა-
შმროლოთ ამ მონასტრის საკითხთან დაკავშირებით.

ვითხოვთ თქვენს ღვთიურ ლოცვებს და მოწიწებით ვეამბორე-
ბით თქვენი უნგარესობის მარჯვენას.

არქიმანდრიგი იერემია და
ათონის წმ. პანგელეიმონის
რუსული მონასტრის ქრისტესმიერი სამმა.

არქიმანდრიტი იერემიას განცხადებით, მღვდელმონაბონი პეტრე
(პიგოლი) „ამოღებულ იქნა მონასტრის ნუსხიდან 1996 წლის 3
იანვრიდან და გამოქვეყნებულ იქნა კიდეც შესაბამისი „განსატევებელი
ბარათი“ და თავს ამ სიტყვებით იჩნევებს: „ამდენად, ამჟამად ჩენს ძმა-
თაგან არც ერთი არ იმყოფება აფხაზეთში“. რა შესანიშნავადაა აწყო-
ბილი კველაფერი. პეტრე პიგოლი განაგრძობს თავის ბოროტ ქმედებას
აფხაზეთის ტერიტორიაზე და მოსკოვში, ხოლო არქიმანდრიტი იერე-
მია შევიდად გვიცხადებს, რომ ჩენს ძმათაგან არც ერთი არ იმყოფებათ
აფხაზეთში.

ეს საკითხი, რა თქმა უნდა, ამ სამი წერილით არ ამოწურელა.
მსოფლიო პატრიარქის კატეგორიულობა კიდევ უფრო ძმაფრად ჩანს
მის მიერ პანტელეიმონის მონასტრის ბერებისადმი გაეხავნილ წერილებ-
ში. ძალიან მინდოდა ის წერილებიც გამეცნი მეითხველისათვის. ამიტო-
მაც საპატრიარქოს არქივს მივაშურე, მაგრამ ხელმოცარული
დავბრუნდი, რადგან მთელი ეს მიმოწერა კათოლიკოს პატრიარქ ილია

II-ს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელისთვის გადაუცა. მეუღლე
კი ამ წერილებზე ემბარგო აქვს დადგებული. როგორც ჩანს, უფრო ხელ-
საყრელ დროსა და ვითარებას ელოდება მათ გამოსავეუქნებლური დრო.

მისამართი

1997 წლის 31 იანვრის „Независимая Газета”-მ სრულიად
დამახინჯებულად წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ისტორია.
მე არ შეუდგები ამ სტატიის განხილვას და გაყალბებული ისტორი-
ული მოვლენების აღნუსხვას. მას შესანიშნავი პასუხი გასცა თბილისის
სასულიერო აკადემიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ
ისტორიკოსმა სერგო ვარდოსანიძემ. განხეთში „ლიტერატურული
საქართველო” (28 მარტი – 4 აპრილი, 1997წ.) დაიბეჭდა როგორც
„Независимая Газета”-ში გამოქვეყნებული კირილ ფომინის
სტატიის ქართული ვარიანტი („ტაბარი თუ მეჩეთი”), ასევე სერგო
ვარდოსანიძისეული პასუხიც. ჩვენთვის მთავარი კირილ ფომინის ეს
განცხადებაა: „1993 წელს აფხაზეთის პრეზიდენტმა ვლ. არძინბაძ თავის
გამოსვლაში მიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს
აღექსი II-ს თხოვნით, რომ სოხუმ-აფხაზეთის ეპარქია მიიღონ რუსეთის
მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში”. აი, საიდან იღებს
სათავეს აღექსი II-ის მიერ კათოლიკოს-პატრიარქ იღიასადმი გამო-
გზავნილი წერილი. მოსკოვის საპატრიარქო აფხაზი სეპარატისტე-
ბის წისქვილზე ასხამს წყალს.

თუმცა ეს მოვლენა მოსკოვში 1993 წელს არ დაწყებულა, მას უფრო
შორეული ძირები აქვს. უფრო ადრე ისინი ქართველ მღვდელმთავრებში
ეძებდნენ დასაყრდენს, მათ გადაბირებას ცდილობდნენ. ამის მოწმე მე
1990 წლის დეკემბერში გავხდი, უნის საკითხებთან დაკავშირებით
სტამბულში გამართულ კონფერენციაზე. შესვენებებზე სხდომათა შორის
თუ სადილ-ვაბშამზე, სმოლენსკის მიტროპოლიტი კირილე დროს არ
კარგადა და ცხუმ-აფხაზეთის მაშინდელი მიტროპოლიტის, დავითის
(ჰეკადუა) აფხაზეთის ეპარქიის ისტორიის საკითხებში „გაცნობიერებას“
ცდილობდა: აფხაზეთი დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა, დამო-
უკიდებელი ეკლესიით, მას თავისი კათოლიკოსი ჰყავდა; დღევანდელ
პირობებში კი ყოვლად გამართლებულია აღდგეს აფხაზეთის ეკლესიის
ავტოკიფალიაო; პატრიარქობისაცნ აქეზებდა მიტროპოლიტ დავითს.

მიტროპოლიტი დავითი მოთმინებით უგდებდა ყურს და ხმას არ
იღებდა. ეჭვგარეშეა, ეს პირველი შემთხვევა არ იქნებოდა, ამგვარი

გაუკეთილები მას არაერთგზის ექნებოდა მოსმენილი. თავიდან აღმაშენოთა მეუფე დავითის დუმილმა, მაგრამ მალე მიეცვდი, რომ მისი დუმილი გარცვეული ტაქტიკა იყო; მის ნებისმიერ პასუხს შეიძლებოდა მგვარი რეაქცია მოპყოლეოდა სათანადო ინსტანციებიდან*. ამიტომაც გაანაცილებოდა მეუფე და მაგრამ მეუფე დავითის მიუბრუნდა და უთხრა:

— Владыка, девочка прекрасно владеет греческим, но она совершенно не знает историю. Вы обязаны осведомить ее по данному вопросу, и не только ее...

სამწესაროდ, ცხუმ-აფხაზეთის მაშინდელი მიტროპოლიტი დავითი (ჭყალეა) გარდაცვლილია, თორემ ის ამ ფაქტს თავად დაამოწმებდა.

უფრო მორეული წარსულის შესახებ ბევრი რამ ეცოდინება ეკლესიიდან განცვეთილ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ნიკოლოზს (მახარაძე). მე ერთ-ერთი ასეთი ფაქტის თვითმხილველიც ვარ: მასსოვს, როგორ იგერიებდა იგი 1978 წლის სექტემბერში აფხაზი მეცნიერის ინალიფას შეტევებს. კარგი იქნება, თუკი ის მომავალ თაობებს ამცნობს ყოველივე ამის შესახებ. მაგრამ ახლა კვლავ მოვლენებს მიყვევთ.

1997 წლის 28 იანვარს ხოზუმის რადიომ გადასცა ინფორმაცია, რომ 21 იანვარს შედგა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება (ნეტავ რომელი სამღვდელოების?!?) და გადაწყვეტილება მიიღო, გაუიღნენ საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციიდან და შეუერთდნენ ე.წ. „ჩრდილოეთ-კავკასიის“ ეპარქიას**. ასეთი ერთიანი ეპარქია არ არსებობს, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ცალკეული ეპარქიები რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში შედიან.

შესანიშნავად იღვწის პეტრე პიგოლი, რას ერჩით! ამ ცოტა ხანში ამდენს მიაღწია; კიდევ ბევრს შეძლებს. ჩვენ კი... ჩამოვშორდეთ ყველას „ჭეშმარიტი მართლმადიდებლების“ ლოზუნგით და გავმაგრდეთ თბილისში!

* აფხაზეთის აეტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსათან აწსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებული უშუალოდ მოსკოვს ეპეკვედებარებოდა.

** ცვერწინიბით საქართველოს საპატრიარქოს განცხადებას. იხ. გმხეთ „ლიტერატურული საქართველო“, 23-30 მაისი, 1997წ.

ხემ თქვა: ცული მე რას დამაკლებდა, ჩემი ჯიშისა რომ არა უნიტას
მასშიო. დაახ, რუსეთის ბოროტი ძაღლები რას დაგვაკლებდნენ, ჯორ-
ველებიც რომ არ ვუწყობდეთ ხელს საყუთარ უბედურებას, სრულიად
აქარაა, რომ საქართველოს ეკლესიის გახლეჩის ჩვენი ზრგორთი პოლო-
ტივური პარტიაც უწყობს ხელს. ღმერთმა ყოველ მათგანს ხელი მოუ-
მართოს იმ საქმეში, რაც კი საქართველოს სასტუროდაა გამიშნული,
მაგრამ არა ეკლესიის გახლეჩის ფასად. გვა დრო, ახალი თაობა მოდის,
ახალი პარტიები ჩამოყალიბდება და არავინ იცის, სულ რაღაც 10 წლის
შემდეგ, რომელი პარტია იქნება წარმმართველი საქართველოში. ერთ-
ხელ გახლეჩილი ეკლესია კი აღარ შეერთდება! ასეთი რამ ეკლესიათა
ისტორიაში არ მომხდარა. წუ დაუწოვებო მომავალ თაობას ორად გახ-
ლეჩილ საქართველოს ეკლესიას, უფრო ზუსტად კი – ორად გახლე-
ჩილ ერს!

ამის შესანიშნავი მაგალითი სწორედ ჩვენი „მეამბოხე მამების“
მიერ არჩეული „ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანთა“, ანუ
ძველი კალენდრის მიმდევართა ბერძნული ეკლესიაა. მე მოყლედ მოგი-
თხრობთ ამ ეკლესიის ისტორიას იმისათვის, რომ ნახოთ, თუ რა გვე-
ლოდება წინ.

„ჭეშმარიტ, ანუ ძველი კალენდრის აღმსარებელთა ეკლესია“

1923 წელს საბერძნეთის რესპუბლიკამ მიიღო ახალი კალენდარი.
ეკლესიამ გამოყო ზეთი კაცისაგან შემდგარი საბჭო, იმის დასადგენად,
თუ რომელი კალენდრით უნდა ესარგებლა საბერძნეთის ეკლესიას.
1923 წლის 18 იანვარს გამოიცა ეკლესიის გადაწყვეტილება, რომ
სახელმწიფოს უნდა ემუშავა ახალი კალენდრით, მაგრამ ეკლესია ისევ
იულიანეს კალენდარს უნდა გაჰყოლოდა.

იმავე წლის 10 მარტს საბერძნეთის ეკლესიის მთავარეპისკოპოსად
აღსაყდრებულ იქნა ქრისტოსტომოს პაპადოპულოსი. ივი 1923 წლის
18 აპრილს სინოდის წინაშე წარსდგა მოხსენებით, რომ ეკლესია და
ერი არ უნდა გათიშულიყო და საჭიროდ მიიჩნია ახალი კალენდრის
მიღება ელადის ეკლესიაში. სინოდმა გადაწყვიტა, ეს საკითხი სხვა
მართლმადიდებელ ეკლესიებთანაც შეეთანხმებინა. 1923 წლის 27
დეკემბრის სინოდის სხდომაზე საბერძნეთის ეკლესიამ, გაითვალისწინა
რა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების პრივი, სინოდის წევრთა
უმრავლესობის გადაწყვეტილებით, მიიღო ახალი კალენდარი.

ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ გამოვიდა მთავარუპიკომისტ ქრისტომოსის მოწინააღმდეგე სამთავრუპიკომისო არჩევნებისას — დიმიტრიადოსის მიტროპოლიტი გერმანოსი. მას მხარი დაუჭირა კიდევ სამშა მიტროპოლიტმა. მათ საპროტესტო წერილები დაუგზავნეს საბერძნეთისა და ევროპის მთავრობებს და მოითხოვეს სამოქალაქო კალენდრის შეცვლა ძველი კალენდრით, რასაც, რა თქმა უნდა, მხარი არავინ დაუჭირა.

კალენდრის შეცვლა სამღვდელოების გარსვეულმა ნაწილმა და განსაკუთრებით კი ათონის მთის ზოგიერთმა მონასტერმა ეკლესიის მოღერნიშაციის მცდელობად ჩათვალა და მოუწოდეს მორწმუნე ხალხს, წინ აღდგომოდნენ საბერძნეთის ეკლესიისა და ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას.

სამღვდელოების გარსვეულმა ნაწილმა და საბერძნეთის მაშინდელი ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილმა ძალებმა მღვდლის იოანე ფლორისის თავმჯდომარეობით ჩაატარეს კრება და დააფუძნეს „ძველი კალენდრის მიმდევართა სახოგადოება“ და განეთი „ფონი ტის ორთოდოქსიას“. დაიწყეს წირვა-ლოცვის ჩატარება კერძო სახლებსა და (საგვარუელო) ეკლესიებში.

1925 წლის 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულის შემდეგ მღვდელმა იოანე ფლორისმა ჩაატარა მიტინგი. საბერძნეთის ხელისუფლებამ დაუშვა დიდი შეცდომა და მიტინგი დაარბია. დროებით დაპატიმრა 29 ადამიანი. ეს მიტინგი ძველი კალენდრის აღმსარებლებმა შეაფასეს, როგორც ხალხის პროტესტი ოფიციალური ეკლესიის მიმართ და ამ დღიდან მას თავიანთი ეკლესიის გამარჯვების დღესასწაულად ზეომობენ.

1926 წელს „მართლმადიდებელთა სახოგადოება“ გადაკეთდა „ჰუმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანთა რელიგიურ სახოგადოებად“. მათ მოღვაწეობა გაშალეს ათენის გარეთაც, სხვა ქალაქებშიც ჩამოაყალიბეს ფილიალები. სულიერ მოძღვრად ათონის მთის „ზოლოტები“ მოიწვიეს. 1926 წელს დაარსეს განეთი „ო კირიქ ტონ ორთოდოქსიონ“. განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ძველი კალენდრის მიმდევართა ეკლესიის დაარსებაში რუმინელმა ბერმა, ათონის მთიდან, არსენიოს Gottea-მ. მან რუმინელი ენიდან თარგმნა და გაავრცელა 1923 წლის დიორთოდოქსალური (ქრისტიანთაშორისი) საბჭოს წინააღმდეგ დაწერილი თავისი ნაშრომი. მას ბრალი ედება აგრეთვე, როგორც ელადის ეპისტოლის მთავარუპიკომის ქრისტომოსის წინააღმდეგ გამართული

კამპანიის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს. 1927 წელს ქ. პირეასის წმიდა კონსტანტინეს სახელობის ტაძარში ძველი კალუნდრის აღმსარებლები თავს დაესწენ მთავარუპისყოპოს ქრისტიანობის და ქ. კარაიანიდისი შეეცადა წვერი მოკერიჭა მთავარუპისყოპოსის ქრისტიანობის და ქ. შეხელა-შემოხლაში მთავარუპისყოპოსი ქრისტიანობის მიმდევ დაშავდა. არსენის Gottea ცდილობდა მთელი ათონის მთაც გადაებირებინა თავის შხარებე.

ერთი სიტყვით, 1929-31 წლებში საბერძნეთში დაარსდა ძვ. კალუნდრის მიმდევართა სახოგადოების 245 ფილიალი. 1931 წელს მსოფლიო საპატიოარქომ კალუნდრის საყითხი შეიტანა მომავალ მსოფლიო კრებაზე განსახილეულ საყითხთა შორის და შექმნა კიდეც კალუნდრის საყითხის შემსწავლელი 5 წევრისაგან შემდგარი კომისია. იმავე წლის 29 ოქტომბერს მოუწოდა აგრძელე ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას ამ საყითხის მეცნიერული შესწავლა. „ძეველი კალუნდრის აღმსარებელთა სახოგადოება“ ამის წინააღმდეგი წავიდა.

1932 წლის 10 დეკემბერს საბერძნეთის მთავრობა ჩაერია ეკლესიისა და ძვ. კალუნდრის მიმდევართა სახოგადოების ურთიერთობაში, აუკრძალა მათ ერთმანეთის დევნა, მაგრამ ამ ფაქტმა ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო, კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა.

1934 წლის 6 აგვისტოს ათონის მთის „ზილოტები“ – მათეოსი, იერონიმე, აკაკიოსი, პართენიონი და ოლარიონი ხელს აწერენ საპროტესტო განცხადებას, რომ პარლამენტი, ვითარცა „ბაბილონური ორგანიზმი“ (ვინაიდან მასში არამართლმადიდებლებიც შედიან), ვერ დაუდგენს კანონებს ეკლესიას და მოითხოვეს ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან. საყითხი დასვენს აგრძელე ძველი კალუნდრის მიმდევართა სახოგადოებაში მღვდელმთავრის კურთხევის შესაბეგ. 1934 წელს ძველი კალუნდრის მიმდევრუბმა ფერისცვალების სახელობის მონასტერი დაარსეს ატიკაში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვიტორ მათეოს-სტამატულისი და იმავე წელს წერილობით მიმართეს ოუზელი ემიგრანტული ეკლესიის² მეთაურს და სოხოვეს მღვდელმთავართა ხელდასხმა, მაგრამ უშედეგოდ.

1935 წელს ელადის ეკლესიის პროტოსინკელოსი იყოოს ვავანაციი ეპიკოპოსად აურთხეს. ამ ფაქტმა გააღინიანა დიმიტრიადის მიტროპოლიტი გერმანოსი და შეეცადა სახელმწიფო საბჭოს მეშვეობით გაეუქმებინა ეს ხელდასხმა. მიტროპოლიტი გერმანოსი პოლიტიკური პირების თანადგომით ჯერ შეეცადა ათენისა და სრულიად ელა-

დის მთავარეპისკოპოს ქრისტიანობის გადაყენებას, მაგრამ რაც ვერ მიაღწია შედეგს, მოწინააღმდეგეთა ბანაქს მიაშურა. იგი ძველი კალენდრის მიმდევართა მოძრაობის ბელადად დაინიშნა და იმავე წლის 27 მაისს ის მიმდევართა ათასი კაცის წინაშე განაცხადა, რომ გადაღის ჭულოვა კალენდრის მიმდევართა მხარეს და დაიცაქს მათ. 28 მაისს დეპეშით აცნობა ელადის მთავარეპისკოპოსს, რომ ყოველგვარ კავშირს წევეტს სინოდთან. ივნისის პირველ დღეებში ამ სამშა განდგომილმა მიტროპოლიტმა ეპისკოპოსად აკურთხა ოთხი არქიმანდრიტი. ხელდასხმის შემდეგ ჩამოყალიბდა 7 წევრისაგან შემდგარი სინოდი, რომელმაც პროტესტი გამოუკადა ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას და თავს იდო „ჰუმარიტ მართლმადიდებელთა ეკლესიის“ ხელმძღვანელობა.

შემფოთებულმა საბერძნეთის ხელისულებამ პოლიტიკური საფუძველი დაინახა მომხდარ ამბებში. ალყა შემოარტყა ახლადჩამოყალიბებულ სინოდს 24 საათის განმავლობაში. მათმა მომხრე სამღვდელოებამ და ხალხმა კი ელადის ეკლესიის მთავარეპისკოპოსის რეზიდენციის წინ მოიყარა თავი და ღვთისმმობლის პარაკლისი შეასრულეს. ელადის ეკლესიის სინოდმა განკვეთა თავისი წიაღიძან ახლადნაცურთხი ეპისკოპოსები და 5 წლით მონასტერში ყოფნა მოუსავა. ამ გადაწყვეტილებამ სისხლისმღვრელი შეტაკებები გამოიწვია. ბოლოს ხალხი დაშოშმინდა, რადგან მიხვდა, რომ ეს ოთხი მიტროპოლიტი, სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებით, თავად მიიღოვოდა განკვეთისაცენ.

ასე ჩამოყალიბდა ძველი კალენდრის მიმდევართა ანუ „ჰუმარიტ მართლმადიდებელთა“ ბერძნული ეკლესია. დროთა განმავლობაში, ეპისკოპოსთა და მიტროპოლიტთა რიცხვმა იმატა. 1942 წელს მთავარეპისკოპოსიც აირჩიეს. კველაზე სამწუხარო მაინც ის არის, რომ დღემდე სისხლიანი ეპისტოლებით მთავრდება ამ ორი მართლმადიდებელი ეკლესიის შეტაკებები. მსოფლიო საპატრიარქომ რამდენჯერმე მიიწვია ისინი დიალოგზე, მაგრამ ძველი კალენდრის აღმსარებლები ყოველგვარი დიალოგის წინააღმდეგი არიან. ეწინააღმდეგებიან, როგორც მართლმადიდებლებთან, ისე სხვა ქრისტიანებთან დიალოგს, ეწინააღმდეგებიან ეკუმენურ მოძრაობას. კავშირი აქვთ მხოლოდ რუსულ ემიგრანტულ ეკლესიასთან.

აი, ასეთია ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი ერის მომავალიც, თუკი დროშე არ გაიცნობიერებს ყოველი ჩვენგანი, თუ რა გზას ვადგავართ.

იმისათვის, რომ კარგად გაისიგრძევანოს შეითხველმა, თუ რა დოდე
გაქანება აქვს ბოროტ ძალას, ორიოდ სიტყვით მინდა გიამბოთ ელადის
მთავარეპიკომის ქრისტიანობის შესახებ, ვის დორისაც უკანასკნელი
ლება მოხდა ეკლესიაში. იგი გამორჩეული პიროვნება იყო ასეთი ფანჯარის
სწავლული იერარქი ელადის ეკლესიას ბევრი არ ჰყოლია. საღოქტო-
რო დისერტაცია მან 1895 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში
დაიცვა, პროფესორ კ. ბოლოტოვის ხელმძღვანელობით. პეტერბურგი-
დან დაბრუნებისთანავე მან იღვაწა იერუსალიმის, ხოლო შემდეგ აღე-
ქანდრიის ეკლესიებში. 1914-1923 წლებში კითხულობდა ეკლესის
ისტორიას ათენის უნივერსიტეტში. 1923 წლიდან არჩეულ იქნა ათენისა
და სრულიად ელადის მთავარეპიკომისად. 1926 წელს აირჩიეს ათენის
მეცნიერებათა აკადემიის წევრად. იგი ხომ 500 სამეცნიერო ნაშრომისა
და გამოცვლევის ავტორია. ამათგან 25 სქელტანიანი, ათასგვერდიანი
წიგნია. მის კალამს ეკუთვნის: „იერუსალიმის ეკლესის ისტორია”,
„აღექანდრიის ეკლესის ისტორია”, „ანტიოქიის ეკლესის ისტორია”,
„ელადის ეკლესის ისტორია”, „ბულგარეთის ეკლესის ისტორია”,
„კვიპროსის ეკლესის ისტორია”. გამოცვლევები იოანე ოქროპირზე,
კირილე აღექანდრიელზე და სხვა წმიდა მამებზე. სამასგვერდიანი
გამოცვლევა აქვს დაწერილი იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე და მასთან
არსებულ საღვთისმეტყველო სასწავლებლის შესახებ. იგი ხომ ამ სასწავ-
ლებელში სწავლობდა ჯერ, ხოლო პეტერბურგიდან დაბრუნებულმა,
იქ დაიწყო თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა, ოთხი წლის შემდეგ კი
ამ სასწავლებლის რექტორი გახდა. იერუსალიმში მოღვაწეობისას
დააპირო ფურნალი „ნეა სიონი” (1903 წ.), ხოლო ათენში ფურნალები
— „ეკლესია” და „თეოლოგია” (1923 წ.). მთავარეპიკომის ქრისტია-
ნომისზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს პატარა ამონაწერიც
მისი ბიოგრაფიიდან საყმარისია, რომ მოწმუნებები მოწინებით და
სიყვარულით განიმსჭვალონ მის მიმართ. ბოროტი ძალით შეპყრო-
ბილმა მოწინააღმდეგებმა კი, იმ შეხლა-შემოხლაში, თვალი დაუშიანეს
ამ პატივსაცემ პიროვნებას.

აქვე მინდა შეგახსენოთ 1923 წლის, ანუ იმ დროის საბერძნეთის
მდგომარეობა, როდესაც საბერძნეთის ეკლესიაში ეს განხეთქილება
დაიწყო კალენდრის საყითხთან დაყავშირებით, რადგანაც იგი ძალიან
ჰგავს ჩვენს დღევანდელ ყოფას.

1915 წელს საბერძნეთი პირველ მსოფლიო ომში ჩაება, ანტანტის
ქვეყნების მოუავშირე გახდა, რათა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა

ბალყანეთის ქვეყნების გადანაწილების პროცესი და შემოუერთებინა მცირე აჩია. შედეგი საშინელი აღმოჩნდა. ომში ჩაბმამ დაუტელურა ისედაც სუსტი ქვეყანა, ხალხი გაითიშა. 1922 წელს თურქებმა გადაწვეს ქ. სმირნი (იმპირი) და განდევნებს იქაური მკვიდრი ბერძნები, შეკვე პონტის მკვიდრნიც. საბერძნეთი მცირე აზიიდან და პონტოდან ლტოლვილი თანამემამულეებით აივსო. ჩავდა „დიდი იდეა“. 1915-1924 წლები და იმის შემდეგაც კარგა ხანს ურთულესი პერიოდი აღმოჩნდა საბერძნეთის ცხოვრებაში. ხელისუფლება ხელისუფლებას ცვლიდა. დაპირისპირებული პარტიები ერთმანეთს ჭამდნენ. ეს ტალღა ეკლესიასაც მისწვდა. კალენდრის საყითხი საბაბი იყო ეკლესიის გასათიშად, მიწერი სხვა იყო – როგორც შიდა, ისე გარეშე პოლიტიკურ ძალებს ხელს აძლევდა ეკლესიის გახლება.

ჩვენთანაც სწორედ ახლა, ახლა, როდესაც ასე მწვავედ დგას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემები, ახლა აზვირთდა ეს ტალღა. პატრიარქთა მიმოწერიდან თქვენ თვალნათლივ დაინახეთ რუსეთის ეკლესიის დამცუიდებულება აფხაზეთის საყითხისადმი. არც ის არის გამორიცხული, რომ ისინი რუსეთის პოლიტიკური ძალების ზეწოლას განიცდიდნენ. თუკი აფხაზეთს პოლიტიკურად ვერ დაიბრუნებს საქართველო და იგი რუსეთის შემადგენლობაში შევა, მაშინ რუსეთის ეკლესია, უნდა ეს მას თუ არა, თავის სამღვდელოებას შეიყვანს იქ. ეჭვიც არაა, რუსეთის ეკლესიის იერარქია არ გააპროტესტებს ამ ანტიკანონიკურ ქმედებას, არ ეცდება სიმართლის დადგენას. პირიქით, რუსეთის ეკლესიის იურისდიკციის ფარგლების გაფართოება მათ ინტერესებში შედის... ამიტომაც მიმდინარეობს ის დიდი პროპაგანდა, რომ საქართველოს ეკლესიაშ კავშირი გაწყვიტოს მსოფლიო საპატრიარქოსთან და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან.

საბჭოთა კავშირის დამლის შემდეგ რუსეთის საპატრიარქომ თავად გაწყვიტა ევქარისტიული კავშირი მსოფლიო საპატრიარქოსთან ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, კერძოდ კი, ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გამო³. და დაიწყო მსოფლიო საპატრიარქოს დისტანციური კავშირის კამპანია. რუსეთის ამოცანა იყო, კონსტანტინეპოლის წინააღმდევ დაერჩიმა მთელი მართლმადიდებელი სამყარო – ჩვენც და კველა მართლმადიდებლებს ზურგი უნდა შეგვექცია მსოფლიო საპატრიარქოსათვის. შედევმაც არ დააყოვნა. ქართველი მეამბოხე ბერები და მათი თანამდგომნი მსოფლიო საპატრიარქოს აქტიური კრიტიკოსები რომ

არიან, ამით, ნებსით თუ უნებლივით, რესეტის ეკლესიის მიერ დასახულ
გეგმას ახორციელებენ. თუმცა, უფრო მრავლისმეტყველი სხვა
მოულენაა:

ერთადერთი, ვისი ქება-ლიდებაც ისმის რეს ღვთისმეტყველობა წერილებიდან, ეს იერუსალიმის საპატრიარქოა. ამ შემთხვევაშიც მძხანი მიღწეულია. ჩვენი მეამბოხე მამები საკუთარ პატრიარქს აღარ მოიხსენებენ წირვა-ლოცვაში და იერუსალიმის პატრიარქს ახსენებენ თურმე (იხ. გაზეთი „დროის ქრონიკა“, №2 1997 წლის მაისი).

იერუსალიმის ეკლესიისა და მისი წმიდა ადგილების მიმართ მოწინებასა და სიყვარულს ქართველ ხალხს ვერავინ ასწავლის. ამის მოწმეა ჯვრის ქართველთა მონასტერი და ის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რაც ჩვენს ქვეყნებს ყავშირუბს. და მათც, მეამბოხე მამების ამ ქმედებას არა აქვთ არანაირი გამართლება, თუნდაც დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ არსებული ტრადიციის გამო ხდება და არა იმ პროპაგანდის წყალობით, რასაც რესერტი ეწოდა.

მე თავიდანვე შეგჰქირდით, რომ შეუკლებოდი ამ ფაქტის ახსნას.

რაშია საქმე? — საქმე იმაშია, რომ უკვე ათი წელია იერუსალიმის პატრიარქი დიოდოროსი მძიმედ ავად გახდავთ. იგი თითქმის მთლიანად გამოითხულია ამ ეკლესიის ცხოვრებიდან. ყოველდღე სისხლს უსხამენ და ძალად აცოცხლებენ. საპატრიარქოს კი მართავს მისი მდივანი, მიტროპოლიტი ტიმოთე, რომელსაც ლენინგრადის საღვთისეტველო აკადემია ქვეს დამთავრებული. თუკი ისლურატეს ცნობილ გამონათქვამს გავიხსენებთ — „ბერძენი არის ის, ვისაც ბერძნული განათლება აქვს მიღებული”, — მაშინ გასაგებია, რა ორიენტაციასაც ადგას მიტროპოლიტი ტიმოთე. ამ ათ წელიწადში დაიძაბა ხწოვედ ურთიერთობა მსოფლიო საპატრიარქოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის. ამ ათ წელიწადში დაიძაბა ურთიერთობა საქართველოსა და იერუსალიმის საპატრიარქოებს შორისაც.

ჩვენი ურთიერთობების დაძაბვის მიზეზი ჯვრის მონასტერი აღმოჩნდა. იერუსალიმის საპატრიარქო კატეკოლიულად უკრძალავს საქართველოს საპატრიარქოს ამ მონასტერზე სიტყვის დაძერას, მაგრამ ამ ფაქტს მხოლოდ რესექცია ვერ დავაძრალებთ. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ლომის წილი ჩვენ მიგვიძლევის.

როგორც კი საჩლერები გაიხსნა და შესაძლებელი გახდა წმიდა ადგილების მოლოცვა, ნებისმიერმა ქართველმა ტურისტმა თუ ისრა-

ელში გადასახლებულმა ებრაელებმა – დარწმუნებული ვარ, კეთილი განზრახვით, მაგრამ სრულიად მცდარი გზით – დაიწყეს მოღაპარაცექები სხვადასხვა ინსტანციებში ამ მონასტერთან დაკავშირებით. საქართველოს კონფიდენციალური ლოდინ ამერიკიში გადასახლებულმა ერთმა ქართველმა, ცალიერებული ლაშვილმა (იგი თბილისში ინტერისტის მთარგმნელთა ჯგუფის ხელმძღვანლად მუშაობდა) ადვოკატიც კი დაიქირავა და დაიწყო მიმღწერა იერუსალიმის ხელისუფლებასთან და პატრიარქთან ჯვრის მონასტრის საყითხთან დაკავშირებით. გაღისძინებულმა იერუსალიმის პატრიარქმა საქართველოს პატრიარქს საპროტესტო წერილი გამოუვივნა. როგორ ბედავენ და იმ საყითხებში, რასაც ჩვენ ორი უნდა წაყვატდეთ, სხვები ერევიანო.

იერუსალიმის პატრიარქი ამაში სრულიად მართალია. ჩვენ ყველას დიდი მამულიშვილის სახელი გვინდა დაკიმევიდროთ და ის კი არ ვიცით, რომ საყითხები, რომლებშიც კომპეტენტურები არა ვართ, არ უნდა ჩავერიოთ. თუკი საქმე წარმატებით დამთავრდებოდა, რა თქმა უნდა, დიდი მამულიშვილის სახელს დაიმეკიდრებდა ნებისმიერი მათგანი, ვინც ამ საქმეში ჩაერია, მაგრამ დღეს, როცა საქმე სულ სხვაგვარად წავიდა, რა დავაწერეთ მათ საქციელს? თვითონ მათ კი ეყოფათ გამბედაობა და აღიარებენ, რომ დაძაბეს ურთიერთობა ორ საპატრიარქოს შორის? ეყოფათ გამბედაობა თავად შეაფასონ თავიანთი საქციელი? საქმის ვითარება კი ისევ კათოლიკოს-პატრიარქმა იღლა II-მ უნდა გამოასწოროს, ან სულაც მის შემდგომმა პარტიარქმა. რატომ ავჩქარდით, რატომ გავართულეთ მდგომარეობა? რატომ არ ვაცალეთ ეკლესიას ამ საყითხის მოგვარება? ნუთუ ვინმექს ჰგონია, რომ საქართველოს ექლესია ნაცლებადა დაინტერესებული ჯვრის მონასტრის საყითხით?

ჯვრის მონასტრის საყითხი კათოლიკოს-პატრიარქმა იღლა II-მ 1980 წელს იერუსალიმში თავისი ოფიციალური ვიზიტის დროს წამოაყენა ჯერ კიდევ პატრიარქ ბენედიქტესთან. 1981 წელს იერუსალიმის ეკლესიის ახლადნაურთხი პატრიარქი დიოდოროსი ეწევა საქართველოს ეკლესიას. მე თავად გახსლავართ იმის მოწმე, რომ კვლავ დაისვა ჯვრის მონასტრის საყითხი იერუსალიმის პატრიარქთან. მაგრამ ასეთი საყითხები უცემა არ წყდება. ამას დრო სჭირდება და მოთხინება, შესაფერისი პოლიტიკური სიტუაცია. არ დაგავიწყდეთ, რომ ავტოუფალის საყითხის გადაწყვეტას 12 წლის რედუნდანტი მუშაობა დასჭირდა.

ყოველმა ჩვენგანმა უნდა გაისიგრძეებანოს ის ჭეშმარიტება, რომ თითოეული ჩვენგანი იმ საქმით უნდა იყოს დაკავებული, რაც ვიცით.

არ არსებობს დიდი და პატარა საქმე. ჯვრის მონასტრის დამბრუნებულწევა
არანაკლებ მამულიშვილურ საქმეს აკეთებს დღეს გლეხი, რომელიც მოწავს
უვლის და მოსავალი მოპყავს, თორემ ხომ შიმშილით დაგზხოცებოდათ
ამ წლებში. არანაკლებ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს დღეს მეტწოდე,
თორემ ხომ სულ მთლად შეგვჭამდა ნაგავი, ხომ გაგვწევტდა ეპილემია.
ერთი სიტყვით, იერუსალიმისა და საქართველოს ეკლესიების საკითხი
ცალკე მსჯელობის საგანია, აქ უბრალოდ სიტყვამ მოიტანა. ჩვენი გან-
დვოძილი მამების ქმედებამ მომავრობა. იციან „ჰეშმარიტი მართლმადი-
დებლობის“ დამცველმა ჩვენმა მამებმა ეს ყველაფერი და მაინც იერუსა-
ლიმის პატრიარქს ისხენიებენ წირვა-ლოცვაში? ⁴ საკუთარ პატრიარქს
აღარ მოიხსენიებენ, ხოლო მსოფლიო პატრიარქს, რომელიც დღეს ასე
უდგას ჩვენს ეკლესიას მხარში, სასტიკად ებრძვიან. ან სად არის ჩვენი
ჰეშმარიტი ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა, როდესაც თავს
ვესხმით მუსლიმანურ გარემოცვაში მყოფ ისედაც შევიწროებულ მსოფ-
ლიო საპატრიარქოს, იმის ნაცვლად, რომ მხარში ვეღვეთ. დაფიქრებულ-
ხართ მსოფლიო საპატრიარქოს ბეძნე? რა გადაიტანა ამ საპატრიარქომ
1453 წლიდან, მას შემდეგ, რაც ბიზანტიის იმპერია დაეცა? როგორ
შეძლო ამდენი საუკუნის განმავლობაში გამავრებულიყო სტამბულში.
იცით თუ არა თქვენ, რომ როდესაც საბერძნეთში ეროვნულ განმათვის-
უფლებელი ბრძოლა დაიწყო 1821 წელს, სრულიად უდანაშაულო კონ-
სტანტინეპოლის პატრიარქი გრიგორი V, აჯანყების პირველივე დღეს
თურქეთის სულთანის ბრძანებით საპატრიარქოს კარიბჭეშე ჩამოახრჩეს
და კიდევ რამდენი ასეთი მაგალითის მოხმობა შეიძლება კონსტანტი-
ნეპოლის ეკლესიის მოწამეობრივი ცხოვრებიდან.

სულ ახლახან, 1987 წელს, როდესაც მსოფლიო პატრიარქი დიმი-
ტრიონის საქართველოს ეწვა ოფიციალური ვიზიტით, მას რეზიდენცია
არც კი გააჩნიდა. ჩვენთან გამომგზავრების წინ, ერთი თვით ადრე თურქებმა
გადაწვეს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს რეზიდენცია. ჩვენგან უკან
დაბრუნებულმა პატრიარქმა ჯერ საბერძნეთში გაიარა, საბერძნეთის
მთავრობისათვის უნდოდა ეთხოვა დახმარება საპატრიარქი რეზიდენ-
ციის აღსაღვენად. როგორც კი ეს ფაქტი საბერძნეთში ცნობილი გახდა,
ღვთის შეწევნით მაშინვე გამოჩნდა დიდი მაგნატი, თავზე აიღო საპატ-
რიარქოს მეცენატობა და ერთ წელიწადში აღადგინა საპატრიარქო
რეზიდენცია საკუთარი ხარჯებით. შერშან შემოდგომაზე ისლამელმა
ფუნდამენტალისტებმა ალყა შემოარტყეს კონსტანტინეპოლის საპატ-
რიარქოს რეზიდენციას და მოიხოვეს პატრიარქისა და მთელი სა-

მღვდელობის გაძევება თურქეთიდან. ანთებული ჩირალდნები ჩაყარეს საპატრიარქოს ქროში და კინაღამ ისევ გადაწყვეს საპატრიარქო. მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები აღედგა წინ ამ ვანდალურ აქტის თურქეთის მთავრობას მოუწოდეს, რომ დაეცვა მსოფლიო საპატრიარქო ვიდრე თურქეთის მთავრობა ჩაერეოდა და დააშოშინებდა ამ აბობო-ქრებულ მასას, საპატრიარქოს გაღავანს შიგნით ხუთიოდე სამღვდელო პირი ებრძოდა და აქრობდა ამ ჩირალდნებს, ხუთიოდე კაცმა გადაარჩინა საპატრიარქო რეზიდენცია.

ამ საპატრიარქოს სდებთ ბრალს მართლმადიდებლობის ღალატში? ნამდვილი ქრისტიანები, მე ასე ვფიქრობ, პირიქით უნდა იქცეოდნენ. პირიქით უნდა იქცეოდეს რუსეთის ეკლესიაც. იგი ხომ კონსტანტინეპოლის ეკლესის მიერ არის კურთხეული, მისგან აქვს მიღებული ავტოკეფალია. მაგრამ აქ სხვა მომენტია, ის განსახლერავს ყველაფერს.

1453 წელს კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, ცარისტული რუსეთი თავს ბისანტიის მემკვიდრედ თვლიდა, მოსკოვს - მესამე რომად, რის გამოც პრეტენზიებს აცხადებდა კონსტანტინეპოლის და მის მიმდებარე სრუტეებზე. მათი დევიზი ხომ ასეთი იყო: „Москва третий Рим, четвертому не бывать”. დიახ, „მესამე რომის“ ამბიციებს ეწირება მართლმადიდებლური რწმენაც, კაცომოუგარეობაც და სიყვარულიც.

რაკი ცარისტული რუსეთი ვახსენეთ, აქ ერთი საყითხიც უნდა განათლეს. ვინც რუსეთის ტელევიზიისა და პრესის ადევნებს თვალს, კარგად ხედავს, თუ რა დიდი კამპანიაა გაჩაღებული რომანოვების დინასტიის აღსაღენად რუსეთში. ამ დინასტიის აღდგენასთან ერთად, ბუნებრივია, უნდა დაბრუნდეს რუსული ემიგრანტული ეკლესიაც. ეს ეკლესია არა სცნობს საქართველოს ეკლესიის მიერ 1917 წლის 12 მარტს აღდგენილ ავტოკეფალიას და მით უფრო 1990 წელს მსოფლიო საპატრიარქოს მიერ აღიარებულ საქართველოს ეკლესიის უძველეს ავტოკეფალიასა და მისი საჭითმპერობლის საპატრიარქო ტიტულს. ჩვენი „მართლმადიდებლობის დამცველი მამები“, კერძოდ, კი იოანე შეელაშვილი ამერიკას გაემგზავრა, რუსულ ემიგრანტულ ეკლესიას მიმართა. ვინ იცის, იქნებ ეპისკოპოსის ხარისხის მისაღებად. ემიგრანტულმა ეკლესიამ იცის, რასაც აკეთებს. თუ რომანოვების დინასტია აღდგა რუსეთში, მაშინ ხომ საქართველო ისევ რუსეთის გუბერნიად გადაიქცევა და რუსეთის ეკლესიასაც საქართველოსათვის ეგზარხოსი სჭირდება. ხვდება ამას მამა ოთან?

ვიცი, ამ ჩემს მოსახლებას ბევრი ოპონენტი გამოუწინდება. რა დღის მონარქიაა! რა დღის გუბერნიაა! მე კი ასე ვიპასუხებთ, ოღონდ ჩემი კი არა, იმ სიტყვებით, რითაც რომანოვების დინასტიის სამირი ნილი ფილმი „რასპუტინი“ მთავრდება: „გვერიდეთ საწილების; ვჰქვებ ლაშე დაუჯერებელი სასწაულისაც კი!“*

გაიხსნეთ ისიც, თუ როგორ დასრულდა 1918-21 წლების საქართველოს დამოუკიდებლობა. ნურავის პეონია, რომ 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობა ხელშეუვალია, რომ მას საფრთხე არ ემუქრება.

საამისოდ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია კიდევაც. აფხაზების საყითხი სწორედ ამის მაუწყებელია. თუ ვინმეს პეონია, რომ გაეროს სამშვიდობო მისიის შემოყვანით აფხაზების საყითხი უკვე საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ გადაწყდა, ძალიან შემცდარა. ამის თქმის უფლებას მე კვიპროსის დღევანდელი ყოფა მაძლევს. ჩვენი მთავრობისა და პარლამენტის წევრებს, ახლადგამომცხვარ მილიონებსა და სარფიან ბიზნესმენებს მოვუწოდებ, რომ კანარის კუნძულების ნაცვლად კვიპროსს ეწვიონ, იქ გაატარონ თავიანთი არდადები. იქ თვალიათლივ დაინახავენ საქართველოს დღევანდელ ყოფასა და მის მომავალს.

კვიპროსის დედაქალაქი – ლევენია – შუაზეა გაყოფილი. მავთულქლართების ერთ მხარეს კვიპროსელი ბერძნები იცავენ, მეორეს – კვიპროსელი თურქები. შუაში კი, ნეიტრალურ ზონაში, გაეროს სამშვიდობო კარების ცისფერ დროშიანი მანქანები დაქრიან. დაპყრობილი ტერიტორიიდან ლტოლვილი ბერძნები კი ცრემლმორუელი შესცერიან თავიანთ სახლებს, ეზოებს, ეკლესიებს... ეს ყველაფერი კი, აი, ასე წარიმართა:

* ფილმი ასე მთავრდება: ნეკლოზი II თავისი ოჯახის წევრებით სარდაფები ჩატყავთ და ტკიფებს დაუუსწენ. ატაჭე ჭრა მათი გვამება. უშცროსი ვაჟი, 12 წლის ალექსი ტკიფებისაგან დაცხრილულად დედასაკუთ გახომდება. კელშე შემოხვევებ ხელებს და გაირინება. ამის შემდეგ დატროზი გვამენოს, რომ პრეზიდენტ ლუკასი ბრძანებით ნეკლოზი II და მისი ოჯახის წევრების ნეტტი ცამბირებან მოსკოვში გადმოსახვენებს. რუსთის ეკლესიას მათი კანონისაცა უნდა მოუხდონა და მოსკოვის ერთ-უზრი მონასტრში დაეკრძალა. მაგრამ პატრიარქი ალექსი თავს დაევის, რადგან ჯერჯერობით არ არის საპოზიტო პატრია ბიჭის ნეტტი, ყველა დარჩენილებს კრემლის საწყობში ინახებათ. ამიტომაც, „გვერიდეთ სასწაულის, კველაზე დაუპარუებელა საწაულისაც კა!“ – აი, ამ სიტყვებით მთავრდება ფილმი.

ვ. ი. ამ ფილმის ვრცხით ალექსი ცოცხალი გადაწინა. რომანოვების დინასტიას არ შეეწყვეტია სიცოცხლე ... როგორ ფიქრობთ, უმიზნოდ ხდება ეს პროპაგანდა?

კვიპროსი 1870 წლიდან ინგლისს ჰქონდა დაპყრობითი. 1950 წელს კვიპროსის მთავარეპისკოპოსის მაკარიოსის ხელმძღვანელობით კვიპროსელმა ბერძნებმა, რომელიც საერთო მოსახლეობის 82% შეადგენდნენ, რეფერენტუმი ჩაატარეს და გამოთქვეს სურვილუსუნის საბერძნეთის შეერთებოდა. ამ იდეას მოსახლეობის 96% დაჭინოა მხარი, მაგრამ ინგლისი წინ აღედგა კვიპროსის მოსახლეობის სურვილს. კვიპროსელებმა ერთონულ-განმათავისუფლებელი ფრონტი (E.O.K.A.) შექმნეს და შეეწინააღმდეგნენ ინგლისელებს. ინგლისელებმა კი დააპატიმრეს და დახერიტეს აჯანცების მოთავენი, გადაწვეს სოფლები, მთავარეპისკოპოსი მაკარიოსის სეიმელის ქუნძულებზე გადასახლეს. ბრძოლა ხანგრძლივი და მწვავე გამოდგა. საბოლოო ინგლისელებმა უკან დაინიეს. 1959 წელს შედგა მოლაპარაკებები ციურისა და ლონდონში, სადაც ბოლოს და ბოლოს სცნეს კვიპროსის დამოუკიდებლობა, მაგრამ ქუნძულებზე მცხოვრებ თურქულ მოსახლეობას განუსახლვერელი ძალაუფლებები და პრივილეგიები მიანიჭეს⁵. ამრიგად, 1959 წლის 16 აგვისტოს გამოცხადდა კვიპროსის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომლის პირველი პრეზიდენტიც მთავარეპისკოპოსი მაკარიოსი გახდა.

ახალშექმნილ დამოუკიდებელ კვიპროსის სახელმწიფოს სხვა სირთულეებთან ერთად განუწყვეტელ პრობლემებს უქმნიდა თურქული უმცირესობა. 1963 წელს მთავარეპისკოპოსი მაკარიოსი შეეცადა ცვლილებები შეეტანა კონსტიტუციაში. ამას თურქეთის მწვავე რეაქცია მოჰყვა, კვიპროსელი თურქები დაუპირისპირა მას. 1974 წელს კი საბერძნეთში არსებულმა დიქტატორულმა მთავრობამ სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო მაკარიოსის წინააღმდეგ. ამ შემთხვევით ისარგებლა თურქეთის მთავრობამ, ჯარები შეიყვანა კვიპროსშე და დაიპყრო კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი, ტერიტორიის 40%. ერთი სიტყვით, ორი დამოუკიდებელი ბერძნული სახელმწიფოს მთავრობამ ერთმანეთში საერთო ვერ გამონახა და გარეშე ძალაში იმარჯვა. ასეთ შედეგს იქმის ნებისმიერი შინაური აშლილობა...

1974 წლიდან კვიპროსი შევიდობიანი მოლაპარაკების გზით ცდილობს უკავირებული ტერიტორიის დაბრუნებას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. თითქმის ყოველ წელიწადს ეწყობა ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსების შეხვედრა ამ საყითხთან დაკავშირებით. იმედები და დაპირებები

ბევრია, მაგრამ.... არსებული რეალობა მე უკვე აღინიშნულ, დაპირებები დაპირებებად რჩება*.

დამეთანხმებით ალბათ, საქართველოს დღევანდელი ყოფა ძალაში გავს კვიპროსისას. სამწესაროდ, საქართველოს მომავალსაც დაივა პარი უჩანს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს და მასთან ერთად მისი ეკლესიის ბედიც ბევრადა დამოუიდებული იმაზე, თუ რომელი ძალები გაიმარჯვებენ რუსეთში და არა მარტო ამაზე....

საქართველო მუსლიმანური ქვეყნებითაა გარშემორტყმული. იმათ თავიანთი ინტერესები ამოძრავებთ. საქართველოში უკვე უნქციონირებს დემირელის სახელობის კოლეჯი და გახსოვთ, ალბათ, თურქული უნივერსიტეტის დაარსების მცდელობაც. საქართველოში ვრცელდება ცუდი ქართულით თარგმნილი, მაგრამ შესანიშნავად გაფორმებული ყურანი სკოლის მოწაფეებისათვის. უნივერსიტეტის წინააღმდეგ გაიღამჟრა ჩვენმა სახოგადოებამ და გარევაულ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ყურანის წინააღმდეგ რომც გაიღოსქროს, ვერაფერს გახდება. წიგნების ავტოდაუე, ისე როგორც ეს გლადნის ეკლესიის მოძღვარმა მოაწყო იეღვეურ ლიტერატურასთან დაკავშირებით, შედეგს ვერ გამოიღებს. წიგნის გავრცელების უამრავი ხერხი არსებობს და აკრძალულ ხილს უფრო ეტანება ადამიანი. გავიხსენოთ, როგორ დავეძებდით კომუნისტთა მიერ აკრძალულ ლიტერატურას, ან თუნდაც სახარებას, სანამ ის ძნელად სამოვნელი იყო.

განათლებულმა ადამიანმა ბიძლიაც უნდა წაიკითხოს, ყურანიც დაბუდას მოძღვრებაც. მაგრამ უნდა წაიკითხოს შეგნებით, თავისი სარწმუნოებისა და ერის დასაცავად. სახელიერო პირებმა კი უნდა ეცადონ ქრისტიანული სარწმუნეობის უპირატესობა აჩვენონ ახალგაზრდებს. ეკლესიამ უნდა მოამზადოს ისლამისა და სხვა რელიგიათა სპეციალისტები. არავინ იცის, როგორ დატრიალდება ისტორიის ბორბალი. ამის შესანიშნავი მაგალითი ჩვენს თვალწინ მოხდა. ალბანეთის ავტონომიური ექლესიის ახლანდელი მთავარეპისკოპოსმა ანასტასიონმა 30 წლის წინათ დაიცვა დისერტაცია ისლამშე. მოგეხსენებათ, რომ ალბანეთი

* ერთ-ერთ ბოლო სხდომში (2000 წლის მაისში), კვაპროსელ ბერძნებს შესთავაზეს, ალბარიონ ჩრდილოეთ კვაპროსის დამოუიდებული თურქელი რესპუბლიკა, ვინაიდან ამ 25 წლიდწლში იქ ახალი თაობა დაიბადა და დამზღვდება, მათ სხვა სამშობლო ან გააჩნიათ, ამიტომ მათ კანონიერი უფლება აქვთ ამ ტერიტორიაზე.

კველაშე ათეისტურ ქვეყნად გამოცხადდა 1969 წელს, მაგრამ, როცა შემცველა იქ პოლიტიკური სიტუაცია და მართლმადიდებელი ეკლესიის აღდგენა შესაძლებელი გახდა, მსოფლიო საპატრიარქომ აღმასწოვის ეკლესიის მთავარეპიკოპოსად ანასტასიონის დანიშნა. მან შესახიშნავად იცის, რა ენაშე უნდა ესაუბროს იქაურ მუსლიმანებს, და ამიტომაც მიაღწია დიდ წარმატებებს. არც ჩვენ ვიცით, რა დროს დაგვჭირდება ასეთი კადრი. დღესაც კი, აჭარისა და საინგილოს რეგიონებში ურიგო არ იქნებოდა ასეთი სამღვდელო პირების ყოლა.

ამ ათიოდე წლის წინ შვეიცარიაში, შამბეჭის მართლმადიდებლურ ცენტრში, მსოფლიო საპატრიარქოს ეგიდით ჩატარდა დიალოგი ქრისტიანთა და მუსლიმანთა შორის. დიალოგში მონაწილეობა მიიღეს ცონბილმა ღვთისმეტყველებმა და სოციოლოგებმა, გამოჩენილმა ისლამისტებმა.

არაბეთისა და სხვა მუსლიმანური ქვეყნების წარმომადგენლუებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქრისტიანთა და მუსლიმანთა შორის დიალოგი ყოვლად აუცილებელია, რომ იუდეურ, ქრისტიანულ და მუსლიმანურ რელიგიებს ერთი საერთო ძირი აქვთ – ძველი აღთქმა, და ყველას ერთხმად გვწამს სამყაროს შემოქმედი ერთი ღმერთი. დიალოგის მონაწილეებმა ასეთი რეზოლუცია შეიმუშავეს: „დღეს ისლამური ქვეყნები და სავალეთის დიდ გავლენას განიცდიან სახელმწიფო სტრუქტურის ფორმირების საკითხში. პოლიტიკური, საგაჭრო, კულტურული და საერთაშორისო სამართლის ურთიერთობიდან გამომდინარე, მიუხედავად უზარმაშარი განსხვავებისა რელიგიურ სუეროში, ვალდებული ვართ, ხშირად შევქვედეთ ერთობანების და ვაწარმოოთ ასეთი დიალოგები. ყველამ საყუთარ აღმსარებლობას უნდა სცეს პატივი, მაგრამ რელიგიური საკითხები არ უნდა იქცეს კონფლიქტისა და უთანხმოების მიწერი ქვეყნებს შორის“.

ქრისტიანული რელიგია ყველაშე პუმანურიაო ვაცხადებთ, მართლმადიდებლობა – ყველაშე შემწინარებლური. რაში გამოიხატება ეს? მუსლიმანები (რა თქმა უნდა, კველა არა!) მზად არიან დიალოგისათვის, ჩვენ კი თვით ქრისტიანებთან არ გვინდა თანამშრომლობა.

ასეთი დიალოგები ეკუმენური მოძრაობის ფარგლებში ეწყობა თუდეველებთან, ბუდისტებთან და აბსოლუტურად ყველა რელიგიური მიმღინარეობის წარმომადგენლუებთან.

საქართველოს ეკლესიამაც ამ მიმართულებით უნდა წარმართოს მუშაობა. ჩვენ დიალოგს უნდა ვმართავდეთ თუნდაც კათოლიკე ქართვე-

ლებთან, მუსლიმან ქართველებთან, ქართველ ბაპტისტებთან და სხვებთანაც. ასეთი გეზი ჰქონდა კიდევაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ს. მასსოვს, როგორ ცდილობდა იგი ქართველთა ფერმუციებას ქრისტიანული სიყვარულისა და ურთიერთობაგების მეშვეობაზე, ჩატრამ სწორედ ეს გეზი არ აპატიეს; საქმე ისე წაიყვანეს, რომ არათუ სხვა დოგმებისა და რელიგიების მიმღევრებთან, თავის ერთ მუჭა სამღვდელოებასთან ვეღარ გამოუწავას საერთო.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ს ამბიონიდან არაერთხელ მოუწოდებია: „დღეს ის დროა, როდესაც მორწმუნებს ტაძრებმი კი არ უნდა ველოდოთ, არამედ ჩვენ უნდა მივაკითხოთ მათ; მოციქულებივით უნდა ვიაროთ კარდიკარ და ვიქადაგოთ ქრისტეს სახარება“. მისი ოპონენტები კი რას შვრებით, სახარება ყველას დავიწყებული გაქვთ და რატომდაც სჯელის კანონს კითხულობთ და მისგან ამოგლევილ ციტატებს ქადაგებთ, რის გამოც უამრავ შეცდომას უშვებთ. თუკი სამოქალაქო კანონის გამოყენება და მისით მოქმედება მხოლოდ იურისტების კომპეტენციაში შედის, რატომ გვვინაია, რომ საეკლესიი სჯელისყანონი ყველა-სათვის გასაგებია და მისი ამოქმედებაც დასაშვებია ყოველი ჩენითაგანის მიერ?!“

„ზოგჯერ კანონში „გატარებული ხაზი“, მისი ხასიათი, ცხოვრებისეული რეალობის საწინააღმდეგო ჩანს, – წერს პენდელის მონასტრის ბერი ტიმოთე, – რადგანაც კანონი შეიქმნა სხვა ისტორიულ პერიოდში, ან სულაც სხვა რეგიონში და მას სხვა გარსი აკრავს; სხვა სამისელი. მაგრამ კანონი არსებითად არ ეწინააღმდეგება რეალობას, რადგან იგი გვთავაზობს ჭეშმარიტების ყველაზე ღრმა კრიტერიუმს, რათა სწორად წარმომართოთ ჩვენი ცხოვრება. კანონი ზოგადსაყაცობრიო გზამყვლევადა.“

მაგალითისათვის მოვიყვანოთ კართაგენის ადგილობრივი კრების 58-ე და 84-ე კანონებს, სადაც ნათქვამია:

„კერპების ნაშთის ძირფესვიანი აღმოფხვრის შესახებ.“

სეკვე საჭიროდ მაგვაჩინა, დილებული მეფეებისაგან გამოვითხვოთ, რომ კერპთმისახურების ნაშთი საქსებით აღიხოვის და აღმოიფხვრას არა მარტო ძეგლებისა და ქანდაკებების სახით, არამედ სხვა-დასხვა აღვილები, კლდეებსა და ხეებზე“ (84-ე კანონი).

ასეთ ნაშთად შეიძლება ჩაითვალოს აუროპოლისი ან თისიონი, ან ჩვენი სხვა დიდებული ძეგლი, – განაგრძნობს ბერი ტიმოთე, – მაგრამ რაი ეკლესიამ სწორად განსაზღვრა ელინისმის სულისყველება, არასული დეს, არც ერთი მმართველისათვის არ მოუთხოვია ამ ძეგლის შემთხვევა. პირიქით, ზოგიერთი მათგანი გაითავისა კიდევაც და სულიერად გარდასახა. თუმცა, კანონის უმთავრესი არსი – არ უნდა გვწამდეს კერპების – ეკლესიისათვის ურყევი რჩება, კანონში გატარებული ხაზი მოიხარა.

ვინც ჭეშმარიტებით მიუდგება კანონს, მისი ფორმულირების მიღმა აუცილებლად იპოვის ჭეშმარიტების ნამდვილ არსი და გაითავისებს მას. კანონებში არსებული ზოგიერთი „წინააღმდეგობანი“ ფენომენალურია, რადგანაც ისინი ეხებიან, როგორც უკვე აღვნიშნე, იმ პერიდის, ან იმ რეგიონის მოვლენებს, სადაც ეს კანონები შეიქანა. და მაინც, მთავარი არსი კანონთა ჭეშმარიტია. იგი კრიტერიუმია მართლმადიდებლობისათვის. ვინაიდან მასში სიყვარულია ჩადებული. სიყვარულის გარეშე არც ერთი კანონი არ არის უტყვარი.

კანონთა კანონი სიყვარულია. სიყვარულის მეშეობით ყველა კანონი სწორად განიმარტება“ [11, 30-31].

ამ სიყვარულს კი საეკლესიო სამართლის ენაზე განგებულება (ბერიბ. Οἰκονομία, ოუს. Домостроительство) ჰქვია. აი, როგორ განმარტავენ წმინდა მამები და საეკლესიო სამართლის სპეციალისტები მას:

„განგებულება არის ქრისტიანული სულისყველებიდან გამომდინარე შესატყვიის სიყვარული, დროული და ლოგიკური გადახრა კანონთა სისტემისაგან, დოგმატური საფუძვლების შერყევის გარეშე; მიზანდ ისახავს ცხოვნებას ადამიანთა, რომელიც არსებობენ ეკლესიაში, ან მის ფარგლებს გარეთ...“ ამიტომაც ეკლესია ქმედებისას ხელმძღვანელობს ორი გზით – სისტემის დაცვით და განგებულებით.“ [7, 55].

ერთი სიტყვით, განგებულების მეშევრობით დასაშვებია კანონიდან გადახრა, მაგრამ დაცული უნდა იყოს ამ კანონის ძირითადი მიზანი. ხოლო ვინაიდან განგებულებით მიიღწევა ადამიანის ცხოვნებაც, რაც სისტემის მიზანსაც წარმოადგენს, ამიტომ სისტემა და განგებულება საეკლესიო მსახურებისა და უფლებამოსილების ორ, თანაბარი უფლების ინსტიტუტად განიხილება. მათ ხმირად ერთი მონეტის ორ მხარეს ადარებენ. ეკლესია უფრო მაღლა აყენებს მიზანს, ანუ ადამიანთა

ცხოვნების საყითხს, – ამიტომ მას აქვს უფლებამოსილება გამოიყენოს ინსტიტუტი, ისე რომ არ შეარყიოს ეკლესიის საიდუმლო.

ბუნებრივია, ყოველ ჩენგანში იბადება კითხვა: „გრამშიანი ემართლებს საშუალებას?“

ამ შემთხვევაში თეოლოგები ასეთ პასუხს გვცემენ: „განგებულება არ წარმოადგენს საშუალებას, იგი მაცხოვნებელი „ზომის განხორციელებაა.“ ეს არის ინსტიტუტი, რომელიც გარუვეული პრინციპების საფუძველზე არსებობს და მოქმედებს, ხოლო ეს პრინციპები არის სახარებისეული, კანონიგური და ლოგიგური საფუძვლები. ამიტომაც, თეოდორე სტუდიელის თანახმად, „შესაბამისი საეკლესიო ორგანო განგებულებას ახორციელებს, „დროდადრო და გარუვეულ მიშენთა გამო“.

„საეკლესიო განგებულება არის გაგრძელება და მიბაძვა ღვთაებრივი განგებულებისა, ღვთაებრივი კაცომოვეარეობისა და განკაცებისა. თავად ღმერთმა „წარმოიცალიერა თავი თვისი“, „მოღრივნა ცანი“ და „გარდამოვდა ქუეყანასა ზედა“, რათა ებსნა ადამიანის მოღვამა. განკაცებულმა ქრისტემ კი გვიბრძანა ამგვარი მიბაძვისაკვენ: „იყვენით თქუნ მოწყალე, ვითარცა მამად თქუნით მოწყალე არს“ (ლვ. 6, 36) [7, 60].

ამიტომაც საეკლესიო „განგებულების“ ამოქმედება მხოლოდ შესაბამის საეკლესიო ორგანოს შეუძლია; დადგენილია აგრეთვე ის კრისტერიუმები, თუ რა შემთხვევაში შეიძლება მიმართოს ეკლესიამ ამ ჭიას. ჩვენ, რა თქმა უნდა, კველა კრისტერიუმს ვერ ჩამოვთვლით, ეს ძალიან ვრცელი და სერიოზული საყითხია, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ „განგებულებით“ სარგებლობები მაშინაც, როდესაც ეკლესიის ერთიანობის დაცვაა საჭირო. როდესაც ეკლესიაში თავს იჩენს ერესი, სქიზმა, ფატრია, კიდეშესაცრებლობა და სხვა, მაშინ ეკლესია და საზოგადოება ერთიანი ძალით მოქმედებს, რომ დააბრუნოს კათოლიკე ეკლესიის წიაღმი განდგომილნი. ამით აისხნება ის ფაქტიც, თუ რატომ არის ეკლესიის ქმედება ზოგჯერ ძალიან ლმობიერი და ზოგჯერ მეტისმეტად მყაცრი სხვა დოგმის აღმსარებელთა მასში შემოყვანის, ან მათი განკვეთის დროს; იმიტომ, რომ „განგებულება“ მხოლოდ პატიება არ არის, არამედ ზოგჯერ მყაცრი სასჯელის დადებაცაა, ისევ და ისევ ქრისტიანული სიყვარულიდან გამომდინარე. ასე მაგ.: როდესაც ავადმყოფს ნება ეძლევა არ იმარხულოს ოთხშაბათს და პარასკევს, ეს საეკლესიო განგებულებით აისხნება, მაგრამ თუკი ეკლესია ვინმეს არასამარხვო დღეებშიც დაუდგენს მარვას, ისიც სა-

ეკლესიონ განგებულებაა, რაღვან ამ სიმეაცრით, ცოდვის გამოსყიდვის ფასად, მას ცხოვნებისაკენ უკვალავს ქასა.

ცხადია, „განგებულების“ არსის სრული განმარტება ატჰატრატ წერილით შეუძლებელია და, რაც მთავარია, ჩვენს მიმანქ ზრდაშიც არ გვიმოადგენ გენების ჩვენს აკითხები მარტივი მიზეზის გამო გავამახვილეთ ფურადღება, რათა გვეჩვენებინა, რომ სჯულისკანონით მოქმედება არც ისე აღვიღლია, როგორც ეს ჩვენს მექანიზე ბერებს, მორჩილებს და, შესაბამისად, მათ მრევლს პერნია. იმპერიული ძალები მათ სპეციალურად ამახვილებინებენ ფურადღებას სჯულისკანონის ზოგიერთ მუხლზე, ამ შეით კი საზოგადოებაში გაურკვევლობას და პანიკას თესავენ, რაღვან ამღვრუელ წყალში თევზი უკეთესი დასაჭერია.

როგორც პოლიტიკური ვითარება მძაფრდება, როგორც წესი, სულიერი და იდეოლოგიური საკითხებიც მწვავდება. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია ის ვნებათაღელვა, რაც ჩვენს ქვეყანაში ტრიალებს. იმისათვის, რომ სწორად გავაანალიზოთ დღევანდელი სიტუაცია, ურიგო არ იქნება ხშირად გადავაკლოთ თვალი 1918-1921 წლებს, როდესაც საქართველომ ხანმოულე დამოუკიდებლობა მოიპოვა. მე არ შეგვაწყენთ თავს საზოგადოებისათვის მეტ-ნაცილებად ცნობილი პარალელების გავლებით. კვლავ ბერძნელ მასალას მოვუნდობ და შევაცდები დაგანახოთ ის სურათი, რაც გარუშე თვალმა შენიშნა მაშინ, და რაში დაინახა გამოსავალი:

1919 წლს ტრაპიზონის მიტროპოლიტი ქრისანთონი თბილისს ეწვია. იმ მთავარ მისახათან ერთად, რაც მას სომხეთში უნდა განხეორციელებინა, მსოფლიო საპატრიარქოსაგან საგანგებო დავალებაც ჰქონია, რომ შეესწავლა მდგრადრეობა საქართველოს კელებისა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინა აღადგინა თავისი ავტოკუფიზალია. მიტროპოლიტი თავის მეტარებში წერს: „არაერთგზის ვეწვევ საეკლესიო წრეებს და მსოფლიო საპატრიარქოს ვრცელი მოსხენებითი ბარათი მიეწერ, რომელშიც მხარი დაუკირე საქართველოს ეკლესის ავტოკუფიზალის აღდგენას...“

მიეწერ, აგრეთვე, სინოდს, რომ აუცილებელია დავიცვათ ისინი ქათოლიკური ეკლესიის პროპაგანდის ქსელისაგან, რომელიც ფართოდაა გაშლილი და ამის გამო მოვითხოვე, რომ საქართველოს ეკლესიას განეახლებინა მჭიდრო კავშირი მსოფლიო საპატრიარქოსთან“ [8, 272].

იმ წლებში კათოლიკურ სამყაროსთან მტრული დამოუკიდებულება გრძელდებოდა, არ იყო დაწყებული დიალოგი (დიალოგი დაიწყო 60-იან

წლებში), არ არსებობდა შეთანხმება პროსელიტიზმის კურძალვის შესახებ. კათოლიკები, როგორც ჩანს, ცდილობდნენ სათავისოდ გამოიყენებინათ არსებული სიტუაცია. მართლმადიდებელი მღვდელმთავარი კი, არსებული პოლიტიკური და რელიგიური მოვლენების ფონზე, ცდილობდა გამოენახა გზები, რომელნიც მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცებას დაეხმარებოდა:

„1917 წლის 14 ივნისს რუსეთის ეკლესიაში სახელდახელო კანონი გამოისცა კავკასიაში რუსული ეკლესიის მმართველობის საყითხებთან დაკავშირებით, – წერს მიტროპოლიტი ქრისანთოსი, – თბილისში თავის წარმომადგენლად ჰყავს ელისაბეტოპოლისის ეპისკოპოსი თეოფილაქტე, რომლის იურისდიქციაშიც შედიან კავკასიაში მცხოვრები მართლმადიდებელი რუსები და ყველა სხვა, ვისაც კი ამის სურვილი აქვს. ამგარად, ამ გეოგრაფიულ არეალში ანტიყანონიკურად მოქმედებს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეროვნული ეკლესია.

ჩემი მოყრიძალებული აჩრია, რომ უპირატესობის მქონე კონსტანტინებოლის ეკლესიის სერიოზული, შემრიგებლური ჩარევა, რაც ისტორიის მანძილზე, ასეთ ექსტრემალურ სიტუაციებში შედეგიანი აღმოჩნდა რუსეთის ეკლესიისა და საქართველოს ეკლესიისათვის, მოაწესრიგებს ამ გაუგებრობას და დაარწმუნებს რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდს, სცნოს საქართველოს ეკლესიის აღდგენა იმ აღგიღზე, რაც მას ასი წლის წინ გააჩნდა, ვითარცა ავტოკეფალურ ეკლესიას. თუკი ამეგამადაც ორივე მხრიდან იარსებებს ეს კეთილი სურვილი, ასეთ შემთხვევაში მორწმუნე ქართველი ერი აღდგება იგივე სახელმწიფოებრივ სტატუსით. ამ გზით კი, დაცული იქნება ყოველგვარი გადახრებისაგან მართლმადიდებელი საეკლესიო სტრუქტურა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ამ მეტად კრიზისულ და როგორ პერიოდში, როდესაც მრავალთა ხაფანგთა შორის მივიყვლევთ გზას და წვეტიან ქვებზე დავაბიჯებთ, ავის მოსურნენი მრავალნი და მრავალგან გვყავს, კეთილის მსურველი კი არსად ჩანან, ან ძალიან ცოტანი არიან“ [13, 306].

როგორც ხედავთ, ესოდენ ხანძოულე რომ არ აღმოჩენილიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაშინ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საყითხი ამ რამდენიმე წლის წინ კი არა, 20-იან წლებში გადაწყვდებოდა. იმ მარტივი მიზეზის გამო გადაწყდებოდა, რომ მართლმადიდებლობა ერთიანი ძალით აღდგომოდა წინ საერთო მტერს – განსხვავებული დოგმის წარმომადგენლები იქნებოდნენ ისინი, თუ რომელიმე სექტა.

აქედან გამომდინარე, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიებთან-კავშირის გაწყვეტის ვსაუბრობთ და ამას მოვუწოდებთ ეკლესიას და ერს, ვფიქრობ, უფრო მეტი დაფიქრება გვმართებს. საქართველოს ეკლესიას და ერს ის ადგილი მართლმადიდებელი ეკლესიების ძმურ უჯახშია და არ ეს სადღაც განმარტოებული და ყველასგან მოწყვეტილი.

1997 წლის ოქტომბერი.

ხარარე. 1998 წლის დეკემბერი.

VIII მათხოვი ასამაღება

ზიმბაბვეს დედაქალაქ ქარარეში ჩატარდა კუმენური მოძრაობის VIII ასამბლეა დევიზით: „ერთად ვიაროთ დმრთისაცენ მიმავალ გზაშე“. იგი მსოფლიო კულტურისათა საბჭოს დაარსების 50-ე წლისთავს მიეღდენა. გრაცის ასამბლეასთან შედარებით, მასში გაცილებით უფრო მეტმა ქრისტიანული მიმდევრობის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა და თემატიკის თვალსაზრისითაც უფრო მრავალფერო იყო ეს სხდომები.

მე არ შევუდგები ამ სხდომათა და იქ მომხდარი ამბების დაწვრილებით აღწერას იმ მარტივი მისწების გამო, რომ გარევეულწილად, ეს მოვლენები გრაცის ასამბლეისას ჰკავდა. ჩემი კურადღება აქ სულ სხვა რამემ მიიპყრო, მაგრამ ის კი მინდა გითხრათ, რომ ასამბლეის მონაწილენი, როგორც კი ჩემს სამკერდე ბარათშე „GEORGIA“-ს შენიშნავდნენ, მაშინვე ამას მეკითხებოდნენ: მაინც რატომ არ გინდათ ქართველებს ჩენთან ერთად ყოფნაო. მე კი დავიდალუ იმის ასწინით, რომ ქართველები სულაც არა ვართ უთვისტოობა და სხვათა მოძულე ხალხი. მადლობა დმტრის, ამ ასამბლეას დაესწრო მამა ბასილი (კობახიძე). მას საშუალება მიეცა სიტყვით გამოსულიყო, განემარტა ის მისწები, თუ რატომ გამოვიდა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან საქართველოს ეკლესია. ასამბლეა, როგორც გითხარით, დაქმთხვა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს 50-ე წლისთავს, ამიტომაც ბოლო სხდომაშე აჩვენეს დოკუმენტური ფილმი საბჭოს 50 წლის მოღვაწეობის შესახებ. კადრებში რამდენჯერმე გამოჩნდა მისი უწმინდესობა და უნეტარესობა საქართველოს ქათოლიკოს პატრიარქი ილია II, ვინაიდან იგი წლების მანძილზე ამ საბჭოს ერთ-ერთი პრეზიდენტი იყო. დარბაზი მქუჩარე ტამით ხვდებოდა ყოველ მის გამოჩენას ეკრანზე. გამოთქვეს იმედი, რომ როდესაც ქართველი ხალხი გაერტყვნება სიმართლეში, ეკლესია და ერთ კვლავ განავრმობს მეგობრულ თანამშრომლობას მსოფლიოს მნიშვნელოვან საეკლესიო ორგანიზაციებში სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ერთად. ამის მომხრეა მართლმადიდებელი ეკლესიებიც. მათ

მიაჩნიათ, რომ ან ყველა ერთად უნდა გამოვიდეს ასეთი ორგანიზაციებიდან, ან ყველანი ერთად თანამშრომლობდნენ მათთან.

სხდომები ჩატარდა ზიმბაბევს უნივერსიტეტში. ეს კრისტენ უზარი მაზარი საუნივერსიტეტი კოპპლექსი, რომელშიც სპეციალური გეგმის გარეშე აღამიანი გზასაც ვერ გაიგნებს. ყველა ფაკულტეტიც ცალკე კორპუსი აქვს. ამ კორპუსების მახლობლად არის განლაგებული ამ ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები. სტუდენტური ქალაქი ყველა აუცილებელი კომპონენტითა აღჭურვილი. აქ არის უზარმაზარი სხდომათა დარბაზები დიდი ფორუმების ჩასატარებლად. ყოველი ფაკულტეტის კორპუსს აქვს თავისი მცირე დარბაზი. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არის დიდი და მცირე სპორტული მოედნები, შესანიშნავი წიგნების, სასურსათო და საყოფაცხოვრებო მაღაზიები, სასადილოები, საბანკო ფილიალი, ფოსტა, საპარიფაზერო. ერთი სიტყვით, იქ მცხოვრებთ ამ ქალაქიდან გასვლა არც კი სჭირდებათ, ისე შეუძლიათ მოაგვაროს ნებისმიერი თავიანთი პრობლემა.

სტუდენტური ქალაქი ძალიან ახლოს არის ხარაუესთან, უფრო სწორად, ის ამ ქალაქის ერთ-ერთი გარეუბანია. მანქანით სულ 10 წევთის სავალია ხარაუეს ცენტრამდე. ამ ქალაქში მოხვედრილს სიხარულისაგან თავბრუ დამესხა. ზიმბაბევე ერთი წლის წინ მიერადა დამოუკიდებლობის 20 წლისთავი. წარმოვიდგინე საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ოცი წლის შემდეგ. გაგონილი მქონდა ზიმბაბევს მცხოვრებთა გასაჭირის შესახებ. იგი ხომ ე.წ. მესამე ქვეყნებს მიეკუთვნება. არა უშავს, — გავითიქრე, ამდაგარ გასაჭირს გავუძლებთ, რომელი კატეგორიის ქვეყნადაც უნდათ, იმად ჩაგვთვალონ ევროპელებმა და ამერიკელებმა. ჟავეთესის უკეთესს რა დალევს, ჩვენ დამოუკიდებლები ვიყოთ და ესეც გვეყოფა. ეს შთაბეჭდილება არ გაუნელებდა არც დედაქალაქის დათვალიერებას. ქალაქი ახალი, ეროპული ქალაქების სტანდარტზეა აშენებული. უზარმაზარი შენობები სამინისტროებისა და უწყებებისათვის, საერთაშორისო ბანკები, სასტუმროები, უნივერმაღები, უნივერსისამები... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი აღამიანს სჭირდება. ქალაქი მწვანეა, ეგზოტიკური ხეებითა და ყვავილებით გაშენებული სკევერები ამ თანამედროვე, რეინა-ბეტონითა და შუშით ნაგებ მრავალსართულიან შენობებს ხიბლს სძენენ.

სიხარული გამოირჩეცა. წარმოვიდგინე თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები ოცი წლის შემდეგ. ჩვენი ქალაქები კიდევ უფრო ღამაზები იქნება, იქ სიძველეს და ძველ ქართულ კოლორიტს შეერწყმება

ასეთი გარეუბნები, ჩვენ მსოფლიოში უღამპტესი ქალაქებიდან გვექნება, ვფიქრობდი ხარარეს ქუჩებში სიარელისას.

დავიღალე. მახლობელი სკვერისაკენ შევუხვიე. ჰადრევნეს წინ მდებარე ბერხზე ჩამოვაჯექი. თვალი მომწყვიტა უცნოურში ხელშეკრულებით, რომელთა მსგავსიც არსად მინახავს. რაღაცნაირი უზარმაშარი ფოთლებით, დაგრეხილი ტანებით, ტოტებგადაშლილი, მიწისკენ გადაწვენილი, თითქოს რაღაცას, ან ვიღაცას უნდა გადაფაროსო. წუთსაც არ გაუვლია და ძონბებით შემოსილი, ხელებგაწვდილი ზანგი ბავშვების გროვა შემომეხვია. დავიბენი. ცოტა კიდევაც შევშინდი, ზოგი ჩანთაშე მექაჩებოდა და ზოგიც ტანასაცმელშე. ჭველაშე პატარამ ხელი ჩამავლო და წამომაყენა, რაღაცისკენ მიმითობდა. იმ მხარეს გავიხედე, სკვერში ფუნთუშებითა და კამფეტებით მოვაჭრე იდგა. მივხვდი, პატარა რაღაცის ყიდვას მთხოვდა. გავუევი, ვუყიღე ფუნთუშა. ამასობაში სხვებიც შემომესივნენ. ვიყიღე კარამელის რამდენიმე შეკვრა და ბავშვებს მივაწოდე, რომ ერთმანეთში გაენაწილებინათ. ბავშვები გამზიარულდნენ, მთელს სკვერს მოეღვნენ, დარბოდნენ, იცინოდნენ, კინკლაობდნენ...

ისევ დავუბრუნდი ჩემს მერხს. პატარა გვერდით მომიჯდა და ფუნთუშას შეექცეოდა. რა ხდება, — ვფიქრობდი. საიდან გაჩნდნენ ეს ბავშვები? აღმოსავლეთის ქეყნებში მოგზაურობისას ხშირად მინახავს ბავშვების გროვა კაფეებში, ტავერნებში რომ შემოგესევიან, ან რაღაცას ყიდიან, ან ფულს გთხოვენ. ტრასაჩეც კი არიან გამოუენილნი, ლამის ბორბლებში ჩაუკიდივდნენ მანქანებს. ვარაშისხვი გამახსენდა... აქაც შემიჩნევია ასეთი ბავშვები. გუნება-განწყობა გამიფუჭდა.

ვიღაც ქალი მომიახლოვდა, პატარას ხელი ჩავლო და თან გაიყოლა. თვალი გავადევნენ. ერთ-ერთი ხის ტოტის ქვეშ შეძრნენ. ფოთლები რომ გადასწია ქალმა, დავინახე ქვაბები, ტაშტები, ნავთქურა, ძონბები... იქ თურმე იმათი სახლი იყო. ამის შემდეგ თვალი აღარ შემივლია ლამაზი და ფეხენებელური სასტუმროებისათვის. მხოლოდ ხის ძირებში ვიხედებოდი და ვცდილობდი გამეგო, ის ერთადერთი სკვერი იყო ამ უბადრეს აღამიანთა თავშესაფარი, თუ კიდევ სხვაც. აღმოჩნდა, რომ ქალაქის ყველა სკვერი დატაცების თავშესაფარია. პოლიციელები მათ არ დევნიან. უბრალოდ, სკვერში დგანან და თვალფურს ადევნებენ, რომ ზედმეტად არ შეაწუხონ მერხზე სულის მოსათქმელად ჩამომჯდარი უცხოელი, თორემ ქალაქის მდიდარმა ნაწილმა შესანიშნავად იცის, რაც ხდება ამ სკვერებში და ისინი იქ არ შედიან.

როდესაც ეს ამბავი ვუამხე ერთ იქაურ ბერძენს (ორითასასში მეტი ბერძნი ცხოვრობს ხარაუში), შეშფოთდა და ამიყრძალა ამ სკვერებში შესვლა. იქ, სადაც მე მოვხვდი, ქალაქის ცენტრალური სკვერი ყოფილა. და ამიტომ გამოვაღწიე თურმე ასე მშვიდობიანად, ქალაქში გრაფულის შემდეგ შეიძლება ჩანთა წაგლივზონ, ან რაიმე სხვა სახის უსიამოვნება შექვედს.

დეკემბრის თვე ზიმბაბვეში ზაფხულის პერიოდად ითვლება. კარგ ამინდში საყმაოდ ცხელა, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში ძალიან ხშირად წვიმს. წვიმა შეიძლება სრულიად მოულოდნელად მოვიდეს და ასევე მოულოდნელად გადაიღებს. მაგრამ თუ გაწვიმდა, ისეთი თავშემა წამოვა, რომ მე, ბათუმში დაბადებულისა და განხრდილს, მსგავსი არაფერი მინახავს. ვერანაირი ქოლგა, ვერანაირი ლაბადადა ვერ დაგიცავს. ზიმბაბვეში იყიდება კიდევაც რაღაცნაირი კრუსისებური გამჭვირვალე უზარმატარი ქოლგები, რომელიც თითქმის წელამდე ვეარავს, მაგრამ იმ თავსხმაში მაინც ვერაფერი გმველის. ზოგჯერ კი, ორი-სამი დღის განმავლობაში გადაუღებლად წვიმს, ცა მოღრუბლელია, ცრის, რაღაც მონოტრონურად, ერთნაირი ძალით წვიმს, არც მოიმატებს და არც შენელდება. აი, ამ წვიმის შემდეგ უნდა ნახოთ ეს სკვერები. ბუჩქები და სკვერის მესერი გასაშრობად გამოტანილი ძონძებით ივსება. როგორც ჩანს, ნის უზარმატარი, ბრტყელი ფოთლები ბოლომდე მაინც ვერ იფარავს პარკის ბინადართ. წვიმის დროს ძალიან ცივა. მიუხედავად აფრიკული ზაფხულისა, შალის ჯემპრითაც ვერ გათბებით, ხოლო გამოანათებს მხე თუ არა, საშინლად ცხელა. ორთქლდება მიწაზე დალვრილი წყალი და საშინელი სინესტის შეგრძნებაა. კიდევ უფრო საშინელი და სულის შემძრელი კი — ამ ადამიანების ხვედრია.

მდიდრებს გამოუნახავთ გამოსაყალი — სკვერებში არ შედიან, რომ არ იძალოს მათში ადმიანისათვის ღმერთის მიერ ნაბოძებმა სიბრალულის გრძნობამ და არ შეწუხდნენ, იმის ნაცვლად, რომ დახმარების ხელი გაუწოდონ იმ ბედერულებს. იმ წუთში ისეთი გრძნობა შეიძლება დაუუფლოს ადამიანს, რომ აღარც კაცის მოღგმისა იწამოს რამე და აღარც ღმერთის. ვის სჭირდება ეს კონფერენციები, — ვფიქრობდი, — გაუთავებლად სახარებისეულ სიყვარულშე და მშვიდობაზე ლაპარაკობენ და ნეტავ თუ იციან, როგორ უჭირს ამ ქვეყანაში ადამიანს.

აღმორთებული დაბერუნდი საუნივერსიტეტო ქალაქში და მეორე დღეს, კონფერენციის დაწყებამდე, ჩემს ნაცნობ საეკლესიო პირებს ვუსაყველურე. მათთან საუბარმა ცოტათი დამამშვიდა. როგორც მათგან გავიგე, მსოფლიო ექლესიათა საბჭო სპეციალურად აწყობს ასეთ დიდ

ფორუმებს ამგვარ ქვეყნებში, იმისათვის, რომ მასში მონაწილეობმა საყუთარი თვალით დაინახონ, თუ რას ნიშნავს გაჭირვება, ხოლო შემოსავალი, რომელიც ასეთ დიდ ფორუმებს შეაქვს ქვეყნის ბიუჯეტში, გაჭირვებულ ქვეყანას მოხმარდეს. მათი გააჩვარიშებით, ამ კონფერენციას ზიმბაბვესათვის ასი მიღიონი დოლარის შოტება უნდა დაეტოვებინა. გარდა ამისა, მსოფლიო კლესიათა საბჭოს განშრახული აქვს ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე საყითხი დასხას იმის შესახებ, რომ ეკროპის განვითარებულმა ქვეყნებმა მოუხსნას ამ ქვეყანას ის ვალები, რაც დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებში მისცეს სესხად და ახლა კი მათი გასტუმრება მძიმე ტკირთად აწევს ქვეყანას.

გულწე მოძებვა. არა, არ კოფილვარ მართალი; თურმე მარტო ლაპარაკიც არ ყოფილა. ბევრ ლაპარაკთან ერთად პატარა სიკეთეც თუ გაყეთდება, მაშინ მაინც აქვს გამართდება ასეთ ფორუმებს. სულ-მოუთქმელი ველოდი იმ პლენარულ სხდომას. დადგა ის ნანატრი დღეც-ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა, ბატონმა კონრად რაიხერმა დარბაზში მსხდომთ თხოვა კენჭი ეყარათ ზემოხსენებული წინადადებისათვის. მაშინვე აფრიალდა მანდატები. ყველა მომხრე აღმოჩნდა, უარი არავის განუცხადებია, მაგრამ ერთმა ნაწილმა თავი შეიკავა გარკვეული მოსახრების გამო. ვერაფერი გავიგე, რა ხდებოდა დარბაზში. ისვე გავიცდი; წუთუ შეიძლება, ქრისტიანობაზე დებდეს თავს და ასეთ კეთილშობილურ საქმეში მონაწილეობაზე კი თავს იყავებდეს, ვინც გინდა იყოს იგი, — საეკლესიო თუ საერო მოღვაწე. კულუარებში გავიგე, რაშიც იყო საქმე. საქმე იმაში ყოფილა, რომ თურმე ზიმბაბვეს პრეზიდენტ მუგაბეს საყუთარი ოქროს საბაზოები პქონია კონგოში. იმ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და სამხედრო დაბაბულობის გამო, მარტივად რომ ვთქვათ, ომის გამო, მუგაბე იძულებული გამხდარა სამხედრო ნაწილები გადაეტყორცნა ამ საბაზოების დასაცავად. სამხედროების იქ შენახვა დღეში რამდენიმე ათასი დოლარი ჯდება. თავი რომ შეივავა, იმ ჯგუფმა მოითხოვა, რომ პრეზიდენტს ასწავან-გან-მარტება მიეცა, თუ საიდან იხდის ამ თანხას და ვინ, ან რომელი ქვეყანა უწყობს ხელს მას ამ საქმეში. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, — განაცხადეს მათ, — რომ თანხები, რომელსაც ეკროპის ქვეყნები აპატიებს ზიმბაბვეს მოსახლეობას, მასვე მოხმარდება და არა პრეზიდენტის პირადი ქონების დამცველი ჯარის შენახვას.

ბოლო პლენარულ სხდომას დაესწრო პრეზიდენტი შუგაბეც. საღამოს სხდომას — ნელსონ მანდელა. პრეზიდენტმა მუგაბემ ვრცელი



„Ամերիկական պատմություններ”. Խանոսով. 1998 Եղանձնագիր.

სიტყვა წარმოთქვა და ხაზებსძით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ ფორუმებს ხალხთა დამეკობრებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში მთელს მსოფლიოში. ეკლესიათა მსოფლიო ხაბჭოს კი მაღლობა გადაუხადა იმისათვის, რომ ფორუმის წესატარებელთა ადგილად ზიმბაბვე აირჩიეს. ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ სამახსოვრო საჩუქრები (ზიმბაბველი ქალისა და მამაკაცის ორი დიდი ბიუსტი) და ასამბლეის რესოლუციები გადასცა მას. არ ვიცი, რესოლუციებსა და ქაღალდებში იმ ზემოხსენებული ჯგუფის მოთხოვნაც თუ იყო ჩართული. ვერც იმას გეტუვით, აპატიეს თუ არა ზიმბაბვეს ვალი. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შტაბი კიდევ ერთი კვირის განმავლობაში უნდა დარჩენილიყო ხარარეში საქმის ბოლომდე მისაყვანად, ასამბლეის მონაწილეებმა და დამყვირვებლებმა ჩვენს ქვეყნებს მივაშურეთ.

ეკუერული ასამბლეის მონაწილეობათვის ლოცვა სადაც დღეებში უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სახელდახელოდ დაღმულ კარავში სრულდებოდა. დასწრება სავალდებულო არ იყო. კვირა დღეს კი ყველამ თავ-თავიანთ ეკლესის მიაშერა სპეციალურად გამოყოფილი ავტობუსებით. მართლმადიდებლები ბერძნეულ ტაძარში წაგვიყვანეს. სწორედ იქ გავიცანი და დავუახლოვდი ხარარეში მცხოვრებ ბერძნებს. ისინი ძალიან გულისხმიერები აღმოჩნდნენ. სხდომის დამთავრებისას კარებთან მელოდებოდნენ, უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდი, აღარ ვიცოდი, რომელს გაყილოდი, რომლის წინადადება მიმედო. ბოლოს ისევ თვითონ გამონახეს გამოსავალი, შეთანხმდნენ ერთმანეთში და ისე დაგვამეს, რომ ყოველ საღამოს ხან ერთ ოჯახში და ხან მეორეში ვიყრიდით თავს. ამ ოჯახებში გავიცანი ხარარეში მცხოვრები სამი ინგლისელი (მათ შორის ერთი მხატვარი) და ზიმბაბვეს უნივერსიტეტის დოკუნტი ზანგი ქალი. ეს შეხვედრები და ნაცნობობა ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მათთან საუბარში ბევრ რამეში გავერცვიე, თორემ ისე, ჩემი შთაბეჭდილებები ზიმბაბვეს შესახებ გაცილებით უფრო მწირი და ზედაპირული იქნებოდა. ინგლისელმა მხატვარმა მუზეუმები დამათვალიერებინა და შეეცადა ჩემთვის იქაური ხელოვნება გაეცნო. ზანგი მეცნიერი ქალი პროფესიონალურებების წარმატებებითა დაბალ ანაზღაურებაზე და ინტელიგენციის პრობლემებზე მექანიკა. ჩვენი ამბებიც გამომიყოთა. ჩვენი პროფესიონალურ-მასწავლებლების ხელფასის რაოდენობა რომ გაიგო, ისიც კი შეიში ჩავარდა. მავრამ მე ვანუგეშე. ავტესენი, რომ ჩვენ იმით მაინც ვართ ბედნიერები, რომ ხის ძირში არავინ ცხოვრობს. ძველ წყობილებას ის სცენე მაინც ჰქონდა, რომ თუნდაც თავშესაფარი შერჩა ხალხს.

ზანგი მეცნიერისაგან ისიც გავიგე, რომ ხალის არ უყვარს
 საყუთარი მთავრობა, დღეს ისინი ნატრობენ იმ ინგლისელებს,
 რომელიც 20 წლის წინ თავიანთი ქვეყნიდან გააძვევეს საუნი-
 ვერსიტეტო კომპლექსიც და ყველა დიდი შენობა-ნაგებობა წარიცა-
 ვარგი და ნორმალურია ხარარები, მათი აშენებულია, თორებ ჩვენს
 მთავრობას და ხელისუფლებას საყუთარი ვილებისა და სასახლეების
 მეტი არაფერი აუშენებიაო. ამის დასადასტურებლად, მეორე დღეს,
 სხდომის დამთავრების შემდეგ მომავითხა და ჩემი ბერძენი მეგობრის
 მანქანით (აბა, იქაურ მეცნიერს მანქანა საიდან ექნება!) პრეზიდენტისა
 და ქალაქის მერის საცხოვრებელი სასახლეებისა და კარმიდამოს
 მახლობლად გამატარა. უნდა გითხრათ, რომ ქალაქის მერს უჯობნია
 მუგაბესათვის. უზარმაშარ ქოში, უფრო სწორად კარმიდამოში, ჩვენი
 მთავრობის სასახლის მსგავსი სკეტებიანი სასახლე დგას. სიდიდით მასზე
 ოდნავ პატარაა, პარლამენტის, ანუ „იმელის“ შენობაშე დიდი. იმ ქოში
 ზუსტად ისეთივე, სკეტებიანი, შედარებით პატარა ზომის, ორსართუ-
 ლიანი სასახლე დგას მომსახურე პირთათვის, ანუ პირადი დაცვისათვის.
 სასახლე ახალია, მერი ჯერ არ იყო შესახლებული შიგ. ქოშს აპირ-
 კეთებდნენ, ყვავილებს რგვდნენ ზანგი ქალები. ოცი წლის დამოუკიდებ-
 ლობის მანძილზე ეს რიგით მესამე მერი ყოფილა. შარმან დაუნიშნავთ
 ამ თანამდებობას. პირველი მერი ბერძენი ყოფილა. მე მის ოჯახშიც
 მოვხვდი. ჩემს მიერ უკვე აღწერილ სასახლეს ვერ შეედრება მისი
 საცხოვრებელი, მაგრამ საყმაოდ ლამაზად და ძლიდრელად გამოიყუ-
 რება. ახლა იგი პენსიონერია. მის ოჯახში მუგაბეს კულტია, ვერც კი
 წარმოუდგენიათ სხვა ვინმე პრეზიდენტად.

პრეზიდენტის სასახლეს ვერ აღვიწერთ. მის მახლობლად მანქანებმა
 ძალიან სწრაფად უნდა ჩაიქროლონ, შეყოვნება არ შეიძლება. მანქანის
 შეყოვნება არ შეიძლება ტრასტეც კი, თუკი იქ პრეზიდენტმა უნდა გაია-
 როს. ჩემმა ნაცნობმა ბერძენმა ქალმა ერთი ასეთი ამბავი მიამბო. ერთხელ
 დილით თურმე ეკლესიაში მიდიოდა, უცებ მანქანა ჩაუქრა და ველარ
 ძრავდა. მივვარდი პოლიციელს და დახმარება ვთხოვეო. პოლიციელმა
 მანქანა ვერ დაძრა, მაგრამ სასწრაფოდ გამოიძახა ახლომახლო მდგომი
 პოლიციელები, ხელი სტაცეს მანქანას და ფეხით მოსიარულეთა სავალ
 ნაწილზე გადაიტანეს სასწრაფოდ, მაშველის გამოძახების დრო აღარ იყო,
 სულ რაღაც ზუთ-ათ წუთში პრეზიდენტის ესკორტს უნდა ჩამოევლო.
 მე კი ამასობაში სიცოცხლე გავათავეო, რადგან რაშდენიმე წლის წინ
 ასეთ შემთხვევას უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა. თუ დროზე არ

მოისაზრე, მანქანიდან არ გადმოხვედი და პოლიციას არ სთხოვდახმარება, იქვე ჩაგდლავენ, შენსავე მანქანაში, თვალის დაუხამძამებლად. კიდევ კარგი, რომ აქაურებმა ყველამ ვიცით, თურთველ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში. იმ უბედური შემთხვევის შემდეგ წმინდა შეგვახსენებენ ხოლმეო ტელევიზიით ჩვენს მოვალეობას.

ზომბაბვეს გარეუბნები რო ნაწილადაა გაყოფილი: მდიდართა და ღარიბთა უბნებად. საშუალო ფენა ზიმბაბვეში არ არსებოს, ამიტომ არც ასეთი უბანი არსებობს. შემოვიარეთ თუ არა ამ ეჭიოტისურ სიმწვანეში ჩაფლული ვილების კვარტალი, ღარიბთა უბნებისაკენ წამიყვანეს. აქ „ხრუშჩინვეკის“ ტიპის, გაცილებით უფრო უბადრუკი, უაივნო და ოთხუთხა შენობებია ჩამწყრივებული. სახლები ერთმანეთთან იმდენად ახლოსაა აშენებული, რომ ერთი ხის ჩასარგველი აღილიც კი არ დაუტოვებიათ, რაც კიდევ უფრო უსახურსა და გულისმომტკლელს ხდის იქაურობას.

ჩემმა მასპინძლებმა გადაწყვიტეს, ბოლო დღეს ნაყრძალიც ეჩვენებინათ ჩემთვის. ზიმბაბველები ძალიან ამაყობენ ამ ნაყრძალით. როგორც კი გასცდები ქალაქს და ცენტრალური ტრასით ცნობილი ნაყრძალისაკენ მიემართები, სულ უფრო მცირდება კორპუსებისა და ბარაკების რაოდენობა და მერე ისლის ქოხები ჩნდება. ნაყრძალის აღწერას მე არ შევუდგები. ტელევიზიის საშუალებით ის, ალბათ, ყველას უნახავს. ერთი კი ცხადია, მხეცებზე მეტი იქ ჯაპებით მოსეირნე უცხოელები არიან. მხეცები ისე არიან შეჩვეული აღამიანებისა და მანქანების სეირნობას, რომ არავითარი რეაქცია აღარ აქვთ.

ათიოდე წლის წინ ისე დაძაბულა ურთიერთობა ზომბაბვეში მცხოვრებ თეთრყანიანებსა და ზანგებს შორის, რომ ინგლისელებს ერთიანად მიუტოვებიათ იქაურობა, ბერძნებიც ნელ-ნელა მიდიან. მათ მხოლოდ ეკონომიკური მხარე აჩერებთ. სახლებს ვერ ყიდიან სასურველ ფასად. იმით, რასაც ისინი თავიანთ ვილებში აიღებენ, საბერძნეთში სამოთახიან ბინასაც ვერ იყიდიან. არადა, ბერძნთა მესამე თაობა ცხოვრობს უკვე იქ. მთელი მათი ავლადიდება, ასი წლის ნაშრომ-ნაჯაფი რო და სამოთახიან ბინებში გასაცვლელად არ ემეტებათ. ამას ისიც დაემატა, რომ ნელ-ნელა ვითარებაც შეიცვალა. ზანგები თეთრყანიანებს აღარ ერჩიან. ახლა ისინი ახალი კოლონისატორების, ელვისესწრავესად გამდიდრებული სკუთარი თანამოძმებების წინააღმდეგ არიან ამხედრებულნი, რომელნიც მათ თეთრყანიანებზე მეტად ჩაგრავენ.

ასეთია ზიმბაბვე დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ოცი წლის
შემდეგ. ხომ არ გენიშებათ რაიმე?

ტრანსლატ

P.S. კი, მაგრამ ეკლესია რა შუაშია, მას რა/შეუძლიას/ეს მეტყვეთ.

ეკლესიას ის შეუძლია, რომ იმ ახლადგამოცხვარ მაგნატებს ხალხშე ზრუნვა დაკაიისროს. ხშირ-ხშირად შეასხნოს მათ საყუთარი ქვეყნისა და, რაც მთავარია, ხალხის სიყვარული. თორემ რა ხდება?! საქართველოში ყველას უყვარს საქართველო. თითქოს ყველა ერთიანად საქართველოსთვის ზრუნავს და მას იფიცებს, ადამიანი კი არავის ახსოვს. რას წარმოადგენს საქართველო მისი მოსახლეობის გარეშე?!

ამ ბოლო დროს, ამ გაფირვებაში არა ერთი ეკლესია აშენდა და ეს მართლაც მისასაღმებელია. მაგრამ ისე არ მოხდეს, რომ ცარიელი ტაძრები დაგვრჩეს ბოლოს, ჩვენი მორწმუნენი კი სხვებმა გადაიბირონ.

გამდიდრუბულ კაცს სახელის უძვალესის უინიც მოერევა. ამი-
ტომაც ტაძრების მშენებლობას მიპყოფენ ხოლმე ხელს, რომ რომე-
ლიღაც ქვაჩე, თარიღთან ერთად, საყუთარი გვარიც ამოტვიფრონ, თან
ცოდვებიც მოინანიონ (დიდი ფულის შოვნა დიდი ცოდვების საფასუ-
რია) და სიმშეიდე მოიპოვონ. ეკლესია არის ის ორგანო, რომელსაც
შეუძლია შეასხნოს მათ, რომ ყველაზე დიდი ტაძარი ადამიანია, მისი
სულიერი და ფიზიკური გადარჩენა რომ ღმერთისთვის გაწეული ყვე-
ლაზე დიდი სამსახურია, თორემ ზიმბაბვეს ყოფა არ აგვიდება.

„მართლმადიდებლობის დამცველი მამები“ ხშირად მიმართავენ სჯულის კანონს. ამა თუ იმ ქრების კანონებს მოიხმოებ თავიანთი საქცი-
ელის გასამართლებლად და ამით საზოგადოებას აბნევენ. მე კი
მოვუწოდებ მათ, თავიანთი ძალა და ენერგია, ისევ სჯულის კანონზე
დაყრდნობით, სულ სხვაგან მიმართონ. იქნებ შეასხნონ მავანთ და მავანთ
გრიგოლ ნეკუსარიელი ეპისკოპოსის კანონიური ეპისტოლე:

.... ბარბაროსთა დამარბეცველი შემოსევებისა და ისეთი განწი-
რულობის დროს, როდესაც ყოველმხრივ თავში ცემასა და კოდებაში
არიან და ყველა ვაებითაა სავსე, ამ დამღუპველი დროის თავის სასარ-
გებლოდ გამოყენება და ქონების მოხვეჭა არის უღვთო და ღმერთის
გამამწარუბელი კაცთა დამახასიათებელი, რომლებიც უკიდურეს უღ-
მერთობამდე არიან მისულნი. ასეთები შეჩენებით განქიქებულ უნდა
იქნან, რომ მათი საქციელით გამოწვეული რისხვა მთელ ერს არ და-
ატყდეს თავს. პირველად უნდა დაისაჯონ ხელისუფლების მქონენი და

ასეთი საქმის მოქმედ კაცთა წინამძღვრლნი, რადგან მეშინია, როგორც
წერილი ამბობს „ვაი თუ, წარწყმდეს მართალი უღვთოსთან ერთად“
(შესაქ. 18,23)...

ურაზენები

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მიმოიხედეთ მაშაწულეულების
რიტი მართლმადიდებლობის დამცველნო“, და თქვენც, ეკლესის
წიაღში დარჩენილებო, მიმოიხედეთ ყველამ ერთად და ნახეთ თბილისში
რამდენი კაზინოა. შემოდინარ თუ არა თბილისში, დასავლეთის მხრიდან,
გაგარინის მოედანზე კაზინოა, დავით აღმაშენებლის გამზირზე –
„კაზინო იმპერიალი“, სასტუმრო ივერიაში, სადაც ლტოლვილებს
თავშესაფარი გამოიყევს, კაზინოა, რესთაველის პროსპექტზე კაზინოა
და ვინ მოთვლის კიდევ, აღაბთ, სხვაგანაც არის. მე ამათ ვახსენებ,
რადგან ისინი ქალაქის ყველაზე ცენტრალურ რაიონებში მდებარეობენ.
ეს არის საქართველოს მომავალი? ამას ჰქვია კულტურული ერი?
ამისთვის იძროდა ჩენი ხალხი? ასეთი თავისუფლებისათვის?

დამერწუნეთ, რომ ევროპის ქვეყნების ვერც ერთ დედაქალაქში ვერ
ნახავთ კაზინოს ქალაქის ცენტრალურ პროსპექტსა და მოედანზე. ასეთი
რამ ხარარეშიც კი არ მინახავს. კი, ბატონო, ევროპაში არის კაზინოები,
მაგრამ სადღაც ქალაქიდან მოშორებულ, განმარტოებულ ადგილებში,
ასობით კილომეტრი მანქანით უნდა იაროთ, რომ კაზინომდე მიაღწიოთ.
ნუთუ არ მოგვრავთ ფური, რამდენი ადამიანი გაუბედურდა საქართვე-
ლოში ამ დაწესებულებების გამო. ნუთუ არ გაგიგიათ თუნდაც გაშეთ
„ახალი საქართველოს“ ბედი. ამ გაშეთის მთელი ფული ხომ კაზინოში
იქნა წაგებული. გაშეთი ისე დაიხურა, რომ უურალისტებს კუთვნილი
ჰონირარებიც კი არ აუღიათ, ასობით ფურნალისტი უსამსახუროდ
დარჩა და ახლა მე მათ სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების წინ ვხედავ, ისევ
უცხოეთის მედიდი აქვთ, იქნებ იქ მაინც ფინიკური შრომით იმოვონ ლუკა-
პური. ამ ფულის წამგები კი დღეს ტელევიზიით გამოდის და ილა ჭავ-
ჭავაძის ღვაწლსა და დამსახურებაშე გვესაუბრება. რატომ არ იღებთ ხმას
ამ ბოროტების ბუდის წინააღმდეგ? რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს ერთი
მუჭა ქართველ ხალხს ამდენმა კაზინოებმა? იქნებ მეშლება და კაზინო
მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცების ერთ-ერთი
საშუალებაა? მაგრამ თუკი მე მეშლება, და ეს არ არის ეკლესის საქმე,
მამინ რატომ ატეხა საქვეყნო განგაში მიტროპოლიტმა იუსტინიანოსმა
საბერძნეთ-ალბანეთის სამხლვარშე ახლადგახსნილი კაზინოს წინააღმდეგ?

ნუთუ ვერ ხედებით, რომ ეკლესის დღეს გაცილებით უფრო მეტი
საბერძნავი აქვს, ვიდრე ოდესშე ჰქონდა? ნუთუ ამას მტკიცება უნდა,

რომ ძალა ერთობაშია და დღეს ეკლესიას გახლეჩა და დასუსტება უარა, მხარში ამოღვომა და გაძლიერება სჭირდება. მის წიაღმი უნდა გაერთიანდეს მთელი ქართველი ერი, ყოველი კეთილი წებრის აზღმდანი და ერთიანი ძალით შეეჭიდოს იმ გლობალურ, თუნდაც ყოფილ პროცეს ლემებს, რომლებიც ასე დამღუპველად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის მომავალზე. სულჩე ზრუნვა, საქვეყნო საჩრუნავის გარეშე – შეუძლებელია. ჯანსაღ სულს ჯანსაღი სხეულიც (ანუ სახელმწიფო) სჭირდება. ერთი, მეორის გარეშე, ვერ მიიღწევა.

1998 წლის დეკემბერი

საეკლესიო განეთქილება და სახელმწიფო გარიობა

ეკუმენურ მოძრაობას და ქრისტიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებას იერარქებზე და ღმრთისმეტყველებზე მეტად პოლიტიკოსები ებრძვიან. „გათიშე და იბატონებს“ პრინციპი უფრო მოქმედებს ამ შემთხვევაში, ვიღრე მართლმადიდებლური სარწმუნოების ჰემარიტების დაცვა. ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს ეკლესიათა ისტორიას, ის უსათუოდ დამეთანხმება, რომ ნებისმიერ გათიშვას, სქმისას და გუცხოვებას მეტწილად პოლიტიკური მისწები დაედო საფუძვლად და სამისილ რელიგიური დოგმები და ამა თუ იმ პიროვნების ამბიციები და ეკონისტური მისწრაფებები იქნა გამოყენებული. კველა ამ მოვლენის განხილვა ძნელია, მაგრამ, მოდით, გავიხსნოთ კველის ტრაგეული შემთხვევა ქრისტიანული ეკლესიის ცხოვრებაში—მისი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მქლესიებად გაყოფა, რადგანაც ძირითადად დასავლეთის ეკლესიასთან და მისგან გამოოთხულ ქრისტიანებთან ურთიერთობის წარმართვა უქმნის „მართლმადიდებლობის დამცველთ“ პრობლემებს.

თუმცა სქიმა 1054 წელს მოხდა, მისწი მისი ორი საუკუნით ადრე ჩაისახა ქრისტიანულ ეკლესიაში. ეს მისწი ხატმბრძოლობა გახსნდათ. ჩვენ არ შეუუდგებით ხატმბრძოლობისა და მისი გამომწევევი მისწებების დაწერილებით განხილვას, რადგან ეს საკმაოდ პრობლემატური საყითხია ბისანტიის იმპერიის ისტორიაში და მასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის სხვადასხვაგვარი მოსახლება არსებობს, მაგრამ, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, სულ ორიოდე სიტყვით გავიხსნოთ ეს მოვლენები, რადგან დღევანდელ სიტუაციაში შესაძლოა, გაყვეთილად გამოგვადგეს.

ფრანგი მეცნიერის ლამბარდის გამოყვლევის თანახმად, ხატმბრძოლი იმპერატორები შეეცადნენ აღედგინათ ქრისტიანული სარწმუნოების პირვანდელი უბიშო სახე. ისინი შიშობდნენ ხატებისადმი მეტისმეტი თავივანისცემა კერათაყვანისცემაში არ გადაზრდილიყო და არ გამოეწვია მისი კვლავ გაღვივება. შევლევრის ანრით, ეს რელიგიუ-

რი რეფორმა პოლიტიკური რეფორმების პარალელურად განვითარდა, მაგრამ მას თავისი, დამოკიდებული ისტორიაც აქვს.

ფრანგი მეცნიერის ბერეს მხრით, კი ხატმბრძოლობი თუ განსხვავებულ საყითხს მოიცავს: I. – თავად ხატთაყვანტიკუმს და მისგან გამოწვეულ იმ შესაძლო უკუსვლას, რაზედაც ლამბარდი მიუთითებს და II. – რელიგიური ხელოვნების დაყანონების მცდელობას. ანუ დადგაო საყითხი იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა ხელოვნებისათვის მიემართათ, ვითარცა საშუალებისათვის, რომლის მეობებითაც უნდა გამოსახულიყო მეტაფიზიკური სამყარო, წმინდანები, ღმრთისმშობელი და თვით იესო ქრისტე. ერთი სიტყვით, საყითხს სვამს ბიზანტიურ ხელოვნებაზე ხატმბრძოლობის გაულენის შესახებ [3,321].

მეცნიერთა უმრავლესობა კი ხატმბრძოლობის გაჩენის მიზებს იმპერატორ ლეონ III-ის პოლიტიკურ ორიენტაციაში ხედავს. მიაჩნიათ, რომ ლეონ III ხატების განადგურება გადაწყვიტა იმის გამო, რომ სურდა მოესპონ ის ძირითადი ბარიერი, რაც ხელს უშლიდა ქრისტიანთა დაახლოებას იუდეველებთან და მუსლიმანებთან, რომლებიც არ სცნობდნენ ხატებს. ვინაიდნ ამ რელიგიებთან ქრისტიანობას სხვა მხრივ ყველაზე ახლო ნათესაური კავშირი აქვს (სამივე ეყრდნობა ძველ აღთქმას), იმპერატორს საშუალება მიეცემოდა ეს ქვეყნები და მათი მცხოვრებლებიც ბიზანტიის იმპერიისათვის დაექვემდებარებინა.

ამასთან ერთად, მეცნიერთა მხრით, ლეონ III-ს სურდა გამხდარიყო ერთადერთი ხელისუფალი ყველა სფეროში. იმედოვნებდა, რომ ამ რეფორმით იგი შეასუსტებდა კულტისის გავლენას ხალხშე. ამის გათვალისწინებით, უსპენსკიმ ხატმბრძოლობა იმპერიის პოლიტიკურ მიზნებს დაუკავშირა და სამონასტრო ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლად წარმოსახა [19, II, 213, 237].

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, და ამას ყველა მეცნიერი ერთსულოვნად მიარებს, რომ ხატმბრძოლობამ განხეთქილება გამოიწვია, ხოლო ამ უკანასკნელმა ბიზანტიის იმპერიის დაცემა განაპირობა.

ცნობილი ბიზანტიინოლოგების ნაშრომებშე დაყრდნობით შევეცდები, მოყლედ გიამბოთ ამ მშეოთვარე ორი საუკუნის შესახებ.

ხატების წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა ორ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი დაიწყო 726 წელს და ოფიციალურად 780 წელს VII მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევით დასრულდა. მეორე პერიოდმა 813 წლიდან 843 წლამდე გასტანა.

VIII და IX საუკუნეებში მიმდინარე ეს პროცესები არ იყო სრული ად ახალი და მოულოდნელი. საამისღვეული საფუძველი უკვე მემ-ზადებული იყო. როგორც უკვე აღვნიშვნეთ, გაჩნდა იმის შიშქარობაში მას თავისისცემი ბოლოს კერპთაყვანისცემაში არ გადაწილდებოდა უკუროცესი არ გამოიწვია. ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისში ელვი-რაში (ესპანეთი) ჩატარებულ კრებაშე ასეთი დადგენილება იქნა მიღებუ-ლი: „ეკლესიებში ხატები არ უნდა არსებობდნენ და რომ ტაძრის კედ-ლებშე არ უნდა გამოისახებოდეს ის, რასაც თაყვანს ცეკვა“¹. V საუკუნე-ში ერთმა სირიელმა გვისკოპოსმა გაიღამერა ხატების წინააღმდეგ, ხო-ლო VI საუკუნეში ანტიოქიაში და ედესაში სერიეზული არეულობა მოხ-და. მსგავსი მოვლენები VII საუკუნეშიც დასტურდება.

აღმოსავლეთის ეპარქიებში ხატების საწინააღმდეგო განწყობილე-ბის გვრცელება გარკვეულწილად იუდეველთა გავლენით აისხნება, ვი-ნაიდან მათი სარწმუნოება კრძალავს ხატებისადმი მოწიწებას და ისინი თავს ესხმოდნენ და ებრძოდნენ ყოველგვარ ასეთ გამოვლინებას. VII საუკუნის მეორე ნახევარში ასეთივე ტენდენცია ვლინდება მუსლიმა-ნების მხრიდანაც. ყურანის თანახმად, „ხატები სატანური ამასრშენო-ბაა“ და ისინი მათდამი თაყვანისცემას კერპთაყვანისმცემლობად აღიქ-ვადნენ. არაბ ხალიფას გაიზიდ II-ს საგანგებო ბრძანებაც კი გუცა, რომლის თანახმადაც, უნდა შეემუხრათ სახალიფოში არსებული ქრის-ტიანული ეკლესიების ხატები. ამიტომაც, ა. ვასილიევის მხრით, ხატ-მბრძოლობის ისტორიის შექმნავლისას მეცნიერებმა მხედველობაში უნდა იქონიონ მუსლიმანთა გავლენა აღმოსავლეთის ეპარქიებზე, და, ამასთა-ნავე, ის ფაქტიც გაითვალისწინონ, რომ ყველა ხატმბრძოლი იმპერა-ტორი წარმოშობით აღმოსავლეთიდან იყო. ლეონ III და მისი დინას-ტია ისავრიელები ანუ სირიელები იყვნენ. IX საუკუნის ხატმბრძოლ იმპერატორთაგან კი ლეონ V წარმომავლობით სომხეთიდან იყო, ხო-ლო მიხეილ II და მისი ძე თეოფილე - ფრიგიიდან. ხატთა თაყვანისცე-მის აღმდეგენები ქალები იყვნენ: ირინე, ბერძნული წარმომავლობისა, ხოლო თეოდორა მცირე მხიდარი (პაფლავონია). ხატმბრძოლ იმპერა-ტორთა აღმოსავლერი წარმომავლობა, ვასილიევის მხრით, არ შეიძ-ლება შემთხვევითი იყოს. თვით იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ისი-ნი აღმოსავლეთში დაიბადნენ, შეიძლება იმაში დაგვეხმაროს, რომ უკეთ გავაცნობიეროთ მათი მონაწილეობა ამ მოძრაობაში და ასევე ამ მოძრა-ობის რაობაში. აღმოსავლეთში დაბადებულ ხატმბრძოლ იმპერატო-რებზე დიდი გავლენა ჰქონდა მოხდენილი აღმოსავლეთის ეპარქიებში

გაბატონებულ რელიგიურ თვალსაჩრიის. ამ თვალსაჩრიისით გაიხადდნენ ისინი და მჭიდროდ დაუკავშირდნენ მას. ხოლო როდესაც იმპერატორები გახდნენ, თავიანთი თვალსაჩრიის დედაქალაქში, ჩამოიტანეს და იგი თავიანთ რელიგიურ პოლიტიკად გაიხადეს. ეს იმპერატორები, ა. ვასილიევის აზრით, არც უწმუნონი იყვნენ და არც ორთოლოგისტები, რის დამტკიცებასაც ზოგიერთი მეცნიერი შეეცადა. პირიქით, ისინი გულწრფელი ადამიანები იყვნენ და, თავიანთი თვალსაჩრიისიდან გამომდინარე, ცდილობდნენ ქრისტიანული რელიგია განეწმინდათ იმ შეცდომებისაგან, რომლის ტყვეობაშიც, მათი აზრით იმყოფებოდა და ამასთანავე, დაეცვათ იმ საფრთხისაგან, რომ ჰყებმარიტი გწიდან გადაეხვია. მეორე მხრივ კი ხატებისა და წმინდა ნაწილების თაყვანისცემას ისინი კერპთაყვანისმცელობის გადმონაშთად თვლიდნენ, რომელიც ყოველი ღონით უნდა მოშობილიყო, რათა ქრისტიანობა თავისი ძველი, უძინო სახით აღდგენილიყო.

და აი, ლეონ III-მ, იმპერატორობის მე-10 წელს, ანუ 726 წელს, მას შემდეგ, რაც გარეშე შემოტევებასა და ომებს დააღწია თავი, წმინდა ხატების წინააღმდეგ გაილაშერა. მისი ბრძანებით დაამსხვრიეს ქრისტეს ქანდაკება, რომელიც იმპერატორის სასახლის საჩემო შესახვლელის, ხალკის კარიბჭის თავზე იყო აღმართული. ამ ფაქტმა ხალხში წინააღმდეგობა გამოიწვია და მოხდა კილევაც პირველი შეტაკება. ქადაკების შემმუსვრელი იმპერატორის რწმუნებული ხალხმა მოყლა, მაგრამ სამაგიეროდ, იმპერატორი მკაცრად გაუსწორდა ქანდაკების დაცველთ. ამ შეტაკებაში დაღუპული ადამიანები ის პირველი მოწამეები გახდნენ, ვინც ხატების დასაცავად დადოთ თავი. კონსტანტინეპოლის პატრიარქი გერმანოსი და რომის პაპი გრიგორიოს II შეეწინააღმდეგენ იმპერატორის ამ ტაქტიკას, ხოლო საბერძნეთსა და ეგეოსის კუნძულებზე აჯანყებები დაიწყო ხატების დასაცავად.

730 წელს ლეონ III-მ მოიწვია კრება, რომელზედაც კიდევ ერთი ბრძანება გამოსცა ხატების წინააღმდეგ. პატრიარქი გერმანოსი არ დათანხმდა, ხელი მოეწერა ამ ბრძანებაზე, რის გამოც იგი ჩამოაშორეს საპატრიარქო ტახტს, ხოლო პატრიარქად აღსაყდრებულ იქნა ანასტასიონი, რომელიც სიამოუნებით დათანხმდა იმპერატორის სურიოლს. ქედან გამომდინარე, ხატების წინააღმდეგ უკვე არა მხოლოდ იმპერატორი იბრძოდა, არამედ ეკლესიაც, რაც ხელს აძლევდა ლეონ III-ს.

პაპმა გრიგორიოს III-მ გააგრძელა წინამორბედი პაპის კურსი; კრება მოიწვია რომში და შეაჩვენა ხატმბრძოლები, რის შედეგადაც

ცენტრალური იტალია გამოეთიშვა ბიზანტიის იმპერიას, იგორშილიანბო
ჰაპის მეთვალყურეობის ქვეშ გადავიდა და დასავლეთ ევროპის პოლი-
ტიკური ორიენტაციის სამსახურში ჩადგა. სამხრეთ იტალია ფრანგის მედი-
დევ ბიზანტიის გამგებლობაში რჩებოდა.

მისამართი

ლეონ III-ის საეკლესიო პოლიტიკა, – ხატებისა და ბერ-მონაწვე-
ბის დევნა – განავრძო მისმა შეიღმა კონსტანტინე V კოპრონიმე (741-
775), ხოლო მისი შეიღმიშვილის ლეონ IV ხაზარისის ხანმოულე მეფე-
ბისას (775-780), მიუხედავად იმისა, რომ ისიც ხატებრძოლთა მხარ-
დამჭერი იყო, გარკვეული სიმშვიდე ჩამოვარდა ბიზანტიის იმპერიაში,
ვინაიდან იგი არ იყო მტრულად განწყობილი ბერ-მონაწონთა მიმართ.
მაგრამ ამასობაში რომის ეკლესიამ ყურადღება მთლიანად დასავლეთშე
გადაიტანა; იმედოვნებდა, რომ ფრანგთა სამეფოში იპოვიდა მევობრებ-
სა და მფარველებს. და აი, VII საუკუნის ბოლოს ფრანგთა ტახტზე აკოდა
ყველაშე ცნობილი წარმომადგენელი ამ დინასტიისა, კარლოს დიდი.

800 წელს, შობის დღესასწაულზე, წმინდა პეტრეს ტაძარში პაპმა
ლეონ III-მ იმპერატორის გვირგვინით შეამტკი ტაძარში შექლმოყრილი
კარლოს დიდი. მართალია, კარლოს დიდმა მაშინ მხოლოდ ტიტული
მიიღო, მას არანაირი ძალაუფლება არ მიუღია; იგი კვლავ ფრანგებისა
და ლომბარდების მეფედ დარჩა, მაგრამ, ისტორიკოსთა უმრავლესობის
აზრით, სწორედ მაშინ გაიყო ბიზანტიის იმპერია ორ ნაწილად – აღმო-
სავლეთისა და დასავლეთის იმპერიებად.

ეპოქის მნიშვნელიდან გამომდინარე, წარმოუდგენელი იყო ორი იმ-
პერიის არსებობა. ვერც პაპს და ვერც კარლოს დიდს იმ დროს ვერ წარ-
მოუდგინათ იმპერიის გაყოფის შესაძლებლობა. კარლოს დიდი დარწმუ-
ნებული იყო, რომ იგი გახდა აბისილუტური მონარქი და ერთიანი რომის
იმპერიის გამგრძელებელი და ამიტომაც იგი სხვადასხვა გზას მიმარ-
თავდა თავის დასამკიდრებლად*. პაპმა კი ამ ქმედებით რომს იმპერა-
ტორის არჩევის უფლება დაუბრუნა [3,338].

ერთი სიტყვით, ხატებრძოლობა გახდა მიზეზი რომსა და კონს-
ტანტინეპოლის შორის ურთიერთობის გაფუჭებისა, რაც IX საუკუ-
ნის II ნახევარში, მიხეილ III-ის მეფებისას, პაპსა და კონსტანტინე-
პოლის პატრიარქს შორის განხეთქილებით დასრულდა. ამას ხელი

* კარლოს დიდმა ჯერ თავისი ასულისა და კონსტანტინე V-ის ქარჩენების საყითხი
დაავრცელდა წესრიგში, ხოლო მას შემცემა, რაც დედოფლისა ირინემ (ლეონ IV-ის ქვრივი)
კონსტანტინე ჩამოაგდო ტახტიდან, თავად ირინეს სთხოვა ხელი. მაგრამ ამასობაში ირინე
თავად ჩამოაგდის ტახტიდან და მონასტერში განწესება.

შეუწყო აგრეთვე პატრიარქების – ფოტიოსსა და იგნატიოსს შორის მეტებულმა შუღლმა და უთანხმოებამ.

ტრიუმფი

იგნატიოსი ცნობილი იყო, როგორც დიდი ხატონებუნესმიცემელი, მაგრამ იგი გადაყენებულ იქნა იმპერატორის მიერ, რათა ტახტზე ასულიყო ფოტიოსი, უგანათლებულესი პიროვნება იმ ეპოქისა. ამ ფაქტმა ხალხის ორ ხაწილად გათიშვა გამოიწვია. ერთი მხარს უჭერდნენ ფოტიოსი, ხოლო მეორენი – იგნატიოსის. ერთი პატრიარქი ანათემას გადასცემდა ძეორებს. ვითარება ისე დაიძაბა, რომ იმპერატორი მიხეილ III იმულებული გახდა, კრება მოეწვია. პაპი ნიკოლოზ I იგნატიოს უჭერდა მხარს. კრებას თავად მაინც არ დაესწრო, წარმომადგენლები კი გააგზავნა. წარმომადგენლებმა, პაპის სურვილის მიუხედავად, ზეწოლის გამო, ფოტიოსის აღსაყიდვებას დაუჭირებს მხარი.

კონსტანტინეპოლის კრების საწინაღმდევოდ პაპმა რომში მოიწვია კრება, რომელზედაც შეაჩენა ფოტიოსი და იგნატიოსის დაუჭირა მხარი. იმპერატორმა მიხეილ III-მ უგულებელყო ეს კრება. მიხეილ III-ის სიკვდილის შემდეგ კი, 867 წელს კვლავ იქნა მოწვეული კონსტანტინეპოლში კრება, რომელმაც დაადანაშაულა პაპი მრჩამსში Filioque-ს⁷ შეტანისა და კონსტანტინეპოლის ეკლესიაში ჩარევის გამო. პაპმა და პატრიარქმა კვლავ შეაჩენენ ერთმანეთი, რამაც ეკლესიის გათიშვა გამოიწვია.

მიხეილ III-ის სიკვდილის შემდეგ კვლავ შეიცვალა სიტუაცია, რადგანაც იმპერატორმა ბასილი I-მა გადაყენა პატრიარქი ფოტიოსი და იგნატიოსი აღადგინა. ამ ქმედებით ბასილი I შეეცადა გაემყარებინა თავისი პოზიციები იმპერიის ტახტზე, რომელიც, არსებითად, მას არ ეკუთხოდა. იგი იმედოვნებდა, რომ ერთი მხრივ მშვიდობას დაამყრებდა პაპთან, ხოლო მეორე მხრივ, ხალხის გულს მოიგებდა, რადგანაც უმრავლესობა იგნატიოსს უჭერდა მხარს. 869 წელს მოწვეული იქნა საეკლესიო კრებები ჯერ რომში, მოგვიანებით კი კონსტანტინეპოლში, რომელსაც პაპის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ამ კრებებზე შეჩენებული იქნა ფოტიოსი და მისი მომხრეები. 869 წლის კონსტანტინეპოლის კრება დასავლეთის ეკლესიაში მსოფლიო კრებად აღიარა.

მაგრამ ტახტიდან გადაყენებული ფოტიოსი სულ უფრო მეტად იგებდა ხალხის გულს. დროთა განმავლობაში იმპერატორი მიხედა, რომ დიდი შეცდომა დაუშვა და ამ შეცდომის გამოსწორებას შეეცადა. მან ჯერ

თავისი შვილების აღმზრდელად სასახლეში მიიწვია ფოტიონი, ხოლო იგნატიონის გარდაცვალების შემდეგ, კვლავ შესთავისა მას საპატიო არქოტისტი, და ამგვარად, კვლავ დაიწყო დაძაბულობა რომის ჰაპთან.

879 წელს კონსტანტინეპოლში კვლავ მოიწვიეს კრება, რომელიც ერთი ბიბანტიცელი ისტორიკოსის თანახმად, თავისი დიდებულებითა და დამსწრე სახულიერო პირთა რაოდენობის მიხედვით ბევრად აღმატებოდა ზოგიერთ მსოფლიო საეკლესიო კრებას. ასეთი რამ ქალკედონის კრების შემდგომ არ მომხდარა. ამ კრებას დაესწრნენ პაპ იოანე VIII-ის წარმომადგენლებიც. პაპის წარგზავნილებმა არა მხოლოდ მონაწილეობა მიიღეს ამ კრების მუშაობაში, არამედ იძულებული გახდნენ, დათანხმებულიყვნენ პატრიარქ ფოტიონის აღდგენს, მის დასავლებას დასავლეთის ეკლესიასთან და ამასთანავე წინააღმდეგობის გარეშე მოესმინათ ნიკა-კონსტანტინეპოლის მსოფლიო საეკლესიო კრების მრწამსი Filioque-ს გარეშე, რაც ფართოდ იყო ფეხმოვიდებული დასავლეთში. ამავე სინოდმა ასეთი გადაწყვეტილებაც მიიღო: რომის პაპი ერთ-ერთი ისეთივე ეპისკოპოსი იყო, როგორც ყველა დანარჩენი ეპისკოპოსები, მას არავითარი ზედმეტი ძალაუფლება არ ჰქონდა, და, აქედან გამომდინარე, მსოფლიო პატრიარქისათვის გადაწყვეტილების მიღებისას, არ იყო საჭირო რომის პაპის დასტური.

ამ ფაქტმა პაპი მეტად განარისხა. სპეციალური დელეგაცია წარგზავნა კონსტანტინეპოლში და მოითხოვა კრების იმ გადაწყვეტილებათა გაუქმება, რაც პაპისთვის მიუღებელი იყო. იმპერატორმა და პატრიარქმა ფოტიონმა არა თუ არ დააქმაყოფილეს პაპის მოთხოვნა, არამედ დააპატიმრეს კიდევაც მისი წარგზავნილი პირები. როდესაც პაპ იოანე VIII-სათვის ცნობილი გახდა ზემოხსენებული ფაქტი, მან ლიტურგიის დროს, ხელში სახარებით, მორწმუნეთა თვალწინ შეაჩენა ფოტიონის წმინდა ჰეტრეს ტაძარში. მეცნიერები პაპის ამ ქმედებას ფოტიონის სქიმას უწოდებენ. თუმცა უკანასკნელმა გამოცვლევებმა (ამანი, დოორნიი, გრუმელი) ცხადდეს, რომ ამ ე.წ. „ფოტიონის სქიმას“ არასოდეს არ ჰქონდა ადგილი. იმპერიასა და რომის შორის ურთიერთობა იმ დროს არ გაწყვეტილა, არამედ კიდევ ერთხელ დაიძაბა [3,421].

ფოტიონმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიბანტიის იმპერიის რელიგიურ და სახოგადოდ, სულიერ ცხოვრებაში. უსამართლობა იქნება მის სახელს მხოლოდ სქიმა და დასავლეთის ეკლესიასთან დაძაბულობა დავუკავშიროთ, მის სახელთანაა დაყავშირებული ლიტერატურის და რელიგიურ-ფი-

ლოსოფიური პატოვნების აყვავებაც ბინანტიის იმპერიაში. მაგრამ ვა-
ნაიდან ფოტიოსისა და მისი მომხრეების ავტორიტეტი დიდ გავლენას
ახდენდა იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაშეც, ამიტომაც იმპერიატორის
ლი I-ის მექვიდრე ლეონ VI, რომელიც ფოტიოსის მოწყვეტებულ და ისტ-
ტორიას ლეონ ბრძენის სახელით შემორჩა, იძულებული გახდა 886 წელს
გადაყენებინა პატრიარქობიდან ფოტიოსი, რომელიც ხუთი წლის შემ-
დევ გარდაიცვალა კიდევაც. ლეონ VI-ის მიერ ფოტიოსის გადაყენება
ერთი მხრივ იმით აისწნება, რომ მას ეშინოდა ფოტიოსისა და მისი მომ-
ხრეების ავტორიტეტისა, ხოლო მეორე მხრივ, იმპერიატორს სურდა, პატ-
რიარქად თავისი ძმა სტეფანე დაესვა. ამ ქმედებით იმპერიატორი საეკ-
ლესიო ცხოვრებასაც თავისი მხედველობის არეში მოიქცევდა, რასაც
ძლიერი ნებისყოფის ფოტიოსთან ვერ ახერხებდა. ფოტიოსი იმპერიატორს
საეკლესიო საკითხებში არ ახედებდა.

საპატრიარქო ტახტზე 16 წლის სტეფანე ავიდა.

ლეონისა და მისი მომღევნო იმპერიატორების დროს ურთიერთობა
კონსტანტინეპოლისა და რომის ეკლესიებს შორის გარცვეულწილად გა-
მოყენდა ორივე მხარის მიერ გარცვეულ დათობებზე წასკლის ხარჯზე,
თუმცა შიგადაშიგ მაინც იჩენდა თავს გარცვეული დაძაბულობა, რისი
მიშებიც ხან ლეონ VI-ის მეოთხე ქორწინების საყითხი გახდა, ხან იმპე-
რიატორ ნიკიფორე ფოფას პოლიტიკური ორიენტაცია სამხრეთი იტალი-
ის მიმართ და ხან სხვა მოვლენები, მაგრამ პატრიარქ ნიკოლაოს მისტი-
კოსის (X ს.) შშვიდობიანმა პოლიტიკამ მაინც გაიმარჯვა.

დაძაბულობამ კონსტანტინეპოლისა და რომის ეკლესიებს შორის,
რომელიც ასე მკვეთრად გამოიხატა IX საუკუნეში, XI საუკუნის შუა
წლებში კულმინაციას მიაღწია. თუმცა სქიმის მთავარი მიწები დოგ-
მატერი ხასიათისა იყო, საბოლოო გათიშვა მაინც იტალიაში მიმდი-
ნარე მოვლენებმა განაპირობა.

„ისტორიაში ყველა პროცესი პარალელურად მიმდინარეობს, –
წერს ამ საყითხთან დაკავშირებით ცნობილი დმრთისმეტყველი ნიკოს
მაცუქასი, – მცდარია ის თვალსაზრისი, თუ ვინმე ფიქრობს, რომ
რომელიმე რელიგიის შინაარსი, ან იდეები შეიძლება გაცნობიერებულ
იქნას დამოუკიდებლად, ისტორიული ქარტებილების მიღმა“ [6,132].
ისტორიული ქარტებილები კი ასე წარიმართა:

XI საუკუნის შუა წლებში რომის პაპად არჩეულ იქნა ლეონ IX,
რომლის ინტერესებიც არ იფარვლებოდა მხოლოდ საეკლესიო საკით-

ხებით, პოლიტიკურ სფეროსაც მოიცავდა. კლუნიანების მოძრაობა, რომელიც ესწრაფოდა ეკლესიაში რეფორმების გატარებას და რომელიც დასავლეთ ეკროპის ბერთა ფართო წრეებს მოედო, რომის ცამაყენები უმჯობესი აღი მფარველობით განვითარდა. ამ მოძრაობის წარმოქადგენლუქები წარმოქადგი კი მიაღწიევდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას რომის პაპის უწუალო გავლენის ქვეშ აქცევდნენ. კონსტანტინეპოლის ეკლესია განსაკუთრებით გაანაწილენა ამ მოძრაობის ქმედებაში სამხრეთ იტალიაში, რადგანაც ნეიიორე ფრიას მიერ აერძალული იყო ლათინური ეკლესიის გავლენა ამ რეგიონის საეკლესიო ცხოვრებაზე. პაპ ლეონ IX-ს სწამდა, რომ მას უფლება ჰქონდა, პოლიტიკურად ჩარეცდიყო სამხრეთ იტალიის საკითხებში. კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი მიწერილ წერილებში მოიხმო იმპერატორ კონსტანტინეს მიერ ბოძებული წყალობა, ე.წ. Donatio Konstantini, რომელიც რომის ეპისკოპოსს არა მხოლოდ სულიერ, არამედ ქვეყნიერ ძალაუფლებასაც ანიჭებდა. და მაინც, ეკლესიათა გათიშვა თითქოს არ იყო მოსალოდნელი, ვინაიდან იმპერატორი კონსტანტინე IX მონომახი საკითხის მშვიდობიანად მოგარებას ცდილობდა.

პაპმა კონსტანტინეპოლიში წარმომადგენლუბი წარმატავნა მოლაპარაკების წარსამართავად. წარმომადგენლუბს შორის იყო ფიცხი და წინდაუხედავი კარდინალი უმბერტოსი. პაპის მთელი წარმომადგენლობა და განსაკუთრებით კი კარდინალი უმბერტოსი თავშედურად და ამპარტიავნულად ელაპარაკა კონსტანტინეპოლის პატრიარქს, რომელიც იძულებული გახდა, შეწყვიტა მოლაპარაკება და რამებ დათმობაშე წასულიყო. ამის შემდეგ 1054 წლის ზაფხულს პაპის წარმომადგენლუბმა აია სოფიას ტაძრის წმიდა ტრაპეზიზე კონსტანტინეპოლის პატრიარქისა და მისი მომხრეებისადმი ანათეშის განმაცხადებელი სიგელი დაასვენეს. ამის საწინააღმდეგოდ პატრიარქმა მიხეილ კერულარიოსმა კრება მოიწვია და შეაჩერენა პაპის წარმატავნილი პირები.

ყოველივე ამას თან დაერთო ისიც, რომ რომმა ოფიციალურად აღიარა Filioque.

„მართლმადიდებელი თეოლოგი – წერს ნეკოს მაცუკასი – სამების დოგმატში ხედავს პირთა ერთობლიობას და თანამოღვაწეობას ანტაკიიშინმისა და პოლიარქიის გარეშე. მართლმადიდებლებელი ეკლესია სამპილოსტასოვანი მონადის მხოლოდ მაღიარებელი კი არ არის, არამედ მას კონკრეტულ ურთიერთობებშიც ახორციელებს – სადაც და როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევს. Filioque-ს დოგმას კი არა აქვს ძმური და

ქართიშმატეული ერთიანობის არც წინაპირობები და არც შედეგები დოგმაშივე ჩანს შერყეული წესრიგი და პრობლემატური ურთიერთობა“.¹ აქედან გამომდინარე, მცვლევარი ახეთ დასკვნამდე. მიღისება „როდესაც Filioque-ს დოგმა საბოლოოდ მიღებულ აქნა მცველი ჩამოყალიბებული იყო რომის კათოლიკური ეკლესიის ცენტრალიზაციის სისტემა. დოგმა, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა დასავლეთში მიმდინარე სულიერ ატმოსფეროშე და რაცი იგი ოჯახიდალურადაც აღიარეს, ნამდვილად გაამართლა და საბოლოოდ გააძლიერა კიდევაც, ვითარცა იდეოლოგიურმა საყრდენმა, რომის ეკლესიის საორგანიზაციო სისტემა“ [6,136].

პატრიარქმა მიხეილ კერულარიოსმა მაშინვე აცნობა სქიმის შესახებ, ანტიოქიის პატრიარქის მეშვეობით, ალექსანდრიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებს. აღმოსავლეთის სამივე პატრიარქი მართლმადიდებლობის ერთგული დარჩა და კონსტანტინეპოლის პატრიარქს დაუჭირა მხარი.

როგორც ა. ვასილიევი და ბევრი სხვა მეცნიერიც ფიქრობს, 1054 წლის სქიმა კონსტანტინეპოლის პატრიარქის დიდ გამარჯვებადაც კი შეიძლებოდა აღქმულიყო, ვინაიდან იგი სრულიად დამოუკიდებელი გახდა. მისი ძალაუფლება კიდევ უფრო გაიზარდა სლავურ სამყაროში და ასევე აღმოსავლეთის სამ საპატრიარქოში, მაგრამ იმპერიის პოლიტიკური ცხოვრებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. საეკლესიო გათიშვამ პოლიტიკური კავშირებიც გაწყვიტა ბიზანტიის იმპერიასა და დასავლეთს შორის, რადგან დასავლეთი ერთიანად რომის პაპის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. აი, ეს გავლენა აღმოჩნდა სწორედ საბედისწერო. ბიზანტიის იმპერიას არაერთიგზის დასჭირდა დასავლეთის დახმარება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისტორიის ასპარეზშე თურქ-სელჩუკები გამოჩნდნენ, მაგრამ დასავლეთმა ბიზანტიას ხელი აღარ გუწოდა. „სქიმა ხელს უშლიდა კონსტანტინეპოლის, კომპრომისშე წასულიყო დასავლეთთან, ამან კი იმპერიის დაცემას შეუწყო ხელი“ – წერს ფრანგი მეცნიერი ბერეჟე [3,430].

„საეკლესიო განხეთქილება მე უფრო საგულისხმოდ და საშიშრად მიმართია, ვიღრე გარეშე ომები. ის მე უფრო მეტ მწუხარებას მგვრის, ვიღრე სხვა რამ“, – განახცადა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა თავის მიერვე მოწვეულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325 წ.), როდესაც არიოჩის თეორიის გამო პირველი განხეთქილება მოხდა ქრისტიანულ ეკლესიაში.

როგორც ხედავთ, ბიჭანტიის იმპერიის დამაარსებლის შეშფოთება უსაფუძვლო არ ყოფილა.

ტრიუმფი

ეკლესიის ბედი, მისი ერთიანობა და სახელმწიფოს დამაარსებლის შეშფოთება ლობა რომ ერთმანეთშეა გადაჯაჭვული, ამაზე ჩვენი ქვეყნის ისტორიაც მიგვანიშნებს.

აბა, გადახედეთ ჩვენს არცთუ შორეულ წარსულს. როდესაც ცარისტულმა რესეტმა თავისი კოლონიური პოლიტიკის განხორციელება გადაწყვიტა საქართველოში, ჯერ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II გაიწია რესეტი, გააუქმა კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა და საქართველოს ეკლესიის მმართველად ეგზარქოსი დანიშნა, ამის შემდეგ კი ნელ-ნელა განახორციელა თავისი დამპყრობლური პოლიტიკა.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებას – 1918 წლის 26 მაისს – წინ უსწრებდა 1917 წლის 12 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის, ანუ დამოუკიდებლობის აღდგენა.

ასევე მოხდა ახლაც, ამ ათიოდე წლის წინ. ჯერ საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის აღიარება და ცნობა მოხდა მსოფლიო საპატრიარქოსა და ყველა მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ 1990 წლის 4 მარტს, და ამის შემდეგ გამოცხადდა საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი, ისინი, ვინც საქართველოს ეკლესიის ერთიანობას ებრძვიან და მასში განხეთქილება შეაქვთ, ზოგი შეგნებულად, ზოგი კი სრულიად გაუცნობიერებდად, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტრები არიან.

1999 წლის 8 ნოემბერს, დილით, ვიდრე რომის პაპის თვითმფრინავი თბილისში დაშვებოდა, საქართველოს პრეზიდენტმა ელუარდ შევარდნაძემ პრესკონფერენცია გამართა, რომელშიც ქართველი და უცხოელი უკრნალისტები მონაწილეობდნენ. ვინც ამ კონფერენციას ტელევიზიის საშუალებით თვალი გააღვენა, უსათუოდ ეხსომება, რომ OPT-ს უკრნალისტმა პრეზიდენტს ასე მიმართა: „ცნობილია, რომ თქვენ ზეწოლა მოახდინეთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაშე და თქვენს ხალხშე იმისათვის, რომ რომის პაპის ვიზიტი შემდგარიყო საქართველოში. მაინც რას ელოდებით ამ ვიზიტისაგან, რომელიც არც თქვენს ეკლესიას და არც თქვენს ხალხს არაფერმი სჭირდებაო“.

დამეთანხმებით აღბათ, რომ რუსი ფურნალისტის შეკითხვაში მთელი რუსეთის დამოყიდებულება გამომდავნდა ამ ვიზიტის მიმართ. თავს არა ვთვლი კომპეტენტურად, რუსეთის მთავრობის ინტერესებს არა და პოლიტიკაზე ვიმსჯელო, მაგრამ რაც შეეხება ეკლესიას, დაანამდვილებით ვიცი, რომ რომის პაპსა და რუსეთის ეკლესის შორის დიდი უთანხმოება არსებობს. უთანხმოებისა და მტრული განწყობილების მიზეზი უნიის⁸ საკითხია, რომელიც მეტისმეტად გაღვივდა საბჭოთა კავშირის დამლის შემდეგ.

ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირის დამლამ გლობალური პრობლემები გამოიწვია საეკლესიო და რელიგიურ საკითხებში. უნიამ რომის პაპთან დააპირისპირა რუსეთის ეკლესია, ესტონეთის საკითხმა – მსოფლიო საპატრიარქოსთან. ამ საერთო დაძაბულობაში კი საქართველოს ეკლესიაც იშეულიტება.

ვიდრე ათეისტურ სახელმწიფოში ვცხოვრობდით, საქართველოს ეკლესიას მრავალმხრივ აეიწროვებდნენ, მაგრამ არა ამ მიმართულებით. მტერს ხელს აძლევდა, რაც შეიძლება სუსტი, მაგრამ მაინც ერთიანი ეკლესია, რადგან საქართველო მაშინ საბჭოთა კავშირის შემადგნელობაში შედიოდა. ეკლესიის არსებობა ათეისტურ სახელმწიფოში ბუტაფორიად იყო საჭირო, რათა უცხოეთის თვალში „საბჭოთა დემოკრატია“ არ შელახულიყო, გამართლება რომ ჰქონოდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის კანონს სინდისის თავისუფლების შესახებ. დღეს კი ყველა ბოროტი ძალა საქართველოს ეკლესიის დასაქუცმაცებლად არის მიმართული, რადგან მაშინ გააღვილება საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გაუქმება, იმ დამოუკიდებლობისა, რომელიც De jure გვაქვს მხოლოდ.

რუსეთის იმპერიალისტური ძალების გარდა ამ პროცესში ჩაერთნენ სხვადასხვა სექტები და სქიზმატები, რომელიც თავიანთ ქვეყნებში ვერას გამხდარან და სამწყსოს ჩვენს ქვეყანაში ექტენზ. ყველას სათავისოდ უნდა გამოიყენოს ჩვენი ქვეყნის გაჭირვება. საწადელსაც მიაღწიეს. აბა გადახედეთ, უკვე რამდენი „ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის“ დამცველი მღვდელი, ღვთისმეტყველი და თვით ეპისკოპოსი გვყავს; რამდენი ანტიკლესიური შინაარსის ფურნალი, გაწეოთ და კრებული გამოდის საქართველოში! რა ქნას ქართველმა მორწმუნებ? ვის დაუჭიროს მხარი? ვისთან მიერდეს აუცილებელი ქრისტიანული რიტუალების ჩასატარებლად? რა დონის საღვთისმეტყველო განათლება აქვს მას, სამოცდაათწლიანი ათეისტური პროპაგანდის შემდეგ, ჭეშმარიტებაში რომ

გაერცვეს? მაღლობა ღმერთს, განეომი „საპატრიარქოს უწყებაზი“ (№441 6-12 ნოემბერი, 1999წ.) დაიბეჭდა საქართველოს მართმადიდებელ ეპლესიასთან განხეთქილებაში მყოფ პირითა არასრული სიაჟღაძეც მტკმერი სალმებელია, რომ საქართველოს საპატრიარქო ბოლოს და მოლოცის მიზანი ვიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია მორწმუნებს საქართველოს ეკლესიისა და უცხოეთის ეკლესიათა თანამედროვე ცხოვრებაზეც მიაწოდოს ინფორმაცია. მარტო წარსულით ცხოვრება არ შეიძლება. ეკლესიასთან განხეთქილებაში მყოფი ის ინფორმაცია რომ პეონოდათ, თუ კინ იყვნენ ძველი კალენდრის მიმდევარი „ჭუშმარიტი ქრისტიანობის დამცველი“ ეპისკოპოსები, დაწმუნებული ვარ, ზოგიერთი მაინც, მათ არ მიადგებოდა მფარველობისათვის. შეცდომა უფრო ადრე ხსვა მღვდლებმაც დაუშვეს. როდესაც ჩვენში ცხოვრება გაჭირდა, ჩვენი ეპლესის ორმა მღვდლმა, – ერთმა ქართველმა (მამა ნიკოლოზი), ხოლო მეორემ ეროვნებით ბერძენმა (მამა იესე), – საბერძნეთს მიაშურა. ორივემ ძველი კალენდრის აღმსარებელთა ეკლესიაში დაიწყო მოღვაწეობა. უცოდინრობითა და გულუბრყვილობით მოუვიდათ შეცდომა. რაყი საქართველოს ეკლესია ძველ კალენდარს მისდევს, ეკონათ, სწორი ნაბიჯი გადადგეს. როგორც კი გაერცვენ საქმის ვითარებაში, ორთავე გაერიდა სქიმატებს.

პოლიტიკოსებთან და სქიმატებთან ერთად ჩვენს ეკლესიაში მომხდარ უთანხმოებაში გარტვეული წილი ათონის მთის ზილოტებსაც მიუძღვით. ამ საყოველთაო არეულობის ფასს, 1993-1994 წლებში, ისინი საქართველოს საპატრიარქოს დაუახლოვდნენ. ფართოდ გაუღეს კარი ბეთანიისა და შიომღვიმის მონასტრების ბერებს. ბოროტად გამოიყენეს საქართველოს საპატრიარქოს დიდი პატივისცემა და განსაყუთრებული სიყვარული ათონის მთის მიმართ. დაუახლოვდნენ საპატრიარქოს და მერე პროპაგანდა დაიწყეს ექუმენიზმისა და საერთაშორისო საეკლესიო ორგანიზაციების – ემს და ეკ-ის წინააღმდეგ. თავიანთ მონასტრებში მიპატიუებული და დამკვიდრებული ბერები თავიანთი ზრაბევებისათვის გამოიყენეს. იმ პეტიციაზე მოაწერინეს ხელი, რომელიც შერიცვლით საპატრიარქოს წაუყენეს და ამგვარად თავიანთ მოთხოვნას საყოველთაო მართმადიდებლური ხასიათი შესძინეს. ალბათ, მათი გავლენით დაწერა და გამოაქვეყნა არქიმანდრიტმა ლაშარემ (აბაშიძე) ბროშურა: „აღდგომა ჯვარცმის გარეშე“, რომლითაც ეკუმენური მოძრაობის წინააღმდეგ გაიღაშერა.

ამ ფაქტს საქართველოს ეკლესია ჩვეული დუმილით შეხვდა.

„ვერც კი მოასწრო ამ პუბლიკაციამ მოწიმუნეთა შორის სათანა-დოდ გავრცელება, რომ ჩვენი ეკლესის კედლებში გაისძა საგანგაშო ხმა, ტკაცანი; კედლები შეირყა და გაჩნდა ტრაგიული ბზარი, რომე-ლიც ფართოვდება და სადაცაა განკყოფს ეკლესიან რო ურთიერთსა-წინააღმდეგო ნაწილად,“ – ასე აფასებს თავის ნაღვაშს თავად არქიმან-დრიტი ლაბარე 1997 წელს გამოქვეყნებულ თავის მეორე ბროშურაში სათაურით: „ნუთუ მართლაც ეკუმენიზმს შეაქვს განხეთქილება საქარ-თველოს ეკლესიაში?“

როგორც ბროშურიდან ჩანს, არქიმანდრიტს ეკუმინიზმთან მი-მართებაში მხრი არ შეუცვლია, მაგრამ იმას კი შესანიშნავად მიმხვ-დარა, რომ მისი ასეთი პოზიცია მშევრივრად გამოიყენეს ეკლესის მტრებმა: „ჩემის მხრით, ჩვენს ეკლესიას განაპობს არა ეკუმენიზმის „ყვითელი ყლორტი“, რომლის ზრდა ჯერაც არ დასრულებულა, არა-მედ კიდევ ვიღაცის „ხელი“, რომელიც სარგებლობს იმ საცდურით, რომელიც გარცვეულწილად უკვე მოიტანა ეკუმენიზმა და ცდილობს, ამ ღვარძლით გააღრმავოს ტაძრის კედლებში უკვე არსებული ბზა-რი“.

ამ შემთხვევაში ნამდვილად გულწრფელია არქიმანდრიტის შეშ-ფოთება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არც მას და არც ათო-ნელ „ზილოტებს“ ეკლესის განხეთქილება არ ჰქონდათ მიზნად. მათ ჩვენი ეკლესია მხოლოდ ეკლესიათა მსოფლიო ორგანიზაციებიდან უნ-დოდათ ჩამოეშორებინათ. ამიტომაც შეშფოთებულმა ათონელებმა ორი წერილი გამოუგებავნეს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ს, როთაც დაგვეს განხეთქილებაში მყოფი ბერების საქციელი და მხარი დაუჭირს სა-ქართველოს საპატრიარქოს, მაგრამ ამასთანავე მოუწინეს მას ეკლესი-ათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან გა-მოსვლა. ის კი ვერ გაითვალისწინეს, ამით პოლიტიკურ მიოღაციაში რომ აგდებენ საქართველოს. ან იქნებ კიდევაც ზედებიან ამას, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო ბრიობის საყითხი მათ ნაყლებად ადარ-დებთ.

რა დასამალია და ეკუმენური მოძრაობისადმი წინააღმდეგობა და საქართველოში, „ჰესმარიტი მართლმადიდებლობის“ დაცვა თავის თაქტე აიღო ე.წ. „ზვიადისტების“ ერთ-ერთმა ფრთამ, როგორც ამას თავად აცხადებენ, მამა ბასილის (მეალავიშვილი) მეთაურობით. იმას კი ვერ ითვალისწინებენ, რომ თავად ზვიად გამსახურდია არასოდეს მხარს არ

დაუჭერდა საქართველოს ეკლესიის განლენის. დარწმუნებული ვარ, რომ
იგი არც ეკუმენისმისა და არც დიაქტისტიანული დიალოგების წინა-
აღმდეგი იქნებოდა, არც რომის პაპის ვიზიტისა საქართველოში, საქ-
ართველოს ახლანდელ პრეზიდენტზე არანაკლები პატივით უხდე-
ბოდა იგი რომის პაპს. ამის დასტურად მე დედა ტერეზას საქართველო-
ში ჩამოსულას შევახსენებ მათ. აბა გადასხდეთ მაშინდელ გაზეთებს და
იმ ფოტოსურათებს, რომლებზედაც დედა ტერეზას მერაბ კოსტავა და
ზვიად გამსახურდია უდგანან აქეთ-იქიდან.

გაიხსენეთ ის გაზეთებიც, რომელშიც ზვიად გამსახურდიას ადა-
ნაშაულებებ დუღავეთან ერთად მუსლიმანურ დღესასწაულს რომ დაეს-
წრო. რას ფიქრობს მამა ბახილი და მისი მრევლი და კველა ის, ვინც
ამის გამო აეითავტო ატეხა, მაშინ ზ. გამსახურდიამ უღალატა სარწ-
მუნოებას, მუსლიმანობა მიიღო, თუ პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა?!

და რაც მთავარია, ნუ გადავაყოლებთ საქართველოს მოძავალს
ნურც ზვიად გამსახურდიას, ნურც ეღუარდ შევარდნაძის და ნურც კა-
თოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სიყვარულსა თუ არასიყვარულს. ყო-
ველი მათგანი თავისი ცოდვა-მადლით დაიმკიდრებს ადგილს სასუფე-
ველში, ისტორიის მყაცრი ხელი კი თავის ადგილს მიუჩნის ერის ცხოვ-
რებაში თითოეულ მათგანს.

პოლიტიკოსებს ჰყავთ თავიანთი მეხოტბენიც და მაგინებელნიც.
არც ერთ მხარეს ჩემი სიტყვის შეწევნა არ სცირდება. კათოლიკოს-
პატრიარქთან დაყავშირებით კი, ვფიქრობ, ზოგიერთი დეტალი მაინც
უნდა განათდეს.

განდომილი მამები პატრიარქს მართლმადიდებლობის ღალატ-
ში სდებენ ბრალს. ეს დემაგოგია. პატრიარქს ერთი წეთითაც არ უღა-
ლატია მართლმადიდებლობისათვის. პირიქით, ის იმდენად მეცრად
იცავს მართლმადიდებლობის წესსა და ადათს, რომ ჩენი საჩოგადოება
არც კი აღმოჩნდა მზად სამისოდ.

გახსოვთ ალბათ, პატრიარქის პირველ წლებში როგორი დიდი
აეტორიტეტითა და საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა იგი სა-
ქართველოში. მის სახელთანაა დაყავშირებული მართლმადიდებლო-
ბის გამოღვიძება და ეკლესიის აღზევება ჩვენს ქვეყანაში. პატრიარქის
მიმართ დღევანდელი გაორებული დამოყიდებულება პოლიტიკურმა სი-
ტუაციამ განაპირობა. გაზეთებში ხშირად იბეჭდება პატრიარქის სუ-
რათები ამა თუ იმ პოლიტიკოსთან ერთად, რომ არაუერი ვთქვათ იმ
ვიღეოყლიპებზე, წინასაარჩევნო პერიოდში რომ გვიჩვენებენ საქართვე-

ლოს ტელევიზიის სხვადასხვა არჩით. დაიძნა ხალხი. გედარ გაუწყვევია, ვის უჭერს მხარს პატრიარქი და ვის – არა. პოლიტიკურმა პარტიებმა, მათმა ლიდერებმა და წარმომადგენლებმა შესანიშანებულიც ან, რასაც აუთებენ. ამით ისინი თავიანთი ავტორიტეტის ამაღლებისა და ხალხის ნდობის მოპოვებას ცდილობენ (ეს ხომ ნაცადი ხერხია; გაიხსენეთ თუნდაც სოციალისტური პარტიის ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა საარჩევნო კამპანიისას როგორ გამოიყენა ელუარდ შევარდნაძესთან ერთად გადაღებული სურათი, მერე კი ლანძღვა-გინება არ დააკლო). პატრიარქის ავტორიტეტი და საქართველოს ეკლესის ბედი პოლიტიკოსებს ნაცლებად აინტერესებით იმ მომენტში.

– კი, მაგრამ, პატრიარქი რატომდა უღებს კარს ყველას, რატომ უარით არ გაისტუმრებს რომელიმე მათგანს? – შემეკითხებით თქვენ.

– იმიტომ, რომ მას არა აქვს ამის უფლება. ის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია. ის ვალდებულია, ერთნაირი სიყვარულით ჩაიკრას გულში კარგიც და ცუდიც. იგი პატრიარქია, ყოველი ჩვენგანის მამადა და არა მოსამართლე. ამას ვგულისხმობდი სულ ორიოდე აბხაცის წინ რომ ვწერდი: იგი მყაცრად იცავს მართლმადიდებლურ წესსა და ადაოს-მეტე.

„ვარდთა და ნეხვთა ვინათვან შეე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!“ – თუკი ეს შეფისთვის აუცილებელი თვისება უნდა იყოს, პატრიარქისთვის ხომ მით უფრო აუცილებელია. იმათ კი, ვისაც რესტავრაციის ეს სიტყვები არ დააყმაყოფილებს და შემედავება, ვთხოვ, უძლები შვილის იგავი გაიხსენონ სახარებიდან.

მე ასე მწამს, რომ პატრიარქისათვის სულერთი უნდა იყოს, რომელი ქართველის სახელს დაუკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება და ქვეყნის გაძლიერება. საპატრიარქოს კარი მუდამ ღია უნდა იყოს ყველასათვის, გამარჯვებულისა და დამარცხებულისათვის, ჩინოსანისა და უჩინოსათვის, გაჭირვებულისა და დალტინებულისათვის; პატრიარქმა კი არ უნდა შეიცვალოს პოზიცია, ჩვენ უნდა შევიცვალოთ, ჩვენ უნდა მოვითხოვთ მისგან მხოლოდ ის, რაც მის კომპეტენციაში შედის და არა იმაჩე მეტი. პირველ რიგში კი პოლიტიკოსები უნდა მოერიდონ მას. ასე ხდება ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. ამის მაგალითად მე ისევ საბერძნეთს მოვიხმობ. როდესაც პოლიტიკური ვითარების გამო 1993 წელს საბერძნეთში რიგგარეშე არჩევნების ჩატარება გადაწყდა, მსოფლიო პატრიარქმა გააუქმა თავი-

სი ოფიციალური ვიზიტი, რომელიც ერთი წლით ადრე იყო დაგეგმილი, არ ჩავიდა იქ, რათა ხალხი არ დაბინებულიყო, ან რომელიმე პოლოტიური პატრია არ განაწეუნებულიყო – არც მმართველი ჯარიც ლაპარაკი ჰიციური. ეს მხოლოდ პატრიარქის სურვილით არ მომხდარა. პატრიარქი კანონი თვალისწინებს. საერთოდ, არჩევნების წინ ფურნალისტებს არა აქვთ უფლება, პოლიტიკური ხასიათის შეკითხვებით შეაწეხონ პატრიარქი ან მთავარეპისკოპოსი. ტელევიზიია აჩვენებს, როგორ მიღის ელადის მთავარეპისკოპოსი საარჩევნო ყუთთან, მაგრამ თუ ვის უჭერს მხარს, ამას არასოდეს არ ამჟღავნებენ. პატრიარქიც და მთავარეპისკოპოსიც ვალდებულია, ითანამშრომლოს ნებისმიერ ხელისუფლებასთან, ვინაიდან ის ხალხის არჩეულია. ჩვენთანაც, ალბათ, ასე მოხდება დროთა განმავლობაში. მაშინ ყოველი ჩვენგანი ნაყლებ პრეტენზიებს წაუყენებს ეკლესიას და მის საჭეომპყრობელს. დღეს კი, ამ ქაოსურ სიტუაციაში, მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ:

ამ ოციოდე წლის წინ, მაშინ, როდესაც ახლადნაყურთი იყო კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, სიონის ტაძარში ერთი ქალი მომიახლოვდა და მეოთხა: ხომ არ იცით, პატრიარქს რომ გვირგვინი ახურავს, ოქროსია? მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, რა ვუპასუხე. მაგრამ ამას ახლა აღარა აქვს მნიშვნელობა. რაც არ უნდა მეპასუხა, მართალი არ იწნებოდა. მაშინ არც მე მქონდა გაცნობიერებული ყველაფერი ბოლომდე. ახლა კი მთელი პასუხისმგებლობით საქვეყნოდ ვაცხადებ: პატრიარქის გვირგვინი ეკლისაა!

1999 წლის ნოემბერი

სულიერი და ახლომდებისა და თანამშრომდლობისაცნენ

ქრისტიანთა სწრაფვა სულიერი და ახლომდებისა და თანამშრომდლობისაცნენ სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური მოვლენაა. ამის ინციდენტორი ყველა დროსა და ყოველში მართლმადიდებელი ეკლესია იყო, მაგრამ ამის შესახებ, სამწერაოდ, ნაყლებად არის ინფორმირებული ჩვენი სახოგადოება.

ჯერ კიდევ ბძინანტიის იმპერიის დაცემამდე (1453 წ.) კონსტანტინეპოლის ეკლესიაში არაერთგზის მოუწოდა რომის ეკლესიას ურთიერთობის აღდგენისაცნენ. შესთავმა, მსოფლიო საეკლესიო კრება მოეწვიათ და იქ განეხილათ როგორც ტელიგრაფ-დოგმატური, ასევე სხვა საკითხები, რაც მათ სულიერ სიახლოეს აბრუოლებდა, მაგრამ ყოველი ცდა ამაო გამოდგა.

ფერარა-ფლორენციის კრების* (1438-1439 წ.) კრახმა კი საბოლოოდ გათიშა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები. ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.

მე არ შევუდგები იმ მტრული დამოუიდებულების აღწერას, რაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა შორის თითქმის ათი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. მტრობის გამლივებელზე ისედაც ბევრი არიან, როგორც ჩვენში, ასევე დასავლეთში. მე შევეცდები მოყლედ გიამბოთ იმის შესახებ, თუ რა გაყეთდა არსებული უფსკრულის ამოსავსებად უახლოეს წარსულში.

1902 წელს მსოფლიო პატრიარქმა იოაკიმე III-მ, ქრისტიანთა შორის შევიღობის დამყარების მიზნით, სპეციალური ცირკულარით მიმართა მართლმადიდებელი ეკლესიების საჭეთმცყრობელთ. ამ ცირკულარში ყურადღება გამახვილებული იყო სამ ძირითად საკითხში: 1. როგორ უნდა წარიმართოს ურთიერთობები მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის. 2. როგორ უნდა წარიმართოს ურთიერთობები მართლმადიდებლებს, კათოლიკებს და პროტესტანტებს შორის და 3. წინადაღება მიეცა ეპლესიებს საერთო კალენდრის შემოღების შესახებ [8,9-16].

* ამ კრებას საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელიც ესტრუმოდა.

1904 წელს კი პატრიარქმა იოაკიმე III-მ აღმოსავლეთის მონიუჩინი-
ტერ ეკლესიებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის საყითხო წა-
მოაყენა.

ურთიერთობა

ცნადია, ასეთი დიდი წამოწყვების განხორციელების უწყობესობა
ლე არა ჰყოფნის. არც იძღროინდელი პოლიტიკური სიტუაცია აღმოჩი-
ნდა საამისოდ შესაფერისი. სხვა ომი არაფერი ვთქვათ, პირველი მსოფ-
ლიო ომი დიდი დაბროლება აღმოჩინდა ასეთი თანამშრომლობის დასამყა-
რებლად. ამას მოპყავი მარქსიზმ-ლუნინიზმის ათეიისტური იღოლოვის გა-
მარჯვება რესეტში (1918 წლიდან), რაც სულ მაღლე საბჭოთა კავშირში
გაერთიანებულ ყველა რესპუბლიკაში გავრცელდა, ხოლო მეორე მსოფ-
ლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ კვრიპის ქვეყნებში – რემინიცი, პოლო-
ნეთი, სერბეთი, ალბანეთი, ჩეხოსლოვაკია. აქ უსათუოდ ისიც უნდა გა-
ვითვალისწინოთ, რომ კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიისა და ანტიო-
ქიის მართლმადიდებელ კლესიებს, თავიანთი მცირერიცხოვანი მრევლით,
მუსლიმანურ სახელმწიფოების უნდებოდათ მოღვაწეობა. იერუსალიმი პირ-
ველი მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისელებმა დაიპყრეს. კვიპროსი 1870
წლიდან ინგლისის კოლონია იყო. ერთი სიტყვით, XX საუკუნის პირვე-
ლი ნახევარი მეტად როგორი აღმოჩინდა მთელი მართლმადიდებელი სამ-
ყაროსათვის. ისინი ერთმანეთთანაც ვეღარ ამყარებდნენ კონტაქტს,
არამცთ სხვა კონფესიის ქრისტიანებთან. ამიტომაც შხოლოდ ორმოც-
დათათანი წლების დასასრულს მოხერხდა საუკუნის დასაწყისში დაბადე-
ბული იდეისათვის ხორცის შესხმა. თუმცა, ვიდრე ამ პირველ ნაბიჯებზე
ვისაუბრებდეთ, აუცილებელია, ფურადლება გავამახვილოთ ერთ მეტად
მნიშვნელოვან დოკუმენტზე.

1920 წელს მსოფლიო საპატრიარქო სინოდმა* მიმართა ქრისტია-
ნულ სამყაროს სპეციალური ცირკულარით და ურთიერთობის აღდგენი-
სა და თანამშრომლობის საყითხში რეალური ნაბიჯების გადადგმისაცენ
მოუწოდა. ამ ცირკულარში ჩამოყალიბებული იყო აგრეთვე მართლმა-
დიდებელი კლესის ის პრინციპები და ჩარჩოები, რაც ამ თანამშრომ-
ლობისას უნდა დაცულიყო. ამ ცირკულარს ღმრთისმეტყველები მართ-
ლმადიდებელი ეკლესის წესდებას უწოდებნ.

ცირკულარის მთავარი თემებია: ა) ქრისტიანულ ეკლესიებს შო-
რის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული უნდობლობის ფაქტორის
მოხსნა და ბ) ქრისტიანული სიყვარულის განმტკიცება.

* სააბტირიარქო ტაბრი იმ დროს დაქვრიცებული იყო, სინოდს პრუსის (აშლანდველი
ბურგი) მიტროპოლიტი დოროთეოსი თავმჯდომარეობდა, რომელიც თანამოსაფლერებ იყო
არჩეული.

ამას მოჰყვება 11 პუნქტისაგან შემდგარი პრაქტიკული ხასიათის საყითხები:

1. მიღებული და დადგენილი იქნას საერთო ქრისტიანული კალუნი დარი, რათა ქრისტიანულმა ეკლესიებმა ერთდროულად წენაშინი საერთო ქრისტიანული დღესასწაულები.

2. ქრისტიანულმა ეკლესიებმა სპეციალური ეპისტოლებით მიუღუცონ ერთმანეთს დღესასწაულები. დამკვიდრდეს მიმოწერა ეკლესიათა შორის სხვადასხვა საჭირობოობობი საყითხთან დაკავშირებით.

3. მური დამოუიდებულება გამომქდავნდეს ნებისმიერი ქრისტიანული ეკლესის წარმომადგენლის მიმართ ნებისმიერ აღილსა და შემთხვევაში.

4. ურთიერთობა დამყარდეს საღვთისმეტყველო სახწავლებლებსა და ღვთისმეტყველ მეცნიერთა შორის. ეკლესიებმა ერთმანეთს დაუზუნონ თავიანთი ბეჭდვითი პუბლიკაციები – საღვთისმეტყველო კრებულები და ნაშრომები.

5. მოხდეს ახალგაზრდა კადრების გაცვლა საღმრთისმეტყველო ცოდნის დასაუფლებლად და გასაღრმავებლად.

6. მომზადდეს და ჩატარდეს საყოველთაო ქრისტიანული კონფერენციები ერთობლივი ინტერესის მქონე საყითხებთან დაკავშირებით.

7. დოკმატური ხასიათის საყითხები, შესწავლილი მიუკერძოებლად და განხილული ისტორიულ ჭრილში, მოსმენილ იქნას კათედრიდან და დაიბეჭდოს სპეციალური გამოყვლევის სახით.

8. ქრისტიანულმა ეკლესიებმა გამოხატონ ურთიერთპატივისცემა და მოწინება სხვადასხვა ეკლესიებში დამკვიდრებული ტრადიციებისა და ჩვევების მიმართ.

9. უძედური შემთხვევის დროს ქრისტიანები ერთმანეთს მხარში ამოუღვნენ, გამოყონ სამღლურებლო სახლები და სასაფლაოები განსხვავებული აღმსარებლობის წარმომადგენლის დასკრძალვად.

10. შემუშავდეს სპეციალური წესდება შერეული ქორწინების დაკანონებასთან დაკავშირებით.

11. ორმხრივი დაინტერესება გამომქდავნდეს რელიგიური მოღვაწეობის ისეთი სფეროს განსამტკიცებლად, როგორიცაა პუმანიტარეული დახმარება, მოყვასისადმი თანადგომა [8, 93-97].

ამ ცირკულარში ჩამოთვლილია აგრეთვე ის ფაქტორები და ეთიკურად მანკიერი თვისებები, რასაც ყველა ქრისტიანული ეკლესია ერთობლივი ძალისხმევით უნდა შეეწინააღმდეგოს. ასეთებია: ალკოჰოლიზ-

მი, აქხორციობა, სიმახინჯის დამკვიდრება ხელოვნებაში, სიმდიდროს გაღმერთება და ა. შ.*

მართლმადიდებელი ეკლესიის ამ ინიციატივამ დიდო გამოიყენება. ეკლესიის აპოსტოლი ქრისტიანულ სამყაროში. სწორედ ზემოხსენებულმა ძირი ატივის საფუძველზე წარმოიშვა ეკუმენური მოძრაობის იდეა, რომელიც ითვალისწინებს ქრისტიანულ ეკლესიათა თანამშრომლობას პრაქტიკულ სკოითხებში, მაგრამ ამასთანავე ცდილობს ქრისტიანთა გაერთიანებას საერთო რწმენაში.

ამას მოჰყვა 1948 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დაარსება, რომლის მეშვეობითაც მართლმადიდებელი და დასავლეთის ეკლესიების ურთიერთობაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო. მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ფარგლებში მართლმადიდებელი ეკლესიის პროტესტანტულ სამყაროსთან დაახლოებამ კი კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობის განახლების სურვილი განაპირობა, რასაც ხორცი შეასხა მსოფლიო პატრიარქმა ათინაგორამ (1948-1972 წ.).

ათინაგორას პატრიარქობის დროს მსოფლიო საპატრიარქოს საეკლესიო პოლიტიკამ მართლაც მსოფლიო ხასიათი შეიძინა. 1952 წელს გამოცემულ ცირკულარში პატრიარქმა ათინაგორამ ნათლად ჩამოაყალიბა ის წინაპირობები და ჩარჩოები, რაც მართლმადიდებელმა ეკლესიამ უნდა გაითვალისწინოს პროტესტანტულ სამყაროსთან დიალოგის დროს. ამასთანავე წამოაყენა იდეა დაწყებულიყო დამოუკიდებელი ე.წ., „სიცვარულის დიალოგი“ რომის კათოლიკურ ეკლესიასთან, ვინაიდან კათოლიკური ეკლესია არ იყო მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრი.

პატრიარქმა ათინაგორამ ცირკულარის გამოცემულებისთანავე, 1952 წელს გადადგა პირველი ნაბიჯი დასავლეთის ეკლესიასთან დასაახლოებლად. კონსტანტინეპოლიში მყოფ რომის წარმომადგენელს ეწვია საა-


* 1920 წლის ქაირკულარი, მევე როგორც პატრიარქ ორაკიმე III-ის ცირკულარი (1902 და 1904 წ.) კრისტელიზაციის მიღღილი მართლმადიდებელის სამყაროში. რა დასანანა, რომ ჩევნი ქვეყანის გამოცემული ზოგიერთი ე.წ. რელიგიური უკრნალი და განხეთი, მათ შორის „ლაშარქი აღდგენებაც“ კი, პატრიარქ ორაკიმე III-ის „მწვალებლუდ“, ხოლო 1920 წლის ცირკულარს „მწვალებლურ ქარტად“ წარმოუდგენს ჩევნი შორწეულებას და, თავად ფანატიკოსთა გავლენის ქვეშ მოქცეულია, სხვებსაც ქითიყნ უბიძებენ. ეკლესიების საოცარი კი ის არის, რომ ეს უკრნალ-გამოიყენობა, და კურიოზ, „ლაშარქის აღდგენება“, ჩევნი ეკლესიების, ანისნატის და სიონის დაბლუზე იყედება საპატრიარქოს მიერ გამოცემული პეტრილიცაციების გვერდით. რა ჭან ჩევნის მორწმენებამა, როგორდა შეეპარიო უკვია ამ უკრნალუბრი დაბეჭდილი ინფორმაციის სისტორიში. ან ჭაზე, დაბეჭდილა საბჭე საწინააღმდეგო მირი, გაუკრიტიფიცია ვინმეს ამ კუნძულებში გამოქვეყნებულ ინფორმაცია?

მისოდ. ამას მოჰყვა პაპის წარმომადგენლის საპასუხო ფაზიტი ფანტ-ში (მსოფლიო საპატიოარქოს რეზიდენცია), მაგრამ რეალური ურთიერთობები კონსტანტინეპოლისა და რომის ეკლესიებს შორის 1958 წელს დაიწყო, როდესაც რომის კათოლიკურ ეკლესიებს სამოქამდისტებ იოანე XXIII ედგა. აღნათ, ღვთის განვებით მოხდა, რომ იმ დროს რომის ეკლესიას ისეთი პიროვნება განაგებდა, როგორიც იოანე XXIII იყო. „ყოვლადღისეული და უსიმბათურესი პიროვნება“, „უსაყვარლესი პაპი“ – ასე მოიხსენიება ის ყველგან, რასაც კი მის შესახებ წაიკითხავთ.

პატრიარქი ათინაგორა და პაპი იოანე XXIII შეთანხმდნენ მსოფლიო კრების მოწვევაშე, მაგრამ ვიღრე ასეთი კრება შედგებოდა, პატრიარქმა ათინაგორამ გადაწყვიტა, ჯერ მართლმადიდებელთა საყოველთაო შეხვედრა მოეწყო. ამიტომაც 1960 წლის სექტემბერში მართლმადიდებელთა I კონფერენცია ჩატარა კუნძულ როდოსზე⁵. ეს შეხვედრა იმ დროის უცხოელმა დამკვირვებლებმა ეპოქის უდიდეს მოვლენად შეაფასეს, ვინაიდან „მთელი ათი საუკუნის შემდეგ მართლმადიდებლებს საშუალება მიეცათ, ერთი საერთო წმინდა ტრაპეზის ირგვლივ მოეყარათ თავი“ [5, I, 604]. გარდა ამისა, ეს კონფერენცია იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ამ შეხვედრაშე შეთანხმდა სრულიად მართლმადიდებლობა იმაზე, რომ გამხდარიყო შუამაგალი და ეპიცენტრი დაქრისტიანული კონტაქტებისა ვატიკანსა და პრიოტესტანტულ სამყაროს შორის (პატრიარქმა ათინაგორამ თავის თავზე აიღო შუამაგლის როლი); შეთანხმდა იმაზეც, რომ კონტაქტები დაემყარებინა აღმოსავლეთის მონოფილიტურ ეკლესიებთან.

პატრიარქ ათინაგორის ზემოაღნიშნულ საეკლესიო პოლიტიკურ კურსს მაშინვე მხარი დაუჭირა პაპმა იოანე XXIII-მ. მან მოიწვია ვატიკანის II კრება (1962-1965 წ.), რომელთანაც დაყავშირებულია “რომის კათოლიკური ეკლესიის შემოძრუნება და მისი შინაგანი რენესანსი, საეკლესიო სულის განახლება და ეკუმენური მოძრაობისადმი დადებითად განწყობა” [5, 7,56].

* ამას მოჰყვა 1961, 1962, 1963 და 1968 წლის პანორამულფრთხისალერი კონფერენციები, რომელთა შემართვის პროცესში და შედეგებში ცალკევეს, რომ აუცილებელი და ღრმული იყო თანასწორებულებებისა და კონსტრუქციების დააღმართვა სამართლოთა, როგორც რომის კათოლიკურ ეკლესიასთან, ასევე პროტესტანტულ სამყაროსთან. ამ კონფერენციებში გადაწყვდა ასევე გაგრძელებული ის რომელიც დააღმართვა, რასაც მართლმადიდებლი კელთისა წარმოიქმდა ბევრ კათოლიკოსა და ანგლიკანებთან ეკვე XIX საუკუნის ბორცვულიდან.



შეუდინოს პატრიარქ კონსტანტინ და წმიდა პატი პავლე მაკავე. VI-ის უფალერი კონც. 1967 წ.

რომის პაპმა პავლე VI-მ (1963-1978) გააკრძელა ითანე სამართლის კურსი და, ღვთის განგებით, 1964 წელს ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი მოხდა იერუსალიმში. მრავალი საუკუნის შემდეგ რემბეს ჟუპრადა კონსტანტინეპოლის პატრიარქი მაცხოვრის საფლავთან ერთმანეთში შეხვდნენ, რაც საბოლოოდ იმით დაგვირგვინდა, რომ 1965 წლის 7 დეკემბერს კონსტანტინეპოლისა და რომში ერთდროულად ჩატარდა ლიტურგია, რომლის დროსაც ორივე ეკლესის მიერ მოიხსნა 1054 წლის ანათემა.

1966 წელს რომის პაპი პავლე VI ეწვია კონსტანტინეპოლის ეკლესის ოფიციალური ვიზიტით, ხოლო 1967 წელს პატრიარქი ათინა-გორია ეწვია რომის კათოლიკურ ეკლესის. ასე აღდგა 1054 წელს გაწყვეტილი ურთიერთობა მსოფლიო საპატრიარქოსა და რომის ეკლესის შორის. ამ დღიდან ყოველ წელიწადს მსოფლიო საპატრიარქო თავის წარმომადგენელს აქტავნის რომში ამ ეკლესის დამფუძნებლის, წმინდა პეტრეს ხსენების დღესასწაულზე დასასწრებად, ხოლო წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღეს რომის ეკლესის წარმომადგენელი ესწრება კონსტანტინეპოლში ამ ეკლესის დამფუძნებლის დღესასწაულს. ყოველი ასეთი შეხვედრა კი სამუალებას აძლევს ამ ეკლესიებს კიდევ ერთხელ შეჯამონ განვლილი ქანა, ყურადღება გაამახვილონ როგორც დადგით, ასევე უარყოფით მოვლენებზე და სამომავლო ქსები დასახონ.

პატრიარქ ათინაგორას მექუდრენი - პატრიარქი დიმიტრიოსი და ამჟამინდელი პატრიარქი ბართლომე I ერთგულად აკრძელებენ პატრიარქ ათინაგორას მიერ გაყვალულ ქსეს. იგივე ხდება რომის ეკლესიაშიც. პაპი იოანე-პავლე II ნამდვილად ამართლებს თავის სახელს; იგი ღირსეულად უძლევბა იოანე XXIII-ისა და პავლე VI-ის შემრიგებლურ პოლიტიკას.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია და ბარემ აქვე გიამბობთ ეკლესის ისტორიაში მომხდარ უპრეცედენტო შემთხვევას. 1975 წელს მსოფლიო საპატრიარქო კათოლიკურ ეკლესიასთან წარმოებული დიალოგის ზოგიერთი პრაქტიკული საყითხის განსახილველად სპეციალური დელეგაცია წარმატება რომს ქალკედონის მიტროპოლიტ მელიტონის ხელმძღვანელობით. დელეგაციის რომში ვიზიტი დაემთხვა ანათემის მოხსნილან ათი წლისთავს (1965-1975 წ.). ამ ფაქტთან დაყავშირებით 14 დეკემბერს სიქსტის კაპელაში ჩატარდა საღმრთო ლიტურგია, რომლის დროსაც რომის პაპმა პავლე VI-მ მუხლი მოიყარა და ფეხზე ემთხვია მსოფლიო საპატრიარქოს წარმატების ეჭვარქს, მიტროპოლიტ მელი-

ტონს. თეოლოგები ამ ფაქტს ასე განმარტავენ, რომ „ამ სიმბოლური ქმედებით აღდგაო ძველი დამციდებულება რომსა და კონსტანტინეპოლის, ანუ ძველსა და ახალ რომს შორის“ [10,231].

როგორც ცნობილია, ფერარა-ფლორენციის ქრებაშე ([1438წ/1439წ]) რომის პაპმა ევგენიეს IV-მ მოითხოვა, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოსები ფეხზე მთხვეოდა, რაჩედაც პატრიარქი იოსებ II არ დათანხმდა. ამ, და ქრების მსვლელობის დროს მომხდარ არაერთ შეურაცხმყოფელ ოციდენტს, პატრიარქმა იოსებმა ვერ გაუძლო და ქრების დამთავრებამდე, 1439 წლის 10 ივნისს გარდაიცვალა. იგი ფლორენციაში, სანტა მარია ნოველას ტაძარში (ქრებაც იქ მიმდინარეობდა) დაკრძალეს და დღემდე იქ განისახებას.

ქრის სიტყვით, პაპმა პავლე VI-მ ქრისტიანული სიყვარულის, თავმდაბლობის, სხვათა ცოდვების მონანიების არაჩვეულებრივი მაგალითი დაგვიტოვა.

კონსტანტინეპოლის ეკლესიასა და რომის ეკლესიას შორის ურთიერთობის აღდგენა მართლმადიდებელურ და კათოლიკურ სამყაროს შორის ურთიერთობის აღდგენას ნიშნავს, რადგან ასეთი გადაწყვეტილება პატრიარქ ათინავორიას და შეოფლიო საპატრიარქოს დამრუკიდებლად არ მოუღია. როგორც უკვე აღნიშნე, ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სწორიად მართლმადიდებელთა კონფერენციებზე, რომლებსაც ჭველა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი ესწრებოდა. ხოლო ვინაიდან მართლმადიდებელი ეკლესია წარმომადგენეს აკტუურალური და აკტონომიური ეკლესიების ერთობლიობას, რომელსაც სათავეში მსოფლიო საპატრიარქო – თანასწორი, მაგრამ თანასწორთა შორის უპირველესი – უდგას, ამიტომაც აიღო თავის თავზე ასეთი ინიციატივა. ამ პრინციპიდან გამომდინარე, კათოლიკურმა ეკლესიამ უნდა განაახლოს თავისი ურთიერთობები ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან და პირიქით. სწორედ ამით აისწება პაპ იოანე-პავლე II-ის ვიზიტები მართლმადიდებელურ სამყაროში. ყოველ მის ვიზიტს დიდი აუთოტაუი მოჰყვება ხოლმე. ამის გამოცდილება ჩვენ უკვე გვაქვს. საშიში რომ არაფერია, ამაშიც დავრწმუნდით. პაპის ვიზიტის შედეგად საქართველო არ გაკათოლიკურებულა.

არაერთგზის დაისვა კითხვა, რელიგიური ხასიათის იყო ეს ვიზიტი, თუ – პოლიტიკური?! ამას მომავალი გვიჩვენებს. პირადად მე კი მწამს, რომ ორივე მხარეს მოიცავდა. თუმცა ამ ვიზიტის შესახებ იმდენი რამ ითქვა და დაიწერა, რომ ჩემს კომენტარს აღარ საჭიროებს. მე მხოლოდ

ერთი რამ მინდა აღვნიშნო გულდაწყვეტით, რომ მთელს იმ ორომტო-
ალში, როგორც პუბლიკაციებიდან, ასევე სატელევიზიო და რადიოგადა-
ცემებიდან, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ კათოლიკური ეკლესია
სიის საჭეომძერობლის პროგრესულ ნაბიჯებს, რაც ქრისტიანთა სულიერი
და ახლოებასა და თანამშრომლობასთან არის დაკავშირებული. ჩვენ, „გო-
ნებაშესულედელი“ და „ბნელი“ მართლმადიდებლები სათანადოდ ვერ ვა-
ფასებდით. ვიზიტის მომხრეებს არ განუმარტავთ, რომ ეს ფაქტი მართ-
ლმადიდებელი ეკლესიის ინიციატივის გამოძახილი იყო, რაც, აღ-
ბათ, ინფორმაციის სიმწირით აისხნება.

ერთადერთი, ვინც მართლმადიდებელი ეკლესიის წელილშე და დამ-
სახურებაზე ილაპარაკა, თავად რომის პაპი გახდებათ. საპატრიარქო
რეზიდენციაში ვიზიტისას წარმოთქმულ სიტყვაში პაპმა ხაზგასმით აღ-
ნიშნა პატრიარქ იოაკიმე III-ისა და 1920 წლის ცირკულარების დიდი
მნიშვნელობა, პატრიარქების – ათინაგორას, დიმიტრიოსის და ამფამინ-
დელი მსოფლიო პატრიარქის ბართლომე I-ის საეკლესიო პოლიტიკის
პროგრესულობა და სახოგადოდ, მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღმი
არსებული ჰემანური სულისკვეთება. ცხადია, პაპის ამ განცხადებით არც
კათოლიკური ეკლესია დაყნინებულა და არც თავად მის პიროვნებას მოპ-
კლებია ღირსება.

რომის პაპის იოანე-პავლე II-ის შესახებ ბევრი კარგი რამ ითქვა
და დაიწერა მისი საქართველოში ვიზიტისას. საგანგებოდ აღინიშნა მისი
დამსახურება კომუნისტური რეჟიმის რღვევისა და ვეროპის გაერთიანე-
ბის საკითხში, მაგრამ აფიქრობთ, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნა-
ბიჯი მან საქართველოდან წასვლის შემდეგ გადადგა.

2000 წლის მარტში, დიდმარხვის პირველ კვირა დღეს მისი უწმინ-
დებობის იოანე-პავლე II-ის თაოსნობით კათოლიკურმა ეკლესიამ ბო-
ლომდე იტევითა თავისი პასუხისმგებლობა. საქეუნოდ, სადღესასწაუ-
ლო იერით ჩატარა თავისი mea culpa – საჯაროდ მოინანია კათოლიკური
ეკლესიის მიერ საუკუნების მანძილშე ჩადენილი შეიძიდ მომაყვადინებელი
ცოდვა: სეიმბა, ჯვაროსნული ღამქრობები, ძალადობის გამოყენება
სხვადასხვა ხალხებში ქრისტიანობის გავრცელების მიზნით, ანტი-
სემიტიზმი, გულგრილობა სოციალური საკითხების მიმართ, ბოშებისა
და ლტოლვილთა რასისტული დისკრედიტაცია, ქალის დისკრიმინაცია.

პიეტას ბაზილიკაში, მიქელანჯელოს ცნობილი შედევრის – „პიე-
ტას“ წინ იოანე-პავლე II-მ მუხლი მოიყარა და იქსო მაცხოვრისადმი

ლოცვა აღაულინა. „ქრისტემან უცოდველმან იტვირთა ცოდვანი ჩვენით ამიტომაც მე, ვითარცა მოციქულ პეტრეს მემკვიდრემ, ვისურვე, რომ ამ საყოველთაო მიტევების წელს – ეკლესიამ, უფლისავე მექრ მციცადმი მინიჭებული სიწმინდის ძალის მეშვეობით, მუხლი მტრდრდეს და დაგრძელდა წინაშე და შეევედროს მას მიტევება მისთა შეილთა მიერ ჩადენილი წარსულისა და ამჟამინდელი ცოდვებისა“.

იმისათვის, რომ ამ მონანიებას და საჯარო ბოდიშის მოხდას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა, პაპის განკარგულებით, მასში მონაწილეობა მიიღო კათოლიკური ეკლესიის შვიდმა უმაღლესი რანგის იერარქმა – ხუთმა კარდინალმა და ორმა ეპისკოპოსმა.

რომის პაპს იასამნისფერი ანაფირა ეცვა. ასევე კარდინალებსა და ეპისკოპოსებს. იასამნისფერი გლოვის ფერია და ამიტომ ეს ფერი უფრო მეტად შეესატყვისებოდა დიდმარხების პირველ კვირასაც და ამ ცერემონიალისაც. კათოლიკური ეკლესიის მიერ ჩადენილი შვიდი მომაცვდინებელი ცოდვის მოსანანიებლად კი საგანგებოდ შვიდი კანდელი იყო გამზადებული.

„ვაღიარებთ, რომ ზოგიერთმა ჩვენმა ძმამ სათანადო პატივი არ მიაგო სახარებას, განსაყუორებით მეორე ათასწლეულში. პატივებას ვითხოვთ ქრისტიანთა შორის მომხდარი განხეთქილებისათვის. ძალადობისათვის, რომელიც ზოგიერთის მიერ იქნა გამოყენებული ჭეშმარიტების სამსახურში“, – განაცხადა იოანე-პავლე II-მ და აანთო პირველი კანდელი.

„ვიღოცოთ, რათა აღიარებამ ჩვენთა ცოდვათა – რაც უფლის სხეულის დანაწევრებით გამოიხატა და ტრავმა მიაყენა ძმურ ურთიერთობებს – გზა გაგვიისნას შერიგებისა და ქრისტიანთა ერთიანი ზიარებისაკენ“ – შეავსო პაპის ნათქვამი საფრანგეთის კარდინალმა როჩე ეცევრა-იმ და მეორე კანდელი აანთო.

„ვაღიარებთ, რომ ეკლესიის მოღვაწეებმა სახარების მოძღვრებათა საწინააღმდეგო ქმედებანი ჩაიდინეს ჯვრისა და რწმენის სახელით“... განაცხადა გერმანიის კარდინალმა უოზეფ რანცინგერმა და მესამე კანდელი აანთო.

კარდინალმა ედუარდ კასინტიმ ილაპარაკა „ებრაელი ხალხის ტან-ჯვრის“ და პატივება ითხოვა „იმ ცოდვათათვის, რაც არც თუ მცირე რა-ოდენობის კათოლიკებმა ჩაიდინეს მათ წინაშე“, ხოლო თავად პაპმა დასძინა: „ღრმად დამწუხრებულები ვართ იმათი საქციელის გამო, ვინც

თქვენთა შვილთა ტანჯვის მიწეზი განდა. ვითხოვთ პატივისა და კაპმა დებულებას ვიღებთ, ამიერიდან ჟეშმარიტი ძმობა გაგიწიოთ“.

პაპმა და კარდინალებმა პატიება ითხოვეს აგრეთვე მე უნდამოვთ“. მისა და მტრული დამრყიდებულებისათვის, რაც კათოლიკურმა ქრისტიანული ამ სხვა რელიგიის აღმსარებლების მიმართ გამოავლინა. ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა კულტურათა და რელიგიათა ტრადიციებს. შექენ ქალების ადგილს კათოლიკურ ეკლესიაში და აღიარეს, რომ „ხშირად ხდება ქალების დამცირება და მათი უფლებების შეწლევა“.

ასე გარმელდა, ვიღრე შვილივე კანდელი არ აინთო მოსანანიებლად შეიძიო მომაყვდინებელი ცოდვისა.

ბოლოს კი მისმა უწმინდესობამ პაპმა იოანე-პავლე II-მ ზეციურ მამას მიმართა: „ყოვლადმოწყალეო მამაო, ძებან შენმან ვნების წინ მისთა მოწმენეთა ერთიანობისათვის ილოცა. ისინი კი წინ აღდგენენ ნებას მისას, განიყვენენ და ერთმანეთი დაადანაშაულეს, ერთმანეთი გაწირეს და ერთმანეთს ომი გამოუტადეს. ქრისტიანებმა სიძულვილი ამჯობინეს და არ მიჰყვნენ ანდერძს დიდი სიყვარულისა, მაგრამ წარსულის შეცდომები დღეს გაკვეთილად უნდა გამოგვადგეს“.

„აღარასოდეს ძალადობა. აღარასოდეს სიძულვილი. აღარასოდეს დისკრიმინაცია. აღარასოდეს განხეთქილება და ურთიერთისათვის ტკივილის მიყენება“ – ამ სიტყვებით დაასრულა პაპმა თავისი ლოცვა და შეა საუკუნეების უცნობი ისტატის მიერ გამოქანდაკებულ ხის ჯვარცმას ემთხვეთა*.

მსგავსი რიტუალი ჩატარდა ქალაქ სიღნეიშიც. აქსტრალიის კარდინალმა ელუარდ კლანსიმ ყველა თეთრყანიანის სახელით პატიება ითხოვა აბორიგენთა „დარბეული შთამომავლებისაგან“ სამსაუკუნოვანი ჩაგვრის გამო.

იოანე-პავლე II-ისა და კათოლიკური ეკლესიის მიერ გადადგმულ-მა ამ ნაბიჯება, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი აუთოტაფი გამოიწვია როგორც თავად კათოლიკებში, ასევე სხვა რელიგიათა წარმომადგენლებს შორის. მთელი მსოფლიოს მასმედია ალაპარაკდა. ზოგმა აღტაცება ვერ დაფარა, ზოგმა ეს ქმედება „პაპის მორიგ თვალთმაქცობად“ აღიქვა, ზოგმა კი უფრო მეტი მოითხოვა მისგან:

* იხ. ბერძნული გმეთი КОСМОС (სამყარო) 2000 წლის 14 მარტი.

ისრაელის არქიტონიმა მიერ დაუმ, „დიდად განწიბლულმა“, განაცხადა, რომ პაპს გამორჩია ბოლოში მოეხადა ებრაელთა მასობრივი კლეტის გამო, ხოლო კათოლიკური ეკლესიის ეს რიტუალი აქცერირული დამახსინჯებებით“ ჩატარდაო.

უფრო თავშეკავებული აღმოჩნდა ებრაელთა მასიური კლეტის მუზეუმის დირექტორი ავნერ სალევი. მან პაპის სიტყვები აღიქვა, როგორც „მეტად მნიშვნელოვანი... ისტორიული მნიშვნელობის“ და დასძინა, რომ უახლოეს მომავალში კიდევ უფრო მეტს ელოდება მისგან.

პაპს უსაყვედლურეს იმის გამო, რომ საერთოდ არ უხსენებიათ შოთლიო საეკლესიო ისტორიის ყველაზე სისხლიანი და სამარცხინო მოვლენა – ინკვისიცია. „თანამედროვე კათოლიკურმა ეკლესიამ დაივიწყა ის ასიათასობით უბედური ადამიანი, რომელიც საღისტურად აწამეს, კაცონზე დაწვეს ერეტიკოსებად შერაცხულნი“.

რიტუალზე არ ხსენებულაო, აგრეთვე, „ლათინური ამერიკის ინდიელთა გენოციდი ესპანელთა და პორტუგალიელთა მიერ, რაც კათოლიკური ეკლესიის ინიციატივითა და მისი მისიონერების მეშვეობით განხორციელდა“.

მართლმადიდებლებმა მოითხოვეს, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ პატიება ითხოვოს ჯვაროსანთა მიერ 1204 წელს კონსტანტინეპოლის დარბევისა და დაპყრობისათვის.

ჯვაროსნულ ლაშქრობებს ისლამური სამყაროც მიიჩნევს სისხლიან და დამპყრობლურ ომებად, რომელთა მიზანიც დარბევა და ძარცვა იყო. სამწუხაროდ, ეს ომები იქსო ქრისტეს სახელით განხორციელდაო.

საყმაოდ ჭაცრია შეფახება მისცა ამ რიტუალს ბრიტანულმა პრესამ:

„როცა კათოლიკური ეკლესია თავად აღიარებს, რომ ამდენი შეცდომა დაუშვა წარსელში, ეჭვეჭვეშ აყენებს მის მიერ გადადგმულ სხვა ნაბიჯებსაც“, – წერს ბრიტანული განეთის „ინდიპენდენტის“ მიმომხილველი პოლ ვალენი.

„კათოლიკური ეკლესიის ბოლიშს გარცვეული სახლვრები გააჩნია და ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტებსაც მოიცავს. „ბოლიშის“ მოხდა იქ ჩერდება, სადაც ამჟამინდელი პაპის უახლოესი წინამორბედების ავტორიტეტი იღაბება. ზოგიერთი მათგანი სრულიად არასამართლიანადაა წმინდანად შერაცხილი, მაგრამ არავინ არ შეხებია მათს „უცო-

* ანგლიურული ეკლესია ძირითადად რომის კათოლიკური ეკლესიის ტიპიონს მისდევს, მაგრამ არ ცნობს პინტიალუს უპირატესობას.

მელობას“ და არც მათს შემდგომდონდელ ავტორიტეტს, – წერს პაზეთ „გრანდის“ მიმომხილველი რობერტ სორგი.

ცხადია, საინტერესოა, მაგრამ ძალიან ძნელია მსოფლიოს საგა ზეთო მასალის მიმოხილვა. ეს ჩემს ძალებს აღემატება. არც უმარტიველის მთავარი საკითხი არ არის. ამიტომაც შევეცდები მხოლოდ ზოგადად, ძირითად საკითხებზე შევაჩერო თქვენი ფურადლება.

მიუხედავად ასეთი მძაფრი კრიტიკისა თუ სკეპტიკური დამციდებულებისა, იოანე-პავლე II-ის მიერ გადაღვეული ეს ნაბიჯი მაინც უფრო დადებითად იქნა აღმული. „ბევრი განაცხადებს, რომ ერთმილიარდიანი სამწყსოს ლიდერი მაინცადამაინც ვერ წაიშაო წინ, მაგრამ ვინც ამას დაიჩინებს, ის აქარწყლებს „დოდი ბოდიმის“ „ღრმა მნიშვნელობას“, – წერს კვლავ ბრიტანული განეთი „ინდიპენდენტი“. და მართლაც, ამ ნაბიჯის მთავარი მიზანი ხომ, პირველ ყოვლისა, ისტორიული მეჩხიერების განწმენდაა, საბოლოოდ კი – ქრისტიანთა და ქრისტიანულ ეკლესიებს შორის მშვიდობის დამყარება. უფრო მეტიც – მშვიდობის დამყარება ეკლესიასა და კაცობრიობას შორის.

მის უწმინდესობას იოანე-პავლე II-ს შეგნებული აქვს, რომ ბევრი იმ საკითხთაგანი, რაც ქრისტიანულ სამყაროს თიმავს, უნდა მოასწროს და თავად მოაგვაროს. ერთ-ერთი ასეთი საკითხთაგანია თუნდაც რომის ეკლესიის საჭეომპყრობლისათვის განუსაზღვრული ძალაუფლების შემცირება. ასე მაგალითად: ამ რამდენიმე ათეული წლის წინ მოციქულ პეტრეს დიადოხი, ანუ რომის პაპი ასე მოიხსენიებოდა: „პაპი მეფე“ და „იუსტის მიწიერი წარმომადგენელი“. ახლა ეს ეპითეტები და მასთან ერთად საყოველთაოდ ცნობილი „პაპის უცომელობა“ უკვე ბრჭყალებშია ჩასმული. პაპ იოანე-პავლე II-ს შესანიშნავად ესმის, რომ კათოლიკები ამგვარი სტრუქტურით ძნელად გაუმჯლავლებიან მესამე ათასწლეულს. თუ თვითონვე არ გახსნა ჰქა, მაშინ მისი დიადოხი ძნელ ვითარებაში აღმოჩდება. მისმა უწმინდესობამ იოანე-პავლე II-მ ჯერ კიდევ 1995 წელს განაცხადა, რომ შხადაა განსახილველად დააყენოს პაპის უპირატესობის საკითხი. თითქოს პარადოქსია მისი ეს განცხადება. პაპის უპირატესობის გაუქმება მხოლოდ პაპს შეუძლია. მაში რაღა უშლის ხელს? ადგეს და გააუქმოს, შეიძლება იფიქროს ვინმებ. მაგრამ ეკლესიათა საჭეომპყრობლების თუნდაც პროგრესულ მისწრაფებებს ყველა როდი მიარებს. ჩვენთან რაც ხდება, ამის მომსწრე და თვითმხილველი თავად ბრძანდებით. არც კათოლიკურ სამყაროშია ერთსულოვნება – ზოგი ცხადად ამჟღავ-

ნებს ამას და ზოგიც დაფარულად. ამაზე საუბარი შორის წაგეიცანს. ჩვენ ისლა დაგვრჩნია, დიდხანს სიცოცხლე კუსურვოთ მის უწმინდესობას პაპი ითანე პავლე II-ს, რათა ამ საყითხის მოგვარუბაც მოასწოროს, მოკლეს საქრისტიანოს საკუთილდღეოდ.

მისამართი

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის დასაწყისში მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ გამოვლენილმა ინიციატივამ გარუვეული ნაყოფი გამოიღო ისე, როგორც პანორომოქსალურ (სრულიად მართლმადიდებლურ), ასევე დიაქტისტიანულ (სრულიად საქრისტიანო) სფეროში. წინ კიდევ დაბრკოლებებითა და წინააღმდეგობებით სავსე საკმაოდ გრძელი გზაა გასავლელი. ათასი წლის მტრობისა და დაპირისპირების ისტორიული მეხსიერებიდან წაშლას და პირველი ათასწლეულის ერთიანობის ტრადიციის აღდგენას დიდ გარჯასთან ერთად გარზეული დროც სჭირდება.

დალოვი რელიგიებსა და ეკლესიებს შორის

„ათეისტურმა პროპაგანდამ, ანთროპოცენტრულმა და ეკლესიისა-გან დაშორებულმა იდეოლოგიებმა თავისებური დაღი დაასვეს თანამედროვე ადამიანს და პრობლემები შეუქმნეს როგორც ღმერთთან, ასევე სამყაროსთან ურთიერთობაში, რის გამოც საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და ადამიანის უფლებები“ [4,26]. მართლმადიდებელ ეკლესიას არასოდეს შეეძლო გულგრილი მაყურებლის როლში ყოფნა. სწორედ ამიტომ მოუწოდებს იგი ქრისტიანულ ეპლესიებს გაერთიანებისაცენ, რათა ერთობლივი ძალით აღუდგნენ წინ ისეთ გლობალურ პრობლემებს როგორიცაა: რასობრივი დისკრიმინაცია, შოვინიზმი, რელიგიური ფანატიზმი, ადამიანის უფლებების შელახვა და ა.შ. მაგრამ მარტი ქრისტიანთა ერთობლივი ძალისხმევა არ არის საყმარისი ზემოსსენებული პრობლემების გადასაჭრელად. საერთო ენა უნდა გამოინახოს სხვა რელიგიის წარმომადგენლებთანაც. ისინიც, შეძლებისდაგვარად, იმავე მიზანს უნდა ემსახურებოდნენ. ამიტომაც 1976 წელს, შამბექნი (შვეიცარია) მომავალი შოთოლიო კრების მოსამზადებელ სრულიად მართლმადიდებელთა I კონფერენციის მართლმადიდებლებმა ოფიციალურად მიიღეს გადაწყვეტილება: „წინ აღვუდგეთ ფანატიზმს ყოველი მხრიდან, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ხალხთა დამეგობრების, ქვეყნად მშვიდობისა და თავისუფლების იდეალების დამკვიდ-

რებაში, ამ გზით კი მოვემსახუროთ თანამედროვე აღამიანი მოუხედავად რასისა და რელიგიური აღმსარებლობისა“ [4,27].

ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მსოფლიო საპატიონარქის მართლმადიდებლურმა ცენტრმა შემჩენი (შვეიცარია), უფრის თავშემოწერა დონიციატივა, მართლმადიდებლებს სამეცნიერო დიალოგი ეწარმოებინათ იუდეველებთან და ისლამურ სამყაროსთან.

იუდეველებთან ეპკვე როხი დიალოგი შედგა (1976 წელს უენევაში, 1979 წელს ბუქარესტში, 1993 წელს ათენში, 1998 წელს იერუსალიმში). იუდეველთა მხრიდან ამ დიალოგში მონაწილეობენ: იუდეველთა მსოფლიო კონგრესი (World Jewish Congress) და იუდეველთა საერთაშორისო კომიტეტი რელიგიათმორისი კონსულტაციებისათვის (International Jewish Committee on interreligious Consultations).

ცხრა დიალოგი წარიმართა ისლამურ სამყაროსთან (1986 წელს შაბბეში, 1987 წელს ამანში, 1998 წელს შამბეში, 1989 წელს სტამბულში, 1993 წელს ათენში, 1994 წელს ამანში, 1996 წელს ათენში, 1997 წელს ამანში, 1998 წელს ათენში).

ზემოაღნიშნულ კონფერენციებზე წარდგენილი და განხილული პრობლემატური საყითხების ფართო სპექტრი. განსაკუთრებული ურადღება დაეთმო იმ რეგიონების პრობლემების შესწავლას, სადაც სოციალური პრობლემები გამწვავებულია, პოლიტიკური კითარება და ძაბულია და რელიგიური ფანატიზმის გაღვივებით ადვილი შესაძლებელია, მოხდეს ხალხთა შორის შეტაცებები და ომიც კი. ასეთ რეგიონებად მიჩნეულ იქნა ათენსტური საბჭოთა კავშირის რღვევის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები: რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და იუგოსლავია – აღმოსავლეთ ევროპაში.

რელიგიური ფანატიზმის გაღვივების და მისგან გამომდინარე შესაძლო კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით მართლმადიდებელმა პელისიამ იუდეველებს და ისლამური რელიგიის წარმომადგენლებს, შვიდი წინადაღება შესთავაზია, რომელნიც ორთავე მხარემ გულისხმიერებით მიიღო და ხელი მოაწერა. აი, ეს წინადაღებებიც:

1. ჩვენს რელიგიებს არა სურთ შეარყიონ ღვთაებრივი მშვიდობა ზეცისა და ამით ძლიერთა ამა ქვეყნისა ყოვლად მიუღებელი საომარი ისტერიის სამსახურში ჩადგნენ.

2. ჩვენს რელიგიებს არა სურთ, რომ დაამახინვალნ თავიანთი მოძღვრებები ადამიანის მოდგმის ერთიანობის შესახებ და ემსახურონ უახლეს იდეოლოგიებს, რომელთა მიზანიც სამოგადოებათა გაყოფა და შეტაცებების ინსპირირებაა.

3. ჩვენს რელიგიებს არა სურთ თავიანთ მოძღვრებათა ფასეულობანი – ბრძოლა მშვიდობის განსამტკიცებლად და სამართლიანობის დასამყარებლად მთელს დედამიწაზე – შეცვალონ უახლესი დღეოფლობების ფასეულობით – „ომი ყოველთა, ყოველთა მიმართ“ ცეკვითი იყო.

4. ჩვენს რელიგიების სურთ, რომ რელიგიათშორისი დაალოგების მეშვეობით განცეურნონ ისტორიული წარსულის ტრავმები, რათა უფრო თანამიმდევრულად და გამრიდილი პასუხისმგებლობის გრძნობით ემსახურონ ჩვენი ეპოქის დასუსტებულ და გადაქანცულ ადამიანს.

5. ჩვენი რელიგიები მზად არიან ერთობლივი ძალისხმევით გაატარონ ურთიერთპატივისცემისა და გულწრფელი ურთიერთგაგების პრინციპები, რათა ნელ-ნელა აღმოიფხვრას ავადმყოფური გამოვლინებანი ბრძან ფანატიზმისა და რელიგიური სიძულვილისა.

6. ჩვენი რელიგიები მზად არიან, თანამედროვე ეკუმენური დიალოგის ფარგლებში, ითანამშრომლონ მშვიდობის დასაცავად, სოციალური სამართლიანობის და ადამიანის უფლებათა დასაცავად ადამიანთა და ხალხთა უფლებებთან მიმართებაში განცენებულად რელიგიისა, ეროვნებისა, სქესისა, სოციალური და სხვა სახის განსხვავებისა.

7. ჩვენი რელიგიები მზად არიან, მზარში ამოუდგნენ თავიანთი ხალხების ხელისუფლებებს და, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებს, და მთელი შეგნებით გაისიგრძევანონ ის ძირითადი პრინციპები, რაც ადამიანთა მშვიდობიან თანაარსებობას ეხება [4, 293-339].

როგორც ხედავთ, ეს შეთანხმებები მშოლოდ ხალხთა მშვიდობიან თანაარსებობას და მათი უფლებების დაცვას ეხება, მაგრამ ამ რელიგიათშორის დიალოგებსაც უამრავი ოპონენტი ჰყავს.

1998 წელს განვით „ასავალ-დასავალისათვის“ [21(197) 18-27 მაისი] მიცემულ ინტერვიუში მამა ბასილმა (მკალავიშვილი) ასეთი რამ განაცხადა: „ილია II მწვალებლებთან ლოცვით ურთიერთობებს ქველებურად ავრძელებს. მეტიც, წმინდა სინოდის იმ კრების შემდეგ, როცა საქართველო ვითომ გამოეყო ეკუმენიზმს, ილია II სომხეთში მონოფიზიტებს შეხვდა, მერე კი მხერბაიჯანში – მოლას“... (განვითარებულია ილია II-ისა და შეიხ-ულისლამ პაქი ალამ-შუქურ ფაშაზადეს სურათი. თურმე ასეთ სურათებს და „მამხილებელ“ მასალას საგანგებოდ აგროვებს მამა ბასილი მისი ერთგული წარმომადგენლების მეშვეობით).

მე კი ყველას, ვინც დიალოგის მოწინააღმდეგება, ასეთი შეკითხვით მივმართავ: რომ არა ასეთი შეხვედრები და ზემოხსენებული შეთანხმე-

ბები, რელიგიური ომი რომ გამოეცნადებინა რომელიმე რელიგიის მე-
თაურს, წარმოგიდგენიათ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო მთელს მსოფ-
ლიოში? სხვა რომ არაფერი, წარმოგიდგენიათ რაში შეიძლებოდა გა-
დაზრდილიყო მთანი ყარაბაღის პრობლემა? თუკი იღია II წომნებისა და
აჩერბაიჯანელებს შორის შშვიდობის დამყარების საქმეში რაიმე წვლილს
შეიტანს, ეს დასაძრახისია?! ისლამური ფანტაზიმის გაღვივებით, წარ-
მოგიდგენიათ, რა დღეში შეიძლება ჩავარდეს ის ათასობით ქართველი,
რომელთაც ლუქმაპურის საშოვნელად თურქეთს მიაშურეს ამ ბოლო
წლებში, ან ნებისმიერი ადამიანი, რომელიც სტამბულის გავლით მთელს
მსოფლიოს უკავშირდება?!

მართლმადიდებებს, რომელნიც ცდილობენ საერთო ენა გამონა-
ხონ და შშვიდობა დაამყარონ სხვადასხვა რელიგიათა შორის, „სჯულის
კანონიდან“ ამოგლეჯილი ციტატებით ესხმიან თაქს. როგორ ფიქრობთ,
პატრიარქი ფოტიოსი, ან ნიკოლაოს მისტიკოსი არ იცნობდნენ „სჯულის
კანონს“, ან ახლანდელ მამებზე ნაყლებად ითვალისწინებდნენ ამ კანონებს?
მუსლიმანურ სამყაროსთან შშვიდობიან თანაცხოვრებას ელტვიდა ყველა
შეგნებული საეკლესიო მოღვაწე და ერისკაცი. ამისათვის მე კონსტანტი-
ნეპოლის პატრიარქის ნიკოლაოს მისტიკოსის (X ს.) წერილს გაგაცნობთ
კრეტის ამირასადმი: „ფოტიოსმა (იგულისხმება პატრიარქი ფოტიოსი,
IX ს.) შესანიშნავად იცოდა, რომ მიუხედავად რელიგიური განსხვავები-
სა, სიბრძნე, კეთილმობილება და სხვა სახის ნიჭი, რაც ადამიანს აღამაღ-
ლებს, ხიბლავს ყველას, ვისაც სილამაზის განცდა შეუძლია – წერდა ნი-
კოლაოს მისტიკოსი – და, რომ აქედან გამომდინარე, მიუხედავად რელი-
გიური განსხვავებისა, ფოტიოსს უყვარდა ამირას მამა, რადგანაც ის ყვე-
ლა ზემობსენებული ნიჭით იყო დაჯილდობული“ [P.G. 111,37]. აქედან
გამომდინარე, სხვა რელიგიის ხალხებთან დაახლოებას და საერთო ენის
გამონახვას, „ეკუმენურ მოძრაობას“ ნუ დავაბრალებთ, ამ მოვლენას უფ-
რო შორუული და ღრმა ძირები აქვს.

სრულიად მართლმადიდებელი ეკლესია, ეკუმენური მოძრაობის
ფარგლებში თუ მის გარეთ, დიალოგებს აწარმოებს აგრეთვე აღმოსავ-
ლეთის უძველეს ქრისტიანულ ეკლესიებთან, როგორიცაა: ეთიოპიის
ეკლესია, კოპტური ეკლესია, სირიულ-იაკონიტური ეკლესია, სომხუ-
რი ეკლესია და ასევე: ძველ კათოლიკებთან, ანგლიკანებთან, პროტეს-
ტანტებთან და რეფორმატორები ეკლესიებთან (პრესვიტერიანელები
და კონგრეგაციონალისტები). ყველა ამ დიალოგში, ამ ბოლო დრომდე,

საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელიც იღებდა მონაწილეობას/ მაგრამ, სამწუხაროდ, არსად არანაირი ინფორმაცია არ დაბეჭდილა ამტეს შესახებ.

ურთიერთი

რა არის ამ დიალოგთა მიშანი და რა შედეგები? მიღწეულებული სფეროში – ყოვლად აუცილებელია უფრო მეტად იყონ ინფორმირებული ჩვენი მოსახლეობის ფართო ფენები, და არა მარტო ისინი. ვინაიდან, როდესაც 1997 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გამოიიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან, საქართველოს მაშინდელი პარლამენტის რამდენიმე წევრმა (სამწუხაროდ, მათ შორის მხოლოდ ქალბატონი ირინა სარიშვილი და მამახასოვრდა) ოფიციალურად, პრესის საშუალებით მიუღოცა საქართველოს ეკლესიას ასეთი ნაბიჯის გადადგმა.

დარწმუნებული ვარ, ქს არ მოხდებოდა ჩვენს პოლიტიკოსებს სწორი ინფორმაცია რომ ჰქონდათ და მეტ-ნაკლებად გარცვეული ყოფილიყვნენ, ეკუმენური მოძრაობის “რაობაში. თორემ, დამეთანხმებით ალბათ, პარადოქსია, ერთი მხრივ, ეკლესიას რელიგიური დიალოგებიდან გამოსვლას უწონებდე, ხოლო მეორე მხრივ, მხარს უჭერდე საქართველოს რესპუბლიკის ეკროსაბჭოში გაერთიანებას და მის ცერემონიალს ესწრებოდე.

ეკროპელი პოლიტიკოსებიც ხომ ამა თუ იმ რელიგიური კონფესიის მიმდევრები არიან. თუკი მათთან მტრული დამოყიდებულება გვექნება რელიგიურ სფეროში, როგორლა მივაღწევთ წარმატებებს პოლიტიკურ სარბიელზე?!

ეკროპელმა პოლიტიკოსებმა კარგად უწყიან, რომ რელიგიური ფანატიზმის გაღვიყვანის შემთხვევაში, მთელი მათი სწრაფა და ზრუნვა გაერთიანებული ეკროპისათვის ფუჭი და არაფრის მომტანი აღმოჩნდება. ამიტომაც ეკროპის ყველა სახელმწიფოს ხელისუფლება მიესალმა 1997 წელს ვრაცმი ჩატარებულ ეკროპის ეკლესიათა მეორე ეკუმენურ ასამბლეას დევინით – „შერიგება“.

ბოლოს კი იმასაც გეტუვით, რომ პოლოებებს რელიგიებსა და ეკლესიებს შორის მიმდინარე დიალოგები კი არ გვიქმნიან, არამედ – ჩვენივე თვალსაწიერის სივიწროვე. და თუმცა სახარებიდან შემებლო მომებმო არა ერთი ციტატა, რომელიც სიყვარულისაკენ და ამ სიყვარულით ღმერთთან მიახლოებისაკენ მოგვიხმობს, მე მაინც თურქი მისტიკოსი პოეტის ოუნუს ემრეს ლექსით მინდა დავასრულო ამ საკითხზე საუბარი.

„დღეს და დამეს, დიდი დათვის თანავარსკვლავედს,
სჯულის ფიცარწე ამოკვეთილ კანონებს,
ყველაფერს მოიცავს არსი...
სინას, ...”

ბიბლიას და სახარებას, ფურანს და თალმუდს,
ბრძნულ აპოფთეგმებს,
ყველაფერს მოიცავს არსი.
ყოველი ნაბიჯი კიდევ უფრო მაახლოებს მასთან,
გავრბივარ მისქენ, მიჯნურისაკენ...
მე ვარ მსხვერპლად შეწირული ზვარაყი
ქალაქში სიყვარულისა.
იუნეს, შესწირუ სული შენი მეგობარს
და ნეტავ შეძლო, გადასცე მას სიცხადე საიდუმლოსი“.*

2000 წლის მაისი

* ლექსი ვთარგმნე ბერძნული თარგმანიდან. ამიტომაც, სალექსო ფორმის, ან შესაძლო უხესტობების გამო, წინასწარ გითაღის ბოლომს.

XX საუკუნე მეცნიერებისა და ტექნიკის აღმავლობის საუკუნედ შევიდა საყაცობრიო ისტორიაში. მეცნიერებისა და ტექნიკის აღმასვლამ, უეჭველად, ბევრი სიცეთე მოუტანა კაცობრიობას, მაგრამ, ამავე დროს, იგი ახალი პრობლემების წინაშეც დააყენა. ახალი პრობლემები და სახრუნავი გაუჩნდა მართლმადიდებელ ეკლესიასაც. მართლმადიდებელ ეკლესიას არასოდეს დაუწვევს კოცონზე არც ჯორდანო ბრუნო და არც გალილეო გალილეი. ყოველ მეცნიერეულ აღმოჩენას და ტექნიკურ პროგრესს იგი უფლის მიერ ადამიანის მიმართ უსახლოვო სიყვარულის გამოვლინებად მიიჩნევს. და მაინც, რა შეიძლება მოუტანოს კაცობრიობას არასწორად გამოყენებულმა ღმრთის მიერვე ბოძებულმა მაღლმა?! ომი თუ შევიდობა? პროგრესი თუ კატასტროფა? როგორი უნდა იყოს მესამე ათასწლეულში ფეხშედგმული ადამიანის დამოუიდებულება ღმერთთან და გარესამყაროსთან, სიცოცხლესთან და სიყვდილთან?

აი, ამ საყითხებს მიეძლვნა 2000 წლის 28 აგვისტო – 2 სექტემბერს სტამბულში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია დევიზით: „სამყაროსა და ადამიანის შექმნა – გამოწვევა და პრობლემები 2000 წლისათვის“.

მართლმადიდებელმა ეკლესიამ, მსოფლიო საპატირიარქოს ეგიდით, სამი წლით ადრე დაიწყო შზადება ამ კონფერენციისათვის. ცნობილ მეცნიერებს – თეოლოგებს, ექიმებს, ბიოლოგებს, ფიზიკოსებს, ასტრონომებს – სპეციალურად შერჩეული თემები დაურიგდათ შესასწავლად და დასამუშავებლად თავიანთი დარგების შესაბამისად. წაკითხული მოხსენებების თემატიკაზე თვალის ერთი გადავლებაც საყმარისია იმის გასაგებად, თუ რამოდენა პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება მართლმადიდებელი ეკლესია მეცნიერეულ აღმოჩენებს, მიმდინარე პროცესებს, მათგან გამოწვეულ პრობლემებს და ცდილობს, შეაგნებინოს მორწმუნე ადამიანს ის პასუხისმგებლობა, რაც მას აყისრია, ვითარცა ქმნილებას ღმრთისას. თვალსაჩინოებისათვის მოვიხმოს რამდენიმე მოხსენების სათაურს:

1. „სამყარო და მისი შემოქმედი ღმერთი. სამყარო „კარგი“ თავის
თავად, ვარაუდები დაცემამდელი სამყაროს შესახებ და დაცემის შემდ-
გომ მიღებული შედევები“.

2. „ქვეყნიერება და განგებულება ღმრთისა. სამყაროშემნილი ღმრთის განცემურეტით, განკაცებული სიტყვის მადლით; საეკლესიო სა-
ზოგადოება, მისტიკური და ევეკარისტიული მონაწილეობა ქრისტეს მე-
თაურობით“.

3. „ადამიანი და სიცოცხლე. ამ ორი ცნების თეოლოგიური და ანთ-
როპოლოგიური პარამეტრები“.

4. „ადამიანი და ბიოეტიკა“.

5. „სამყარო და მისი ანთროპოლოგიური პარამეტრები. ა) სამყა-
რო ადამიანისათვის. ბ) ადამიანი სამყაროში, ადამიანი სამყაროსათვის
და თანამონაწილე სამყაროს გარდაქმნაში“.

6. „ადამიანი და გენეტიკა“.

7. „ადამიანი და მისი მიმართება ცნებებთან: მატერია, სივრცე,
დრო“.

8. „ქვეყნიერება, სიყვარული და პასუხისმგებლობა ადამიანისა მის
მიმართ“.

9. „ცხოველური და მცენარეული სამეფო, არაორგანული ბუნება
და ადამიანის პასუხისმგებლობა მათ მიმართ“.

10. „ქვეყნიერება და მისთა სიკეთეთა გამოყენება, დაცვა, გამდიდ-
რება“.

11. „ქვეყნიერება და მისი სიმდიდრის ცუდად გამოყენება, გაფ-
ლანგვა, დაბინძურება, განიავება და კატასტროფა“.

12. „ადამიანური ქმნილება და ესქატოლოგია. უკანასკნელი ჟამი“.

13. „ადამიანის სიცოცხლე. სვლა მარადიულობისაკენ“.

14. „ადამიანი და გენეტიკის უხეში ჩარევა, ადამიანის მოდგმის
გახანგრძლივება, შობადობა, ტექნიკური განაყოფიერება, განაყოფიერე-
ბა *in vitro*, კლონირება“.

15. „ადამიანის სიცოცხლე და დემოგრაფიული პრობლემა. ორი
სქესი“.

16. „სიცოცხლის შეწყვეტა. აბორტი, ჩასახვის საწინააღმდეგო მოქ-
მედებანი“.

17. „ადამიანი და სამომავლო გამოწვევანი“.

18. „სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანმრთელობა, ავადმყოფობა,
სიბერე და ამ საყითხებთან დაკავშირებული ანთროპოლოგიური, სოცია-
ლური, ეთნიკური და სამწყსო პარამეტრები“.

19. „ადამიანის ორგანოების გადანერგვა. ამ მოვლენის ძოროტყიდება/ მოყენება. ორგანოებით ვაჭრობა, ტექნიკური ორგანოები, კლონირება და სხვა. არსებული ტექტება და მისი ანთროპოლოგიური პროცესტულება“ ॥

20. „სიცოცხლე და სიკვდილი. ევთანასია. ათანასტა სამრჩევლებლის ცხოვრება“.

21. „სიკვდილი და მის შემდეგ წარმოქმნილი პრობლემები. მიცვა-ლებულის დაცრაალვა თუ დაწვა?“

დამეთანხმებით, ალბათ, რომ ეს საყითხები ერთნაირად საინტერესოა ნებისმიერი ადამიანისათვის, განურჩევლად აღმსარებლობისა, რანგისა და ტიტულისა. ეს ის რეალობაა, რომლის წინაშეც დგას დღეს მთელი კაცობრიობა. ამიტომაც მართლმადიდებელთა ამ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, ან დამკვირვებლის სტატუსით დასასწრებად, მოწვევული იყვნენ აღმოსავლეთის უძველესი ქრისტიანული ეკლესიების, რომის კათოლიკური ეკლესიების და სხვა ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლები და ასევე, საეკლესიო თუ კულტურული ორგანიზაციებიდან და ფონდებიდან.

ვინაიდან კონფერენცია სტამბულში ჩატარდა, ამიტომ თურქ მეცნიერებსაც მიეცათ საშუალება, თვალი ედევნებინათ კონფერენციის მუშაობისათვის. უფრო მეტიც, სტამბულის უნივერსიტეტის პროფესორმა ასლან ტერზიოლლემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ადამიანი, გენეტიკის უხეში ჩარუვა, ცდა ადამიანის მოდგმის გამარადიულებისა, შობადობა, ტექნიკური განაყოფიერება, განაყოფიერება in vitro, კლონირება“.

მუსლიმანი მეცნიერის თვალისაზრისმა დიდი ინტერესი გამოიწვია. კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ისეთი საყითხები, როგორიცაა: გენეტიკა, ტრანსპლანტაცია, კლონირება, ბიოთოგა და ეკოლოგია სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებმა ერთობლივად განიხილონ და იქნება, ამ სფეროში ერთ საერთო გადაწყვეტილებამდეც მივიღნენ. ასეთი ერთობლივი კონფერენციის ორგანიზების ინიციატივა კი, მსოფლიო საპატირიარქომ თავის თაქ्तე აიღო. მაგრამ როგორც ყოველთვის, მართლმადიდებელი ეკლესია საერთო ენის გამონახვას და საერთო გადაწყვეტილების მიღებას ცდილობს ჯერ ქრისტიანულ სამყაროში მიაღწიოს. ამიტომაც მემორანდუმში საგანგებოდ აღინიშნა: „იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ჯერ არ არის მიმოქცევაში საერთო და სამართლიან საფუძველშე ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავუმებლავდეთ ზემოხსენებულ პრობლემებს, მართლმადიდებელი ეკლესია გრძნოს იმის აუცილებლობას, რომ ინი-

ციატივა აიღოს და, სახარებისუელ მოძღვრებაზე დაყრდნობით, მო-
ორთოდოქსალურ და დიაქრისტიანულ საფეხურზე განიხილოს და შე-
ათანხმოს ეს სკითხები“.

სტატუსი

მემორანდუმის ამ თქმისმა შეიძლება განვეული დაწეულება ჟურ-
მისტერის, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ კათოლიკურმა ეპ-
ლესიამ ჯერ კიდევ თიხმოცან წლებში მიიღო დადგენილება ბიოეთი-
კისა და კლონირების სკითხებთან დაკავშირებით. მაგრამ საქმე ისაა,
რომ იმ დადგენილებებს საკმაოდ ბევრი ოპონენტი პიავს, როგორც კა-
თოლიკურ სამყაროში, ისე მის გარეთაც. 2000 წელს კათოლიკური
ეკლესიის მიერ ჩატარებულ „საყოველთაო მონანიების“ ცერემონია-
ლის შემდეგ კათოლიკეთა და ანგლიკანთა მიერ გამოიტვია თვალსაჩ-
რისი, რომ პაპს ამ დადგენილების მიღებაც უნდა მოენანიებინაო.

რაც შეეხება მართლმადიდებელ სამყაროს, ბიოეთიკის სფეროში
იგი აქამდე მასში დამყვიდრებული ტრადიციის მიხედვით მოქმედებდა,
მაგრამ ტრამსპლანტაციის და კლონირების სკითხთან დაკავშირებით არც
წმინდა წერილი, არც მსოფლიო კრებათა დადგენილებანი და არც ტრა-
დიცია გამოყვეთილად არაფერს გვეუბნება. ეს დროის მიერ მოტანილი
პრობლემებია. ამიტომაც გადაწყდა, ეს სკითხები საყოველთაო მსჯე-
ლობის საგანი გახდეს.

სულ ახლახან, 2000 წლის 19 ივნისს რუსეთის მართლმადიდე-
ბელმა ეკლესიამ შეიმუშავა და მიიღო „სოციალური კონცეფციის სა-
უძღვლები“, რომელშიც ბიოეთიკის, ეკოლოგიის, გლობალიზაციის სა-
კითხებიც შედის. სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებსაც აქვთ შემუშა-
ვებული თავიანთი თვალსაზრისები, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ დღევან-
დელ პირობებში ძნელი იქნება ამ დადგენილებების განხორციელება,
თუკი ერთ საერთო გადაწყვეტილებამდე არ მივა ჯერ მართლმადიდე-
ბლობა და მერე სრულიად საქრისტიანო. სწორედ ამას გულისხმობს მე-
მორანდუმიდან მოხმობილი ციტატა. სწორედ ამიტომ არ მიიღო კონფე-
რენციამ საბოლოო რეზოლუცია და მემორანდუმით შემოიფარგლა. ქრის-
ტიანთა მიერ მიღებული საბოლოო დადგენილება კი განსაზღვრავს სა-
ჭირო იქნება თუ არა დიალოგი სხვა რელიგიებთან.

ერთი სიტყვით, ათასწლეულთა მიჯნაზე კიდევ ერთ ეკუმენურ
დიალოგს ჩაეყარა საფუძველი.

ახლა კი გაგაცნობთ მემორანდუმის ძირითად თქმისებს:

„მართლმადიდებლურ ტრადიციაში შეძლებისდაგვარად არი-
დებულ იქნა შეჯახება მეცნიერებისა და ღმრთისმეტყველების შო-

რის მართლმადიდებელ მამათა ორშერივი შემუცნებითი მეთოდოლოგის წყალობით, რომელიც, თავის მხრივ, უკრძალობა ონგრელოვარ განსხვავებას კაცობრივსა და დეთაებრივს შორის. როგორ აქედან გამომდინარე, ეკლესია ხარობს კაცობრისტმას მშენებელ ერელი წარმატებებით. მაგრამ განსაკუთრებული შიშით, ყურადღებით და ამავე დროს, გავებით აღვნებს თვალს კვლევის მეთოდოლოგის, თანამედროვე გენეზური მექანიკის განვითარებას, ბიომედიცინას და ბიოგენოლოგიას და სურვილი აქვს, კონსტრუქციული დიალოგი დააფუძნოს ბემოთალნიშნული დარგების წარმომადგენლებთან, ვინაიდან მიმჩნია, რომ მათთან ერთად ისიც იშიარებს იმ პასუხისმგებლობას, რომ დაუამოს გკივილი „დამაშვრალ და გადაქანცულ ადამიანს“.

შესხენებს მათ, რომ ყოველივე ის, რაც შეარყებს პაგივისცემის გრძნობას შესაქმის მიმართ, ვითარცა ღმრთისმიერი სასწაულისა, სიყვარულისა და თავისუფლებისა, აცამგვერებს ბიბლიისა და მამების მოძღვრებათა კრიგერიუმებს ეთიური ჭეშმარიგების შესახებ, ამღვრებს ადამიანთა შორის ურთიერთობებს, ბოჭავს ადამიანის დამოუკიდებლობას და ამცირებს სახეს ადამიანისა, ვითარცა ერთდაურისა და განუმეორებლისა.

მეცნიერული მიღწევები, რომელიც შეების გვრიან ადამიანურ საგეივარს, ხელს უწყობენ სხეულის ჯანმრთელობას, ახანგრძლივებენ სიცოცხლეს და, რაც მთავარია, აუჯობოესებენ ადამიანის ცხოვრებას, ჭეშმარიგად, ღმრთის საბობებისა, მაგრამ იყი არ უნდა წარმოადგენდეს თვითმიმდანს და, მით უფრო, არ უნდა გახდეს გამართლება ზედმეტი ჩარევისათვის, რაც ამცირებს ადამიანის მაცხოვნებელი პერსპექტივების პორიტონგს. ეკლესის მისია მეცნიერული პროგრესის უგველებელყოფა კი არ არის, არამედ ადამიანის ცხოვნება და ეთიურ ღირებულებათა დაცვაბა.

მომავალი ცხოვრება, რომლისკენაც მიეისწრაფული, არის ცხოვრება სასუჯეველში ღმრთისა. ეს ცხოვრება იწყება „ღროში“ და მთავრდება მარადიულობაში. ისგორიული ღრო მარადიულობასთან შეხვედრის ადგილია. ღმრთის სასუჯევლის მაცხოვნებელი „აზ“ ეკლესის მიერ ჩვენს სამსახურში ებმება, ხოლო ეკლესიური „მარადის“ ღმრთის სასუჯეველში არსებობს. არსებული სიცოცხლე მხოლოდ „მომავალი“ ცხოვრებისათვის სამჩადისს კი არ წარმოადგენს, არამედ თანამონაწილეობაბა მასში, რწმენისა და ღმრთის მცნებათა დაცვის მეშვეო-

ბით. რაც უფრო მეტად იცავს ადამიანი სიყვარულის ორმხრივ მცნებას, მით უფრო სძლევს თავის უკობზე და თავის ნამდვილ სახეს პოულობს ღმერთთან და მოყვასთან შეხვედრისას და ურთიერთობისას.

ადამიანის სრულყოფა პიროვნებად ხდება ადამიანური ბუნების ერთარსობის განცდით, რასაც პროგრეგიპად წმინდა სამების ერთარსობა უნდა ედოს. მარადიულობის შეცნობის ჭეშმარიგი მაგალითი წმინდათა ცხოვრებაა, რაც ღლემდე დასგურდება დაქორონიულად. მათი შემწეობით ვიცით, რომ მარადიულობის ძიება ჯერ კიდევ მოწიერ ცხოვრებაში, ადამიანს აკარგვინებს სივედილის შიშს და პარმონიაში მოყავს მთელს კაცობრივ სამყაროსთან. ამას გარდა, მართლმადიდებლური თეოლოგის თანახმად, არა მხოლოდ ადამიანი, არამედ მთელი კაცობრივი სამყარო, ვითარცა ახალი ქმნილება, მონაწილეობას მიიღებს გრიალული ღმერთის მეუფებაში.

მართლმადიდებლურ თეოლოგიას, რომელიც დაფუძნებულია ბემოხსენებულ თეოლოგიურ მოძღვრებებზე, შეუძლია ყოველგვარი წინასწარი განგრახვებისაგან დაცლილი, კულტრული დიალოგი აწარმოოს გამოყენებითი მეცნიერების წარმომადგენლებთან და მათთან თანამშრომლობის შედეგად პასუხი გასცეს სამოგადოებისათვის საკამათო იმ საკითხებს, რომელთაც ძირითადად გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს იჩინეს თავი. როგორიცაა, მაგალითად, ოჯახის ინსტიტუტი, ოჯახური ურთიერთობები და ასევე ადამიანის გამრავლების პროცესი.

არავის ხელეწიფება უარყოს ის ფაქტი, რომ სიცოცხლის „საიდუმლო“, უჯრედის სგადიიდან მოყოლებული სინთეგურ ორგანიზმად ჩამოყალიბებამდე, „არსებობის“ ცნების ირგვლივ ბრუნაქს. ამგვარად ორსულობა, თავიდონვე ავგონომიური ცოცხალი ორგანიზმის, ადამიანის არსებობის განვითარების პირველი სგადიაა, რომელიც აუცილებლად დასრულდება გარკვეული დროის შემდგომ. აქედან გამოდინარე, ეჭვესგარეშეა, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოების თანახმად, აბორგი ეთიურად მიუღებელია, მით უფრო, რომ იყი საერთო ეთიურა ნორმებისთვისაც მიუღებელია. თავის დაცვაზე ბრუნვა, გარდა იმისა, რომ აუმჯობესებს ოჯახური თანაცხოვრების ხარისხს, ამავე დროს აქტუალურებს შობადობის საკითხსაც.

ცხადია, რომ აღნიშნულ პრობლემებთან გამეოღაებაში ეპლესის წვლილი გააძლიერებს ოჯახის როლსა და მნიშვნელობას

ჯანსაღი საბოგადოებრივი უჯრედის ჩამოყალიბებაში. სხვა რომ არაფერი, ეკლესიის ლიგურგული გრადიცია ენერგიული უწყობს ხელს მრავალგანბომილებიან და მრავალი მნიშვნელობის მატურუებელ ქორწინების საიდემოლს.

აღნიშნული თეოლოგური თვალსაზრისებიდან გამომდინარე, ეკლესიის შეუძლია პასუხი გასცეს ბიოეთიკის სხვა დიდ პრობლემასაც, რასაც ჯანსაღ შთამომავლობაბე ბრუნვა პქვია და ასევე, გრანისპლანგაცია, კლონირება, კვთანასია. ამიგომაც მართლმადიდებელ თეოლოგიას არ შეუძლია ბიოეთიკა მიიღოს დოგმაგური მოძღვრებისაგან დამოუკიდებლად. არ შეიძლება არსებობდეს ბიოეთიკა ბიოთეოლოგიის გარეშე.

ბიოენეგვება არ უნდა ვითარდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ასკლეპიონისა და პიპოურაგეს სულისკეთების ფარგლებში, სერიოზულად უნდა ვათვალისწინოს სახარების ძირეული პრინციპები. კვლევა-ძიებისა და აღმოჩენებისას არ უნდა ვამოირიცხოს ანთროპოლოგური და კაცთმოყვარეობითი მცნებები...

მაღლიერების გრძნობით აღვითინი მაღლობას მოვახსენებთ უფალს ღვთაებრივ საბოძეართათვის და რწმენით განმსჭვალულნი შემოქმედების სასწაულის წინაშე პავლე მოციქულთან ერთად ვალიარებთ: „შენ დასაბამსა, უფალო, ქუცანად დაბუქმნე, და ქმნულნი კელთა შენთანი ცანი არიან, იგინი წარედნ, ხოლო შენ ევო უკუნისამდე, და ყოველნი ვითარცა სამოსელნი დაბუქლდნენ, და ვითარცა შესამოსელნი სცვალნე იგინი; და იცვალნენ. ხოლო შენ თავადი იფივე ხარ, და წელიწალთა შენთა არა მოაკლდეს.“ (ეპრ. 1, 10?12).

ბოლოს კი ისიც მინდა აღვნიშნო, რომ კონფერენცია ჩატარდა ძალიან მაღალ დონეზე, სასტუმრო „პილტონში“. მთელი სტამბული მობილისტებული იყო, რათა რაიმე ექსცესებს არ ჰქონდა ადგილი. ეს ხომ პირველი ქრისტიანული საერთაშორისო კონფერენცია იყო, რომელიც მუსლიმანურ გარემოცვაში, კერძოდ კი ყოფილი ბისანტიის დედაქალაქში ჩატარდა. დამეთანხმებით ალბათ, რომ ეს ყველაფერი ასე უმტკიცნეულოდ არ ჩაივლიდა, რომ არა ის დიალოგები და მუსლიმანურ სამყაროსთან მიღწეული შეთანხმებები, რაზედაც სულ ცოტა ხნის წინ ვისაუბროთ.

ჩემი პრიოტ, მეტად სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამ კონფერენციას არ ესწრებოდა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი. მართა-

ლია, საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი ილა II ოფიციალური წერილით მიესალმა კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, მაგრამ, ჩვენს ეკლესიაში შექმნილი მდგრადი გადამდინარე, წარმომადგენლის წარმატება თავი შეისავა. საქართველოს დან მხოლოდ მე დავესწარი ამ კონფერენციას დამკვირვებლის სტატუსით, რის გამოც თავი ვალებულად ჩავთვალე, ქართველი მორწმუნებისათვის ამ კონფერენციის შესახებ მომეთხრო. თუმცა ამ წერილის დაწერის მთავარ მიზანს ინფორმაციის მოწოდება კი არა, ჩვენს ეკლესიაში მიმდინარე პროცესების გაცნობიერება წარმოადგენს.

ამ ბოლო დროს საქართველოს ეკლესიაში კამათისა და დებატების მიზეზი გახდა თემა: „მუცელში უღროც მოწყვეტილი ბავშვების სული სამოთხეში მოხვდება თუ ჯოჯოხეთში?“ კვლავ ორ ბანაკად გაიყო საქართველოს ეკლესიის სამღვდელოება, კვლავ საშიშროების წინაშე აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიის ერთიანობა.

ცხადია, თავისთავად საინტერესოა „მოწყვეტილი ბავშვების სულის“ საყითხი, მაგრამ ახლა, ამ ვაი-უბედურებაში, როცა თითოეული ჩვენგანის სულიერი და ფინიკური გადარჩენის საყითხი დგას, მე ამას ვიღაცის მიერ საგანგებოდ წამოჭრილ თემად აღვიქვამ, დესტაბილიზაციის გამოსაწვევად. ასეთივე თემად მიმაჩნა მრავალსაუკუნოვანი ქართული საეკლესიო საგალობლების ავთენტურობის საყითხის დასმაც. „ბავშვების სულის“ საყითხმა ხომ თვით ათონის მთის ბერებიც კი განაცვიფრა და ასე შემოუთვალეს ამ დისკუსიაში ჩაბმულ პირებს: ნუოუ თქვენს ეკლესიაში ყველა აქტუალური საყითხი მოგვარებული გაქვთ, რომ ამ საყითხთან დაკავშირებით არ ჩახოცოთ ერთმანეთიო?

წინამდებარე წერილში მე საგანგებოდ წარმოვადგინე სტამბულის კონფერენციაშე წყაითხული მოხსენებების სათაურთა ფართო სპექტრი, რათა კვლევა-ძებით დაინტერესებულმა ჩვენმა სამღვდელოებამ იქნება ამ საყითხების შესწავლას მოჰყიდოს ხელი და მომავალ პანორომოება-ლურ თუ დაქრისტიანულ შეხედრებზე თავიანთი სიტყვა თქვან. და კადევ, თუ დღეს მათთან არავინ მიდის იმის საყითხავად, გადაინერვოს თუ არა გული, ან თირუმელი, ხვალ უსათუოდ დადგება ეს დღე. ეკლესია და მისი შსახური შზად უნდა იყვნენ თანამედროვეობის მიერ წამოჭრილი ნებისმიერ პრობლემშე პასუხის გასაცემად. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ალბანეთის მთავარეპისკოპოსი ანასტასიონსი.

„მართლმადიდებელი თეოლოგიური აზროვნებისათვის დამახასიათებელი მკვეთრად გამოკვეთილი ისტორიული თვითშეგნება ხში-

რად მცდარ წარმოდგენას ქმნის, თითქოს ჩვენ ვართ საეკლესიის საზოგადოება, რომელიც მუდამ წარსულით არის დაკავებული. მაგრამ ქრისტე ჰველა ეპოქისა და ჰველა კულტურის კუთვნილება. „შეუძლია მინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე“ (ებრ. 13,8) – ზეაღმატებული ფამთა სვლაზე. ამდენად, ეკლესია მისი, რომელიც მის „მისტიკურ სხეულს“ წარმოადგენს, არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს რომელიმე ისტორიულ პერიოდს და არც რომელიმე ეპოქის ხასიათსა და სტრუქტურასთან არ იგივედება. მართლმადიდებელი ეკლესია ვალდებულია იყოს გახსნილი კაცობრიობის განუწყვეტელ ძიებათა წინაშე სივრცესა და დროში, მყარი მეთვალყურეობის ქვეშ იმისა, „რომელი არს, და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხ. 1,8); შთაგონებული სული წმიდით, რომელიც დროსაც განაახლებს“ [1,270].

2000 წლის სექტემბერი

ეპუნენციი მოძრაობა და აღამიანის უფლებები.

ეპლესია და სეჩტები

საბჭოთა კავშირის რღვევისა და სახლვრების გახსნის შედეგად უამრავი სექტა მოაწყდა მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეს. არც საქართველო აღმოჩნდა გამონაცვლისი. ბეთანიის მონასტრის ბერები 1997 წელს შემფორთებული აცხადებდნენ, რომ „საქართველოს ეკლესია, რომელსაც ეკუმენის მწვალებლობა შეეყარა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კაბალაში მოექცა და ხელ-ფეხი შეეკრა ე.წ. „იელოველებთან“, ბაპტისტებთან, კრიშნაიდებთან და ათასგვარი სხვა ჯურის მწვალებლებთან ბრძოლაში...“ (იხ. ბეთანიის მონასტრის ღია წერილი სიხოდს).

მინდა განვუმარტო ბერებს და შესაბამისად, მათ მიერ შემფორებულ ჩვენს მოსახლეობას, რომ საქართველოს ეკლესია 1962 წლიდან იყო ჩართული ეკუმენურ მოძრაობაში, მაგრამ ამით საქართველოში მართლმადიდებლობა არ შერყეულა. 80-იან წლებში, ჩვენს თვალწინ, გადევ უფრო აღზევდა ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებლური სარწმუნოებაც და ეკლესიაც. თავად ეს ბერებიც ამ წლებში მოვიდნენ საქართველოს ეკლესიის წიაღმი.

სწორედ 80-იან წლებში კათოლიკოს პატრიარქი ილია II ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი პრეზიდენტი გახლდათ, მაგრამ ამ ფაქტს არც სამღებელობის და არც სამოგადოების პროტესტი არ გამოუწვევა. პირიქით, საქართველოს მოსახლეობამ ეს მოვლენა ჩვენი ეკლესის საერთაშორისო სარბიელშე აღიარებად აღიქვა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: სად იყენენ მაშინ „მართლმადიდებლობის დამცველი მამები“ და მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ასე ძევეთრად დაუპირისპირდა 1997 წელს საქართველოს ეკლესიას და მის საჭეომპყრობელს, რატომ ადრე არ იღებდნენ ხმას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას რამდენიმე ფაქტორზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება:

1. საბჭოთა კავშირის მაშინდელი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, მის ფარგლებში არსებული ყველა ეკლესია იყო გაწევრიანებული ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში და, ცხადია, არ იყო დაშვებული

პროპაგანდა ეკუმენური მოძრაობის წინააღმდეგ. ვერც უცხოეთში არსებული მტრულად განწყობილი ძალები ახერხებდნენ ამას იმ პირობებში. თუმცა, აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ქაფშირუს და ეს მიუიდებულება ეკუმენური მოძრაობისადმი ყოველთვის ერთგვარუსა არ ყოფილა. ემს-ს დამუქნებელ ყრილობაშე (ამსტერდამი, 1948 წ.) საბჭოთა კავშირის ფარგლებში არსებულ არც ერთ ეკლესიას არ მიუღია მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ მიწვევულნი იყვნენ. პირიქით, საბჭოთა დიპლომატიამ ისიც კი მოახერხა, რომ ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეკლესიებიც გამოითხოვა ამ მოვლენას. ორი თვით ადრე ეს ეკლესიები მოსკოვში გამართულ მართლმადიდებელი ეკლესიების კონფერენციაშე მიწვიეს და შეთანხმდნენ, რომ რესერის ეკლესიასთან ერთად, არც მათ არ მიეღოთ მონაწილეობა ამსტერდამის კონფერენციაში. [5.9, 70].

60-იან წლებში საბჭოთა კავშირმა შეცვალა საგარეო პოლიტიკის ქურსი და, აქედან გამომდინარე, რესერის ეკლესიამ 1962 წელს ემს-სთან თავისი მუდმივი წარმომადგენლობა დაარსეს ჟენევაში. 1962 წელსკე გაერთიანდა ემს-ში საქართველოს ეკლესიაც. ასე რომ, ნუ ავჩარდებით და ნურც ერთ პატრიარქს ნუ დავდებთ ბრალს „ეკუმენიზმის მწვალებლობის შეკრაში“. ყველაფერს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ქურსი განსაზღვრავდა – ჩვენი ეკლესიის ემს-ში გაერთიანებასაც და „მართლმადიდებლობის დამცველი მაშების“ მაშინდელ დუშმილსაც.

2. 80-იანი წლების დასასრულს, როდესაც საბჭოთა კავშირის საფუძვლები შეირყა და მისი ყოფნა-არყოფნის საყითხი დადგა, ცხადია, ყველა შეეცადა სათავისოდ გამოეყენებინა არსებული ვითარება და ნებისმიერ შეხებსა და საშუალებებს მიმართეს მიწნის მისაღწევად. სწორედ ამ ფაქტმა განსაზღვრა ემს-ის წინააღმდეგ გალაშქრებაც და სექტების მომრავლებაც.

იმ ფონზე საქართველოში განსაფუთრებული მნიშვნელობა შეიძინა რესული ემიგრანტული ეკლესიის ხმამ, ვინაიდან ის მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ.

მიტროპოლიტი ვიტალი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს „მწვალებლობისა და სიცრუის ერთიან ფრონტს“ უწოდებს და მიაჩნია, რომ ამ საბჭოში „მოხდა კაცთა მოდგმის სულიერი ისტორიის მანძილზე არსებული ყველა შერხელობის, გმობის, ცდომილებისა და ჭეშმარიტებისაგან განდგომის შეკრება და ურთიერთშერწყმა, დაწყებული კანიდან და ქამიდან, დამთავრებული იუდა გამცემლით, კარლ მარქსით, გახრწი-

ლი ფრონდითა და ყველა თანამედროვე მცირე თუ დიდი მერეხელით“ (იხ. განეთი „დროის ქრონიკა“, №2, 1997წ.).

რესული ემიგრანტული ეკლესიის „ჭეშმარიტი მართლმადიდებლური მოძღვრებებით“ აღფრთოვანებულმა ჩვენი ეკლესიის სამოქადალოებისა და მოსახლეობის ნაწილმა „თანამედროვე შცირე თუ დიდ მერეხელთა“ შორის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც დაინახეს, რაც ის ოდესაც ემს-ის ერთ-ერთი პრეზიდენტი იყო. „ჭეშმარიტი მართლმადიდებლებად“ ჩვენი მოქცევა კი იმით დაგვირგვინდა, რომ 1997 წელს ბერთა ერთმა ნაწილმა „მწვალებლობაში“ დაადანამარტი დედა ეკლესია და სიწმინდის საძებრად რესულ ემიგრანტულ ეკლესიას მიაშურა.

განდვომილ მამათა ხელმძღვანელი, არქიმანდრიტი იოანე შეფლაშვილი ამერიკაში გაემგზავრა.

რას მიაღწია არქიმანდრიტმა იოანემ ამერიკაში, ვერაფერს გეტვით. მას შემდეგ, რაც დაბრუნდა, დუმილი ამჯობინა...

ბასილი მყალავიშვილისა და მისი მრევლისათვის კი მიტროპოლიტი ვიტალი დღემდე სათაფვანებელ კერპად რჩება. ამას, აღნათ, ის განაპირობებს, რომ ბერძნი სქიმატები, ვის დაქვემდებარებაშიც საკუთარი ნებით შეფოთ თვავი ბასილ მყალავიშვილმა, მხოლოდ რესულ ემიგრანტულ ეკლესიას აღიარებენ და მხოლოდ მათთან აქვთ კავშირი.

ბერძნი სქიმატები ვის აღიარებენ, ეს რა ჩვენი საქმეა, სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ მყალავიშვილმა და მისმა მრევლმა არ იცის, რომ რესული ემიგრანტული ეკლესია არ ცნობს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას 1917 წლის 12 მარტს. ისინი ჯერ კიდევ ცარისტული რესერის თვალით შეპურებენ მსოფლიოს.

3. რა დასამალია და, უკანასკნელ ათწლეულში ჩვენი საჩივალოების ერთი ნაწილის ასეთი მევეთრი დააპირისპირება საქართველოს ეკლესიისა და მისი საჭეთოყორებელისადმი, 1992 წელს ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულმა მოვლენებმაც განაპირობა. გახსოვთ აღნათ, როგორ ხევდნენ კათოლიკოს-პატრიარქის პორტურეტებს მიტინგებზე და ამის სანაცვლით ჭუპარ დუდავების პორტურეტებს აფრიკალუბლნენ. ამიტომაც, მოსახლეობის ეს ნაწილი ადვილად აჰევა ანტიუკუმენურ პროპაგანდას. ამათ სხვებიც შეუერთდნენ, სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის ადამიანები, რადგან ეგონათ, რომ ამ წილი მართლმადიდებლობას იცავდნენ ქვეყანაში. ის კი არ იცოდნენ, რომ ერთადერთი ინსტანცია, სადაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სხვა აღმსარებლობის მიმდევართა ქმედებების გაპროტესტება შეეძლო, ეკლესიათა მსოფლიო

საბჭო იყო. ვინაიდან, ემს-ში გაწევრიანებულ ეკლესიებსა და ორელიგიურ მიმღინარეობებს ეკრძალებათ პროსელიტიზმი ერთმანეთის მიმართ.

არც ის იცოდნენ, რომ საქართველოს ეკლესიას ეკლესიამაჲმაფუნდება. მ ლით საბჭოში შეეძლო დაეყენებინა ემს-ის წევრი სხვა შემომარტინის დებელი ეკლესიების საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში ჩარევის საკითხიც.

ამიტომ გყელთა ყველაფერი, რომ 1997 წელს, ევროპის ეკლესიათა II ეკუმენური ასამბლეის წინ, გამოსულიყო საქართველოს ეკლესია ემს-დან.

ამ პოლიტიკის მსხვერპლი მარტო ჩვენი ეკლესია არ აღმოჩნდა. 1998 წელს, VIII ეკუმენური ასამბლეის წინ, ბულგარეთის ეკლესიაც გამოვიდა ემს-დან.

ყოველივე ზემოთქმული ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიმართ ნოსტალგიის გამო კი არ იწერება, არამედ იმის გასაცნობიერებლად, რომ საქართველოს ეკლესიის ემს-ში გაწევრიანებაც და ამ ორგანიზაციიდან მისი გამოსვლაც პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა.

ახლა კი კელავ სექტების საკითხს მივუბრუნდეთ.

თვით ე.წ. „ქრისტიანული სექტებიც“ კი, ასევე და უპირისპირდებიან ქრისტიანთა გაერთიანებას. უფრო მეტიც, ისინი ნებისმიერი ეკლესიის წინააღმდეგნი არიან. ასე მაგ.: „ერთ-ერთმა ქრისტიანულმა დაჯგუფებამ, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „Pietismus“ (მისი ერთ-ერთი სექტა „მეთოდისტებიც“ არიან) რომის კათოლიკური ეკლესიის ეკუმენური მოძრაობისადმი დადებითად განწყობა, „ემს-ს ეშმაკურ იდეად“ გამოაცხადეს და იწინასწარმეტყველეს, რომ „ეს ორგანიზაცია გადაიქცვა ანტიქრისტეს ეკლესიად, რომლის მეთაურიც პაპი გახდება“ [2, 343]. ასეთი იდეის გამავრცელებელი სხვა ბეკრი სექტაც არსებობს.

ეკუმენური მოძრაობის წინააღმდეგ გამართული კამპანიის შედევრად ეს მნიშვნელოვანი მართლმადიდებელთა შორისაც გავრცელდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენმა სამოგადოებამ არ იცოდა, და შესაძლოა, მისმა ერთმანაწილმა დღისაც არ იცის, რომ რომის ეკლესია არ არის ემს-ს წევრი. რომის ეკლესიამ 1952 წლიდან დაიწყო თავისი წარმომადგენლების წარგზავნა ეკუმენურ ასამბლეებზე მხოლოდ დამჭვირვებლის სტატესით. 1964 წლის 21 ნოემბერს კი გამოსცა დადგენილება, რომელშიც ჩამოყალიბებულია რომის ეკლესიის პრზიცია ეკუმენური მოძრაობის მიმართ. მართალია, ამის შემდეგ დადებითად განწყობა კათოლიკური

ეკლესია ემს-ს მიმართ, მავრამ რაკი იყი დღემდე არ არის ამ ორგანიზაციის წევრი, როგორდა გახდება მისი მეთაური?

ჩვენმა მოსახლეობამ არ იცოდა ყოველივე ზემოთქმული, მაგრამ იცოდა რომის ეკლესიის სიძლიერე. ამიტომაც ადგილად აჟავა სუკრატ-ტების მიერ გავრცელებულ და დამკაიდრებულ ცრუ წინასწარმეტყველებას. წარმოიდგინეს, რომ ემს-ში ძლიერი გაიმარჯვებდა. დეზინფორმაციის წყალობით ჩამოყალიბებულმა აზრმა კი დღევანდელი ვითარება განაპირობა:

კათოლიკური ეკლესიის და ბაპტისტების წარმომადგენლები შემფლოთებული აცხადებენ, რომ მართლმადიდებელი საქართველოს ტოლერანტობა უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა და საქართველოს საპატრიარქოსადმი გამოთქვამენ გარევეულ საყველურებს. სამწუხაროდ, იმას კი ვერ აცნობიერებენ, რომ ის „ჭეშმარიტი მართლმადიდებლები“ თავად საქართველოს ეკლესიასაც უქმნიან პრობლემებს.

კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა უსათუოდ უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ ეს „ჭეშმარიტი მართლმადიდებლები“, სრულიად გაუცნობიერებლად, იმ ძალების მიერ იმართებიან, ვისაც ამ ბოლო ათი წლის მანძილზე „უნის“ საყითხის გამო უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა აქვთ რომის კათოლიკურ ეკლესიასთან. ეს ძალები ანტიფათოლიკურ სულისყველებას ისე აღვივებენ „ჭეშმარიტ მართლმადიდებლებში“, რომ ამ საწყლებს წარმოდგენაც კი არა აქვთ.

ამას თან ერთვის ახალ-ახალი სექტების მომრავლებაც. სექტანტები ხომ ნებისმიერ ეკლესიას ებრძევიან – კათოლიკურსაც, მართლმადიდებლერსაც, პროტესტანტულსაც... ისინი ერთმანეთსაც ვერ იტანენ, რადგან ყოველ სექტას მიაჩნია, რომ მხოლოდ მათ წიაღში პპოვებს ადამიანი „სიმშვიდის ნაკადულს“. აი, თუნდაც მაგალითისთვის „ორმოცდაათიანელები“ ავიღოთ. ისინი „ქრისტიანულ ეკლესიებს და აღმსარებლობებს აიგივებენ, „მეძავ ბაბილონთან“, რომლისაგანაც ღმრთის შეილნი მათთან უნდა გაეშურონ [2, 165]. ასევე ფიქრობენ „ადვენტისტები“ („იეღოველები“ ერთ-ერთი მათი დაჯგუფებაა) და სხვებიც.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილ რელიგიურ განუკითხაობას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ ამ ბოლო წლებში ისეთი სექტებიც შემოგვესივნენ, რომელთა შესახებ ადრე არც კი გვსმენოდა. ასე მაგ.: „მორმონები“, „მუნისტები“, „ახალი ორმოცდაათიანელების“ სხვადასხვა დაჯგუფებები და, ვინ იცის, იქნებ სხვებიც არიან. მე ხომ ამ დარგის სპეციალისტი არა ვარ, ყველა რომ ვიცოდე.

ყველაზე საშინელი ის არის, რომ ეს ახალი სექტები ნიღბით შემოდიან. იმ სახელწოდებით, რომელსაც ისინი ატარებენ, ძნელად წარმოიდგენს ადამიანი, რომ სექტასთან აქვს საქმე. ისე მაგ.: „მეცნიერებათა გაერთიანების საერთაშორისო კონფერენცია“ (ICUS), „პროფესიონალური აკადემია მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად“ (PWPA), „მასმედიის საერთაშორისო კონფერენცია“ (WMC), „თანადგომისა და მეცნიერების საერთაშორისო ფონდი“ (IRFF).

ყველა დასახელებული „საერთაშორისო ორგანიზაცია“ ე.წ. „ჰენოტურ ეკლესიას“, ანუ „მუნისტებს“ ეკუთვნით. „ჰენოტური ეკლესიის“ ფარგლებში არსებობენ აკრეთვე მთელს მსოფლიოში განხეული „ეკონომიკური და ბინების ორგანიზაციები, პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა გაერთიანებასაც CAUSA ჰქვა“ [2,570].

ვერ გატყვით, დასახელებული ორგანიზაციებიდან ანუ სექტებიდან, რომელიმეს აქვს თუ არა ჯერჯერობით ფეხი მოყიდებული საქართველოში, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, დღეს თუ არ არიან აქ, ხვალ გამოჩნდებიან. მე უბრალოდ იმის მაგალითად მოვიყვანე, რომ, როდესაც ადამიანი ასეთი დასახელების მქონე სტრუქტურასთან აღმოჩნდება პირისპირ, როგორ უნდა მიხვდეს, რომ რაღაც მეტად სერიოზულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან კი არა, სექტასთან აქვს საქმე? არის ვინმე, ამ შემთხვევაში, დაზღვეული, ან მართლმადიდებელი, ან კათოლიკე, ან ბაპტისტი? როგორ უნდა გაუმჭვლავდნენ ამ პრობლემას უბრალო ადამიანები, როდესაც თვით საქართველოს პარლამენტი შევიდა შეცდომაში. გაბსოვთ ალბათ ბატონ ჯანსულ ჩარცვანის წერილი გაჩერ „ლიტერატურულ საქართველოში“, თუ როგორ ამოყოლ თავი, ამ რამდენიმე წლის წინ, საქართველოს პარლამენტის მიერ წარგმავნილმა დელეგაციამ „მუნისტების“ საერთაშორისო კონფერენციაზე ნიუ-იორკში.

ჯანსულ ჩარცვანის რისით განუცხადებია, რომ მართლმადიდებელია და ორიათასწლოვან რელიგიის ვერ გაცვლის 1960 წელს დაარსებულ სექტაში (სამწუხაროდ, გაჩერი არ შემომინახავს, ციტატები რომ მოვიხმო, მაგრამ მთავარი აჩრი ასეთია). დარწმუნებული ვარ ჯ.ჩარცვანის თაობის უბრალო გლეხიც კი, რომელმაც ბოლომდე არც კი იცის მართლმადიდებლური მოძღვრების სიღრმე, იგივე განცხადებას გააკეთებდა. ასევე დაიცავდა თავის მრწამსს კათოლიკე გლეხიც, მაგრამ საკითხავია, როგორიც მოიცევა გლობალიზაციის პერიოდში გაჩრდილი და ტექნიკური რევოლუციით თავმრუდასხვეული, სულ სხვა მენტალიტეტის შენოე საქართველოს მომავალი პარლამენტარი, ან ნებისმიერი მოქალაქე.

ამიტომაც, ვფიქრობ, ერთმანეთის დადანაშაულების ნაცვლად, როგორც მართლმადიდებელი, ასევე სხვა ეკლესიების მესვეურებაც, სექტების ლექსიკონის გამოცემაზე უნდა იჩრენონ, რათა წელი ვიზუალურალიშის პირობებში ადამიანებმა მართლაც თავისუფრთი მარწყანი გაფეთონ და ბრძად არ მიჰყვნენ ამა თუ იმ პროპაგანდას.

ასეთი ლექსიკონის არსებობით უნდა დაინტერესდეს საქართველოს ხელისუფლებაც, რადგან კოვლად აუცილებელია იგი სახელმწიფო მოხელეებისათვის, უცხოეთში მყოფი საქართველოს საელჩოებისათვის და ა.შ. (ყველა ქვეყანაში არსებობს ასეთი ლექსიკონი. საბჭოთა პერიოდში ასეთი ლექსიკონის როლს ასრულებდა ე.წ. „Карманний Словарь Атеиста“ და სხვადასხვა დასახელების ათეიისტური წიგნები). ინფორმაციის სიმწირის და დეზინფორმაციის ნაყოფი ხომ ყველამ, — ერმა და ბერმა, — ერთად ვიწვნით.

რაყი საქართველოში კველაშე დიდი პრობლემა მაინც „იელოვას მოწმეებთან“ გვაქვს, ამიტომ მინდა საგანგებოდ მივაქციო მყითხველის ყურადღება ამ სექტის იდეოლოგიას და მასთან ბრძოლის არსებულ მეთოდებს.

პირველყოვლისა, მინდა განვმარტო, რომ „იელოველებს“ არანაირი კავშირი არა აქვთ ეკუმენურ მოძრაობასათან. პირიქით, ისინი ამ მოძრაობისა და ქრისტიანთა ნებისმიერი გაერთიანების წინააღმდეგნი არიან. უფრო მეტიც, მათ მიაჩნიათ, რომ „არსებობს ორი ორგანიზაცია, რომელთაგან ერთი მიეკუთვნება „იელოვას“, ხოლო მეორე — „სატანას“. პირველს მიეკუთვნებიან მხოლოდ და მხოლოდ „იელოვას მოწმეები“, მაგრამ ყველაფერი სხვა — სახელმწიფოები, ეკლესიები და ა.შ. მიეკუთვნებიან სატანას. „იელოვას მოწმეების“ მიზანს ის წარმოადგენს, რომ ადამიანებმა მიატოვონ სატანის ორგანიზაცია და მთელი გულით შეუერთდნენ „იელოვას მოწმეებს“ [2, 466].

ასე რომ, ეკუმენური მოძრაობიდან გამოსვლით სწორედ მათი და ბევრი სხვა სექტის სასარგებლოდ გადავდგით ნაბიჯი.

ე.წ. „ბასილისტებმა“ რელიგიურ ფანატიზმში გადახარდეს იელოველების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ნამდვილად ამცირებს საქართველოს სახელს საერთაშორისო ასპარეზზე, რადგანაც ბარბაროსული აქტები, ვის წინააღმდეგაც არ უნდა იყვნენ მიმართული ისინი, ცივილიზებული სამყაროსათვის მიუღებელია. ისიც ცნადია, რომ ცემა-ტყეპა და სისხლიანი შეტყუებები ვერანაირ შედეგს ვერ მოგვიტანს. გავისხმოთ თუნდაც

ის ფაქტი, რომ პირველ საუკუნეებში სწორედ დევნამ კიდევ უფრო განამტკიცა ქრისტიანული სარწმუნოება.

ერთადერთი მეთოდი, რომელიც, ალბათ, უფრო გაამართლება, საახარებისეული მოყვასისადმი სიყვარულია. „იეღოველთა“ მიერ გადაძირებული ჩვენი მოსახლეობის ნაწილი სიბრალულს უფრო იძსახურებს, ვიდრე სიძულვილსა და მტრობას. ისინი ხომ ამ დუხშირი ყოვის მსხვერპლი არიან.

70-წლიანი ათეიისტური პროპაგანდის შემდეგ შიმშილის ზღვარზე მისულ მოსახლეობას ვინც გაუწიოდა დახმარების ხელი, იმათი იწამეს. ეს ბუნებრივი, ადამიანური სისუსტეა. გაიხსენეთ ძველი აღთქმა. როდესაც მოსეს ეგვიპტიდან გამოჰყავდა დამშეული და განაწამები ებრაელები, ისინი რამდენჯერმე აუმსხდრდნენ მას და ღმერთის არსებობის ხილული საბუთი მოსთხოვეს. მხოლოდ ცით მოვლენილმა მანანამ შეძლო მათი დაშოშმინება. პოდა, „იეღოვას მოწმების“ მიერ ოჯახებში შეტანილი მაყარონი, პური და შაქარი სწორედ იმ მანანად გადაიქცა ჩვენი გაჭირებული მოსახლეობისათვის. ის იწამეს ღმერთად, ვინც შიმშილისაგან სიყვდილს გადაურჩინა შვილები (ის კი არ იციან, რომ ყოველივე ამას მერე ასმაგად მჩღვევინებენ). ჩვენ კი ნუ შევეცდებით ახლა იმ გმირებისა და მოწმეების გახსენებას, ვინც უარეს განსაცდელს გაუქმონ და თავი დასდო ქრისტიანული სარწმუნოებისათვის. გმირობა და წმინდანობა რჩეულთა ხვედრია.

თავი დავანებოთ სულაც ბიბლიას და წმინდანებს. განა კომუნისტურ პარტიის გარკვეული პრივილეგიების მისაღებად არ წევრიანდებოდნენ ჩვენი თანამემამულეები, თვით იმ დროს, როდესაც ლუქმაპური საძებარი არ იყო, ან განა ახლა, მმართველ პარტიაში მხოლოდ მისი მურვეალე მხარდამჭერები არიან გაწევრიანებული? რატომდა გვიყვირს ამ გასაცოდავებული ხალხის ნაბიჯი?

იეღოველთა ლიტერატურის დაწვით კი არ ეშველება საქმეს, არა-მედ იმ ლიტერატურის გავრცელებით, თუ რას წარმოადგენს ეს სექტა, რა არის მისი მიზანი, რას და ვის ემსახურება იყო. საქართველოს ეკლესია იქნება ეს, თუ თუნდაც მყალავიშვილის მორწმუნეთა ჯგუფი, ამის განმარტება უნდა დაისახონ მიზნად. ყოველი ადამიანი, რომელიც „იეღოველთა“ კლანჭებში მოექცევა, ის დაკარგული ცნვარია, რომლის გადასარჩენადაც თავი უნდა დასდოს „მწყემსმან კეთილმან“. კი არ უნდა მოვკვეთოთ ისინი, არამედ ვეცალოთ, უკან დავაბრუნოთ სამწყსოში. ჩვენი სამღვდელოება და ყოველი ჩვენგანი უფრო აგებს პასუხს მათი დაკარგვით, ვიდრე თავად ის გზას აცდენილი.

პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან ვერც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, ვინც დაკავებული თანამდებობები მხოლოდ და მხოლოდ საყუთარ კეთილდღეობაშე ზრუნვისთვის გამოიყენეს; ვერც ისინი – ვისაც ჰუმანიტარული დახმარებები ბაზრებზე გაჭირნდათ გასაყიდვად და ჯიბეს ისქელებდნენ, იმის ნაცვლად, რომ ხალხისათვის ელემენტარული არსებობის საშუალება მიეცათ, და ვერც საბაჟოს თანამშრომლები, რომელიც თვალს ხუჭავენ, ქრთამის ფასად, და ტონობით „იელოვურ“ ლიტერატურას ატარებენ ჩვენს ქვეყანაში.

ერთი დღეც დადგება და ეს გელგრილობა ბუმერანგივით შემოუტენდება ჩვენს ხელისუფლებას და ყოველ ჩვენთაგანს. „იელოვას მოწმეუბი“ მარტო ქრისტიანული ეკლესიების მტრები არ არიან, ისინი სახელმწიფოსაც უარყოფენ. ამიტომაც არიდებენ თავს სავალდებულო სამხედრო სამსახურს. ამით მათ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუქმნეს პრობლემა. „მათ უარი განაცხადეს ჯარში და სახილეაო ფლოტში სამსახურშე მაშინ, როდესაც ა.შ.შ. საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა“ [2, 463]. ასე რომ, ჩვენთა ხელისუფალთა მიერ აშენებული „სახელმწიფო ხუცულა“, ერთ შევენიერ დღეს შეიძლება თავზე დაგვემხოს. ამიტომაც მოსახლეობის ფართო ფენებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ სექტის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ხელკეტებით კი არა, – არამედ თანაგრძნობით. მიმოვისედოთ მრგვლივ და თუკი ვინმე ამ სექტის მიმღევარი ცხოვრობს ჩვენს სამწოდლოში, ვეცადოთ, დავეხმაროთ მათ კეთილი სიტუაცით, პურის ნატეხით და ა.შ. „ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ სძლიერ კეთილითა მით ბოროტსა მას“ (რომ. 12,21).

სახოგადოებაში არსებობს თვალსაზრისი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც იქნა, გააცნობიერა მოსალოდნელი საფრთხე და ამ რეალობით შემფოთებული თვალს ხუჭავს მყალავიშვილისა და მისი მომხრეების ქმედებებზე; ხელისუფლებას სხვისი ხელით უნდა გველის ამოყვანა ხვრელიდან, თორემ აქამდე მყალავიშვილისა და მისი მომხრეების ერთი წარმომადგენელიც ველარ იძოვინებდათ.

თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ აქვე უნდა აღვინიშოთ, ეს პრობლემისადმი არასწორი მიღვომაა. ერთი შეცდომის მეორე შეცდომით გამოსწორებას ჰგავს. ასეთი მიღვომა კიდევ უფრო დიდ ჩიხში შეიცვანს ჩვენს ქვეყანას, ვერც სახელმწიფოებრიობას დავიცავთ და ვერც საქართველოს ეკლესის ერთიანობას.

„იელოველთა“ მსგავსი კიდევ ბევრი სხვა სექტა არსებობს, ყველას მყალავიშვილი ვერ გაუმტლავდება და ვერც სასამართლო პროცესებით მივაღწევთ სასურველ შედეგს.

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც „იელოველებს“ შეუტია, ჭარბავი-შვილის მრევლი სულ უფრო ძირდება. მყალავიშვილი კი, სამწუხაროდ, ბერძნ სქიმმატებთანაა დაყავშირებული. ასე რომ, თვით მართლმადიდებლობის ერთგული მრევლი მაინც ორად იხლიჩება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ცნობს მყალავიშვილს სასულიერო პირად თუ არა, ამის აღარა აქვს არანაირი მნიშვნელობა, რადგან არც ბერძნ სქიმმატებს, რომლებთანაც მყალავიშვილი არის დაყავშირებული, არ ცნობს არც ერთი მართლმადიდებელი ეკლესია, მაგრამ მაინც არსებობენ აგერ უკვე 70 წლის მანძილზე საბერძნეთში და მის საჩლვრებს გარეთაც ყველაზე საშინელი კი ის არის, რომ ბერძნი სქიმმატებისა და კანონიფური ეკლესიის მრევლს შორის დროდადრო ისეთივე შეტაყებები ხდება, როგორიც „ბასილისტებსა“ და „იელოველებს“ შორის.

ასე თუ გაგრძელდა, შესაძლოა საქართველოს ხელისუფლებას ამ „ეკლესიის“ რეგისტრაციაში გატარებაც მოუხდეს.

მეორე თვალსაზრისის თანახმად, ჩვენს ხელისუფლებას სურვილი აქვს პრიორიტეტი ტრადიციულ რელიგიას – მართლმადიდებლობას მიანიჭოს, მაგრამ ამის ოფიციალურად აღიარებამც თავს იყავებს იმის გამო, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ადამიანის უფლებების დარღვევაში არ დაადანაშაულონ. სწორედ ეს არისო მიზეზი იმისა, რომ ამდენ ხანს ვერ იქნა მიღებული კანონი რელიგიის შესახებ.

მაღლობა ღმერთს, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იმ მიზრისაა, რომ დემოკრატიულ საქართველოში არავისი რელიგიური თავისიუფლება არ უნდა შეიზღუდოს, მაგრამ „იელოველებთან“ დაყავშირებით მათაც კი პროტესტის გრძნობა უჩნდებათ, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე ჩვენი ხელისუფლების მიმართ და ლაშისაა მყალავიშვილისა და მის მომხრეთა პრიზიციას დაუჭირონ მხარი. საამისოდ კი მათ არც თუ უსაფუძლო არგუმენტები მოპყავთ:

„იელოველები“ და მათი მსგავსი სექტები, რომელიც არ ცნობენ სახელმწიფოს და მას „სატანის ორგანიზაციას“ მიაყუთვნებენ, თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს, ყოველგვარ პასუხისმგებლობას ისმინდან სახელმწიფოსა და ქვეყნის წინაშე; რატომდა უნდა მიწრუნოს სახელმწიფომ მათ უფლებებზე?! ან კიდევ, საერთაშორისო ორგანი-

ზაციებმა რატომ უნდა დაადანაშაულონ საქართველოს ხელისუფლება
მათდამი გულგრილობის გამო?!

ქართული სახელმწიფო ბრიობის შენარჩუნებისათვის საქართვე-
ლოს მოსახლეობა უდიდეს ეკონომიკურ გაჭირვებას უძლებს, უკით იმ
ხელისუფლებასაც მოთმინებით იტანს, რომლის მიმართაც უამრავი
პრეტენზიები აქვს; რატომღა უნდა იყოს ეს მოსახლეობა შემწყნარებე-
ლი, იმათი, ვინც არად დაგიდევს საქართველოს სახელმწიფო ბრიობას?!

ერთი სიტყვით, ხალხში ანალი პროტესტის გრძნობა მწიფდება. თუ სწორად არ იქნება ინფორმირებული სახოგადოება, არ არის გამო-
რიცხული, ერთ შშვენიერ დღეს, როგორც ეკლესიას მოსთხოვეს ემს-ს
დატოვება, ასევე მოსთხოვონ ჩვენს ხელისუფლებას საქართველოსო
ორგანიზაციებიდან გამოსულა. ასეთი ტალღა აგრძებულია კიდევაც. გაე-
როს მიმართ უნდობლობის გამოცხადება სწორედ ამის მიმანიშნებელია. მართალია, ამჯერად ეს აჯანმეთის საყითხის ფონზე განვითარდა, მაგრამ
გამორიცხული არ არის, ხვალ რელიგიური ფაქტორიც დაემატოს.
საამისო ნიადაგიც შემზადებულია.

ბასილ მელავიშვილმა და მისმა მრევლმა თანდათან განაცრცეს
თავიანთი „მოღვაწეობის“ არეალი. „იელოველების“ გარდა, მათ სხვა სექ-
ტებსაც შეუტიეს. სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობათა და სექტების
წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებრივ, ისინი ერთმა-
ნეთს არ აღიარებენ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაერთიანდნენ და 2002
წლის 8 თებერვალს სახალხო დამცველოთა, ნანა დევდარიანთან გააპრო-
ტესტეს მელავიშვილის ქმედებები. თავიანთი უფლებების დაცვის საპარლამენტო კომი-
ტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ელენე თევდორაძეს. რამდენიმე დღით
ადრე მათ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს და საქართველოს პრეზიდენტს
მიმართეს პეტიციით – კანცელარიის შენობასთან მოიყარეს თავი და
განაცხადეს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან გააპროტესტებენ
საქართველოში არსებულ რელიგიურ განკუითხოვობას.

სახალხო დამცველმა, ქალბატონმა ნანა დევდარიანმა 8 თებერ-
ვალსვე ტელევიზიით გვამცნო, რომ მისანშეწონილად ჩათვალა, სახალხო
დამცველის აპარატში დაარსდეს მუდმივმოქმედი საბჭო, რომელიც დაი-
ცავს რელიგიურ უმცირესობათა უფლებებს.

ბუნებრივია, კვლავ გაჩნდა კითხვა: სკილასა და ქარიბდას შორის
მოქცეულმა ქართველმა ერმა, რომელსაც ერთი მხრივ, სექტები უტევენ,

ხოლო შეორე მხრივ, იმპერიული ძალები და აფხაზი სეპარატისტები, როგორდა დაიცვას თავისი ტრადიციული რელიგია? ასე თუ გაგრძელდა, მართლმადიდებლობა ხომ თავად აღმოჩნდება რელიგიურულიცირებულიდან ჩვენს ქვეყანაში!

გერმანიული

ამიტომაც, 8 თებერვლის გადაწყვეტილების საპასხოდ, 12 თებერვალს „მართლმადიდებლობის დამცველთა“ ერთ-ერთმა ფრთამ შემშილობის აქცია წამოიწყო რესტავში და მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოსთხოვა ჩვენს ხელისუფლებას.

მოვლენათა ამ ფონზე საქართველოს მართლმადიდებელი კელესია ქვლავ დუშა. ხალხი კი დაბინეულია. ეჭვი ღრღნის გონებას. რაშა საქმე? ნუთუ საქართველოს ეკლესიამ და მისმა საჭეთმცყრობელმა ბოლომდე გაწირეს მართლმადიდებელი სარწმუნოებაც და საკუთარი ავტორიტეტიც?

ვიდრე განაჩენს გამოვიტანდეთ, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება გარუვეული ანალიზი გავუკეთოთ არსებულ ვითარებას და ვნახოთ, რატომ დაჩქარდა ასე პროცესები; ჩვენზე მეტად, ვინმე სხვას ხომ არ აწყობს მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება ჩვენს ქვეყანაში? მართული ხომ არ არის ეს ყველაფერი?

ჩემი პირადი პირი ასეთია:

რელიგიური საკითხის ასეთი გამწვავება თებერვლის თვეში ბნელი ძალების ნამოქმედარია და „ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის დამცველი“, სრულიად გაუცნობიერებლად, კვლავ იმპერიული ძალების წისქვილზე ასხამენ წყალს, და, აი, რატომ:

I. რესტორანი მიაღწია იმას, რომ სამი თვით გაუგრძელდა მანდატი ე.წ. „სამშვიდობო ძალებს“ აფხაზეთში.

II. ხოციალისტური პარტიის ლიდერმა შეაგროვა ათასობით ხელმოწერა დევიზით: „რესტორანი ჩემი მშობელია“ (ამას რა დადასტურება უნდოდა! ეს ემბაურად მოწყობილი რეფერენცუმია, იმის გასარცვევად, თუ მოსახლეობის რამდენი პროცენტი უჭერს მხარს რესტორან პოლიტიკურ გაერთიანებას).

III. ახლა, თუ იმასაც მიაღწევენ რესტორან გაერთიანების მოსურნე ძალები, რომ მართლმადიდებლობას სახელმწიფო რელიგიად ვაღიარებთ ამ სამ თვეში, მაშინ ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ ამ ზაფხულს ბელორესის ბედს გავიჩიარებთ.

წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად და შეუწლუდა უფლებები

კათოლიკურ ეკლესიას, ბაპტისტებს, მუსულმანებს და გრიგორიანებულებს; თუნდაც – სექტებს. რას ფიქრობთ, რომელი საერთაშორისო ორგანიზაცია, ან ქვეყანა ამოგვიდგება მხარში საქართველოს ტერიტორიულად? მთლიანობის აღსაღვენად? მაშინვე იმას გვეტყვიან: ტუკი მარიო მადიდებლების მეტი არავინ გინდათ, წადით და ისევ რესეთს ჩაეხუტო!

თუკი ამას დღესვე არ გვეუბნებიან, ჩვენდამი განსაკუთრებული სიყვარულის გამო კი არ ხდება, არამედ იმიტომ, რომ აღარ უნდათ ქრისტიანული ეკრობის კვლავ ორ ბანაკად გაყოფა.

ანტიკუმუნისტოპოპულარი 1997 წელს საქართველოს ეკლესია ჩამომორდა საერთაშორისო საკლესიო ორგანიზაციებს, 1998 წელს – ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია. ეს ტენდენცია გრძელდება. უახლოეს მომავალში, აღბათ, სხვა მართლმადიდებელი ეკლესია გამოვა ემს-დან და მაშინ, რესეთის ეკლესია შეცდება მართლმადიდებელთა ერთპიროვნული ლიდერის ფუნქცია აიღოს თავის თავზე*; რესეთი კი შეძლებს კვლავ თავისი გავლენის სფეროში მოაქციოს აღმოსავლეთ ეკრობის ქვეყნები.

მაგრამ თავი დავანებოთ სულაც საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მსოფლიო პოლიტიკას. თუკი ოფიციალურ სარწმუნოებად მართლმადიდებლობას ვაღიარებთ და ოდნავ მაინც შევეხსლედავთ უფლებებს სხვა რელიგიებს, ეკლესიებსა და აღმსარებლობებს, ვინდა წავა აფხაზეთში საომრად? რატომ დაიცავს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას კათოლიკე ქართველი, თუკი ამ ტერიტორიაზე მას იგივე უფლებები არ ექნება, რაც მართლმადიდებლებს აქვთ? აღარაფერს ვამბობ ჟეკვე განსხვავებული რელიგიის და აღმსარებლობის მოსახლეობაზე; ჩერბაიჯანელებზე, ჭურთებზე, სომხებზე და ა.შ.

როდესაც არც საერთაშორისო ორგანიზაციების აჩრი გაინტერესებს და არც საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა აღმსარებლობის მოქალაქისა, მაშინ თავად უნდა იყო ძლიერი, რომ ყველა პრობლემას, ახლანდელსაც და იმასაც, რომელიც მომავალში დაგვიდგება, საყუთარი ძალით აღდგე წინ. საყითხავია, საამისოდ რა ეკონომიკურ ბერებულებს ფლობენ, ან რომელ პოლიტიკურ ძალას ეყრდნობიან „მართლმადიდებლობის დაცველი“ მამები და მათი მომხრები?

* ერთადერთი წელიშემსლელი სამისიო მსოფლიო საპატრიარქოს არსებობაა, მაგრამ სტამბულში, მესლიმანურ გარემოცვაში მყოფი საპატრიარქოს ძალა მსოფლიო ისტორიული აუტოკონტინენტითა და რეგიონებით შემოიფარგლება. და მათიც, მართლმადიდებელთა შორის უპირატესია – მსოფლიო საპატრიარქოს დისკრეზიტაციის კამპანია უკვე დადი ხანია მიმდინარეობს.

ამ კითხვაზე ერთ-ერთმა მათგანმა მიპასუხა, რომ ღმერთის იმუდო-
აქვთ და არა ამქვეყნიური ძალისა, მაგრამ რატომ აკიწყდებათ, რომ
ღმერთმა ადამიანი შექმნა „ხატად და მსგავსად მისა“ და არავის აპატიუბს ॥
ამ „ხატის“ შეურაცხყოფას – მისი უფლებების შეღასხვაზე და მიმდევად ერთი სიტყვით, ახლა, ამ სიტყვაციაში, როდესაც ჩვენი პოლიტი-
კოსების ერთი ნაწილი რესეტში მიღი-მოდის – ზოგი აფხაზეთის სკითხის

დასარევულირებლად, ზოგიც ერთგულების დასამტკიცებლად; მეორე ნაწილი – ამერიკაში, საქართველოს მოსახლეობამ კი არც ერთი ნაწილის მოლაპარაკებათა შედეგები იცის და არც მეორესი, შეიძლება რელიგიის საყითხის ასე მწვავედ დაყენება ქვეყანაში?

სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით კი არ გადარჩება მართლ-
მადიდებლობა საქართველოში, არამედ მისი მოძღვრებების გათავისე-
ბით. ერთმანეთისადმი მხარში ამოღვომით და სხვა აღმსარებლობათა
მიმართ შემწყნარებლობით. გაჭირვებამ და განუკითხაობამ მიიყვანა
ჩვენი ხალხის უმეტესი ნაწილი სექტებში და არა ამ სექტების ბრძნელმა
მოძღვრებებმა. ამიტომაც, ისინი, ვისაც მართლმადიდებლობის გადარჩენა
უნდათ საქართველოში, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად
აღიარებას კი წე მოსთხოვენ ხელისუფლებას, არამედ ის მოსთხოვონ,
რომ ადამიანური პირობები შეუქმნან ჩვენს მოსახლეობას, და მაშინ
ვნახოთ, რამდენი მართლმადიდებელი მიყითხავს სექტანტებს.

„დეღლელებთან“ ბრძოლით გამწარებულმა ბატონიშვილმა შარაძემ
საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიით მოუწოდა: მოგვთხოვეთ
პარლამენტარებს, დაგვაჩქარეთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, მიღებულ იქნას
ჩვენს ქვეყანაში კანონი რელიგიის შესახებ.

საპატრიარქო კვლავ დუმს და არც ჩქარობს. რატომ? – ალბათ,
იმიტომ, რომ უფრო სწორი იქნება, ჯერ დაყანონდეს საქართველოს
მართლმადიდებელი ეკლესიის ოურიდიული სტატუსი. განისაზღვროს
მისი უფლებები სახელმწიფოში, რაც თავისითავად მოიცავს ისეთ
სკითხებს, როგორიცაა: ეკლესიის ადგილი და როლი სოციალურ სფერო-
ში, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში და ა.შ. განისაზღვროს და
დაყანონდეს საკლესიო ქონება და მხოლოდ ამის შემდეგ იქნას მიღებული
კანონი რელიგიის შესახებ, რომელიც განისაზღვრავს საქართველოში
მოქმედ არამართლმადიდებელ ეკლესიათა და რელიგიურ უმცირესობებ-
თან ურთიერთობებს.

კანონი რელიგიური უმცირესობების შესახებ დღეს ხელისუფლებას
უფრო სჭირდება ვიდრე ეკლესიას. საქართველოს მართლმადიდებელმა
ეკლესიამ მაშინ განსაზღვრა თავისი დამოუიდებულება ადამიანის უფლე-

ბების მიმართ, როდესაც მართლმადიდებლური ტრადიციის ერთგვარი დარჩა.

დასავლეთის ეკლესიამ ღმრთის ხატის დამახასიათებელ ნიშნად წინა პლანზე გონება, აზროვნება და ნება წამოსწია; მართლმადიდებელმა ღმრთის მეტყველებამ კი ყურადღება თავისუფლებასა და სიყვარულზე გაამახვილა.

თავისუფლება და სიყვარული, ეს არის მართლმადიდებელი სარწმუნოების საფუძველი და ამს ქადაგებს 1500-წლოვანი საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია, განურჩევლად იმისა, რომელი ხელისუფლების პირობებში უხდება მოღვაწეობა. მაგრამ, რადგანაც ადამიანებს მაინცადამაინც კანონებად დადგენილი, ჩარჩოებში მოქცეული და, რაც მთავარია, დაწერილი მოგვწონს თვით თავისუფლებაც და სიყვარულიც, ამიტომაც, მოღით, თვალი გადავალოთ მართლმადიდებელი ეკლესის დამოუიდებულებას ადამიანის უფლებებისადმი უახლოეს წარსულში.

„1948 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დამფუძნებელ ასამბლეაზე, რომელშიც არაერთმა მართლმადიდებელმა ეკლესიამაც მიიღო მონაწილეობა მსოფლიო საპატრიარქოს მეთაურობით, მართლმადიდებლური თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ოფიციალურად გამოცნადა: „რელიგიური თავისუფლება იმ რეალობის გაგრძელებაა, რომ ადამიანს ღმრთის მიერ გბობა თავისუფალი ნება და, აქედან გამომდინარე, რელიგიური თავისუფლების მინიჭება არ შეიძლება დამოუიდებული იყოს არანაირი სახელმწიფოსაგან“. ახლადშექმნილი რელიგიური ორგანიზაციის ასეთმა პოზიციამ, რომელიც 1948 წლის სექტემბრის დასაწყისში გამოქვეყნდა, ძირული ზეგავლენა მოახდინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ ადამიანის უფლებების მსოფლიო დეკლარაციების საბოლოო ტექსტზე, რომელსაც სამი თვის შემდეგ, 1948 წლის 10 დეკემბერს ეყარა კენჭი“ [1,91].

მინდა მცითნველმა ისიც იცოდეს, რომ ქრისტიანთა დამოუიდებულება ადამიანის უფლებების მიმართ ყოველთვის ერთგვაროვანი არ ყოფილა.

„რომის კათოლიკური ეკლესია საყმაოდ დიდი ხნის განმავლობაში თავს იუვებდა, ან სულაც ცხადად უპირისპირდებოდა ადამიანის უფლებათა ზოგიერთ დეკლარაციას. ვატიკანის საბჭომ – „სამართლიანობა და შევიდობა“ – 1975 წელს თავად აღიარა: „ცხადია, ადამიანის უფლებათა დეკლარაციის აღიარებამ და გავრცელებამ ლიბერალიზაციისა და საჯა-

როობის პირობებში, შექმნა სირთულეები, რამაც კათოლიკეთა მართვა/გარევეული თავშეკავება და წინააღმდეგობაც კი გამოიწვია“ [1,94].

კათოლიკური სამყაროს შემობრუნება XX საუკუნის ტიური წლების და დასაწყისში მოხდა პაპი იოანე XXIII-ის ცირკულარით „Pacem in Terris“ და ვატიკანის მეორე ყრილობის ტექსტით „Gaudium et Spes“ (1965წ.)“, რომელშიც ყოველგვარი თავშეკავების გარეშე განცხადებულია, რომ რომის ეკლესია „სახარების სახელით, რომელიც მას ეძობა, აცხადებს და ცნობს ადამიანის უფლებებს და დიდად აფასებს დინამიურობას ჩვენი ეპოქისას, რომელიც მუდამ ანალ იმპულსს აძლევს ამ უფლებებს“ [1,94].

ბოლოს კი კვლავ მართლმადიდებელი ეკლესიის თვალსაზრისს გავუცნოთ.

მართლმადიდებელმა სამყარომ შესატყვისი თეოლოგიური კვლევა-ძიებისა და ეკუმენური მოძრაობის ფარგლებში წარმოებული დიალოგების შედეგად 1986 წელს მომავალი მსოფლიო კრების მოსამაშადებელ სრულიად მართლმადიდებელთა III კონფერენციაზე თავისი თვალსაზრისი ადამიანის უფლებათა შესახებ ასე ჩამოაყალიბა: „მართლმადიდებელი ქრისტიანები, ვინაიდან ყოველ დღე ვამხრებთ შთამოსულას ღმრთისა, ვიძირებით ყოველგვარი ფანატიზმისა და სიძულვილის წინააღმდეგ ადამიანებსა და ხალხებს შორის, იქიდან გამომდინარე, რომ ვქადაგებთ განკაცებას ღმრთისას და განღმრთობას ადამიანისა, ვიცავთ უფლებებს ნებისმიერი ადამიანისა და ნებისმიერი ხალხისა. ხოლო რაყი ქრისტეს მაცხოვნებელ ქმედებათა შემწეობით ვცხოვრობთ ღმრთის მიერ ნაბოძები თავისუფლებით, შეგვწევს ძალა და გვაქვს უფლება, კიდევ უფრო აღვამადლოთ საყოველთაო ღირსება ნებისმიერი ადამიანისა და ხალხებისა“ [1,92].

წარმოწენილი თვალსაზრისების გაცნობის შემდეგ გუთხველისათვის ცხადია, რომ „ეკუმენური მოძრაობის“ ფარგლებში ევროპის ეკლესიები ინაწილებენ პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში და თვალყურს ადენტებენ კიდევაც ამ უფლებების ცხოვრებაში განხორციელებას. ამის შესანიშნავი მაგალითია თუნდაც მიმდინარე წლის 20 თებერვალს „კავკასიურ სახლში“ ხელმოწერილი „ეკუმენური ქარტა“. ყველა დავინაზეთ, თუ როგორ გაერთიანდა საქართველოში არსებული სხვადასხვა კონფესიის ეკლესიები – სომხეთის სამოციქულო ეკლესია, ევანგელისტურ-ბაპტისტური, ევანგელისტურ-ლუთერანული და რომის კათოლიკური ეკლესია-თავიანთი უფლებების დასაცავად და ერთმანეთის მიმართაც გარევეული ვალდებულებები იყიდეს. 1997 წლის მაისში

„ექუმენურ მოძრაობას“ ჩამოშორებული საქართველოს მართლმადიდებელი კელების მრევლი კვლავ მხოლოდებული და დაუცველი აღმოჩნდა.

ქართველ მართლმადიდებელთა ერთი ნაწილის „ექუმენური ჭურა-რაობისადმი“ მტრულად განწყობის მიზეზებზე ამ წერილში შემცირავილაპარაკებთ, მაგრამ მინდა კიდევ ერთ ფაქტორზე გავამახვილოთ ფურადღება.

მართლმადიდებელთა ერთი ნაწილის უნდობლობას „ექუმენური მოძრაობისადმი“ ის განაპირობებს, რომ ისინი ამ მოძრაობას პროტესტანტული კელების მიერ თავს მოხვეულ იდეად აღიქვამენ.

მართლია, XIX საუკუნის შეუწყვეტი მართლაც დაარსდა პროტესტანტულ სამყაროში გარუკეული ორგანიზაციები მსგავსი მისწრაფებებით, მაგრამ მათი მიზანი სულ სხვა იყო.

XX საუკუნის დასაწყისში კიდევ უფრო იმატა ასეთი თრგანიზაციების რიცხვმა. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია „შრომისა და ცხოვრების მსოფლიო ქრისტიანულმა საბჭომ“ (Life and work) და „მსოფლიო კონფერენციამ რწმენისა და წესრიგის შესახებ“ (Fait and order). ეს ორი ორგანიზაცია მოგვიანებით ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაერთიანდა, ამიტომაც არ ენდობა მართლმადიდებლების ერთი ნაწილი ემს-ს. მაგრამ, მათ ავიწყდებათ მართლმადიდებელი ეკლესიის როლი თანამედროვე „ექუმენური მოძრაობის“ დაწყებისა და მისი განვითარების პროცესში.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი კონრად რაიზერი ამასთან დაკავშირებით წერს: „მსოფლიო საპატრიარქომ, – მართლმადიდებელ და ქრისტიანულ სამყაროში თავისი მისის ეკუმენური თვითშეგნებიდან გამომდინარე, – გადამწყვეტი როლი შეასრულა ეკუმენური იდეის გავრცელებით და ასევე, თანამედროვე ეკუმენური მოძრაობის დაბადებით, განსაკუთრებით კი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დაარსების იდეით, რომელიც ამ მოძრაობის საყაონომდებლო გამოხატულებას წარმოადგენს“ [16, 152].

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა Vissert Hooft-მა კი აღნიშნა: „მსოფლიო საპატრიარქომ ამ გაბეჭული ინიციატივით „გამოაცხადა შეკრება“ და ეკუმენური მოძრაობის“ ამ ახალ ეტაპზე იყო ის პირველი ეკლესია, რომელმაც მოგვავრნა, რომ საქრისტიანო ვერ იქნებოდა მორჩილი მაცხოვრისა და მოძღვრისა ჩვენისა, თუკი მიზნად იმ მისწრაფებას არ დაისახავდა, რომ მთელი მსოფლიოსათვის ეჩვენებინა ღვთის შვილთა გაერთიანების აუცილებლობა“ [4,30].

მართლმადიდებელი ეკლესიის მისწინაუება, რომ თავის ირგვლივ შემოიყრიბოს საქრისტიანო, სრულიად არ ეწინააღმდეგება საეკლესიო კანონებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მართლმადიდებლებიც მუდამ სიფრთხილით ეკიდებოდა ამ საყითხს. ამასთან დაუავტორულით ასეთ მაგალითს მოვიყვან.

„მსოფლიო საპატრიარქომ დიდი ონტერესი გამოამჯდავნა პროტესტანტულ სამყაროში მიმდინარე რეფორმებისადმი, როგორც კი მათი კონსოლიდაცია მოხდა დასავლეთში. მაგრამ პატრიარქ იერებია (III) დიდის „Confessio Augustana“-სთან⁹ დაკავშირებით ვიტენბერგის ლითისმეტყველთა მიმართ გამზადილმა „პასუხებმა“ ცხადყო, თუ რაოდენ დიდია თეოლოგიური განსხვავებანი, რის გამოც, შეუძლებლად ჩათვალა მათთან გამჭვლავება მხოლოდ და მხოლოდ თეოლოგიური ტექსტების უბრალო გაცვლით“ [4, 26].

მართლმადიდებელ ეკლესიას ყოველთვის მიაჩნდა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანებს შორის დაახლოება მხოლოდ კონსტრუქციული დიალოგის მეშვეობით იყო შესაძლებელი, მაგრამ ამ დიალოგის დაწყებას შესაფერისი ნიადაგის შემთხადებაც სჭირდებოდა.

XIX საუკუნის პოლიტიკური სიტუაციის შეცვლამ და ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ შეაფერობა დასავლეთის ქრისტიანთა პროსელიტისტური მოღვაწეობა, რასაც ადგილი ქვენდა როგორც უნიატთა მხრიდან, ასევე პროტესტანტული მისიონერისაცის მეშვეობით. ამ რეალობიდან გამომდინარე, XX საუკუნის გარიერაჟზე მართლმადიდებელმა ეკლესიამ თავად აიღო ინიციატივა დიალოგის დასაწყებად.

მართალია, რომის კათოლიკურმა ეკლესიამ დასაწყისში თავი შეიკავა, მაგრამ კარგა წნის დაკვირვების შემდეგ „ეკუმენური მოძრაობის“ აქტიური მონაწილე და მქადაგებელი გახდა. 1995 წელს მისმა უწმინდესობამ იოანე – პავლე II-მ ცირკულარში „Ut unum sint“ განაცხადა:

„ქრისტიანებმა არ შეიძლება მყაცრად არ შეაფასონ სიმძიმე იმ გუგებრობისა, რაც ერთმანეთის დადანაშაულებისა და უნდობლობის შედეგად, მემკვიდრეობით მიიღეს წარსულიდან. ამასთან ერთად, უმოქმედობა, გულგრილობა და ერთმანეთის არასაჭმარისი ცნობა, კიდევ უფრო ამძიმებს ამ მდგომარეობას. ამის გამო, ეკუმენური მოღვაწეობა საჭიროა დაეფუძნოს სულის განწმენდას და ლოცვას, რაც უსათუოდ ისტორიული მეხსიერების განწმენდასთან მიგვიყვანს. უფლის მოწაფე-

ნი – აღსილნი სულიწმიდის მადლით, სიყვარულით, ჰემპარიტების გაბედული აღიარებით, ურთიერთ შენდობის და შერიგების გულწრფელი სურიელით, – მოხმობილნი არიან ღმრთის მიერ, რათა ურთკდ განიხილავთ. ავედითი წარსულის მიერ მიყენებული ტრავმებიც წაცლენდეს გრძელდება“.

ერთი სიტყვით, ეკლესიები ერთმანეთისაკენ მიიღონ ცხადია, საქართველოს ეკლესია ვერ დარჩება იზოლირებული და განმარტოებული. „ეკუმენური მოძრაობის“ ჩარჩოებში მოხდება ეს, თუ რომელიმე სხვა ახალი ორგანიზაციის ან მოძრაობისა, საქართველოს ეკლესიამ უნდა განსახლვროს თავისი აღვილი საქრისტიანოში და არა მხოლოდ მის ფარგლებში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება ისიც განვმარტოთ, თუ რა შინაარსის მატარებელია სიტყვა „ეკუმენური“, რომლისაც ასე ძალიან ემინია როგორც ეკლესიდან განდგომილ, ისე მის წიაღში დარჩენილი სამღვდელოების ნაწილს, და, შესაბამისად, მის მრევლს.

„იკუმენი“ იხილებოდა ბერძნული სიტყვაა, რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან იქის სახლი. სიტყვა „იკუმენი“ ბერძნულ ენაში ელინისტური პერიოდიდან (ძვ. წ. III საუკუნე) მყიდრდება. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში და, ასევე, ეკლესის მამათა ნაშრომებში იგი, უპირველეს ყოვლისა, ნიმუშები იმ დროისათვის ცნობილი დასახლებული ადგილების ერთობლიობას, გეოგრაფიულ სივრცეს, ხოლო შემდგომ, - რომისა და, უფრო მოგვიანებით კი, ბძიანტის იმპერიის ხალხთა ერთობლიობას. ახალი აღთქმის ქართულ ვერსიებში ეს სიტყვა ასე გადმოიცემა: „ყოველი სოფელი“, ან „ყოველსა ზედა სოფელსა“. ასე მაგალითად: „და იქადაგოს სახარებად ესე სასუფეველისად ყოველსა სოფელსა...“ (მთ. 24.14). გამოვდა ბრძანებად აგდესტოს კეისრისგან აღწერად ყოვლისა სოფლისა“ (ლკ. 2.1). სიყმილი დიდი ყოფად არს ფოველსა ზედა სოფელსა, რომელი იგი იყო დღეთა მათ კლავდის კეისრისათა“. (საქმე მოციქულთა 11.28).

საეკლესიო ენაში ასევე ძალშე აღრე დამკვიდრდა სიტყვა „იკუმენი“-დან წარმოებული ზედსართავი სახელი „იკუმენიი“ (იხილენი) რომელიც ჩვენში დამკვიდრდა როგორც „ეკუმენური“.

ზედსართავ სახელს „იკუმენიი“ ქართულ ენაშე შეესატყვისება „მსოფლიო“, რესულად – Вселенский. აი, ამის მაგალითებიც:

1. „იუმენიკონ პატრიარქონ“ (Οἰκουμενόν Πατριαρχίον) – მსოფლიო საპატრიარქო, რესულ ენაშე: Вселенский Патриархат.
2. „იუმენიკი სინოდოს“ (Οἰκουμενική Σύνοδος) – მსოფლიო კრუიბა, რესულ ენაშე: Вселенский Собор.

გერმანული სიტყვის

აქედან გამომდინარე, „ეკუმენური მოძრაობა“ მსოფლიო მოძრაობას ნიშნავს.

ვინაიდან ტერმინი „იუმენიკი“ მომდინარეობს სიტყვიდან „იუმენი“, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ მომდინარეობს სიტყვიდან „იუს“ – სახლი, ამიტომაც ბევრს ჰგონია, რომ „ეკუმენური მოძრაობა“ რაღაც ახალი წმინდას, საერთო სამღლოცველო სახლის, ან ეკლესიის დაარსებას ისახავს მიზნად. იმ მასალიდან, რასაც გაეცანით, თქვენ უკვე შეგექმნათ ერთგვარი წარმოდგენა ამ მოძრაობის შესახებ. უფრო ზუსტად კი, გაუზვევით წიგნის მეორე ნაწილში, სადაც მსოფლიო პატრიარქი, მართლმადიდებელი მღვდელმთავრები და თეოლოგები გვესაუბრებიან „ეკუმენური მოძრაობის აკარგზე და მართლმადიდებელი ეკლესიის როლსა და მიზნებზე ამ მოძრაობაში.

2002 წლის თებერვალი

ნაკვათი ხეორე

ჭაშმარიტება განუყოფელი ეპლესისა*

(ინტერვიუ მის ყოვლადეუწმინდესობა ბართლომე I-თან)

— პირველი და უმთავრესი ბრალდება მსოფლიო საპატრიარქოს მიმართ არის მისი ეკუმენური ხასიათი. როგორ უყურებთ ეკუმენურ მოძრაობას და როგორია მსოფლიო საპატრიარქოს როლი ამ მოძრაობაში?

— ტერმინი „ეკუმენური”, რომელიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ისტორიული სახელწოდებაა ბისანტიის იმპერიის არსებობიდან მოყოლებული, არ უნდა ავურიოთ მე-20 საუკუნის სრულიად განსხვავებული შინაარსის მატარებელ სიტყვაში — „ეკუმენური”. აღმათ, ამ სიტყვათა აღრევა იყო მიწეზი იმისა, რომ ზოგიერთი ადამიანი ანტიკათიურად ან გარევეული თავშეკავებით უყურებს კონსტანტინეპოლის მოწამეობრივ მართლმადიდებლურ ცენტრს, რომლისგანაც ქრისტიანობას ეხიარა და შესაბამისი კულტურაც მიიღო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ხალხმა.



ქადაგის უკან
ის კავკასიონის არქიეპისკოპოსი

* პირველად დაიხურია გმირი „ლიტერატურული საქართველო”, №7, 25 აპრილი – 2 მაისი, 1997 წ.

რაც შეეხება ჩვენს ეპოქაში მსოფლიო საპატრიარქეთს როლის და მიღვომას ეკუმენური მოძრაობისადმი, — მუდამ კრისტიალურად წმინდა და ვაჟყაცური იყო. მსოფლიო საპატრიარქოს, ბრძენი მღვდელმთავრების და ღვთისმეტყველთა მეშვეობით, თავიდანვე მტკიცედ რომ არ ეღმინებინა თვალი „რწმენისა და წესრიგის“ (faith and order) ნებისმიერი საკითხისათვის, ამასთანავე, საერთო ქრისტიანული მოღვაწეობისათვის პრაქტიკულ სუეროში (life and work), მაშინ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო უსათუოდ სწავა არა იქნებოდა, თუ არა სრულიად პროტესტანტული ფედერაცია.

მსოფლიო საპატრიარქოს სუერა, რომ თავისი მონაწილეობით ყველა თანამედროვე დაიალოგი მართლმადიდებლობის მყარი და მარადიული ღირებულებანი მსოფლიო სიმაღლეზე აპყავს და, ამგვარად, უფრო მეტად ისმის და პატივს იხვეჭს მართლმადიდებელთა ხმა და ანდერძი განუყოფელი ეკლესიის შესახებ.

და კიდევ, თუკი ამ ბოლო წლებში არსებობს ეკლესია, რომელიც განუწყვეტლივ ცდილობს მოავონოს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თავისი უმნიშვნელოვანესი და უპირველესი მისია, ეს სწორედ კონსტანტინეპოლის ეკლესიაა.

— როგორ გესახებათ მართლმადიდებლობის მომავალი? აუცილებელია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა შეერთება? და თუ ეს აუცილებელია, რაში მდგომარეობს დაბრკოლება?

— ის, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიები ოდესმე კვლავ უნდა შეერთდნენ, იმისათვის, რომ დასებონ უფლის ნების თანახმად — „რაითა ყოველი ერთ იყვნენ“ (იოანე 17,21) და აგრეთვე იმის გამო, რომ ერთიანი ძალით წინ აღუდგნენ საერთო მტერს და სახიფათო სიტუაციებს, ეს უნდა გაისიგრძევანოს ყოველმა ღირსეულმა და გონიერმა ადამიანმა. მაგრამ ეს შეერთება, ეს ერთიანობა, არ უნდა მოხდეს, რა თქმა უნდა, რწმენის ხელშეუხებლობის საჩიანოდ. პირიქით, თეოლოგიური განსხვავების რეგულირება და ერთიანობის აღდგენა რწმენაში — ეს არის ის ბაზისი, რაც საფუძველს ჩაუყრის ნამდვილ ერთობასაც საერთო საიდუმლოებებში.

— უკრნალ-გაჩეთები წერენ, რომ ათონის მთის ბერთა უდიდესი ნაწილი წინააღმდეგია იმ სულისკვეთებისა, რომელიც მსოფლიო საპატრიარქოში სუფევს, მისი ეკუმენური ხასიათიდან გამომდინარე; ერთინი წერენ, რომ ჩრდილი სხვადასხვაობა დოგმატური ხასიათისაა. სხვანი ამბობენ, ათონის მთაზე განხეთქილების ნამდვილი მიზეზი პო-

ლიტერატურია და არა რელიგიურიო. რამდენად სწორია ეს აჩხნა? რო-
მელია ის პოლიტიკური ძალები, თუკი მართლაც არსებობენ, რომელ-
თაც სურთ მსოფლიო საპატრიიარქოს დისკრედიტაცია? რაში მდგრა-
მარეობს განხეთქილების ნამდვილი არსი?

— ყოვლად მცდარია ის აზრი, რომ ათონის ბერთა უდიდესი ნაწილი
ოპტიციაში უდგას მსოფლიო საპატრიიარქოს და იმ გზას, რომლითაც
იგი მართლმადიდებლობას სხვადასხვა დიაქტისტიანულ (ქრისტიანთა
სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის) კონტაქტებსა და დიალოგებში წარ-
მოაჩენს. რა თქმა უნდა, არსებობს უმნიშვნელო რიცხვი ფანატიკოსთა,
ან ნაცენტებად ინფორმირებულთა, რომელთაც შესაბამისად, ამოძრავებენ
და იყენებენ ათონის მთის გარეთ არსებული სხვადასხვა დაჯგუფებათა
ანგარების მოყვარეული პირები. ისინი, თავიანთი სულმოყლეობის, მტრუ-
ლი დამციდებულების, ან სხვა, თუნდაც მდაბალი სარგებლის გამო,
ცდილობენ ყოველმხრივი დაბრუოლებები შეუქმნან მსოფლიო საპატ-
რიიარქოს. არ გამოვრიცხავთ, აგრეთვე, რომ მოქმედებს ეთონ-შოვინის-
ტური შეუღლიც, რომელიც სხვადასხვა შოვინისტურ ცენტრებში ყალიბ-
დება. ისინი დროდადრო ათონის მთაშე შევიდობიანი თანაცხოვრების
საჩიანოდ წარმართავენ მოვლენებს და, ამასთანავე, მისი უშუალო ზედა-
მხედველი ეპისკოპოსის, მსოფლიო პატრიიარქის, სახელის გასატეხად.

— როგორ უნდა გავიგოთ მამათა მოძღვრება იმის შესახებ, რომ
არამართლმადიდებლებთან თანა-ლოცვა არ შეიძლება?

— თანა-ლოცვას აქვს ვიწრო და ფართო გაგება. „თანა-ლოცვა“ არსე-
ბითად, „ზიარების საიდუმლოს“ სინონიმად უნდა გავიგოთ. ამაში მდგო-
მარეობს „თანა-ლოცვის“ მეაცრი და ვიწრო გაგება და უსათუოდ, ამას
გულისხმობდნენ მამები, როცა ერეტიკისებთან თანა-ლოცვას კრძალავ-
დნენ. შესვედრისა და ღვთისმსახურების ყოველი სხვა მსარე, რომელიც
ზიარების საიდუმლოს არ მოიცავს, შევვიძლია დავახასიათოთ, როგორც
თანა-ლოცვის ფართო გაგება. არსებითად იგი უბრალო, სამშვიდობო
შეხვედრაა და ყოველი მსარე თავისთვის აღავლენს თავისსავე ლოცვას,
ერთმანეთის პარალელურად.

ამდენად, სრულიად გაუგებარია ის, თუ რას დაუშავებს მართლ-
მადიდებლური რწმენის ხელშეუხებლობას ამგვარი შევიდობიანი თანა-
არსებობა და თანადგომა, უფლის სახელით, გარუვეულ რფიციალურ
წუთებში განსხვავებული დოგმის ქრისტიანებთან ერთად. პირიქით,
ვუქრობთ, რომ ეს ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს ქმნის შემდგო-
მი თეოლოგიური ხასიათის დიალოგებისათვის, სადაც ვცდილობთ, განვა-

მტკიცოთ მართლმადიდებლობის არამოდერნიზებული ჰუმარიტება, გარდა ამისა, ნე დაგვავიწყდება აგრეთვე, რომ თანამედროვე განსხვავებული დოგმების ქვეშ ქრისტიანები არ არიან იმ ერქვება პირული დამფუძნებელნი, რომელთაც, ძირითადად, გულისხმობენ ეკლესიის კამები. პირიქით, ისინი ერქვების დამფუძნებელთა ძალიან შორეული შთამომავლები არიან და ამიტომ დიდი უსამართლობა იქნება, რომ მათ მიმართ ივევე სიმეცრე გამოვინოთ.

— პრესა წერს უსამოვნო და დაბაბულ ურთიერთობებზე მსოფლიო საპატრიარქოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის. რა არის ამის მიზეზი? — თეოლოგიური? პოლიტიკური? იქნებ იერუსალიმის საპატრიარქო ოუსული ეკლესიის გავლენას განიცდის?

— მართლია, ურთიერთობა იერუსალიმის საპატრიარქოსთან ბოლო დროს ძალიან დაიძაბა. ამის მიზეზი მის დღევანდელ მეთაურთა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა ოურისდიქციაში გაუგონარი ჩარევა იყო, კერძოდ კი მსოფლიო საპატრიარქოს უეჭველ იურისდიქციაში ავტორალიის ტერიტორიაზე, ამერიკაში, დასავლეთ ევროპაში და სხვაგან. ამის გაძი 1993 წელს კონსტანტინეპოლიში შედგა სინოდის სხდომა, რომელმაც მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო — წინ აღუდგეს ასეთი სახის ბოროტებებას, რომელმაც კინალამ შეარყია მთელი მართლმადიდებლური ერთიანობა. სამწუხაროდ, ანალოგიური კანონისაწინააღმდევოდაუდევრობანი და დამპყრობლური ქმედებანი საყუთარი ოურისდიქციის მიღმა ხშირად ძაბავს მოსკოვის საპატრიარქოს ურთიერთობებს სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან და კონსტანტინეპოლის დედა ეკლესიასთანაც. ეს მეორე შემთხვევა კიდევ უფრო გულსატეკნია ჩვენთვის, რადგან ამ შემთხვევაში საქმე ეხება მსოფლიო საპატრიარქო ტახტის პირშოს, რომელიც ჩვენმა საპატრიარქო ქრისტიანობასთან აზიარა, უხელმძღვანელა რესტორის შშფოთვარე ისტორიის მრავალი საუკუნის განმავლობაში, მერე აღამაღლა იგი მოძმე ავტოკუფალური ეკლესიის რანგში და საპატრიარქო ტიტულიც უბოძა.

რა თქმა უნდა, არ უარყოფთ იმ მჭიდრო ურთიერთობას, რაც მოსკოვისა და იერუსალიმის საპატრიარქოებს შორის არსებობს. სამწუხაროა ოლონდ, რომ ძალიან ხშირად ეს ურთიერთობა იმ კონკრეტული მიზნისთვის ვითარდება, რომ ზეწოლა მოხდეს მსოფლიო საპატრიარქოშე და, აქედან გამომდინარე, სამსახური გუწიოს იმ პატივმოყვარეობის გრძნობის დაყმაყოფილებას, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სრულიად მართლმადიდებლური სჯულის კანონთან და არც იმ ჰუმარიტი სულთან

ქრისტეს სახარებისა, რომელიც მოციქულ პავლეს პირით ყოველ ჩვენგამს ეუძნება: „პატივის ცემასა ურთიერთსა უსწრობდით” (რომ. 12,10).

— აქვს თუ არა მსოფლიო საპატრიარქოს კავშირი რუსულზე და სპორის მართლმადიდებელ ეკლესიასთან? რაში მდგომარეობს მოსკოვის საპატრიარქოსთან განხეთქილების ნამდვილი მიზეზი?

— წინა შეკითხვაშე გაცემული პასუხით არსებითად ამ კითხვასაც ვუპასუხ. რაც შეეხება რუსული დიასპორის „მართლმადიდებელ” ეკლესიას, როგორც თქვენ მას უწოდებთ, ამ შემთხვევაში ცოტა უფრო უნდა გამოვკვეთოთ საკითხი. როგორც ცნობილია, არსებობს ორი განსხვავებული მართლმადიდებელი ეკლესია რუსული დიასპორისა. ერთის მხრივ, ადრე Metropolia-ად წოდებული (დღევანდელი O.C.A.), ამტკიცი, რომელიც მოსკოვმა ავტოკეფალურად გამოაცხადა (ეს ანტიცანონიცური აქტი გახდა და ამას არ ცნობს მსოფლიო საპატრიარქო. რუსეთის ეს ქმედება არ სცნებს და არ მიიღეს არც სხვა მართლმადიდებელმა ავტოკეფალურმა ეკლესიებმა). და მეორე — ე.წ. რუსული ემიგრანტული ეკლესია, რომელიც ჩამოაყალიბეს 1917 წელს რუსეთიდან ლტოლვილებმა. მსოფლიო საპატრიარქოს პირველთან აქვს ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ არ ცნობს მის „ავტოკეფალურობას”, ხოლო მეორესთან — არა, რადგან მთელი მისი სტრუქტურა იმთავითვე პრობლემატური იყო.

— საქართველოში მორწმუნეთა ნაწილი მტრულად არის განწყობილი ახალი კალენდრის მიმართ, მასზე მსჯელობაც კი არ სურთ. ამაში წმიდა ტრადიციების ღალატს ხედავენ. როგორ უყურებთ თქვენ ამ საკითხს? რომელ კალენდარს მისდევს მსოფლიო საპატრიარქო? რით ჯობია ახალი კალენდარი ძველს?

— კალენდრის საკითხი თავდაპირველად წმინდა მათემატიკურ ხასიათს ატარებდა და იგი არამც და არამც არ უნდა გამხდარიყო განხეთქილების მიწეზი. მიუხედავად ამისა, საბერძნეთში გარცვეულმა წრეებმა ელადის ოფიციალურ ეკლესიასთან დაპირისპირების საბაბად გამოიყენეს იგი, რადგან ამ უკანასკნელმა მიიღო ახალი კალენდარი, როგორც უფრო ზუსტი. მომხდარ განხეთქილებას შედეგად ის მოჰყვა, რომ დედა ეკლესის წიაღიდან მოწყვეტილი ძველი კალენდრის მიმდევართა ნაწილი განუწყვეტლივ ნაწევრდება ერთმანეთთან დაპირისპირებულ სულ უფრო მეტ დაჯგუფებებად და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იქმნება ძველი კალენდრის მიმდევართა ახალი სქიმები. ყველა ეს დაჯგუფებანი უკიდურესად დაპირისპირებული არიან კანონიერ მართლმადიდებელ სამყაროსთან და არ შეუძლიათ ზიარების საიდუმლო ჰქონდეთ ავტოკეფალურ

მართლმადიდებელ ეკლესიებთან (მაგ. ორუქალიძმთან, მოცეკვითან, საქართველოსთან, წმიდა მთასთან და სხვა), რომელთაც თუმცა არ მიღეს ახალი კალუნდარი, მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონიერი ურთიერთობები აქვთ ახალი კალუნდრის მიმღევაზ ეკლესიებთან: კონსტანტინეპოლისკა ალექსანდრიისა, კვიპროსისა, ელადისა და სხვა. სქიზმატურად გამოყოფილი ძველი კალუნდრის მიმღევართა მთავარი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ სიტყვის გავონებაც არ სურთ თეოლოგიური დიალოგის შესახებ მოძმე მართლმადიდებლებთან. კანონიერი მართლმადიდებელი ეკლესიები კი, მოუხედავად იმისა, რომელ კალუნდარს მისდევენ, ძველს თუ ახალს, ცდილობენ – რა თქმა უნდა, ისე, რომ არ უდალატონ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, – მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ განსხვავებული დოგმის ქრისტიანებთან. იმედოვნებენ, რომ საკითხთა სისტემატური გაშუქებით და სხვა საშუალებებით, შეძლებენ დაანახონ მათ მართლმადიდებლობის წიაღში არსებული ჭეშმარიტება განუყოფელი ეკლესის შესახებ.

– ურნალ-გაჩეთები წერენ, რომ არ უნდა იქნას მოწვეული შემდგომი მსოფლიო კრება, რადგანაც იგი იქნება რიგით მერვე და მის თავმჯდომარედ სატანა დაჯდება. ნუთუ არსებობს რაიმე დოგმა, რომელიც კრძალავს შემდგომი მსოფლიო კრების მოწვევას? წერენ, აგრეთვე, რომ ვიყოფუებით ესქატოლოგიურ პერიოდში, ვითვლით უკანასკნელ დღეებს. 2000 წელს შემდგომ აღარაფერი აღარ იარსებებს. ამიტომაც არავისთან არ უნდა გვქონდეს კავშირი, გარდა მართლმადიდებლებისა, რათა მზად ვიყოთ მეორედ მოსვლისათვის. შეგიძლიათ გვითხრათ რაიმე ამის შესახებ?

– ყოველივე ეს არის ზღაპრები, ჩლუნგი, ავადმყოფი ტვინების გამონაგონი, და არანაირი კავშირი არა აქვს ღვთისმეტყველებასთან და მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ ცხოვრებასთან. ისტორიის მანძილზე მსგავსი გამონაგონები და შიში მრავალგზის გავრცელებულა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის საეკლესიო წრეებში.

– თქვენ ყოვლადუწმინდესობავ, გთხოვთ, ორიოდე სიტყვით გვიამბოთ მსოფლიო საპატიოარქოს მოღვაწეობაზე.

– მსოფლიო საპატიოარქოს მოღვაწეობა ვითარდება სრული სიცხადით, ყველასათვის მისაწვდომად და კონსტანტინეპოლის ეკლესიის წმიდა სინოდის ფასტელი თვალყურის ქვეშ. მოიცავს ყველა იმ სფეროს, რის წინაშეც პასუხისმგებლობა აქისრია თანამედროვე მართლმადიდებლობას. ეძებს რეალურ ჭებს და ემსახურება შმვიდობის, სამართ-

ლიანობის, მორწმუნეთა ღვთისმიერი თანაარსებობისა და თანამორცვა-
წეობის განმტკიცებას. მსოფლიო საპატრიარქოს ამ მრავალმხრივ ძძ-
ლვაწეობაში შედის, ცხადია, დიორთოდოქსალური (მართლიმადიფუძულული) ॥
თაშორისი) ურთიერთობანიც. კრისტანტინეპოლის ეკლესია უმომავცეც კა-
მფლობელი პირველი ტახტისა მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის,
გაძლიერებული პახუხისმგებლობით იღვწის ამ სფეროში და ერთგვარი
კორდინატორის როლს ასრულებს. ამასთანავე, ზრუნავს დიაქტის-
ტიანულ (განსხვავებული მიმდინარეობის ქრისტიანთა შორის) ურთი-
ერთობებზე და ორმხრივ საღვთისმეტყველო დიალოგებზე. თანამშრომ-
ლობს ჭველა რეფიციალურ ორგანიზაციასთან, რომელიც გელწრეველად
ცდილობს, დაეხმაროს თანამედროვე ადამიანს ნებისმიერი პრობლემის
დაძლევაში: ბოლოლროინდელი მოღვაწეობის ერთ-ერთ ასეთ კატეგორიას
მიეკუთვნება ე.წ. გეოლოგიური პრობლემა, რომლის მოგვარებას უწარ-
მაჩარი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი პლანეტის გადარჩენის საქმეში.
გარემოს დაცვის საყოველთაო დღედ დავადგინეთ I სექტემბერი. დროდა-
დრო შესაბამის კონფერენციებს ვატარებთ ამ თემასთან დაკავშირებით.
ვცდილობთ, ხალხში ეკლესიის მხრიდანაც გაღვივდეს ფაქტი დამოუ-
დებულება გარესამყაროსადმი. მისი სიწმინდის დაცვა ზომ იმთავითვე
ვალად აღვეს ღვთის მიერ შექმნილ კაცობრობას. ვამზადებთ ახალ კონ-
ფერენციას ეკოლოგიის თემაზე. იგი ჩატარდება მისი სამეფო უმაღლესო-
ბის, ედინბურგის პრინცის ფილიპესა და ჩვენი უმდაბლესობის ეგიდით
ხალკის წმიდა სამების მონასტერში.

გართლებადიდებლობა და თანამედროვეობა

მისი ყოვლადუწმინდესობის მსოფლიო პატრიარქის ბართლომეს
საუბრები თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე*

ეს საუბრები 1995 წელს დამტკიცდა ბერძნულ ენაშე პატარა წიგნაცის სახით,
ხოლო ამის შემდეგ მრავალ ენაშე ითარგმნა და გავრცელდა. ამ საკითხებს არ
დაუკარგავს აქტუალობა. ვფიქრობთ, ქართველი მეითეველიც ინტერესით გაეცნობა
მათ. ამიტომაც ჩავრთოთ წიგნის ჩვენს მიერ აღიტულ ინტერესუებთან ერთად. იმპეტუა
შემცირებით. ამოვერისეთ და ვთარგმნეთ პასუხები ისეთ საკითხებზე, რაც ჩვენს
მორწმუნებსაც აღვლევთ. თუკი აქ თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობის საკითხიც
შევიტანეთ, ეს იმ მიზნით მოიხდა, რომ თურქეთი ჩვენი მეზობელი ქვეყანაცაა და იქნება,
ჩვენთვისაც სახარებელი გახდეს პატრიარქის ეს შეხედულებები.

1. დალოგი რელიგიებს შორის

ამ საკითხთან დაკავშირებით დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი.
ზოგიერთ ჩვენს მართლმადიდებელ ძმას ჰგონია, რომ კათოლიკებთან,
ანგლიკანებთან ან სხვა რომელიმე დოგმის წარმომადგენლებთან დია-
ლოგით ვდალატობთ მართლმადიდებლობას, ვდალატობთ ჩვენს სარ-
წმუნოებას. ბუნებრივია, სიმართლის ნასახიც კი არ არსებობს ამაში.
უბრალოდ ვცდილობთ, რომ ჩვენ უკეთ გავიცნოთ ისინი, ხოლო იმათ
– ჩვენ.

საღმრთოსმეტყველო დიალოგების მეშვეობით (რასაც სრულიად
მართლმადიდებლობა აწარმოებს და არა მხოლოდ მსოფლიო საპატრი-
არქო, განსხვავებული აღმსარებლობის მქონე ჩვენს ძმებთან) ვცდილობთ,
ვიპოვოთ ნიშნები ერთმანეთთან მიახლოებისა, ნიშნები ერთმანეთთან
შერიგებისა. ვინიღავთ იმ საკითხებს, რომელიც გვთიშავენ, ან რომელთა
გამოც ვერ ვთანხმდებით. პატიოსანი და გულწრფელი საღვთისმეტყველო
დიალოგის გზით, მთელი პასუხისმგებლობის გრძნობით, ვცდილობთ,
ვიპოვოთ ის შეხების წერტილები, რითაც შეგვიძლია მივაღწიოთ

* ქართველ ენაშე პირველად დამტკიცდა გაზეთში „ინფორმაცია განსჯებათის“, №22,
29 ოქტომბერი, 1999 წ.

შეთანხმებას, ხოლო შეხების ის წერტილები, სადაც შეუძლებელია ურთიერთგაგების მიღწევა და შეკავშირება, დავუტოვოთ ღმერთს, რომელიც, როცა თავად ჩათვლის საჭიროდ, მაშინ გაგვინაფორს უწერდას – თუ როგორ ვიპოვოთ გამოსავალი ამ როლი პრობლემებისა? ამასთავის გამოსავალი ამ როლი პრობლემებისა?

ყველა მართლმადიდებელი ეკლესია (ვეულისხმობ კანონიცურ მართლმადიდებელ ეკლესიებს) მონაწილეობს სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან წარმოებულ ამ დიალოგებში. ამ ბოლო წლებში მხოლოდ იქრუსალიმის საპატირიარქო ჩამოშორდა ამ დიალოგებს. დიალოგების წინააღმდეგნი არიან აგრეთვე ცალკეული პირები, მეტისმეტად კონსერვატორი თეოლოგები, ან უძრავო მოწმუნები და, მათთან ერთად, ცალკეული რელიგიური დაჯგუფებები, რომელნიც განუწყვეტლივ ეწინააღმდეგებიან ჩვენს ყოველგვარ მცდელობას – საერთო გამოვნახოთ ჩვენგან გათოშულ ჩვენსავე ძმებთან.

ამის მიზეზი, ფფიქრობ, ზედმეტი სიურთხილე, გულუბრყვილობა და რელიგიური ფანატიზმია, რის შესახებაც ჩემი წინამორბედი პატირიარქი დიმიტრიოსი ამბობდა, რომ ფანატიზმის ყველაზე საშინელი სახე ის არის, როცა იგი რელიგიის სფეროში ვლინდება.

ჩემი აღსაყდრების დღეს წარმოოქმულ სიტყვებში მე აღნიშნე, რომ არ დაუიშარებ საღვთისმეტყველო დიალოგების წარმართვას და არ შეეკარგებ ინტერესს მათ მიმართ. და მართლაც, მსოფლიო საპატირიარქო ყადემიური დონის საღვთისმეტყველო დიალოგებს აწამრეობს ამჟამად ისლამის წარმომადგენლებთან, ოუდევლებთან. მსოფლიო საპატირიარქოს კურთხვით, გადაწყვეტილებითა და ეგიდით შევიცარის მიტოოპოლიტმა, ვერ კიდევ პატირიარქ დიმიტრიოსის დროს, დაიწყო ეს დიალოგები. მე კი ჩემს საინტერინისაციო სიტყვაში აღნიშნე, რომ შეძლებისდაბეჭად სულ უფრო მეტად და მეტად ჩავებმები დიალოგებში რელიგიებს შორის, რათა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, ყველა რელიგიამ დაცვას სიწმინდე, განუმეორებლობა და ღირსება ადამიანის სახისა.

ეკლესია ადამიანის სახეს აღიქვამს, ვითარცა ღვთის ხატისა და მსგავსს. ამიტომაც ერთადერთია და წმინდაა ყოველი ადამიანი – ესაუბრობთ სახეშე ადამიანისა და არა ცალკეულ პიროვნებაზე – და ამ თვალთახელიდან გამომდინარე, უნდა ვითანამშრომლოთ არა მხოლოდ რელიგიათა წარმომადგენლებმა, არამედ კეთილი ნების ყველა ადამიანმა, რომელ მხარესაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, ოღონდაც გადავარჩინოთ ეს განუმეორებლობა და სიწმინდე.

2. დამუიდებულება პატის მიმართ

პირველყოვლისა მინდა შევეხო და სწორი ინტერესტაცია გა-
ვუკეთო იმას, რაც ითქვა და დაიწერა ჩემი წინამორბედი პატრიარქის
რომში ვიზიტის გამო. პატრიარქს ლიტერატურია არ ჩაუტარებით პაპთან
ერთად, რადგან არ შეიძლებოდა, რომ ერთად ეწირათ, ვინაიდან ჯერ
კიდევ არსებობს სქიმა. პატრიარქი უბრალოდ დაესწრო იმ ლიტერატური-
ას, რომელიც პაპმა ჩაატარა თავის თანამწირველებთან ერთად წინდა
პეტრეს ტაძარში. პაპმა და პატრიარქმა, და კველა იქ დამსწრემ, ნიკა-
კონსტანტინეპოლში მიღებული მრწამსი წარმოთქვეს ბერძნულ ენაზე,
ისე, როგორც ის თავიდან დაიწერა, FILIOQUE-ს გარეშე. ეს იმას სრუ-
ლიადაც არ ნიშნავს, რომ კათოლიკურმა კელესიამ ჩამოაშორა მრწამსს
და „და ძისა თანა“, ანუ FILIOQUE. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი,
რომ პაპი კვლავ განაკრძობს FILIOQUE-ს სხეულას ლიტერატურის მრწამ-
სის წარმოთქმისას. მაგრამ ის შემთვევევა იყო თავაზიანობის გამოვლი-
ნება მისი მხრიდან, თუ ასე გნებავთ, და ამასთანავე აღიარება იმ
ისტორიული ფაქტისა, რომ, მრწამსი “თავიდან მართლაც FILIOQUE-ს
გარეშე დაიწერა. ეს ნაბიჯი პაპის მხრიდან ამ ფაქტის ოფიციალური
აღიარება იყო. ახლა კი ეს მათი, კათოლიკეთა, შინაური პრობლემაა,
თუკი კვლავ განაკრძობენ მის ჩართვას მრწამსში. ყოველ შემთხვევაში
მე მწამს, რომ FILIOQUE-ზე უფრო დიდი დაბრკოლება პაპის
უპირატესობა და უცდომელობაა, რაც აკრეთვე ღოვმატურ საყითხებს
განეკუთვნება. სქიმამდელი ქრისტიანული კელესის საფუძველში და
სტრუქტურაში რომის ეპისკოპოსს სიყვარულის საჭიროებლის როლი
და აღვილი ეკავა. დროის დინებასთან ერთად სიყვარულის საჭირ-
ოებლის ეს თვისება, ანუ პატივის უპირატესობა, ჩენმა დასავლელმა
ძმებმა ადმინისტრაციულ და ძალაუფლების უპირატესობად გადააქციეს.
სწორედ ეს არის, რაც გვამორებს. რო ეკლესიას შერის მიმდინარე დია-
ლოგი კი ძირითადად ამ სერიოზული პრობლემის გადაჭრას ითვალის-
წინებს და ისახავს მიზნად: დაზუსტდეს და ჩამოყალიბდეს რომის ეპის-
კოპოსის ზუსტი აღვილი ქრისტიანული კელესის სტრუქტურაში.

ახლანდელმა პაპმა, როდესაც მე მას შევხედი, ჯერ კიდევ ქალკე-
დონის მიტროპოლიტის რანგში მყოფი, ვითარცა მსოფლიო საპატ-
რიარქოს წარმომადგენელი, წარმავნილი რომის კელესის დაფუძნების
დღესასწაულზე, მეოთხა: მაინც ვინ არის მიზეზი, რა აბრკოლებს ჩვენს
შეერთებას? – თქვენ, თქვენი უწმინდესობავ, – ვუპასუბე. პაპმა გაიღიმა.

3. ხუთი ეკლესიის დაბრუნება მართლმადიდებლობის წარმოში

ეთიოპიის ეკლესია მიეკუთვნება იმ ე.წ. აღმოსავლეთის უძველესი ეკლესიების ოჯახს, რომელიც მართლმადიდებლობის წარმოში მოწყვდა ქალუედონში ჩატარებულ მეოთხე მსოფლიო კრებაშე, 451 წელს. მათ სხვაგვარი მხრი გამოთქვეს ქრისტეს ორბუნებოვნების საყითხოან დაყავშირებით, მაგრამ ამ განხეთქილებას პოლიტიკური საფუძველიც გააჩნდა, რამაც განაპირობა ძირითადად ქრისტიანთა ამ ნაწილის ერთიანი ქრისტიანული სარწმუნოებიდან ჩამოშორება. მთელი ამ თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში მათ მრავალი განსაცდელი გადაიტანეს. თავდაპირველად შედგა არაოფიციალური თეოლოგიური დიალოგები მათთან, შემზადება ნადავი, ხოლო ამის შემდეგ დაიწყო ოფიციალური თეოლოგიური დიალოგი მართლმადიდებლებსა და იმ ეკლესიებს შორის, რომელთა რიცხვიც ხუთია: ეთიოპიის ეკლესია, კოპტური ეკლესია, სომხეთის ეკლესია, სირიულ-იაკობიტური ეკლესია, რომელსაც დამასკოში აქვს რეზიდენცია, და მისივე ანალოგიური ეკლესია, რომელიც მაღამბოში, სამხრეთ ინდოეთში არსებობს.

თეოლოგიური დიალოგის მეშვეობით გამოვლინდა, რომ განსხვავება ჩვენს შორის, ქრისტოლოგიურ დოგმასთან მიმართებაში, ძირითადად ტერმინოლოგაში იყო და არა – არსებოთი. მართლაც, ორთავე შხრიდან წაროდგენილი ასწანა-განმარტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ამ ჩვენმა ძმებმა, რომელთა რიცხვიც მრავალ მილიონს აღწევს (მხოლოდ ეთიოპელები 38 მილიონს შეადგენნ, კოპტები 10 მილიონს ეგვიპტეში და ა.შ.) – აღიარეს ჩვენი მოძღვრება ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს შორის არსებული ძირითადი განსხვავება წაიძიალა.

ახლა გადასაჭრელი დარჩა ზოგიერთი კანონიური, ლიტურგიული და სამწყსო საყითხი. საჭიროა, ავრეთვე, მოიხსნას ორივე მხარის მიერ გამოცხადებული „შეჩვენება“. ამასთან, აღმოსავლეთის ამ უძველეს-მა ეკლესიებმა უნდა სცნონ შვიდივე მსოფლიო კრება, ვინაიდან მაშინ მათ არ ცნეს მეოთხე მსოფლიო კრების მოძღვრებანი და იქ შეჩერდნენ. ამიტომ, დღემდე მხოლოდ პირველ სამ კრებას აღიარებენ.

სადღეისოდ ყველაზე მნიშვნელოვანია ერთიანი რწმენის აღიარება და წინაპირობების შექმნა ერთობლივი ლოცვისათვის, ანუ მას შემდეგ, რაც გადაიჭრება დარჩენილი პრობლემები, რომელიც დღესდღეობით ერთმანეთს გვაშორებენ, მაშინ ორთავე ოჯახი, – ისევე როგორც მართლ-

მაღიდებელი ეკლესიებისა, ასევე აღმოსავლეთის უძველესი გელექიებისა,
— შევძლებთ ზიარების საიდუმლოც აღვადგინოთ. შეგვეძლება, ერთად
ჩავატაროთ წირვა და ერთად ვწინაროოთ, მაგრამ ამასთანც კურულებ ჟი
ლესია თავის ზნეობისა და ტრადიციას დაიცავს. არა გვაქტს არამარტი
უფლება, რომ ზნეობა და ტრადიციები (მე ეთიოპის გელესის მაგა-
ლითხე გეტყვით, რადგანაც საყუთარი თვალით ვიხილე და შევეხე მას
ჩემი იქ ვიწიტის დროს ათი დღის განმავლობაში) თავს მოვახვიოთ მათ
და შეუძლებელიცაა მათ თავიანთი შეცვალონ და მიატოვონ. ყოველი
ეკლესია დაიცავს თავის სახეს და თავის თავისებურებებს. თუკი მათ
ჰყავთ ისეთი საეკლესიო გუნდები და აქვთ ისეთი საგალობლები, რო-
მელნიც ჩვენ უცნაურად გვეჩვენება, მაგრამ სწორედ მათი საშუალებით
გამოთქვამენ თავიანთ რელიგიურ გრძნობებს, რატომ უნდა ჩამოვა-
შოროთ ისინი? ქრისტიანობას უდიდესი გაქანება აქვს და არ მიის-
წრაფვის ერთმანეთთან მიმსგავსებისაენ — მიმსგავსება საჭიროა
მხოლოდ აუცილებელში, ძირითადა რწმენაში გაიგივებაა, ხოლო რაც
შეხება გარევნულ სახეს, ეთიკას და ტრადიციებს, ქრისტიანული
ცხოვრების გამომსახველობას, ყოველ ხალხს შეუძლია ჰქონდეს
ისეთი, როგორიც თავიანთ ეროვნულ მეობას და თავისებურებას
შეესატყვისება და აგრეთვე თავიანთ გეოგრაფიულ არეალს.

4. მსოფლიო საპატრიარქო და კვროვაერთანაბება

დელორითან შეხვედრების შედეგად მიეხვდი, რომ მას ევროგაერ-
თიანების სულიერი საძირკულო, მისი სიმტკიცე და თანამშრომლობის
საყითხი აწებებს. მე პირველივე შეხვედრაშე უკონარი, თავადაც მიხვდა
ამას და სწამს, რომ გაერთიანებულ ეკროპას არ შეიძლება ჰქონდეს მხო-
ლოდ პოლიტიკური ბაზისი და საძირკული, ან მხოლოდ ეკონომიკური;
აუცილებელია სულიერი საძირკული, ხოლო სულიერში, რელიგიურიც
შედის. ბატონმა დელორმა მიიწვია სხვადასხვა დოგმათა და რელიგიათა
წარმომადგენლები, მათ შორის ისლამის და თვით ათეიისტების წარმო-
მადგენელიც კი, და ესაუბრა ამ საყითხების შესახებ.

მე მართლმადიდებელთა შესახებ გავამახვილებ უკრადლებას. რო-
გორც მან ერთ-ერთ თავის გამოსვლაში აღნიშნა ამას წინათ, მართლ-
მადიდებლობა კვროპის მიერ „ლარიბ ნათესავად“ არ შეიძლება იქნას
აღქმული. მას ისტორიული უფლებები გააჩნია ეკროპასე. მსოფლიო
საპატრიარქომ წარგზავნა კირილე და მეთოდე, რომელთაც მართლ-

მადიდებლობას, ქრისტიანობას, ჩივარეს სლავი ხალხი, დაიწყებს რა მორავიდან. ევროპის სულიერ ტრადიციას მართლმადიდებლურ-ბერძნული ტრადიცია უდევს საფუძვლად. აქედან გამომდინარე, შეასრულა მადიდებლობა ევროპაში არსებობს, როგორც თავისსავე სამცოფელში და როდესაც ბატონი დელორი და მისი თანამშრომლები, ევროგაერთიანების წევრები, ცდილობენ საფუძველი დაუდონ ამ სამომავლო გაერთიანებას, რათა ჩამოაყალიბონ, დაარსონ კ.წ. საერთო ევროპული სახლი, არ შეიძლება ანგარიში არ გუშვიონ მართლმადიდებლურ ფაქტორს, არ შეიძლება პრინციპულად არ გაითვალისწინონ სულიერი, რელიგიური ფაქტორი და აქედან გმომდინარე, თავად მართლმადიდებელი, რომელსაც დიდი ისტორია აკავშირებს ამ გეოგრაფიულ არეალთან. ნამდვილად, მეტად საპატიო იყო, რომ დელორის ინიციატივითა და მიწვევით შედგა ჩვენი პირველი შეხვედრა 1993 წლის მაისში, მაშინ გაყიცანით ერთმანეთი. პირველად ვაწარმოეთ მოღაპარაკებები. თითქმის ერთი წლის შემდეგ, ამას მოჰყვა მიწვევა ევროსაბჭოსაგან, სადაც 1994 წელს სიტყვით გამოვედი. დიდი პატივით შემხვდნენ იქ...

როდესაც ბრიუსელში ჩავედი, რათა იქაურ მართლმადიდებლებთან და ბელგიის მიტროპოლიტთან ერთად მქონეიმა ჩვენი საპატრიარქო ტახტის ამ ეპარქიის, ანუ ბელგიის მიტროპოლიტის 25 წლისთავი, სამუალება მოშეცა, მეორედ შეეხვედროდი, ერთად გვესაღილა და კვლავ მესაუბრა ბატონ დელორთან. უფრო სწორად, ეს შეხვედრა რიგით მესამე იყო, რადგან მეორედ სტრასბურგში შევხვდით ერთმანეთის და სწორედ მაშინ ჩამოვარდა სიტყვა მართლმადიდებელთა ცენტრის შექნის შესახებ.

წინადადება ევროგაერთიანებიდან წამოვიდა. ოფიციალურ წერილს ხელი მოაწერა ბატონმა ვინონმა (იგი დელორის უახლოესი და უშუალო თანამშრომელთაგანია), შემოგვთავსზე, მართლმადიდებელ ეკლესიასაც ჰქონოდა იქ წარმომადგენლობა, ისევე, როგორც სხვა ქრისტიანულ ეკლესიებს – კათოლიკურს, ანგლიკანურს, პროტესტანტულ ეკლესიებს.

5. ურთიერთობები საბერძნეთსა და თურქეთს შორის

ჩვენ, ვითარცა მსოფლიო საპატრიარქოს, გენერს და კცდილობთ, რამდენადაც ეს ჩვენზეა დამოყოდებული, იმ გზებით, რომელნიც გაგვაჩნია, ანუ სულიერი გზებით დავაახლოეთ საბერძნეთისა და თურქეთის ხალხები. ისინი მეწობელი ხალხებია, ბევრი საერთო თვისება აქვთ და ვინიჭობა, რომ ეს ორი ხალხი, – ამის შესახებ ბევრჯერ მითქვამს, – დიდად

არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ალბათ, ურთიერთსიმჰათიებიც ერ გააჩნიათ, მაგრამ პოლიტიკაა ის, რაც ამ ორ ხალხს თიშავს და წარმოქმნის დაძაბულობისა და ურთიერთობათა გამძაფრების ატმოსფეროს დაფურ უახლოეს მომავალში დამყარდეს ურთიერთგაგება. შეკვერცვების აღვნიშნე, რომ თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობები უნდა გაუმჯობესდეს, — თუკი მიაქციეთ ამას ფურადლება ჩემი დოდეკანისაზე მოგზაურობის დროს.

უნდა არსებობდეს კეთილმეწობლური დამოუიდებულება და შემოქმედებითი თანამშრომლობა ორივე ხალხის საკეთილდღეოდ, რათა თავიანთი წელილი შეიტანონ შეკიდობის განსამტკიცებლად ბალკანეთში და უფრო ფართო გაგებით კი, მთელი ევროპის მასშტაბით.

უნდა არსებობდეს ურთიერთნდობის კლიმატი, რომელიც ამჟამად არ არსებობს ამ ორ ქვეყანას და მათ ხელისუფალთა შორის. ურთიერთნდობის კლიმატის დასამყარებლად საჭიროა რეგულარული ურთიერთობანი, რამეთუ დისტანციითა და განმარტოებით, ურთიერთობათა დაძაბვით, არასოდეს გადაჭრილა პრობლემები, არც არსებულ უფსკრულზე გაიდება ხილი, არც ურთიერთნდობა დაფუძნდება.

ამას წინაც მეახლა საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი ელჩი, რომელთაც ანკარაში მოლაპარაკებები აწარმოეს თურქ ქოლეგებთან და ამის შემდეგ, საბერძნეთში გამგზავრების წინ, საპატრიარქოს ეწვივნენ ჩემდამი პატივისცემის დასტურად. მე ვკითხე მათ იმის შესახებ, თუ როდისთვის დაგეგმეს შემდგრმი შეხვედრა. ისინი კმაყოფილნი იყვნენ იმ ატმოსფეროთი, რომელშიც მოლაპარაკება ჩატარდა. ისევ შევეკითხე, კვლავ როდის უნდა შევხვდეთ ერთმანეთს? ერთი წლის შემდეგო, — მიპასუხეს.

— არა გორინათ, რომ ეს ძალიან შორია? ერთი წლის შემდეგ დავიწყებული გექნებათ ის, რაჩედაც გუშინ ისაუბრეთ, — ვუთხარი მე, — ამასობაში სხვა პრობლემები წამოიჭრება, ერთი წლის შემდეგ აღარ გეცოლინებათ, საიდან დაიწყოთ საუბარი და როგორ გაათხოთ ატმოსფერო, რომელშიც უნდა მოლაპარაკება აწარმოოთ. რა თქმა უნდა, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ ვურჩიე, რომ გაახშირონ შეხვედრები.

პოლიტიკის სფეროში, როგორც ამას ოზალი ამბობდა, ეს სულ ბოლო ეტაპზე მოვა. საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ურთიერთობა დამყარდეს კულტურის სფეროში. უნდა მოხდეს თეატრალურ დასთა გაცვლა, სულიერ სფეროში მომუშავე ადამიანთა გაცვლა, მეცნიერებისა, რომელიც ლექციებს წაიკითხავთ ამ ქვეყნებში, უნდა დამყარდეს თანამშრო-

მღლობა ტურისტის სფეროში, კონომიკურ და სავაჭრო სფეროებში. სეიდ
ბოლოს კი, დადგება პოლიტიკური და სამხედრო სფეროების საკითხიც,
თუკი იქაც იქნება მცდელობა თანამშრომლობისა. მაგრამ საამისოდასაფუ—
როა ჯერ შერბილდეს კლიმატი. ამის გარდა ისიც მინდა არყოსინი, რომ
ჩემი ახალგაზრდობის წლებში, მაშინ, როდესაც მე ჯერ კიდევ სკოლის
მოწაფე გახლდით, უფრო კარგი და კეთილი დამოუიდებულება არსებობდა
ზალებში.

მე, ვითარცა რელიგიური წინამდლოლი, მეტად აღარ შევეხები პოლიტიკურ საყითხებს, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ მოუხედავად კონკრეტული პრობლემებისა, მაინც შეიძლება არსებობდეს ამ ხალხთა ურთიერთობა იმ სფეროებსა და დარგებში, რომლებშედაც ზემოთ ვიღლაპარავე. ეს კავშირები კი დანარჩენი პრობლემების გადაჭრას გაადვილებს. ისინი ამზადებენ ნიადაგს, ათბობენ კლიმატს, ხოლო ყოველივე ამით იქმნება სულ უფრო მეტი ხდომა ორ მხარეს შორის.

როდესაც ნდობა ჩამოყალიბდება ხალხთა შორის, მაშინ თვითონ ხალხი მთავრდებს ზეწოლას თავიანთ ხელისუფლებებზე, რომ რამენაირი გამოსაკვალი იპოვონ. გერმანიის Ostpolitik, რომლის დასახულიც დადგინდით გამოდგა, მიმაჩნია, ვატტიანმაც განახორციელა ამ ბოლო წლებში პავლე VI-ის მეთაურობით და ვფიქრობ, რომ მისი შედეგებიც დადგინდითა. ყოველი ნაბიჯი, გადადგმული კეთილი განწყობით ნებისმიერი მოწინააღმდეგის მიმართ, და გულწრფელობა მოდრექს მოწინააღმდეგებს, ამას კი დაახლოება მოჰყვება.

6. შოვინიზმი და რელიგიური ომები

გამყოფი კედლის ნგრევამ, სამწუხაროდ, შევინიშმი გააღვივა აღმო-
სავლეთ ევროპის ქვეყნებში და აღმოჩნდა, რომ თავისუფლება ამის საფა-
სერად მოვიდა, რასაც მისოთვის არანაირი სარგებელი არ მოაქცეს.

ჩვენი ეკლესია პატივის სცემს ყოველი წალხის ეროვნულ მეობას, მის ენას, კულტურას, მის ზნეობასა და ტრადიციებს, მაგრამ შოვინიზმი, ვითარება ერქისი, დაგმობილ იქნა 1872 წელს აქ, ამ საპატრიარქო ტაძარში, და დღესაც მოუღებელია იგი ეკლესიისათვის. 1992 წელს თავი მოვიყარეთ აქ მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების საჭეომპყრობელებმა და ერთობლივი მიმართვა გამოვაჭვენეთ მთელი მსოფლიოსადმი. ამ მიმართვაში კი, როდესაც შოვინიზმის შევეხეთ, გამოვაცხადეთ, რომ ვგმობთ რელიგიას, ეკლესიის გამოყენებას შოვინისტებისა და პოლი-

ტივოსების მიერ, რადგანაც ზოგჯერ, ან ყოფილ თუგოსლავიში, ან მუნდაც სხვა ქვეყნებში, მას რელიგიის მანტიაში გამოხვეულს, კონფლიქტებისა და სისხლისღრათა გამოსაწვევად იყენებენ. მართლმადიდებელი ეკლესიების საჭეთმპყრობელები ყველანი ერთად ვაცხალებთ; რომელი დაუშვებელია მართლმადიდებელი ეკლესიის გამოყენება, ან ნებისმიერი რელიგიისა ფართო გაგებით, შოვინისტური და პოლიტიკური მიწნებისათვის.

არ მინდა წვრილმანებს ჩავუღრმავდე, მაგრამ სახოგადოდ, ის კონფლიქტები, რაც დღეს ბალყანეთში ხდება, თუ რომელიმე სხვა რეგიონში, არ მიმართა რელიგიურ ომებად. არა მცონია, რომ იქ რელიგიათა შეჯახება ხდებოდეს. ისინი რელიგიური მანტიითა და სამოსით არიან მხოლოდ შემოსილნი. ამას გარდა, სრულიად გამორიცხულია, ომს ეწოდოს წმინდა ან რელიგიური. რელიგია ქადაგებს მშვიდობას. მას არ შეუძლია იქადაგოს ომი და არც წინამძღოლობა და მფარველობა გუწიოს მას. ეს არის **contradictio in terminis**.

ქრისტიანულმა რელიგიამ უნდა იქადაგოს მშვიდობა და სიყვარული. როგორ მიაღწიოს დღევანდელმა სამყარომ საოცნებო ხატი, რასაც ეძიებს და ვერ პოულობს? მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს საყითხი ჩვენს, რელიგიურ წინამძღოლთა და სულიერ სფეროებში მოღვაწე ადამიანების პასუხისმგებლობას კიდევ უფრო აძლიერებს. ჩვენც უნდა გავისიგრძეგანოთ ჩვენი პასუხისმგებლობა, იმის გამო, რომ დღემდე არ არსებობს ეს საოცნებო ხატი და იგი ჯერ კიდევ ძიების პროცესშია. იწებ მიჩები ჩვენი, - კაცობრიობის სულიერ წინამძღვრად მოხმობილთა, - უხერხემლობა ან არასრულყოფილებაა. ჩვენ უნდა გავიცნობიეროთ ჩვენივე პასუხისმგებლობა, ზეგავლენა მოვახდინოთ ჩვენსავე მორწმუნებზე და ამის შემდეგ კი ყველა ადამიანზე მთელს მსოფლიოში, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ყველა ჩვენგანხა ეს უნდა შეძლოს თავის ადგილსამყოფელში, თავის ეკლესიაში, თავის რელიგიაში, რათა ერთი ნაწილი მეორეს მიემატოს და ამით სამყაროს ძირეული გაუმჯობესება მოხდეს.

მართლაც, არასამართლიანი და უთანასწორო განაწილება ხდება ქვეყნიური დოკუმენტისა, რაც (მე ეს ეთიოპიაში ყოფნისას ჩემს ერთ-ერთ სიტყვაში აღვნიშნე) ამძაფრებს ამ კონფლიქტებს, ამ დისკრიმინაციას და წარმოქმნის პრობელმებსა და არეულობის კერებს. წარმოიდგინეთ, რომ დედამიწის მოსახლეობის 20% ექსპლოატაციას უწევს მსოფლიოს მატერიალური შემოსავლის 80%-ს. მე ჩემი თვალით ვნახე ის უბედურება, რაც ეთიოპიაში ხდება. საქრისტიანო არ არის თავისუფალი ამ

პასუხისმგებლობისაგან, რადგან ქრისტიანობა არის ოფიციალური ტე-
ლიგია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისა. აქედან გამომდინარე,
ჩვენც გვაკისრია პასუხისმგებლობა, ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები.

არ შემძლია იმის თქმა – არსებობენ თუ არა წინამშელონთა, რომ
მელნიც გაითავისებენ ამ აუცილებლობას და იქნებიან იმდენად ღირ-
სეული, რომ უშუალო და რეალური შედეგების მოტანა იყიდოს, მაგრამ
შემძლია ვთქვა, რომ დღითიდღე უფრო მეტად ხდება გაცნობიერება
პასუხისმგებლობისა და რეალობის გაუმჯობესების აუცილებლობისა.
ამიტომაც, კიდევ ვიმეორებ, რომ ქრისტიანულმა ეკლესიებმა, ხელი
უნდა ჩასჭიდონ ერთმანეთს და ითანამშრომლონ თუნდაც ამ სოცია-
ლური პროცესის სფეროში, მაგრამ ისე, რომ არასოდეს არ შე-
წყვიტონ სწრაფვა ღიგმატური გაერთიანებისთვისაც. რადგან, როგორც
ამას პატრიარქი დიმიტრიონი ამბობდა, გაერთიანებულ ქრისტიანულ
ეკლესიას, თავისი საწმინდოების მოწმობით, თავისი მოძღვრებით, თავისი
ქადაგებით, შეეძლება მოახდინოს უფრო მეტი ზეწოლა მოელს მსოფლი-
ონე ვიდრე დღევანდელ დაქუცმაცებულ ეკლესიას. ეს არის, აგრეთვე,
პასუხი იმათ მიმართ, ვინც მტრულადაა განწყობილი ეკუმენური მოძრა-
ობისადმი, გაერთიანების მოწინააღმდეგეთა მიმართ, ფანატიკოსთა
მიმართ.

მართლგადინებასთა ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა

ჭირდეთ მას და მის მომავალი განვითარების დროისათვის

კვიპროსის ავტოგეფალური კელების კელებისათაშორის ურთიერთობათა განყოფილების თავმჯდომარე, მისი

კოვლადუსამღვდელოესობა,
ტრიმითოს ეპისკოპოსი ბასილი



- თქვენო ყოვლადუსამღვდე-
ლოესობავ, ის, უ როგორი უნდა
იყოს ურთიერთობა ქრისტიანთა
შორის, დღეს მართლმადიდებელ, და
არა მარტო მართლმადიდებელ,
არამედ ყველა ქრისტიან მორწმუ-
ნეთა საკამათო საკითხი გახდა. მე,
როგორც მართლმადიდებელი, ამჯე-
რად მართლმადიდებელების სახელით
გესაუბრებით. ზოგიერთი მართლმა-
დიდებელი მორწმუნე წინააღმდეგია
განსხვავებული აღმსარებლობის
ქრისტიანებთან დაიღოვისა. დიდ ნა-
წილს ეკლესიათა შეერთება შეუძ-
ლებლად მიაჩნია. ზოგი ეკუმენურ

მოძრაობას „ერქან“, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „ყოვლისმომცველ ერქან“ მიიჩნევს. გთხოვთ, შეძლებისდაგვარად განვიმარტოთ მართლმადიდებელი ეკლესიის კონცეფცია ამ საკითხთან დაკავშირებით, მით უფრო, რომ, რამდენადაც ვიცი, გაერთიანების საკითხი მართლმადიდებლების წამოჭრილია.

— დიახ, მართალია. მართლმადიდებელმა ეკლესიებმა, იმ შევნები-
დან გამომდინარე, რომ მართლმადიდებელი აღმსარებლობა ერთადერთი,

უწმინდესი, საყოველთაო და სამოციქულოა, გათვალისწინებით საკულესიო მოძღვრებისა და ტრადიციისა, დაიწყეს მოძრაობა ეკლესიათა გაერთიანებისათვის, რათა ამ ქნით დათივეკურთხეული მიზნისათვის ცენტრალური სახურათ. მართლმადიდებელი ეკლესიების მიშანს ამ მოძრაობისას იქ წარმოადგენს, რომ მთელს მსოფლიოში გაბნეულმა „განსხვავებული ქრისტიანული დოგმის მიმდევარი ეკლესიების“ წევრებმა აღიარონ საერთო რწმენა და, გარდა ამისა, საერთო ეკლესიოლოგია, საიდუმლოოთა აღსრულება და ტრადიცია.

ერთიანი რწმენის ის კრიტერიუმები, რომლებიც „განსხვავებული დოგმატების მიმდევარი ქრისტიანული ეკლესიების“ მიმართ უნდა იყოს წაყენებული, მსოფლიო პატრიარქ იოაკიმე III-ის მიერ მართლმადიდებელ ეკლესიათა საჭირობელებისადმი გამარჯვილ საპატრიარქო-სინოდა-ლურ ცირკულარშია (1902 წ.) ჩამოყალიბებული. მასში ასევა გაცხადებული: „ცნობილია, რომ ჩვენი წმინდა ეკლესიებისა და ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანის განუწყვეტილი ლოცვისა და ვედრების საგანს წარმოადგენს ის ეთილშობილური და გულითადი სწრაფვა ერთიანობისაკენ, რასაც სახარება გვიქადაგებს, ანუ მართლმადიდებლურ რწმენაში გავაერთიანოთ და ჩვენს ორგვლივ შემოვიყრიბოთ ქრისტეს ყველა მორწმუნე, მაგრამ ამასთანავე არ უგულევებელვყოფა არც იმას, რომ ეს ღმრთის სახურველი მიზანი ამ ეკლესიათა მიერ იმ საკუთარი რწმენის დაჟინებით დაცვასთან შეგვაჯახებს, რომელსაც წლების განმავლობაში მისდევდნენ. შეერთების გზისკენ სვლა სულ უფრო განუხორციელებელი ჩანს. ამას სახარებისეული და ისტორიული სინამდვილეც გვიჩვენებს. შესაძლოა, ამ ეკლესიებმა გამოავლინონ ამის სურვილი, მაგრამ ეს იქნება განსამაღლერული ისეთ ფარგლებში და ისეთ საფუძვლებზე დაყრდნობით, რომელთა გამიარება და მიღება ჩვენთვის მიუღებელი იქნება“.

მართლმადიდებელი ეკლესიის რწმენისა და ეკლესიოლოგიის საკითხში გამოიტემული ამ საფუძვლიანი არგვემნტების მოხმობის შემდეგ ამ ცირკულარში ლაპარაკა შემდეგზე: „მაგრამ ნებისმიერი საქმე, რომელიც შეუძლებელი ჩანს ადამიანთათვის, ღმერთისთვის შესაძლებელია. ეს ხება ქრისტიანთა საყოველთაო გაერთიანების იმედსაც. იგი შესაძლებელი გახდება, ვითარცა ერთიანი მადლის გარდამოსვლა, ადამიანთათვის სახარებისეული ისყვარულისა და შევიდობის ქადაგების მეშვეობით. აქედამ გამომდინარე კი, კველაზე მთავარი საფიქრალი და საჩრუნავი ის არის, თუ როგორ შეჩერდეს იმ ანომალურ განასხვას სიარული, დღვეს რომ ვადგავართ. უნდა გამოინახოს ის ნიშნები, რომელნიც ხელს შეუწყობენ შეხვედრებს და კონტაქტების დამყარებას, თუნდაც ორივე მხარის

მიერ გარუგეული დათმობების ხარჯზე, რა თქმა უნდა, დასაშვების ფარგლებში, ვიდრე მთლიანად გასრულდება საქმე, რომლითაც აღსრულდება საერთო კეთილგონიერების და სარგებლობის მომტანი სიტყვა უფლისა, და დმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იქნო ქრისტეს ერთობის სიმწიმესთანავე და ერთი მწევმესის შესახებ“.

დარწმუნებული ვართ, რომ საპატრიარქო ცირკულარში წარმოჩნდილი მთავარი არგუმენტები და ჩარჩოები დღესაც აბსოლუტურად მისაღებია მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. იმ დროიდან დღემდე „ეკუმენური მოღვაწეობის“ მთელმა ერთმა საუკუნემ განვლო. ამ წნის განმავლობაში, ბევრი და მნიშვნელოვანი რამ მოხდა ეკლესიათა ცხოვრებაში გაერთიანების თვალსაჩრიისთ, დადგებითიც და უარყოფითიც. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც, ალბათ, ის ფაქტია, რომ 50 წლის წინ დაარსდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, რომელმაც დიდი იმედები ჩაუსახა მოელს ქრისტიანულ სამყაროს.

— ნუთუ ასეთი ახალი მოვლენაა ეკლესიის ისტორიაში დიალოგისენ სწრაფვა? ჩვენი ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არ არსებოს ანალოგიური მაგალითები?

— არა, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ეკლესიამ გადაწყვეტილება მიიღო დიალოგი ეწარმოებინა ერეტიკოსებთან და სქიტმატებთან. მაგრამ ვინაიდან სკიტის, როგორც ის დღეს დაისვა, კანონიერ ხასიათსა და შინაარსს მოიცავს, მაგალითად დონატისტების სკიტის მოვიტან სქიტმატე და ერესამდე, ქრისტიანთა დევნის შემდეგ, და მასთან ერთად იმ მეთოდებს შევხები, რომლითაც ეკლესიამ იხელმძღვანელა მაშინ. კართაგენის ქრებამ (419 წ) გადაწყვეტილება მიიღო, დიალოგი ეწარმოებინა დონატისტებთან. დონატისტებისადმი გაგზავნილ წერილში (სულის კანონი 92) კართაგენის ქრება სხვა სკიტებთან ერთად წერდა: „ჩვენ შეგხვდებით თქვენ და თქვენთან ურთიერთობაში შემოვალთ ჩვენი კათოლიკე (საყოველთაო) კრებისაგან კანონიერად მოვლინებული პირი, რადგანაც გვხერს, გავიხარით თქვენი გამოსწორებით. ჩვენ ვუწიოთ სიყვარული უფლისა, რომელიც ამბობს: „ნეტარ იყვნენ შშკდობის მუოფულნი, რამეთუ იგინი ძედ დმრთისა იწოდენ (მთ. 5,9). ამასვე ამტკიცებს უფალი წინასწარმეტყველის პირითაც, რომელიც ამბობს, ჩვენთვის ჯეროვანია, იმათაც კი, ვისაც სურს ჩვენ ძმის სახელი გვიწოდოს, ვუთხრათ, ჩვენი ძმები ხართო. თქვენ არ უნდა შეურაცხოთ ჩვენი შშკიდობიანი სიყვარულიდან გამომდინარე ეს შესსენება. თუ დარწმუნებული ხართ თქვენს ჭეშმარიტებაში, მისთვის ბრძოლას ნუ იყოყმანებთ. ეს იმას ნიშ-

ნავს, რომ მოიწვიოთ თქვენი კრება, ამოირჩიოთ ის პირები, რომელთაც
მიანდობთ საქმის გაძლოლას თქვენთვის სასარგებლოდ და გასამართ-
ლებლად. ასევე ჩვენც შეგვეძლება იგივეს გაყეობა, ე.ი. შევვემუქა,
ჩვენი კრებისაგან ამოირჩიოთ ის პიროვნებანი, რომელნიც თქვენს მიერ
ამორჩეულთ დანიშნულ დროსა და ადგილზე გასცემენ პასუხს და გამო-
იძიებენ ყველა მიწებს ჩვენი ერთობისაგან თქვენი გამოყოფისა, რათა
შეწევნითა უფლისა ჩვენისათა ბოლო მოედოს ძელ შეცდომას, რათა
არ დაიღუპონ უძლური სულნი კაცთა მოდგმისა და უთვალავი ხალხი
ეკლესიის მკრეხელური გათიშვის გამო“.

კართაგენის კრების მიერ ამ საკითხისადმი ამგვარი მიღომა, თა-
ვისი ისტორიული ფასეულობისა და მნიშვნელობის გარდა, მართლ-
მადიდებელი ეკლესიისათვის სადღეისოდ საჭირო სწავლებასაც მოიცავს
იმ საყითხთან დაკავშირებით, თუ როგორ მიუდგეს პრობლემას და რო-
გორი პოზიცია დაიყავოს მის წიაღს გარეთ მყოფი ქრისტიანებისა და,
აკრეთვე, მათთან დიალოგის მიმართ. პირველი არის ის, რომ აკანონებს
დიალოგის წარმოებას მისგან ჩამოშორებულ ერეტიკოსებთან და ამ
დიალოგს „ძეთა ღვთისათა“ მიერ სახარებისეული შშვიდობის განხორ-
ციელებად მიიჩნევს. ამ სულისყველთებიდან გამომდინარე, დონატისტები,
მიუხედავად თავიანთი ცნობილი სისახტეებისა კანონიკური ეკლესიის
წევრთა მიმართ, „ძმებად“ იწოდებიან. მეორე – დასმულია საყითხი თანაბა-
რი ძალებით მონაწილეობის შესახებ დიალოგში, რომელიც თავისთავად
სახარებისეული სიყვარულის და რწმენის ჭეშმარიტებაზე იქნება
დაფუძნებული. ამისათვის კი მოუწოდებს მათ ორივე მხრიდან გამოყო-
ფილ იქნას წარმომადგენლები დიალოგის წარსამართავად. მესამე – დგინ-
დება დიალოგის მისანი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრივ,
აღდგეს ურთიერთობა დაპირისპირებულ მხარეთა შორის, ხოლო მეორე
მხრივ, ჩანს ზრუნვა მორწმუნეთა გადასარჩენად და ამასთანავე შუოთვა
იმის შესახებ, ვათუ, „დაიღუპონ უძლური სულნი კაცთა მოდგმისა და
უთვალავი ხალხი ეკლესიის მკრეხელური გათიშვის გამო“ ეკლესიი-
სათვის მეტად მნიშვნელოვანია, განსაჯოს და განასხვავოს ერთმანე-
თისაგან ის, თუ როდის ეხება საქმე რწმენის ჭეშმარიტებას და როდის
– ადამიანის დამღუპველ სიჯიუტესა და ეგოიზმს, რომელიც უძლურ
სულებს და უამრავ ხალხს დაღუპვისაკენ მოუძღვება. და ბოლოს, კრების
მონაწილე მაშები დონატისტებს მოუწოდებენ და ხაზგასმით ეუბნებიან:
„თუკი ამ რჩევას ძმური გაგებით მიიღებთ, აღვილად გამოჩნდება და

განცხადდება ჭეშმარიტება, ხოლო თუკი ამის წინააღმდევი იქნებით, მყის ცხადი გახდება თქვენი ურწმუნოება“.

— იქნებ განგვიმარტოთ, ხედავთ კავშირს იმ საპატრიარქო წერილსა (ვეგულისხმობ პირველ კითხვაზე პასუხისას რომ გვესაუბრო), და ამ განონში არსებულ სულისკვეთებას შორის დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე? რა ვალდებულება გვეკისრება ჩვენ, ვითარცა მართლმადიდებლებს, და რას უნდა ვთხოვდეთ საპირისპირო მხარისაგან ეკუმენურ მოძრაობაში?

— მართლმადიდებელმა ეკლესიებმა დაძლიეს ადამიანური სიჯიუტე, დათანხმდნენ „ლეთის განგვებულებით“ ჰეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობას. ძირითად კრიტერიუმად და მოსახრებად გაიხადეს არა მხოლოდ თავიანთი ეკლესიოლოგიური საფუძველი, არამედ „ეკლესიაქმნა“ იმ სხვათა, თანახმად პირველი ათასწლეულის ერთიანი და განუყოფელი ეკლესის ეკლესიური პრინციპებისა.

„ჰეკუმენური მოძრაობა“ საწოგადოდ, და კონკრეტულად კი ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, წარმოადგენს ეკლესიათა სურვილის გამოხატვას გაერთიანებისაკენ. ამასთან დაყავშირებით, ყოველი ქმედება „ეკუმენური მოძრაობის“ ფარგლებში არ შეიძლება აკანონებდეს და არც ეწინააღმდეგებოდეს ეკლესიათა მიერ გამოთქმულ სურვილს, და არც ჩამოაყალიბოს სხვა ჩარჩოები და კრიტერიუმები ერთიანობისა, რომელიც განსხვავებული იქნება მართლმადიდებელი ეკლესის ეკლესიოლოგიასთან მიმართებაში.

მეორე მხრივ, ცხადია, რომ მართლმადიდებელთა მონაწილეობა „ეკუმენურ მოძრაობაში“ უმრავეს შემთხვევაში მის დადებითად აღმასა და საბოლოო გამორიცხვას შორის მერყეობდა. ბოლო ათ წელიწადში მართლმადიდებელი ეკლესიების წარმო ფუნდამენტალური ჯვეუფების მოჭარბება შეიმჩნევა და სადღეისოდ გამორიცხვის პროცესში „ეკუმენური მოძრაობის“ წინააღმდეგ. იმ ეპოქაში, როდესაც პატრიარქ ითავიმე III-ის საპატრიარქო ცირკულარი იქნა დაჭიანილი, ასეთი ფაქტები არ დასტურდება. მაგრამ ამის შემდეგ, „ეკუმენურ მოძრაობაში“ არსებულმა დროის გამფლანგველმა პროცედურებმა გამოიწვია იმედგაცრუება და საბაბი მისცა „ეკუმენური მოძრაობისადმი“ მტრულად განწყობილი ჯვეუფების გააქტიურებას ექსოგენური თუ ენდოგენური გზით. ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ეს ჯვეუფები სხვათა მიმართ ზმინდისა და უგულებელყოფის გრძნობით გამსჭვალულნი მოქმედებენ. ისინი გამოთქვამენ თავიანთ შფოთვას იმ მიმართულების მიმართ, რომელიც „ეკუმე-

წერ მოძრაობაში “შეიმჩნევა და კიდევ იმის გამო, თუ რამდენად სწორია ეს გზა.

— ეს ჯგუფები ეკუმენურ მოძრაობას „ერესს“ უწოდებენ. განვგვიხდეთ, მართლა ერესია ეკუმენური მოძრაობა? რომელია ის ნიშნები და საყითხები, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას და სისტემა-ტურ თვალყურის დევნებას მოითხოვს მართლმადიდებელთა მხრიდან?

— მართლმადიდებელ ეკლესიებს არასოდეს გასჩენიათ სურვილი ეს საყითხი ერთმანეთს შორის ისე განესაჯათ, როგორც ამას სხადიან, ანუ ერესად ეღიარებინათ „ეკუმენური მოძრაობა“. ეს მოხდა მხოლოდ გარეული წრეების მიერ, რომელიც არ იშიარებენ ეკლესიათა საერთო მიწას, ან დაგმობილი არიან სხვადასხვა ეკლესიათა მიერ. ამასთან დაყავშირებით შეიმჩნევა ერთი ჰემაშვირთებელი მოვლენა: ეს ე.წ. წრეები გავლენას ახდენენ მოწმუნეთა სკამად მნიშვნელოვან ნაწილშე, რომელთა შორისაც ნერგავენ შეის „ეკუმენური მოძრაობის“ გავლენით მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ტრადიციიდან შესაძლო გადახრის შესახებ, აქედან გამომდინარე კი, მოწმუნეთა ნაწილი უნდობლობას უცხადებს სამღვდელოებისა და საერო წარმომადგენლების იმ ნაწილს, რომელიც მონაწილეობენ „ეკუმენურ მოძრაობაში“.

ზემოხსნებული ელემენტები მოითხოვენ, რომ ეკუმენური მოძრაობის ფარგლებში მიღებული შეთანხმებები გამორიცხულ იქნას ყოველგვარი განსჯა-განხილვის გარეშე, ან კიდევ, საერთოდ, უგულებელყოფილ იქნას. გარდა ამისა, ეკლესიებს მიგვაჩნია, რომ ისინი უქმაყოფილონი არიან „ეკუმენური მოძრაობის“ მთერ დღემდე მიღწეული შედეგებით. მართლმადიდებელი ეკლესიების არსებობის საყითხი ამ მოძრაობაში საკმად საჭოუმანოდ იქცა, დროდადრო სულ უფრო მეტად გამოითქმება ხოლმე პირი და სურვილი — ან სრულიად განერიდოს მართლმადიდებელი ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს, ან თავიდან იქნას განხილული მისი ადგილი იქ, ან სულაც დაარსდეს ახალი ორგანიზაცია, რომელიც უფრო მეტად წარმოაჩენს მართლმადიდებელი ეკლესის საეკლესიო პრინციპებს. ამის შესანიშანვი მაგალითია თქვენი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჩამოშორება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან, საქმაოდ სერიოზული არგუმენტის მოშველიებით, რომ მისი მთლიანობა საფრთხის წინაშე დგას, თუკი ის განაგრძობს ზემოთ ხსენებული ეკუმენური ორგანიზაციების წევრობას. იმის ნაცვლად, რომ „ეკუმენური მოძრაობა“ გამაერთიანებელი

ორგანო იყოს, გამოდის, რომ იგი განხეთქილების ორგანოა ჩევნ ახორა აუ იმას არ განვსჯით, სწორია ეს პოზიცია თუ არა, მაგრამ, ცხადია, რომ შემაშვილთებელია და უშუალო რეაგირებაა საჭირო.

მართლმადიდებელთა აზრით, ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ „ეკუმენური მოძრაობა“ სულ უფრო ნაცლებად განიხილავს თეოლოგიურ საყითხებს და ყურადღება სულ სხვა საყითხებზე აქვს გამახვილებული. მართლმადიდებელთა აზრით, ეს საყითხებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არა პრიორიტეტული.

დაწმუნებული ვართ, რომ დღევანდელი მდგრმარეობა განაპირობა „ეკუმენური მოძრაობის“ სტატიურ ინსტიტუტად გადაქცევამ (institutionalization), რასაც შედეგად ერთი მხრივ, ეკლესიათა გაერთიანებისაც სწრაფვის შეჩერება მოჰყვა, მეორე მხრივ კი, კრიტიკა და გაუცხოება, ან სულაც ეკლესიებისაგან „ეკუმენიზმის“ ჩამოშორება. „ეკუმენური მოძრაობა“ და მისი თემატიკა ვერ ჩაერთო ვერანაირი შენით მართლმადიდებელი ეკლესიების პრიორიტეტულ საყითხთა შორის და ვერც მის სამწევო საქმიანობასა და პასუხისმგებლობის ფარგლებში, რადგან პერიოდულ რომ, მას არ მოაქვს სარგებელი მორწმუნეთა სხინდათვის, მოუხედავად იმისა, რომ გაერთიანება სახარებისეული ანდერძია.

„ეპუმენური მოძრაობა“ არ არის ერესი, ვინაიდან მსოფლიო ეპლესიათა საბჭოს არ გააჩნია მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგო ეკლესიოლოგიური საფუძველი. ამასთან დაკავშირებით კი, ვში შობთ, რომ მყარი ეკლესიური პრინციპებისა და ჩარჩოების არარსებობა და აქედან გამომდინარე, „ეკუმენურ მოძრაობაში“ გამოვლენილი ენთუზიაზისტური მიღრეკილება მის ზოგიერთ წრეებში, რომელიც ავიწროვდება, ან გამორჩიტავენ ეკლესიას და ეკლესიოლოგიურ საფუძველს, სამუალებას მისცემს, ქნა გუაბსნას ერტიტულ გადახრებს.

— თქვენ ყოვლადუსამღვდელოესობავ, ვხედავ, რომ ცდილობთ ობიექტურად მიუღეთ საყითხს. ერთი მხრივ, აკონკრეტებთ „ეპუმენური მოძრაობის“ და მისი ცალკეული ორგანიზაციების მიერ შექმნილ სირთულეებსა და სისუსტეებს, მეორეს მხრივ კი, მაინც არ გამორჩიტავთ მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობას მასში. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ მართლმადიდებელი მორწმუნებები უფრო კარგად ჩასწერდნენ საყითხს მთლიანობაში, შეგიძლიათ მათ საამისო არგუმენტები მოუყვანოთ წმინდა წერილისა და მამათა სწავლებებიდან, და ასევე სრულიად მართლმადიდებელთა შეკრებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე?

— მართლმადიდებელი ეკლესია, მოული მისი შემადგენლობით, კუთილგანწყობით შეეგება „კუუმენურ მოძრაობას“ უმრავლეს შემთხვევაში, თუნდაც მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს დაარსების შემთხვევაში¹²² ამას გარდა, მართლმადიდებელმა ეკლესიამ, იმის სრული შექმნასთან, რომი იგი არის „ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“, წამოიწყოდა აწარმოებს დაიალოგს განსხვავებული დოგმატის ქრისტიანულ ეკლესიებთან. ამგვარად, მომავალი მსოფლიო კრების მოსამსადებლად სრულიად მართლმადიდებელთა მესამე შეხვედრამ (1986 წ.) დაადგინა მართლმადიდებელი ეკლესის მონაწილეობა „ეკუმენურ მოძრაობაში“. მართლმადიდებელ ეკლესიას, ღრმა რწმენისა და ეკლესიური სინდონიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ იგი არის მატარებელი და დამადასტურებელი ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის რწმენისა და ტრადიციისა . მტკიცედ სწამს, რომ დღევანდელ სამყაროში მას უკავია ცენტრალური აღილი ქრისტიანთა გაერთიანების საკითხში (პარაგრაფი 1).

მართლმადიდებელი ეკლესიის ეს თვითშეგნება მომდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, სახარებისეული მოძღვრებიდან ყელესის სხეულის ერთიანობის შესახებ. ორანეს სახარების მე-17 თავზი ცხადად ჩანს, რომ დამარსებელი და თავი ეკლესიას, ლოცულობს ამ გაერთიანებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი ამქვეყნიური მისის მწვერვალზე იმყოფება. იგი განსაყუთრებული ლოცვით მიმართავს მამა ღმერთს: „და არა ამათვეს ხოლო გქითხავ, არამედ ყოველთათვეს, რომელთა პრწმენეს სიტყვთა მათითა ჩემდა მომართ; რაღთა ყოველნი ერთი იყვნენ, ვითარდა შენ, მამაო, ჩემდამი და მე შენდამი, რაღთა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყვნენ, რაღთა სოფელსა პრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე“ (იოანე 17.20-21). ეკლესია, რომელიც იესო ქრისტემ დაადგინა და დააფუძნა ქვეყნად, თავისი მაცხოვნებელი საქმის გასაგრძელებლად, ერთია. ქრისტეს ეკლესიის ერთიანობა სამებაში გაერთიანებულ პირთა ერთიანობის სიმბოლოა, ხოლო მისი გათიშვა და ნაწილებად დაყოფა სამების ერთიანობის დაშლას და დანაწევრებას ნიშნავს და ამასთანავე ქრისტეს, ვითარცა ეკლესიის თავის, უარყოფას. ამასთან დაკავშირებით, კორინთოს ეპლესიის წიაღმი გაერთიანებულებს, რომელთა შორისაც შეინიშნებოდა პირთა სხვადასხვაობა და გათიშველობა, მოციქული პავლე ხაზგასმით მიმართავს: „ხოლო გლოცავ თქუენ, ძმანო, სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რაღთა მასვე იტყოდით ყოველნი, და ნუ იყოფინ თქუენ შორის წვალებად, არამედ იყვენით განმტკიცებულნი მითვე გონებითა

და მითვე მეცნიერებითა. რამეთუ მეუწყა მე თქუენთვის, ძმანო ჩემზა, ქლოველთა მათგან, ვითარმედ კდომა რაღმე არიან თქუენ შორის. ხოლო ვიტყვ ამას, რამეთუ კაცად-კაცადი თქუენი იტყვს, ვითარმედ; მე პავლის ვარ, ხოლო მე აპოლოდისი, ხოლო მე კეფადისი, ხოლო მე ქრისტესი გან-მე-ყოფილ არსა ქრისტე? ანუ პავლე ჯუარსა-ეცუაა თქუენთვის? ანუ სახელისა მიმართ პავლესისა ნათელ-იღეთა?“ (I კორ. 1.10-13). ქრისტე არ განიყოფა. ეკლესია, ანუ ერთიანი სხეული ქრისტესი, არ განიყოფა. ამიტომაც მოიხმობიან მორწმუნენი, რომ დაიცვან ერთიანობა ქრისტეს სხეულისა, რწმენაში ერთსულოვნებისა და თანააზრობის მეშვეობით. სწორედ ამისკენ მოუწოდებს იგივე მოციქული ეფესელებს, რომ განსაკუთრებული გულმოდგინება გამოამჟღავნონ: „ისწრაფედით დამართვად ერთობასა მას სულისასა საკრებულითა მით შშვდობისადთა. ერთ ხორც და ერთ სულ, ვითარცა — იგი იჩინენით ერთითა მით სასორებითა ჩინებისა თქუენისადთა. ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოებად, ერთ ნათლის-ლებად. ერთ არს ლმერთი და მამად ყოველთად, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის. ხოლო თკორეულსა კაცად-კაცადისა ჩუენსა მოცემულ არს მადლი სახომისაებრ ნიჭისა ქრისტესისა“ (ეფეს. 4.3-7). პავლე მოციქულის ეს ეკლესიოლოგია, — რომელიც ეყრდნობა რწმენის ერთადერთობას, ეკლესის წევრთა მისსავე სხეულთან ურთიერთობას, ხოლო უმთავრესად და უპირველესად კი ურთიერთობას ტრიადულ ღმერთში გაწევრიანებულ პირთა (მისივე „განგებულებით“ გამოცხადებულთა და მოვლენილთა), — გამიზნულია „დასამტკიცებელად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა, ვიდრემდე მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა მამაცაცად სრულად, სახომად პასყისა სავსებისა მის ქრისტესისა“ (ეფეს. 4. 12-13).

ბასილი დიდის შემოქმედებაში დაცულია საინტერესო მიმოწერა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეპისკოპოსებთან. იგი ცდილობდა მათი ფერადლება მიეპყრო გათიშვის, ერქესისა და სქმიშმებისადმი ეკლესიაში. წერილში დიდი ათანასე ალექსანდრიელის მიმართ წერს: „ყოველივე ეს, შეერთება და ერთ პარმონიულ სხეულად შეკრება, მხოლოდ მის (უფლის) მიერთა, მისივე ბოძებული აღუწერელი ძალით გამოიფიტული ძელები კვლავ სისხლძარღვებად და ხორცად იქცევა“ (66-ე პისტოლე, ალექსანდრიის ეპისკოპოს ათანასესადმი). ქრისტეს ეკლესის შეერთება მისივე და სულიწმიდის საქმეა. გარდა ამისა, მადლი უფლისა მის ღირსეულ მსახურთა მეშვეობით მოქმედებს. კესარიის ეკლესის ეპისკოპოსი ასეთ

ლირსეულ მსახურად ათანასე დიდს მიიჩნევდა, ამიტომაც მოუხმო მნი
მის საკლესიო ავტორიტეტს და მისსავე გამოცდილებას ბრძოლაში ამ
მიზნის მისაღწევად.

ეს ორი ჰუნძტი, ერთი – წმინდა წერილიდან, ხოლო მეტორე – წმინდა
მამათა ცხოვრებიდან, თუმცა არა ამომწურავად, მაგრამ მძანც საყმარისად
მიგვაჩინია საიმპსოდ, რათა დაურწუნდეთ იმაში, რომ მართლმადიდებელი
ეკლესია, რომელიც დღეს შფოთავს და იბრძვის იმისათვის, რომ ყველა-
ნი, ვინც კი ქრისტე იწამა, ერთ რწმენაში, ერთ სამწყსოში, ერთი და
ერთადერთი მწყემსის მფარველობის ქვეშ გააერთიანოს, მოქმედებს
თანახმად თვით უფლის სურვილისა და ასევე, თანახმად იმ შფოთისა და
ბრძოლისა, რასაც განიცდიდნენ დიდი მამანი გასაერთიანებლად
რწმენისა და ეკლესიისა. და გარდა ამისა, მსოფლიო და ადგილობრივი
კრებების მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო: ერთიანი რწმენა და ეკლესია.

– მაშინ, რაღაში მდგომარეობს დღევანდელი სირთულეების მიზე-
ზი? რა იწვევს იმ შინაგან კრიტიკას, რომელსაც მართლმადიდებლები
„ეკუმენური მოძრაობის“ მიმართ აწარმოებთ? უფრო კარგად რომ
გამიგოთ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, თუ რას გეკით-
ხებით, გეტყვით, რომ მე ამ ბოლო ორ წელიწადში ორი დიდი ეკუმე-
ნური ფორუმის თვითმხილველი გავხდი. ამ ფორუმებზე დავინახე,
რომ ისინიც კი, ვინც ეკუმენური მოძრაობის მომხრეა და მის ფორუ-
მებში მონაწილეობს, თვით ისინიც კი არ არიან ბოლომდე ქმაყო-
ფილნი, იმათაც გარკვეული პრეტენზიები აქვთ. მაინც რაშია საქმე?

– ტერმინებმა „ეკუმენიზმი“ და „ეკუმენური მოძრაობა“ დაყარგეს
თავიანთი პირველადი მნიშვნელობა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ
გამოხატა ეკლესიათა სურვილები და დინამიური სკლა ერთიანობის
საპოვნელად. ამ ტერმინებში ახლა იგულისხმება მოვლენათა და პირო-
ვნებათა მიერ დაყანონებული ისეთი მდგომარეობა, რომელიც თვით მაშინ
გაწევრიანებულ ეკლესიებისაგანაც დაშორებულია. ვფიქრობთ, ეკ-
ლესიათა მსოფლიო საბჭოს დაარსებიდან 50 წლის შემდეგ, სერიოზული
და ძირული გარდაქმნები უნდა მოხდეს, ისე როგორც გამოიყენებულ
ტერმინებში, ასევე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საყანონმდებლო სა-
უძლებელებში. უმთავრესად და უწინარესად კი, უნდა შეიცვალოს აზრი
და შეხედულება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მისიის შესახებ და,
რაც მთავარია, თვით „ეკუმენური მოძრაობის“ შესახებ ისე, რომ
ეკლესიებმა იგრძნონ, თავიანთ საქმეს რომ ემსახურებიან და არა
სხვისას. „ეკუმენურმა მოძრაობაშ“ თავი უნდა დაანებოს სტატიურ ინს-

ტიტუტად არსებობას (institutionalization), უნდა გარდაიქმნას დინამიკურ ქმედებად და ეკლესიათა სურვილების გამოხატულებად, იმისათვის, რომ გაერთიანებისაც იარონ. განსხვავება მამათა ეპოქასა და თანამედროვე „ეკუმენურ მოძრაობას“ შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირების შემთხვევაში ეკლესიის გაერთიანებისათვის ბრძოლა სულინებიდან თანაარსებობით „დინამიკაში“ იმყოფებოდა და ამასთანავე ეკლესიის კანონიურ ინსტიტუტებსა და ჩარჩოებში მიმღინარეობდა. მეორე შემთხვევაში კი, დღევანდელ პირების, ეკლესიათა გამოხატული სურვილი დაკანონდა და განიდევნა მისი დინამიკურობა, იგი „მოძრაობიდან“ სტატუსურ ინსტიტუტად გარდაისახა.

წმინდა ბასილი დიდი არიანული ერესის მიერ შერყეული ეკლესიის მდგომარეობის შესახებ გულისტყივილით წერდა: „ემხობა რწმენის დოგმატები, შერყეულია ეკლესიის საფუძვლები, უფლის არმოშიმეთა ძალაუფლებისმოყვარეობა კი მფარველობას აღმატება. აქედან გამომდინარე, უპატივცემულობას საჩილაურად დაწინაურება მოჰყევება, ისე, რომ უძლიერესთა მაგინებელი ხალხის ზედამხედველზე უფრო დაფასებულია. ირყვა სასულიერო პირთა თავმდაბლობა, უფლის საწყესის მეცნიერებით მმწევებსავნი მიტოვებულნი არიან, ღარიბთა დანანიოგი ძალაუფლების მოყვარეულო საკუთარი სიამოვნებისათვის, საწუჯრებად და შესაწირავად უნდათ. მიღალება კანონთა სიწმინდე, დიდია ძალაუფლება ცოდვის ჩაძლენთა... ცბიერება უზომოა, ხალხი უნუგებო, ზემდგომნი მიუახლოებელნი“ (წერილები იტალიელებისა და გალების მიმართ).

მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ეს 1902 წლის საპატრიარქო-სინოდალური ცირკულარიდან და მომავალი სრულიად მართლმადიდებელთა მესამე შეხვედრის დადგენილებიდან ჩანს, მხიარებს იმ სულისკეთებას, რაც ბასილი დიდის წერილშია გადმოცემული. ჩვენ არ შევუდგებით დიდი მამის სულიერი დაღადისის დაწვრილებით განხილვას, მაგრამ აღვნიშანვთ, რომ მისი წუხილის საგანს წარმოადგენენ „რწმენის დოგმატები“ ანუ მართლმადიდებლობა სარწმუნოებისა, „ეკლესიის საფუძვლები“ ანუ ეკლესიოლოგია, „სასულიერო პირთა თავმდაბლობა“, „კანონთა სიწმინდის შებდაღლვა“ და ამასთანავე სხვადასხვა საბის სამწესო პრობლემები. ყველა ამ საკითხს თვალს ადევნებს მართლმადიდებელი ეკლესია და თანდათან იმედგაცრუებული რჩება იმ ცვლილებათა გამო, რაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ხდება, მისი დაარსების დღიდან მოყოლებული, და უფრო მეტად კი „ეკუმენური მოძრაობის ფარგლებში“.

— ახლა კი, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, ნება მოშეცით, ყველაზე მტკიცნეულ საკითხს შევეხო. „ეკუმენურ მოძრაობაში“ მონა-

წილეობით მართლმადიდებლებს გარკვეულ დათმობებზე წასკლაც ხომ არ უხდებათ? მართლმადიდებელ სამღვდელო, ან საერო ცირს აქვს უფლება, არამართლმადიდებლებთან ერთად იღოცონ?

— მართლმადიდებელი ეკლესიის ეკლესიოლოგიური სინდიქა, რომ იმაში მდგრმარეობს, რომ იგი არის „ერთი წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“, წარმოადგენს კრიტერიუმსა და საჩირს მისი „ეკუმენურ მოძრაობაში“ მონაწილეობისა. შეგვეძლო გვეთქა, რომ ამ ეკლესიოლოგიას მართლმადიდებელი ეკლესია წინააღმდეგობაში მოჰყავს საჭირო თავთან, რამეთუ „ეკუმენური მოძრაობის“ ფარგლებში უნდა სცნოს გარკვეული საეკლესიო სტრუქტურა თავისი კანონიფური ჩარჩოების მიღმაც.

„ეკუმენურ მოძრაობაში“ ყოფნით და მასში ენერგიული მონაწილეობის შედეგად მართლმადიდებელი ეკლესია, კანონიფური ხასიათის პრობლემებთან ერთად, მის კანონიფური ჩარჩოებს მიღმა არსებულ ქრისტიანებთან ურთიერთობის წარმართვის პრობლემის წინაშეც აღმოჩნდა. წმინდა კანონები სრულიად აშეარად კრძალავენ ლოცვას ერეტიკოსებთან. მოციქულთა 45-ე კანონი ადგენს: „თუ კაისკოროსი, მღვდელი ან დიაკონი მწვალებელთან ერთად იღოცებს, აერძალოს მღვდლობა. თუ ნებას მისცემს მათ (ერეტიკოსებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდელო წესი, ვითარცა მღვდლებმა, განიცემოს“ (ამასვე გვეცნება მესამე მსოფლიო კრების მე-2 და მე-4 კანონები. ლაოდიკიის კრების მე-6, მე-9, 32-ე, 33-ე და 37-ე კანონები. ტიმოთე ალექსანდრიილის მე-9 კანონი). ლაოდიკიის კრების (IV საუკ.) 34-ე კანონი განსაკუთრებული სიმკაცრით ადგენს: „არც ერთმა ქრისტიანმა არ უნდა მიატოვოს ქრისტეს მოწმე და არ უნდა წავიდეს ცრუ მოწმესთან, რომლებიც ან მწვალებლები იყვნენ, ან მწვალებელთა შერის იყვნენ, რადგან ერეტიკოსები უცნობნი არიან ღვთისთვის. ამიტომ მათთან მისული შეჩვენებული უნდა იყოს“.

წმინდა კანონებში არსებული ამ სულისკვეთებიდან გამომდინარე, მართლმადიდებელი ეკლესია ვალდებულია, განსახლვროს და დაადგინოს რაობა ერქესია და ის, თუ ვის განაკუთვნებს ერეტიკოსთა სამშენებლივ განსახლვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამაზე უნდა იყოს დამოუკიდებული სახე და ფორმა სხვა დანარჩენ ქრისტიანებთან წარმოებული დიალოგისა, მართლმადიდებელი ეკლესიოლოგიის ჩარჩოებისა, და, აკრეთვე, დადგენა თანა-ლოცვის საკითხისა მართლმადიდებელი ეკლესიის სახლვრებს გარეთ მყოფ ქრისტიანებთან. ცხადია, ერქესის რაობის დადგენა და განსახლვრა იმ ჩარჩოებისა, რომელშიც ის უნდა თავსდებოდეს, რთულია. წარმოდგენილ განსახლვრებებს, ხშირ შემთხვევაში, საფუძვლად სუბიექტური კრიტერიუმები უდევთ, რომელებიც პირადი

დარწმუნებულობისა და შენედულებებისაგან მომდინარეობენ, რაც უკინობია კანონებში გატარებული ხაზისა და სულისათვის, მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციებისა და ზნეობისათვის. ასე რომ, მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთაგან უმრავლესნი, სამღვდელო და სამოქალაქო პირნი, სრულიად უპასუხისმგებლოდ მიაწერენ ხოლმე ტერმინს „ერეტიკოსი“ მართლმადიდებელი ეკლესიის გარეთ მყოფ ქრისტიანებს.

ასეთი პრინციპის საწინააღმდეგოდ „ეკუმენური მოძრაობის“ ფარგლებში სრულიად ამოღებულია, ან იშვიათად იხმარება ტერმინი „ერესი“, ვინაიდან შეწყვიტა მოქმედება „მართლმადიდებლური რწმენის კრიტერიუმმა „ერესის“ განსაზღვრასთან მიმართებაში, ან კიდევ, განსხვავებული რწმენის გამოხატულება განიხილება, ვითარცა მისი ნებადართული და დამვებული მრავალსახეობა მისი. ეს, ალბათ, იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ ეკლესიათა შსოფლიო საბჭოს წევრი „ეკლესიები“ ნაჯლებად ამანვილებენ ყურადღებას ამაზე თავიანთი წესდების I პარაგრაფში, რაც ასე გამოიხატება: „ეკლესიათა შსოფლიო საბჭო ეკლესიათა სამმოა, რომელიც აღიარებს უფალსა ჩვენსა იქსო ქრისტეს, ვითარცა ღმერთსა და მაცხოვარს“.

აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობა ეკლესიაშ მაშინვე დაიწყო, როგორც კი გამოჩნდა პირველი ერესები, რომელიც მის მთლიანობას ემუქრებოდნენ. ბასილი დიდი თავის კანონიკურ წერილში იკონის ეპისკოპოსის ამფილოქესადმი შენიშნავს: „ძველებმა განაწესეს მიღება იმათი ნათლისღებისა, რომლებიც სარწმუნოებაში არ ცდებოდნენ. ამიტომ ზოგს – ერესი დაარქეს, ზოგს – განხეთქილება და ზოგს – კიდევ შესაკრებლობა (თვითნებური თავშეყრა). მწვალებელი, ერეტიკოსი დაერქვა სარწმუნოებისაგან მთლად ჩამოცილებულთ და გაუცხოებულთ. განხეთქილება კი არის ისეთი მიზნი, რომლის განკურნება შეიძლება. ესენი არიან საეკლესიო საკითხებზე დავის გამო ერთმანეთისაგან გათიშულები. კიდევშესაყრებლობა (თვითნებური თავშეყრა) არის, როცა დაუმორჩილებელ ეპისკოპოსს ან მღვდელს აყოლილი ერი კრებას იწვევს, როცა რაიმე ბრალისთვის დასჯილი განუდგება სამღვდელო დასს, თავს არ მოუხსრის კანონს, თავის თავს თვითონ ასამართლებს და ძალით მიიღუთვნებს პატივსა და მღვდლობას. ასევე, თუ გამოიყოფა ვინმე, დატოვებს კათოლიკე ეკლესიას და მოაწყობს თვითნებურ შეკრებას – ეს არის თვითნებური თავშეყრილობა, კიდევშესაყრებლობა. სქიმა არის ეკლესიაში მყოფთაგან განსხვავებული პნრის ქონება სინაწელის შესახებ. ხოლო ერესი, მაგალითად, მანიქერელთა, ვალენტინიანელთა,

მარკიონელთა და თვით პეპუშიანელთა ნიშნავს გაყოფას თვით ღვთის სარწმუნოების საკითხში“.

ბასილი დიდისათვის განსჯისას საფუძველი შემდეგში მდგრადარენა იმას: „შეწყნარება“ იმათი ნათლისლებისა, რომლებიც საკუშმუნეოების არა ცდებოდნენ“. ამრიგად, მართლმადიდებელ ეკლესიაში საკუნენების მანძილშე ჩამოყალიბდა ის გზაც, თუ როგორ უნდა დაუბრუნდნენ ეკლესიის წიაღს ეს სამი კატეკორია, ერეტიკოსა, სქიმბატია და კილეშავრებელთა (თვითნებურად თავშეყრილთა). ბასილი დიდის მიერ ერეტიკოს პეპუშიანელთა შესახებ მოყვანილი მაგალითი საყმარისასად გვიჩვენებს ზემოხსენებული სამი დიფერენციალის კრიტერიუმებს. პეპუშიანელები სულიწმიდას მონტანისა და პრისკილას სახელებთან ათანაბრებდნენ. ნათლავდნენ სახელითა მამისათა და ძისათა და მონტანისა და პრისკილასი. ეს ერესს წარმოადგენს და მათ მიერ შესრულებულ ნათლისცემას არარებულს ხდის, ამით ისინი სამების დოგმატს ბლალავენ. აქედან გამომდინარე ეს ერეტიკოსები მართლმადიდებელ ეკლესიაში დაბრუნებისას თავიდან ინათლებოდნენ ვითარცა მოუნათლავონ.

მეორე მსოფლიო კრების (381 წ.) მე-7 კანონი თუმცა იყენებს ტერმინს „ერეტიკოსი“ ყველა იმათ მიმართ, ვინც კი კანონიური ეკლესიის ჩარჩოებს მიღმა არსებობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ახდენს დიფერენციალის ეკლესიის წიაღში მათი დაბრუნების გზაში. ვინაიდან ეს კანონი მეტად მნიშვნელოვანია მართლმადიდებელი ეკლესიის პრისკიდის დასადგენად იმ ქრისტიანებთან მიმართებაში, ვინც დღეს მისი კანონიური სახლვრების მიღმა იმყოფებიან, მაგალითისათვის ამ კანონის ტექსტს მოვიყვან:

„მწვალებლებს, რომელთაც სურთ, გახდნენ მართლმადიდებელნი, ეკლესია შეწყნარებს სხვადასხვა წესთა: არიანელნი, მაკედონიანელნი, სავატიანელნი, ნავატიანელნი (წმინდანელი ანუ მარცხენი), მეთოთმეტიანელნი (ტეტრადიტები), აპოლინარელნი შეწყნარებიან წერილობითი მოწმობით, ლიცელონით (ქარტა სიმტკიცისა). ამ მოწმობაში ანუ ქარტაში ისინი შეაჩვენებენ თავის შეხედულებებს და ყოველგვარ მწვალებლობას. შემდეგ მათ სცხებენ მირონს შუბლზე, თვალებზე, ცხვირზე, პირსა და ჭურებზე და ეტყვიან: „საბეჭდავი ნიჭთა სულისა წმინდისათაც (მათ ეპლესია არ ნათლავს ხელახლა, რადგანაც ნათლისცემით ისინი არ განსხვავდებიან მართლმადიდებლებისაგან). რაც შეეხებათ სხვა მწვალებლებს, როგორიც არიან ევნომიანელნი, წყალში ერთხელ შთაფლვით ნათელდებულნი, მონტანელნი, ანუ ფრიგიელნი (ანუ პეპუშიანელნი), საბელიანელნი, რომელნიც ძე-მამობას ასწავლიან და სხვა ბევრ სისაძაგლეს სჩა-

დიან, და სხვა მწვალებლები, რომელთა უმრავლესობა გაღატებულთა სოფ-
ლიდან მოძინარეობს, თუ მოისურვებენ მართლმადიდებლობის აღზა-
რებას, ისინი მიიღებან როგორც წარმართნი (ე.ი. მათ ნათლავენ კიდეც,
და მირონსაც სცხებენ). პირველ დღეს ისინი ქრისტიანები ხდებიან;
ხოლო მეორე დღეს – კათაკმეველნი, მესამე დღეს დააფიცებენ საჭკერ
შებერვით პირსა და ყურებში და განსწავლიან მათ. მერე ისინი წიგნის
კითხვას უგდებენ ყურს ეკლესიაში მრავალი დღის განმავლობაში და მხო-
ლოდ შემდევ ხდება მათი ნათლისცემა“.

ამ კანონს სიტყვასიტყვით იმეორებს პენთეკტის კრების (V-VI კრე-
ბები) 95-ე კანონი. ბოლოს კი ამ კანონს იმ ერესთა სია ერთვის, რომელთა
მიმდევრებსაც ხელახალი ნათლისლება მოეთხოვებათ.

მეორე მსოფლიო კრების მე-6 კანონი კი ერეტიკოსთა ცნებას ასე
განსახილებულს: „მწვალებლებს ვუწოდებთ ძეველად ეკლესიიდან გაძვევ-
ბულ და შემდევ ჩენს მიერ შეჩვენებულ განკანონებულ კლერიკოსებს;
აგრეთვე, განხეთქილების მომწყობთ, ე.ი. მათ, ვინც გამოეყო თავის ეპის-
კოპოსს და ცალკე იწვევს კრებებს კანონიერი ეპისკოპოსების წინააღმდეგ“. ამ განსახილებულების ბასილი დიდის თანახმად, როგორც სქიმმატები, ასევე
კიდევესაყრებლობის (თვითნებური თავშეერა) შხარის დამჭერნი. ამასთა-
ნავე გათვალისწინებულია მათი უკან დაბრუნების სხვადასხვაგვარი გზა,
ან მარტივი ლიკელონის (ქარტა სიმტკიცისა) მეშვეობით, ან მირონ-
ცხებით და ან კიდევ ხელახალი მონათვლის მეშვეობით.

„კათოლიკე ეკლესიის“ გარეთ მყოფთა მიმართ დადგენილი კრი-
ტერიუმები ასეთია:

1) განსხვავება რწმენაში, რაც ერეტიკოსებს მართლმადიდებელი
რწმენისაგან გამოჰყოფს. ერესი, თავისი აბსოლუტური გაგებით, ეკლე-
სიის განსაღი სარწმუნოებისაგან გადახრის წარმოადგენს, ანუ რწმენისა
და სამების (მამის, ძის და სულიწმიდის) დღოგმატის შესახებ წმიდა წერი-
ლის მოძღვრებისა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებების
უგულებელყოფას.

2) მრწმების შინაარსი ნათლისლების შესახებ და ნათლობის სახე-
ობა. ამასთან დაკავშირებით ბასილი დიდი, მოუხმობს რა ეკლესიის მიერ
მანამდე აღიარებულ განსახილებას, იყონის ეპისკოპოს ამფილოქეს
ეუბნება: „ძველებმა განაწესეს შეწყნარება იმათი ნათლისლებისა, რომ-
ლებიც სარწმუნოებაში არ ცდებოდნენ“. ნათლისლებისას პირველი
კრიტერიუმი არის სამების მოქმედობა, ხოლო მეორე – ნათლისლების შეს-
რეცლების წესი, წყალში სამტკის და არა ერთგზის შთაფლვით. იმ შემთხ-
ვევაში, თუკი ეს ორი კრიტერიუმი დაცული იყო, კანონიერი ეკლესიის

წიაღმი დაბრუნებული მიიღებოდნენ ლიველონის (ქართა სიმტკიცისა) რწმუნებით, ან წმინდა მირონის ცხებით. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ეს ორი კრიტერიუმი არ იყო დაცული, მაშინ, ცხადიერ რომელისაგან, ატენ დაჭინა შეატეს ეკლესიაში დაბრუნებისა ხელახლა მონათვლაში მდგომარეობდა.

3) მესამე კრიტერიუმს ადგილობრივი ეპისკოპოსის მიერ ეკლესიის კანონიფური წესის დარღვევა წარმოადგენდა. კანონიფური წესის დარღვევას კიდევეს აკრებლობამდე (თვითნებური თავშეყრა) მივყავართ. მათ შესახებ კი ბასილი დიდი წერს: „თვითნებური თავშეყრის მომწყობთა ჯეროვანი სინაზულის, გმორისწორებისა და მობრუნების შემდეგ შეძლება მათი ძევე შეერთება ეკლესიასთან“. (ეპისტოლუ I, კანონთა შესახებ ამფილოქეს მიმართ).

4) ბასილი დიდი, როდესაც საკითხის საყოველთაო გამჭვლავებაზე საუბრობს, მხარს უჭერს წმინდა კანონებში დაცული სულისკვეთებით სა და მიმართულების „ზუსტად“ განხორციელებას. ამიტომაც ამბობს იყო ენკრატიტების შესახებ: „თუ ისინი დაიცავნ ჩვენს ნათლისძებას, ეს წუ დაგვამშვიდებს ჩვენ, რადგან ასე მოქცევა კი არ გვევალება ჩვენ, არამედ საჭიროა პატივი ცცეთ და გულმოლენედ მივყვეთ უცოომელ კანონებს და კრძალვით დავიცათ ...“ (ეპისტოლე ამფილოქეს მიმართ). ხოლო იმის გამო, რომ ენკრატიტების შემობრუნებისათვის ეკლესიას არ ჰქონდა დადგენილი წესი, სთავაზობს მათ ხელახლა ნათლისძებას. ამასთან დაკავშირებით კი აღნიშნავს: „თუ მამათა საერთო განჩინებას სურს თავის შეკავება და ამის სხვაგვარად განწესება, ისევ ჩვეულებას უნდა მივყვეთ და ჩვენი მამების დადგენილებანი აღიასრულოთ, რადგან როდესაც გვინდა ვინმე შევაჩეროთ ნათლისძებისაგან, ვერიდები, რომ ცხონებისაგან არ დავაპრეოლოთ ისინი ჩვენი მგაცრი განჩინებით“ (ეპისტოლე ამფილოქეს მიმართ).

აქედან გამომდინარე, ეკლესიას, თავისი მაცხოვნებელი საქმისა და სამწყსო დიაკონიიდან (სამსახურიდან) გამომდინარე, გააჩნია სამწყსო თავისუფლება (მოქნილობა) – ზოგჯერ მთელი სიზუსტით დაიცვას კანონი, ზოგჯერ კი მიმართოს იმ განგებულებას, რომელიც მას მამათა მიერ გადმოეცა (შეადარეთ, აგრეთვე, კანონები, რომელნიც ამის განხორციელების საშუალებას იძლევიან: პირველი მსოფლიო კრების მე-8 და მე-19 კანონები, მეორე მსოფლიო კრების მე-7, პენთეკტის 95-ე, მოციქულთა 46-ე, 47-ე, 68-ე კანონები, კართაგენის კრების 66-ე 67-ე, 68-ე, ბასილი დიდის I, მე-5, 47-ე კანონები).

— საკმაოდ ფართოდ წარმოგვიდვინეთ, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, თეოლოგიური და კანონიური ჩარჩოები, მაგრამ უფრო ნათლად ხომ არ შეგიძლიათ განვიმატოთ, მაინც რომელიც ს ქონა კრეტული ნაბიჯები, რომელიც საღლეისოდ არსებული ჭრობლების გადაჭრას დახმარებოდა?

— ცხადია, რომ ამ ე.წ. „ეკუმენური მოძრაობის“ საუკუნეში მართლმადიდებელმა ეკლესიამ განახორციელა კრიტერიუმი „განვებულებისა“, ანუ გაცთმოყვარეობისა და სიყვარულისა; სულიწმიდის მადლია და მოქმედებაზე მინდობილმა შეეცადა დაერეგულირებინა დოგმატური, ეკლესიოლოგიური, კანონიური და ლიტურგიული განსხვავებები მის ფარგლებს გარეთ მყოფ ქრისტიანებთან, ისე, როგორც ეს 1902 წლის საპატრიარქო ცირკულარში არის აღნიშნული. აქედან გამომდინარე, მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები „განვებულების“ საფუძველზე მონაწილეობენ საერთო ლოცვაში, იმ გადაწყვეტილებით, რომ დაიცავენ თავიანთ ძირეულ ეკლესიოლოგიურ პრინციპს ეკქარისტიულ ზიარებაში არმონაწილეობის შესახებ.

არსებული სირთულეების დასაძლევად და ამასთანავე იმის გამო, რომ სულ უფრო იშრდება აჩრი იმის შესახებ, რომ დაცული იქნას წმინდა კანონები აღნიშნულ საყითხთან დაკავშირებით, ჩემი აჩრით, საჭიროა, გადადგმულ იქნას კონკრეტული და მნიშვნელოვანი ნაბიჯები როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან, ასევე იმ „განსხვავებული ქრისტიანული ეკლესიების“ მხრიდანაც, რომელიც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წერები არიან.

1) მსოფლიო და ადგილობრივი კრებების წმინდა კანონები და ამასთან ერთად სახელგანთქმულ მამათა კანონებიც ძირითადად პირველი ათასწლეულის კიდევშესაკრებლობას (თვითნებური თავშეყრა), სქისმებსა და ერესებს ეხება. მართლმადიდებელი ეკლესია ვალდებულია, გამოიყვლიოს და დაადგინოს, რა თქმა უნდა, წმინდა კანონებში გატარებული ხაზისა და მათში არსებული სულის, და აკრეთვე, ტრადიციის თანახმად, თუ რომელს მიაკუთვნებს „თანამედროვე განსხვავებული დოგმატების მქონე ეკლესიებიდან“ ერესს, — რომელს სქისმას და რომელს კიდევშესაკრებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც ნებისმიერი მხრიდან „ეკუმენური მოძრაობა“ დახასიათებული იქნება როგორც „ერესი“, მაშინ ეს ფაქტი ორ მოვლენასთან გვაპირისპირებს: ან მთელი „ინსტიტუტი“, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიებსაც მოიცავს, ერესში ჩავარდნილა, ან კიდევ, მაშინ „ერეტიკოს ეკლესიათა“ მონაწილეობის გამო, ეს დახასიათება ყველას მიმართ კრცელდება.

2) მართლმადიდებელი ეკლესიის მტკიცე დგომა ძირულ ეკუშ-
სიოლოგიურ პრინციპებზე არ ნიშნავს მის გამოფიტვას და ან კიდევ მის
სევდას წარსულისადმი. მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნა, ჟულიანი ი-
ოლოგიური პრინციპები, კანონიფური და ლიტურგიული წაფუძველი,
წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ გარემოებას პირველი ათას-
წლეულის ერთანი და განუყოფელი ეკლესიისას. ამიტომაც მართლ-
მადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა „განსხვავებული დოგმატების
ეკლესიებთან“ „ეკუმენური მოძრაობის“ ჩარჩოებში არის აუცილებელი,
რათა დაცულ იქნას პრინციპი ორმხრივობისა. „განსხვავებული დოგმა-
ტების ეკლესიები“ მოითხოვენ მართლმადიდებელი ეკლესიისაგან
მათი „მართლმადიდებლობის“ აღიარებას. ამის მისაღწევად მართლ-
მადიდებელი ეკლესია ითხოვს რწმენის, ეკლესიოლოგიის, კანონიფური
და ლიტურგიული ტრადიციის ქრისტიანუმების განხორციელებას.

ცხადია, რომ საერთო ლოცვა ჟულიაშმოსს საერთო რწმენას, საერთო
ეკლესიოლოგიურ საფუძველს, საერთო ეკლესიურ ცხოვრებას, რომლის
მაგალითადაც დავასახელებ მარხვას. „ეკუმენური“ ლოცვა არ მოიცავს
ამ ელემენტებს, რადგანაც არსებოთ და ძირული განსხვავებანი ერთმა-
ნეთს აშორებენ თანამდლოცველთ. ერთი ასეთი მაგალითით გვინდა გავა-
ნათოთ ეს საყითხი: თეოლოგიური, კანონიფური და ეკლესიოლოგიური
განსხვავება ძლვდლობის საყითხთან მიმართებაში, უმთავრეს დამაბრუო-
ლებელ ფაქტორს წარმოადგენს საერთო ლოცვისათვის. ამდენად მხო-
ლოდ და მხოლოდ კაცომოყვარული განგებულებიდან გამომდინარე, ილუ-
ბენ ძონაწილეობას მართლმადიდებელი სამღვდელო და საერთო პირნი
„ეკუმენურ ლოცვაში“, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ეყრდნობიან თვით იქსო
ქრისტეს სიტყვებს: „აუალად ამინ გეტყვ თქუენ: უკეთე ორნი თქუენ-
განნი შეითქუენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათვისე საქმისა, რომელიცა
ითხოვონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათადნა. რამეთუ სადაც იყვნენ
ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვს, მუნ ვარ მე შორის
მათსა“ (მათე 18, 19-20). მართლმადიდებელი ეკლესია სულიშმიდის
ამ მადლის მატარებელია დღესაც, ისევე როგორც დიდთა მამათა და
შსოფლიო კრებათა ეპოქაში; აქედან გამომდინარე, გააჩნია ძალა და
უფლება გადაჭრას დოგმატური, ეკლესიოლოგიური, კანონიფური და
სამწყსო საკითხები.

— ნება მომეცით, კიდევ ერთი (და ეს იქნება საბოლოოც) შეკითხვა
მოგცეთ, რომელიც ისევ ჩვენი ეკლესიური ცხოვრების ერთ კონკრე-

ტულ მხარეს მოციავს და ამასთანავე ჩვენს ურთიერთობას სხვა ექვე-
სიებთან. შესაძლებელია დიალოგს ვაწარმოებდეთ იმათთან, ვინც
თავიანთ მისიონერულ მოღვაწეობას ჩვენს ეკლესიებშია მოწოდებული ॥
ბენ? როგორი სახის პასუხისმგებლობა აკისრია „ეკუმენურ მოძრა-
ობას“ პროსელიტიზმთან დაკავშირებით?

— ერთი მხრივ, ერთობლივი მისიონერული მოღვაწეობის საყითხი,
ხოლო მეორე მხრივ, პროსელიტიზმი, კარგა ხნის წინ იქცა როგორც
მართლმადიდებელი ეკლესიის, ასევე „ეკუმენური მოძრაობის“ შეჯელო-
ბის სახად. როგორც ცნობილია, 1996 წლს ჩატარდა I მსოფლიო სხდომა
მისიონერობისა და ევანგელიზაციის საყითხებზე. პირველი, ანუ მისიო-
ნერობის საყითხი ედინბურგის I სხდომაზე დაისხა 1910 წელს. ათი წლის
შემდეგ კი შედგა საყოველთა ქრისტიანული კონფერენციის მოსამზა-
დებელი სხდომა (1920 წლის 30 ივლისი – 8 აგვისტო), რომლის დროსაც
მართლმადიდებელთა დელეგაციამ პროფესორების ამილებს და აღევიზა-
ტოსის წარმომადგენლობით წამოაყენა ასეთი წინადაღება: „პროგრამა,
რომელსაც სხდომას მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა
სახელით ვთავაჩობთ, გულისხმობს სხვადასხვა ქრისტიანულ დაჯგუ-
ფებათა შორის ჭეშმარიტად მეგობრული ურთიერთგაების დაფუძნებას,
იმ უმაღლეს კანონზე დაყრდნობით, რომელიც მოგვცა უფალმა ჩვენმა,
ანუ სიყვარულის კანონზე. შემოთავაზებული პროგრამა თთვალისწინებს
ეკლესიათა სამხოგადოების დაარსებას, ეროვნებათა სამხოგადოების მსგავ-
სად, რომელიც მოამზადებს ნიადაგს მისი საბოლოო მიზნისათვის, რაც
რწმენასა და მმართველობით სტრუქტურაში გაერთიანებას ნიშნებს. ამ
მიზნის მისაღწევად საჭიროა, პირველური მოგვარულისა, განვთავისუფლდეთ უმეც-
რების, შეულისა და ეკონიშმისაგან. ამიტომაც ჩვენი პროგრამის პირველ
პენჯტად შევიტანეთ პროსელიტიზმის შეწყვეტა სხვადასხვა ქრისტია-
ნულ ეკლესიათა შორის და ორმხრივი გაგების დადგენა არაქრისტიანთა
შორის მისიონერული მოღვაწეობის განხორციელებასთან დაყავშირებით.
ცნობილია, რომ ბევრი ეკლესია გამსჭვალულია ეკონიმით – მიაჩნია,
რომ სხვა ეკლესიათა წევრები დასაღვპად არიან განწირულნი და ცდი-
ლობენ, რომ ისინი თავიანთ ეკლესიებში გადაიბირონ. არა მაქს სურვილი
უფრო ვრცლად ვილაპარაკო ამ საყითხის შესახებ. მაგრამ ის, რაც
მართლმადიდებელთა დელეგაციის სახელით მინდა განვაცხადო ყველა
ეკლესიის მისამართით, იმაში მდგომარეობს, რომ მართლმადიდებელი
ეკლესია, ასევე როგორც წარსულში იქცეოდა, ასევე გააგრძელებს მომა-
ვალშიც, არასოდეს არ დაუშევებს სხვა ქრისტიანთა პროსელიტიზმს. პირი-

ქით, იგი მზადაა დაეხმაროს სხვა ეკლესიებს არაქრისტიანთა მიმართ სახარების გავრცელებაში, იმ შემთხვევაში, თუკი ამ ეკლესიებს ამის სამუალება არა აქვთ. შეუძლიათ სხვა ეკლესიებს, თავიანთ აქ დამსწურებარმომადგენლების მეშვეობით, ასეთივე სახის დაპირება შოგვეცე? ხოლო თუკი ეს პუნქტი საყოველოთაოდ იქნება აღიარებული, არ ფიქრობთ, რომ ეს მსოფლიო მასტრაბის სხდომა ასეთი ქმედებით უზარმაშარ ნაბიჯს გადადგაშ ეკლესიათა შესაერთებლად?“

წინაპირობები Sine qua non ეკლესისათვის, ნებისმიერი დიალოგისათვის, არის შეწყვეტა პროსელიტისტური მოქმედებისა ეკლესიათა და დაჯგუფებათა მიერ არა მხოლოდ მართლმადიდებელი სამწყსოს, არა-მედ ნებისმიერ ქრისტიანთა მიმართ. მისიონერობისა და ვანგელიზაციის XI საერთაშორისო სხდომაშე გამოჩნდა, რომ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია უდგება ამ სყითხს საუთად; სხდომის დოკუმენტებში იმუშავათად იხმარება ტერმინი პროსელიტიზმი, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სმოლენსკის მიტროპოლიტმა კირილემ მძაფრად გაყრიცხვა ეს მოვლენა, ხოლო სხდომის მონაწილე სხვა მართლმადიდებელმა წარმომადგენლებმა კიდევ უფრო გაამწვავეს საყითხი და მისი ლიტვიდაცია მოითხოვეს. არ ვიცი, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრი ეკლესიები, ისინი, რომლებიც პროსელიტიზმს აწარმოებენ, თავიანთ წვლილს მხოლოდ ტერმინის არიდებაში ხედავენ, თუ ამ პრობლემის მოხსნასაც უხმარებიან. ეკლესიები ან ჯგუფები, რომელიც პროსელიტიზმს აწარმოებენ, წარმოაჩენენ მას ვითარუა საქმეს მისიონერულსა და ვანგელიზაციისა, ან ვითარუა ქმედებას სინდისის თავისუფლების ფარგლებში. ოღონდ ვერ ხედებიან, რომ განუწყვეტლივ და სულ უფრო მეტად გმოუვეთილი ანტა-გონისტური ჯგუფების შექმნით ხელს უშლიან გაერთიანების საყითხს და ძირს რომ უთხრიან, ამავე დროს, ადგილობრივი ეკლესიის სამწყსო და მისიონერულ მოღვაწეობასაც.

სამხრეთ აფრიკაში ვიზიტისას დაერწმუნდი, რომ ქრისტიანულმა ჯგუფმა დააფუძნა სხვა აღმსარებლობის ეკლესიებისაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი „ეკლესია“, რისი მიზეზიც გამოყვეთილი აღმსარებლობით ანტაგონიზმი და მისგან გამოიძინა პრობლემები იყო. ამის შეგვასი რამ სხვაგანაც შეიმჩნევა. ერთობლივი მისიონერული მოღვაწეობისა და თანამშრომლობის საყითხი საყმაოდ ბევრ პრობლემას ქმნის. ეს პრობლემები იხეთივე მნიშვნელოვანია, როგორც აღმსარებლობითი მისიონერული მოღვაწეობის საყითხები. ამ უკანასკნელის მეშვეობით გრძელდება ქრისტიანთა აღმსარებლობებად დაქუცმაცება. სახარება ქრისტესი, ადა-


მიანური სისუსტის გამო, სცენის მომტანი კი არა, ცოდვის, განხეთქილებისა და გათიშვის მიწები ხდება. ამ გზით აღთქმა სსნისა კარგავს თავის დამარწმუნებლობას. იმშე უკვე აღარაფერს ვამბობ, თუ როგორიც გაუმირი აქვს მისიონერობის საყითხს კოლონიზაციის ფენომენთან მართლმარტი დებელი ეკლესიის მიერ შეთავაზებულ იქნა თანამშრომლობა და „ორ-მხრივი ურთიერთგაების დაფუძნება არაქრისტიანული რელიგიის მიმდევართა შორის მისიონერული მოღვაწეობის სფეროში“. მაგრამ, ამ შემთხვევაში იბადება კითხვა: რა ახალ ქრისტიანულ აღმსარებლობას წარმოქმნის ამგვარი ერთობლივი მისიონერული მოღვაწეობა? უკვე ნახსენები „უკუმენური ეპიკომპონის“ მსგავსი რამ ხომ არ იქნება? თუ ასე უნდა მოხდეს, მაშინ უძველესი ეკლესიის ეკლესიოლოგიური საფუძვლიდან სხვა ახალი გადახრისაკენ და ეკლესიოლოგიური „ერესისაცნ“ მივდივარ.

თანამშრომლობა ეკლესიათა შორის სასურველია. მაგრამ ეს არ ნიშნავს საერთო მისიონერული პროგრამების განხორციელებას ძირითად წინაპირობათა აღსრულების გარეშე. „ორმხრივობის“ პრინციპი, როგორც ეს ზემოთაც ითქვა, აუცილებელ ფაქტორად ითვლება. ორმხრივობა, პირველ ყოვლისა, ეკლესიათა შორის პატივისცემით დამოკიდებულებას გულისხმობს და ამასთანავე ამ ეკლესიების მორწმუნეთა მიმართ პროსელიტიზმის შეწყვეტას. რეალური მისიონერული თანამშრომლობისათვის კი მოითხოვს ეკლესიების მიერ საერთო რწმენის აღიარებას, საერთო ეკლესიოლოგიური პრინციპებისა და საერთო კანონიერი საფუძვლისა. ამ წინაპირობათა მიღწევამდე, თანამშრომლობაში მყოფ ეკლესიებს საშუალება აქვთ გააძლიერონ მისიონერული მოღვაწეობა თავიანთ აღვილობრივ ეკლესიებში, იმ იმედით, რომ განხორციელდება სურვილი უფლისა „რადთა ყოველნი ერთ იყვნენ“.

აქედან გამომდინარე, „უკუმენური მოძრაობის“ პასუხისმგებლობა, და განსაკუთრებით კი ეკლესიათა შსოფლით საბჭოსი, იმაში მდგრმარეობს, რომ განავითაროს პატივისცემის ვრძნობა წევრ ეკლესიათა შორის, ხოლო პროსელიტიზმის მწარმოებელი ეკლესიები დაარწმუნოს იმაში, რომ შეწყვიტონ ეს ანტიქრისტიანული ტაქტიკა.

დიდ მადლობას მოგახსენებთ, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, რჩევებისათვის თანამედროვეობის ამ საჭიროობროტო საყითხებთან დაკავშირებით, თქვენი გულისხმიერებისა და გულწრფელობისათვის.

1998 წლის დეკემბერი



ეროვნული
მინისტრის

მინისტრის მინისტრის

ეგუმანურობა ძრისთიანული აკადემიური „სავსებას“ ციფრის

თეოლოგიისა და ფილოსოფიის
დოქტორის ნიჭის მაცუკას ღოვანეშვილი და
სიმბოლური ღვთისმეტყველებისა და
რელიგიის ფილოსოფიის კურსების მიკაჯა
თესალონიკის უნივერსიტეტში. გამოქ-
ვენებული აქვთ უამრავი წიგნი და სტა-
ტია თეოლოგიურ და ფილოსოფიურ
საკითხებშე, სახელმძღვანელოები სტუ-
დენტებისათვის. მისი ნაშრომები თარგმნი-
ლია სხვადასხვა ევროპულ ენბბზე. თა-
ვადაც ნაკოთხურ მთარგმნელობით მოლ-
კაწეობას ეწევა. ბერძნულ ენაშე თარგმნა
ბერძნულების, ევროպულოვანის, სტანდორაჟს,
პასკალის, კაფკას, ჰერხეს და სხვათა
ნაშრომები. ვფიქრობთ, ასეთი უართო
განათლების პიროვნების მოსაჩინებებს
ინტერესით გაეცნობა მყითხველი.



— ბატონო ნიჭი, მართლმადიდებელთა შორის გაცხოველებული
კამათია ამ ბოლო დროს ეკუმენიზმის, ანუ ეკუმენური მოძრაობის
შესახებ. ხომ არ შეგიძლიათ განგვიმარტოთ მოკლედ და, რაც
მთავარია, მარტივი სიტყვებით, რა არის ეკუმენიზმი. მართლა ერესია
ეკუმენური მოძრაობა? რამდენადაა იგი მისაღები ჩვენთვის, მართლ-
მადიდებელთათვის ჩვენი გვლესის მამათა მოძღვრებიდან გამო-
მდინარე?

— ვითარცა წევრნი ეკლესიისა, ერთიან სხეულს წარმოვადგენთ.
ჰემიარიტებას ღმერთის განცხადებისა, შესაქმესა და ისტორიაში ვიც-
ნობთ და მითი ვცხოვრობთ კიდევაც ეკლესის ცოცხალ ორგანიზმი,
თვით ქრისტეში. არ არსებობს არაეკლესი აბსტრაქტული მოძღვრება,

მაგრამ გაგვაჩნია საერთო რწმენა, საერთო იმედი, თავმდაბლობა და სიყვარული, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სხეულის მთლიანობა მრევლის ყოველ შეკრუბაზე. ამ მთლიანობის გარეშე არ მოშენდობს სხეული. ამრიგად, სიტყვა, საიდუმლოებანი, ღვთისმსახურება, სამწერლი უზრუნვა, სხეულის ამ ერთიანობისაგან სახრდოობს, რომელშიც სული-წმიდისეულად ჩანს სამპიროვანი ღმერთის ღიღება. ამიტომ მორწმუნენი, ვითარცა წევრია ამ სხეულისა, როცა თავიანთი ქმედებით ახდენენ სქიზმებს, ან მწვალებლურ ნაბიჯს დგამენ, განიცდიან სულიერ ტანკვას და გრძნობენ სირცხვილს, რადგანაც არსებობენ ტრავმები, რომლებსაც არაღვთისმიერი, დემონური ძალები იწვევენ, როგორც ამაში თავად ღვთის სიტყვა გვარწმუნებს. შემოქმედებაში არ არსებობს მოვლენები აბსოლუტურად იდეალური, ან აბსოლუტურად ამორალური. ეკლესიური სხეულის მთლიანობა და, აქედან გამომდინარე, ერთიანობა ყოველთა, არის ის, რაც განუწყვეტლივ ხორციელდება, ზრდის მას, აყვავებს მას გამუდმებით და ამიტომ მისი წევრები ვალდებული არიან ყოველი ღონე იქმარონ, რომ განცურნონ შემთხვევით მოყენეული ტრაგები.

მხოლოდ ამ ქნით შეუძლიათ მორწმუნეთ, შეიცნონ ჰქომარიტება, გაიაჩრონ ის, თუ რა არის ეკუმენიზმი და რა არის ერესი. დღეს, კიდევ უფრო მძაფრად, ვიდრე რომელიმე სხვა ეპოქში, ეკლესის წევრები, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც მძაფრად აღიქვამენ საეკლესიო სხეულის სახოგადოებრივ და სულიწმიდისეულ შინაარსს, სწერან არსებული სქიზმებისა და გათიშულობის გამო. ერთობის სულის ყოველი გამოვლინება, რასაც თან მრავალმხრივი პრაქტიკული ჩარევაც ახლავს, წარმოადგენს იმას, რასაც ეკუმენიზმის ან ეკუმენურ მოძრაობას ვეძახით. ეკუმენიზმი ნიშანვს გააჩრებას გათიშულობისას, და შეხვედრისაკენ ამოძრავებას, რაც უფლის ნებით შეიძლება ერთიან საზოგადოებად დასრულდეს. თავისთავად იყელისხმება, რომ ასეთი მოძრაობა, ყველა თავისი წერილ-მანით, საზოგადოებრივი სხეულიდან უნდა მომდინარეობდეს, თავმდაბლობისა და სიყვარულის განცდით, იგი ცხოვრება და გამოცდილებაა. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება იგი ერესი იყოს, რადგანაც ერესი არის მცდარი ცხოვრება, გათიშვა, ფალსიფიცირება. ეკუმენური მოძრაობის ინიციატივა და მიზანი კი ტრავმების განცურნვაა. ამას გარდა, ეკუმენურობა, ღმრთის განცხადების ქრისტიანული თვალსაზრისის მიხედვით, ნიშანავს საკედას ჰქომარიტებისა, სიკეთისა და წინსევლისა. ამ საცემისაკენ ისწრაფვის ეკუმენური მოძრაობა თავისი წარმატებებითა და წარმატებლობებით, რაც ეკუმენური სულიკევეთების მსახურება უნდა

გაითავისონ. ასეა თუ ისე, ენერგიული ექუმენური სულისკეთება, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს, რომ შეინარჩუნოს და გააძლიეროს ერთიანობის ნაყოფი და ამის შემდეგ კი განკურნოს გათიშულობის შეზღუდვა მენტილი ჭრილობები.

ჩენთვის ყველასათვის ცნობილია ეკლესიის მამათა ეკუმენური სულისკეთება. როდესაც ისინი მსვავრს დებდნ ერესსა და გათიშულობას, ხახვასმით მიგვითითებენ ტრავების განკურნების აუცილებლობაშე. გარდა ამისა, ხსნა თავისი ხასიათით თერაპიულია. ამიტომაც ასეთი სახის ეკუმენიზმი, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვიღლაპარაკეთ, მუდამ ეთანხმება მამათა მოძღვრებას. სხვა სიტყვებით რომ გითხრათ, ასეთი სახის ეკუმენიზმი ცოცხალი სხეულის თავდაცვითი სიფრიზლეა. მასში იგივე მოვლენები ხდება, რაც ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმი. ნებისმიერი ჭრილობა ადამიანის სხეულში ხომ მისი სულიერი ძალების ამოძრავებას იწვევს, რომელნიც მის განსაკურნებლად მოქმედებენ.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ეკლესიის ერთიანობა ისე, როგორც ამას მოითხოვს, ან წარმოაჩენს მოძრაობა „ეკუმენური“, სიამდიდეში გარკვეული „კომპრომისი“ ხომ არ არის? იმას ხომ არ ნიშავს, რომ ასეთი ერთიანობის სამსხვერპლოზე უნდა მივიტანოთ და შევწიროთ ისეთი ჭეშმარიტებანი, რომელნიც მართლმადიდებლობამ აბსოლუტური სიზუსტით დაიცვა? უფრო კარგად რომ გამიგოთ, ბატონო ნიკო, მე ამ შეკითხვით იმიტომ მოგმართავთ, რომ ძალიან ბევრ მორწმუნეს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეკუმენური დალოგები, იმ დაუინიების გამო, რომ იგი რელიგიათშორის დალოგებსაც მოიცავდეს, მიზნად ისახავს, შექმნას ერთი გარკვეული „მსოფლიო რელიგია“.

– ეკლესიათა გაერთიანება, რომელსაც ეკუმენური მოძრაობა მოითხოვს, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, გათიშვის მიერ მიყენებულ ტრავმათა განკურნება, არასოდეს შეიძლება იყოს კომპრომისი. კომპრომისის ნებისმიერი სახე სინამდევილეში გათიშვას უწყობს ხელს და, ბუნებრივია, არა მის განკურნებას. ეს ხდება იმიტომ, რომ სხეულის ერთიანობა რაღაც აბსტრაქტული ცნება კი არ არის, არამედ იგი კონკრეტული ცხოვრება და სიყვარულით გამსჭვალული ურთიერთობანია. ყოველი კომპრომისი უფრო დიდ წაგებას ნიშავს. ხე ნაყოფისაგან შეიცნობა. აქედან გამომდინარე, ეკუმენური დაახლოება, რომელსაც სხეულის განკურნება აქვს დასახული მიზნად, არასოდეს შეიძლება ჩაითვალოს ერესად და გამცემლობად.

მოუხედავად ამისა, ის, რაც უსათუოდ უნდა გაიცნობიეროს უგე-
ლა მართლმადიდებელმა, ეს არის აუცილებლობა გულწრფელობისა,
ღრმა და მუდამ საბრძოლველად მზადმყოფი რწმენისა, სწავლული ურთის-
ნობისაკენ და ამავე დროს უნდა იყვნენ გამსჭვალულნ უკოდურესითაც კუ-
მდაბლობითა და სიყვარულით. თუკი ეს თვისებები გვაყლია, მაშინ ვერ
ვიღლაპარაკებთ ნაყოფიერ დაბლოგზე, ხოლო ამგვარი მიდგომითა და
სიყვარულით არანამიზი საფრთხე არ გვემუქრება საიმისოდ, რომ ეკუ-
მენიშმი მსოფლიო და გამათანაბრებელ რელიგიად გადაიქცეს. ნებისმი-
ერი გათანაბრება გარკვეული ტოტალიტარიზმია. ქრისტიანული
ღმრთის განცხადება მედგრად უჭერს მხარს ქარიშმატულ მრავალ-
ფეროვნებას. ეს ქარიშმატული მრავალფეროვნება კი ქრისტეს სხეულ-
ში იყოფება. იგი პატივს სცემს ნებისმიერ რელიგიას და ნებისმიერ
დაფურუნციაცას შესაქმესა და ისტორიაში და მოუწოდებს, აკრეოვე,
ყველას და ყველაფერს, რომ შეერთდნენ ერთ სხეულში შემოქმედისა.
„მსოფლიო რელიგია“ ქრისტეს სხეულია მის მონათლულ წევრთა
კონკრეტულ და ქარიშმატულ შეკრებებში, ამდენად მხოლოდ
შეცდომით შეიძლებოდა ამ შემთხვევაში გვეხმარა ტერმინი რელიგია.

— ეკლესიის კანონები კატეგორიულად გვიყრძალავნ ერეტიკო-
სებთან თანა-ლოცვას. თუკი მონაწილეობას მივიღებთ ეკუმენურ დია-
ლოგებში, როგორდა გავუმქლავდეთ იმ პრობლემას, რასაც თანა-
ლოცვა ქვევა?

— 691 წლის პენტეკტის კრების (V-VI მსოფლიო კრებები) II
კანონიდან ნათლად ჩანს, რომ ეკლესიის კანონები სულის განკურნებასა
და დაავადებათა განკურნებას მოგვიწოდებენ. ამდენად, მართებული სა-
მშენო ზრუნვილან გამომდინარე, ეკლესიამ ყრძალა ერეტიკოსებთან თანა-
ლოცვა. მაგრამ ერესი ხომ მცდარი ცხოვრების ფორმაა, ჭეშმარიტების
გაფალება და ამასთანავე, პოლუმიტა ეკლესიის ერთიანი ორგანიზმის
წინააღმდეგ. სხვა სიტყვებით რომ გითხრათ, ერესი რაღაც ასტრაქტული
ცნება, ან უბრალოდ რაღაც გარცვეული მსრუბის ქონა კი არ არის, არამედ
— მტრობა, და ამიტომ, ეკლესიის წევრებს ეკრძალებათ თანა-ლოცვა
რწმენის მიმართ მტრულად განწყობილ ხალხთან, რომელნიც განუწყვეტ-
ლივ იმის ცდაში არიან, რომ გახლიჩონ მორწმუნეთა ერთიანი სხეული.
დღევანდელი განსხვავებული დოგმების ქრისტიანები, ან როგორც მათ
უწიდებენ სხვაგვარად, დასავლეთის ეკლესიის ქრისტიანები კრების მიერ
არ არიან ერეტიკოსებად შერაცხილნი. ისინი არც ებრძვიან მართლ-

მადიდებელ ეკლესიას (ამიტომაც ნებისმიერი პროსელიტისტური ქმრ-დება, თუ არ წივეტს, ყოველ შემთხვევაში, უკიდურესად აფერხებს ეკუმენურ დიალოგს). ისინი უბრალოდ ტრავმატულ მდგომარეობაში იმყოფები ბიან და უნდათ, რომ მკურნალობას დაუკერძებელთა და განსხვავებული დოგმატების ქრისტიანთა თანა-ლოცვა არ ეწინააღმდეგება კანონებს. ისინი ხომ არანაირ პოლემიდან არ აწარმოებენ მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.

— როგორ ჩამოაყალიბებდით მართლმადიდებელთა ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობის მიზანს? ღებულობს რაიმე არსებით სარგებელს მართლმადიდებელი ეკლესია ამ მოძრაობაში მონაწილეობით?

მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრება მთლიანობაში, — ხალხის თაყენებურა ეკარისტიისას (წირვა-ლოცვისას) და საიდუმლოებთა აღსრულებისას, თავად ეკუმენურობა, გამოვლენილი ქადაგებისა და ქმედების ცოცხალ სახეში, — ერთი მხრივ, ახორციელებს ორგანიზმის ერთიანობას, იმ განუწყვეტილი პოლემით, რაც დაპირისპირებულ ძალათა შორის ხდება, ხოლო მეორე მხრივ, თერაპიული ერთიანობისაკენ უხმობს ტრავმირებულ და დაცალკევებულ ეკლესიის წევრებს. ეს ერთგვარი მისიონერული მოღვაწეობაა. ვინაიდან თერაპიული ხასიათის მატარებელია გზა ხსნისა, და ამდენად, თერაპიული და, გარეუკეული აზრით, მისიონერულია ეკუმენური მოძრაობის ის მიზანი, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში ჰპოვებს გამოხატულებას. ამას გარდა, მსოფლიო საპატრიარქოს ინიციატივა, ისევე როგორც მე-XX საუკუნის დასაწყისში, ასევე მის შემდგომ ათწლეულებშიც და მოგვიანებითაც, ნათლად აჩვენებს, რომ მართლმადიდებლები სამყაროს სახსნელად სიყვარულისა და გულისტკივილის გამო დაიძრნენ და მათზე არანაირი გავლენა არ მოუხდენა პროტესტანტთა პარალელურ მისწრაფებებს.

მიუხედავად ამისა, დღევანდელ დღემდე მიღწეული შედეგები არც თუ მაინცადამაინც დამაკმაყოფილებელია მართლმადიდებელთა ჩანაფიქრთან მიმართებაში, განსაკუთრებით კი მართლმადიდებლური ლეთის-მეტყველების სულთან მიმართებაში, რასაც თავმდაბლობა და სიყვარული ჰქვია. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სკოლა ხაფანგებისა და ცდუნებათა თანხლებით ხორციელდება. ამიტომაც ვლებულობთ შედეგად წარმატებებთან ერთად წარუმატებლობებსაც. მაგრამ მიზანი

წმინდაა და ხელშეუხებელი: გაერთიანება თერაპიული სისინის მეშვეობით. მართლმადიდებლები ვალდებული არიან, ერთიანობა გამოიხატონ როგორც საკულტო შეკრებებში, ასევე ყოფაში: ხალხის უნდა ჩართოს სიყვარულის საქმეში, მისიონერობასა და ქადაგებაში.

— ბატონონ ნიკო, გთხოვთ გულწრფელად მიპასუხოთ, ეკუმენური მოძრაობა და ის ორგანიზაციები, რომელნიც მას გამოხატავენ (როგორიცაა მაგ. ექლესიათა მსოფლიო საბჭო) აკრიტიკებენ მართლმადიდებლობას? და ყველა ეს ორგანიზაცია გულისხმიერად ეკიდება თუ არა იმ შეკითხვებს, იმ მოთხოვნებს, იმ მღელვარებებს და შეშფოთებათ, რასაც მართლმადიდებელი ექლესიები განიცდიან?

— სინამდვილე ისაა, რომ მართლმადიდებელთა მონაწილეობას ეკუმენურ მოძრაობაში ახლავს წარმატებებიც და ამასთანავე ნაყლოვანებებიც, ან სულაც მცდარი ნაბიჯები ზოგიერთი ავტოგეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან. მართლმადიდებლობას აკრიტიკებენ მრავალი მხრიდან, ზოგჯერ მთლიანობაშიც კი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოშიც და ეკუმენური მოღვაწეობის სხვა ორგანიზაციებშიც. მართლმადიდებელთა ხმა არ არის საყმარისად დამაჯერებელი იმის გამო, რომ, სამწესაროდ, ერთიანობა არ არსებობს თვით მართლმადიდებელ ეკლესიათა შერის. ამის გარდა, კრიტიკა ვერ იქნება შედეგიანი, თუკი იგი ნაწილობრივ მაინც არაღვთისმეტყველურია. ხოლო ოცეული ვამბობ, არაღვთისმეტყველურიო, სულაც არ ვკულისხმობ მაღალი დონის, ზოგად ან სულასტრიტყურ ღვთისმეტყველებას. რადგან ვკერალშეღრმა ღვთისმეტყველება თავადც ცხოვრება და განცხადებით უბრალოების გამოხატულებაა. ყადემიური ღვთისმეტყველება უნდა განთავისუფლდეს სულასტრიტისაგან, მოეშვას ძირას, ანისისა და პიტნის შესწავლას, მან გულში უნდა ჩაიყრას მრევლის ცხოვრება, ხალხური შეკრებები, წარსელის დანატოვარი და აწყო, რომელიც ეკლესიური ცხოვრებიდან იღებს სათავეს. კრიტიკა სულიერი მონაწილეობისა და შემოქმედებითი ნაღვაწის მიხედვით ვითარდება. ასე თუ ისე, მართლმადიდებელთა მონაწილეობა ეკუმენურ მოძრაობაში, მისადმი კრიტიკული დამოუიდებულების მიუხედავად, ზოგჯერ დამაკმაყოფილებელ შედეგს და ზოგჯერ კი სამწესარო წარუმატებლობას იქნის.

რაც შექნება ეკუმენურ ორგანიზაციათა განწყობას მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეობის, ზოგ შემთხვევაში გამოვლენილი შეუვალობის თუ ნებისმიერი საკითხის მიმართ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს იმაჩეა დამოუიდებული, თუ რა პოზიცია აქვთ მართლმადიდებლებს სხენებულ ორგანიზაციათა მიმართ. სხვა სიტყვებით რომ გითხრათ, ურ-

თიერთობა ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. ყოველ შემთხვევაში, იშვიათი არ არის ისეთი შემთვევები, როცა განსხვავებული აღმარტინობის ქრისტიანები დიდი სიძირის გამოდიან მარტინიზმი¹²² და ბელთა წინააღმდეგ, ან კიდევ რომელიმე საკითხთან დაკავშირდებოდა¹²³ სრულიად გაუთვითცნობიერებული წარმოჩნდებიან. ზოგჯერ საკუთარი თავისთვის დამისვამს ასეთი კითხვა: გააჩნიათ პასუხისმგებლიბის გრძნობა ან იმათ და ან მართლმადიდებლებს ამ საქმის მიმართ?

— ეკუმენური მოძრაობის მონაწილეთა წრეებში ძალიან ხშირად ისმის განცხადებები „საერთო მოწმობის“ შესახებ. საერთო ქრისტიანული მოწმობის მიღწევა შესაძლებელია სადღეისოდ? შევვიძლია ვილაპარაკოთ დიალოგზე, სიყვარულსა და ჭეშმარიტებაზე იმათთან, ვინც ცდილობს, გადაიბიროს მართლმადიდებელი მოწმობუნენი?

— დაუბრულებელი საერთო მისიონერული მოღვაწეობა ეკლესიათა შორის, ჯანსაღი და ნაყოფიერი ეკუმენიზმის ნებისმიერი მსხვერპლის ფასად განვითარება აუცილებელია ღვთის მიერ კურთხული მომავლისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, გათიშველ და ანტაკონისტურად განწყობილ ეკლესიებს შორის არსებული გულისშემძვრელი პრობლემები გახდა მამოძრავებელი ძალა საიმისოდ, რომ ეკუმენური მოძრაობის მემკვებით მიღწეულიყო სასურველი ერთიანობა. ადვილი მისახვედრია, რომ საერთო ქრისტიანული მოწმობა არის დაუძლეველი წყურეილი ყველა მოწმენისათვის და ამასთანავე შეუძლია, წვლილი შეიტანოს იმაში, რომ ეს რეალობად იქცეს, თუკი სამღვდელოება და ხალხი ჯანსაღ ეკუმენურ ურთიერთობებს განვაკითარებთ თეორიასა და ქმედებაში. ამასთანავე, რაც უფრო მწვავდება მისიონერობის პრობლემები, ხოლო გათიშვისკენ მიმავალი სკანდალები ჟაღილურებობას აღწევს, მით უფრო მეტად გვჭირდება ეკუმენური მოძრაობა, რათა მოხსნას, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღნიშნული პრობლემები. ამგვარი ეკუმენური განწყობით ვალდებული კართ და შეგვიძლია კიდევაც პროტესტი განვაკადოთ ყოველგვარი პროსელიტიზმის წინააღმდეგ. ყოვლად გამორიცხულია ეკუმენური თანაარსებობა, როდესაც ქმედებაში პროსელიტიზმი ბატონობას. უმჯობესია, განერიდო ეკუმენურ მოძრაობას, კიდრე ასეთი სახის სკანდალური თვალობაქცობა გამოამეღავნო ადამიანთა წინაშე. ეკუმენური მოძრაობის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები თავმდაბლობა და სიყვარულია. ორივე ამ თვისებაში კა აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს თავდაწილებულია, ფარ-ხმალის ადვილად არ დაყრა, რათა გასწორდეს განსხვავება და ყოველგვარი ანტაკონიზმი.

— ნება მიბოძეთ, შევეხო ორმხრივი საღვთისმეტყველო დიალოგების სფეროს, რადგან ისინიც, გარკვეულწილად, ეკუმენური მოძრაობის ნაწილს წარმოადგენენ. რა შეგიძლიათ გვითხრათ მრთექადევთ? დონური ეკლესიების შესახებ? სულ რამდენიმე ხნის წინ „მონქობიზმურ“ ეკლესიებზე საუბრობდნენ ეკლესიის წიაღში, ახლა კი ძალიან ბევრი საეკლესიო მოღვაწე და ღვთისმეტყველი ამტკიცებს, რომ მათთან გაერთიანების ზღურბლზე ვიმყოფებით. კვლავ გარტვეულ კომპრომისთან ხომ არა გვაქვს საქმე, რომელსაც თავს გვახვევს „ეპუმენურ მოძრაობაში“ ჩვენი მონაწილეობა?

— ნაყოფიერი დიალოგი, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობს მართლმადიდებელ ეკლესიასა და აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის, რომელთაც წინათ ანტიქალყედონისტებს, ან მონოფიზიტებს ეძახდნენ, მეტად მნიშვნელოვან და სასიხარულო რეალობას წარმოადგენს. დიალოგისა და მართებული ისტორიულ-თეოლოგიური კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ გაუგებრობა ისტორიულმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა გამოიწვიეს. რაც შეეხება მართლმადიდებლობას ამ ეწ. ეკლესიებისა, თეოლოგიები და თვით ხალხი ორივე მხარისა შზად არიან დღეს აღიარონ, რომ ამ ეკლესიების ტრადიციები დამტკმაყოფილებელ დონქეზე უახლოვდება მართლმადიდებელ ეკლესიების ტრადიციებს. მიმაჩნია აგრეთვე, რომ ჩვენი ისტორიულსები, პოლიტიკოსები და ქულტურის მოღვაწენი დღესაც აპროლებენ მათ შეერთებას მართლმადიდებლებთან და ამას ყურადღების მიეკუთხა სჭირდება. ამ ურთიერთობათა გამოსწორება სრულიადაც არ ნიშნავს კომპრომისს, პირიქით, ეს ტრიუმფალური გამარჯვებაა სულისა, თავშდაბლობისა და სიყვარულისა. ორივე მხრიდან, ამ ხალხების ერთი დიდი ნაწილი, რომელიც არ არის დამძიმებული ფანატიკური აზრებით, დარწმუნებულია ამ წარმატებულ ურთიერთდაბლოგებაში საეკლესიო ღონისძიებათა და ტრადიციების სფეროში. თეოლოგებმა მათ წინ ნაყოფიერი ნიადაგი გადაუშალეს, რომელიც ვალდებულია არიან, რომ გამოიყენონ.

— მოლით, ჩვენი საუბარი დავასრულოთ იმით, რომ ერთი სხვა თეოლოგიურ დიალოგსაც შევეხოთ. მხედველობაში მაქვს დიალოგი კათოლიკეებთან. რა ხდება ჩვენსა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის? როგორ უნდა აღვიქვათ Balamand-ის შეთანხმება, რომელმაც ესოდენ ცხარე კამათი გამოიწვია მართლმადიდებელთა გარტვეულ ტრეებში?

— ეკუმენური მოძრაობისკენ შემობრუნება, რაც დიდის დაგვიანებით განახორციელა რომის კათოლიკურმა ეკლესიამ, — ვატიკანის II კრების დასრულებისთანავე მოხდა ეს, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ეყოფა მენური მოძრაობის ახეთი გაფართოება ამ მოძრაობას, ერთი მხრივ უფრო რო ავტორიტეტულს ხდიდა, ხოლო მეორე მხრივ, ეკლესიათა ყველა წევრს უფრო მეტ პასუხისმგებლობას აქისრებდა. ზოგმა იყი ღვთის განცალებულ მოწოდებად აღიქვა.

მიუხედავად ამისა ათასობით, პრობლემა წამოიჭრა და გრძელდება კიდევაც ახალ-ახალი პრობლემების წარმოქმნა მართლმადიდებელ ეკლესიას და კათოლიკურ ეკლესიას შორის არსებული დოგმატური განსხვავების, ან რომის კათოლიკური ეკლესიის სხვა ეკლესიებთან მიმართების გამო, რასაც თან ერთვის ისტორიულად გართულებული მდგომარეობიდან გამომდინარე პრობლემებიც. ორი ეკლესიის ურთიერთობაში, ჯერ კიდევ მე-16 საკუნის მიწურულს, პოლონეთში აღმოცენდა ყველაზე მტკიცნეული ეკალი, რასაც უნია ჰქვია. ამ ცოტა ხნის წინ 1989 წელს ე.წ. სოციალისტური ბანაკის რღვევამ უნიის პრობლემა უკიდურესად გაამდაფრა. ამრიგად, ურთიერთობა, ერთი მხრივ, რთულდება ორ მხარეს შორის, ხოლო მეორე მხრივ, მართლმადიდებლები მძაფრმა პრობლემამ მოიცა, არ დაყარგონ კათოლიკურ ეკლესიასთან ეკუმენური შეხეედრის შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, 1993 წლის ივნისის Balamand-ის გადაწყვეტილება, რომელიც კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა ერთობლივ-მა საბჭომ მიიღო, იყო ის საკუთხესო შედეგი, რისი მიღწევაც, არსებული რეალობიდან გამომდინარე, შეიძლებოდა, მიუხედავად შემდგომი არასასურველი მოვლენებისა. ზოგიერთმა ეკლესიამ, მაგალითისათვის საბერძნეთისა და სერბეთისამ, მხარი არ დაუჭირა ამ განცხადებას, ამასთანავე მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთ წრეებში გრძელდება მისი მკაცრი კრიტიკა. ჩემი პირადი აჩრი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთია, რომ საჭიროა უფრო მეტი მოთმინება და დალოდება. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, ორმა ძმურმა ეკლესიამ, როგორც ისინი უწოდებენ ერთმანეთს, აღიარა, რომ უნიის საყითხი ისევ იმ დონქეს დარჩება მანამ, სანამ მიღწეული არ იქნება სრული ურთიერთგავება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაგმობილ იქნა წარსულის მეოდები და გამოირიცხა ყოველგვარი ახალი პროსელიტიზმი, აქედან გამომდინარე კა უნიატთა ეკლესიების უკვე არსებულმა წევრებმა უნდა მიაღწიონ სრულ ერთიანობას და შეთანხმებას ისე, რომ აღარ გააგრძელონ ძველი

მეთოდების გამოყენება თავიანთ ცხოვრებაში. მართლმადიდუბლებისა და კათოლიკების ადგილობრივი წარმომადგენლები ვალდებული არიან ერთობლივად შეეწინაღმდევონ ყოველ პრობლემას ამ სიექაც ჟარ-თულებულ და პრობლემატურ ურთიერთობებში. მართლიანი, *Balamanid*-ის განცხადების ეკლესიოლოგიური და პრაქტიკული საფუძველი თეორიული თვალსაზრისით, დამაგმაყოფილებელია, მაგრამ რჩება ქმედება, რომელმაც უნდა გაამართლოს ის.

ამდენად, არავის შეუძლია დაამტკიცოს ისიც, რომ ნებისიერი თავ-შეკავება და მართლმადიდებელთა მიერ მოხმობილი მყაცრი არგვენტები გაუმართლებელია, მაგრამ უკიდურესად უარყოფითი ან გამომრიცხავი მიდგომა ამ საყითხის მიმართ უნდა ჩაითვალოს განვიადებულად და იქნებ ფანატიზმიდან გამომდინარედაც კი. არსებობს სერიოზული მაგალითები იმისა, რომ ამ განცხადებამ შეიძლება კეთილ შედეგებამდე, ჯანსაღ და ენერგიულ ეკუმენისმადე მიგვიყვანოს. თეოლოგები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვალდებული არიან თავი დაანებონ ამ პრობლემის თეორიულ სქოლასტიკურ, ან თუნდაც სამართლებრივ მხარეს, მხედველობაში მიიღონ და გაითვალისწინონ აუკილებლობა და ცხოვრება ორი ხალხისა არსებულ სირთულეებში, მათი სოციალური მდგრადირეობა და საყულტო ღონისძიებები.

გარდა ამისა, ამ შემთხვევაშიც ძალაში რჩება პრინციპები ჯანსაღი ეკუმენიზმისა და სწორი დიალოგისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვალდებული ვართ, თეორიასა და პრაქტიკაში გავიცნობიეროთ ორი მირითადი ჭეშმარიტება, რომელიც სწორ ეკუმენურ მოძრაობას ქება, ისეთს, უფლის სამღვდელოთავრო ღოცების თანაბმად რომ გვინდა აღსრულდეს:

1) ეკუმენურ დიალოგს არანაირი კავშირი არა აქვს დიპლომატიურ დიალოგთან, რომელსაც სახელმწიფოები აწარმოებენ პოლიტიკოსთა მეშვეობით. ეკლესიათა წარმომადგენლებს, ივივე ეკლესიური სინდისის, ურთიერთობათა და საყულტო ღონისძიებებისადმი სიყვარულის მქონე ხალხის წარმომადგენელიც უნდა ახლდეს თან. ეკუმენურ დიალოგში არავითარ შემთხვევაში არ მიიღება გადაწყვეტილება წარმომადგენლების მეშვეობით, ისე რომ მერე მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეკლესიის მეთაურებმა დააკანონონ. ასეთი ტაქტიკა დიპლომატიური დიალოგისთვისაა დამახასიათებელი. ეკუმენური დიალოგი ნიშნავს ურთიერთგაცნობას, ერთმანეთის ტრადიციების შესწავლას, ერთმანეთის საყულტო ცხოვრების მოსინჯვას, ორთავე მხარის მიერ შეცდომების აღიარებას

და ბოლოს საერთო ექუმენური ცხოვრების დაწყებას იმ ძირითადი მცნებების შეგნებით, რასაც პეტრი თავმდაბლობა და სიყვარული. ის, როცენ გადაწყდება, ცხოვრებაშიც უნდა იქნას გატარებული მართლმადლილებელი ეკლესიის სამწყსოს მიერ და არასოდეს სამწყსოსაგან გასაიღომლოებულად. იგივე შეიძლება მოხდეს სხვა ეკლესიებშიც. გარდა ამისა, ნებისმიერი დიალოგის დაწყება სრულიადაც არ ნიშნავს გამცემლობას არც ერთ შემთხვევაში.

2) ქრისტიანული გამოცხადების თანახმად, თეოლოგები და ეკლესიების საჭირომპყრობლები, რომელნიც მადლის მატარებელნი არიან, იმისათვის არ არიან დადგენილნი, რომ პანიკის მეშვეობით გამოასწორონ ქვეყანა, და არც საიმისოდ, რომ თვითუმაყოფილებით მოსილებმა მოუხმონ სხვებს მათთან დასაბრუნებლად. ის, რასაც ჩვენ უნდა გვიხსნას, თვითუმაყოფილების გრძნობა კა არ არის, არამედ მონანიებაა. მონანიებით იწყება ყოველგვარი ქადაგება. თუკი მონანიების საშუალებით დავინახავთ ჩვენს შეცდომებს, არა მხოლოდ დოგმატურს, არამედ პრაქტიკულსაც და უფრო მეტად კი წინასწარმეტყველური ხასიათისას (ეს ბოლო ორი უფრო მეტად ეხება მართლმადიდებელ ეკლესიას, მერე რა, თუ დოგმატურიდან თავისუფალია!), მაშინ დავადგებით გზას სწორი და ჯანსაღი ეკუმენური დიალოგისას. ამასთანავე ვალდებული ვართ, მუდამ გვახსოვდეს პავლე მოციქულის ცნობილი სიტყვები: „არა კელ-გუეწიუების ჭეშმარიტებისა ძვრის სიტყუად, არამედ ჭეშმარიტებისა კერძო“ (II ქორ. 13,8).

— ბატონო ნიკო, დიდ მადლობას მოგახსენებთ. თქვენი მოსამარებები ძალიან ძვირფასია ჩვენთვის, რაღაც ისინი ხანგრძლივი მეცნიერული შრომისა და გამოცდილების შედეგია. გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში სრულიად მართლმადიდებლობის და მთელი საქრისტიანოს საკუთილდღეოდ.

1997 წლის ივლისი

დიალოგი, ანუ „შეზმარიტების ერთად მიმართ“



1990 წლის 3-12 სექტემბერს თბილისში ჩატარდა ევროპის ეკლესიათა კონფერენციის საყონელტაციო კომიტეტის სხდომა.

ჩეენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ამ კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს, კრეტის მართლმადიდებელი სალეთისმეტყველო აკადემიის ღირექტორს, ბატონ ალექსანდროს პაპადერიოსს. მას შემდეგ 9 წელი გაუიდა. მაგრამ, როგორც ნახავთ, ამ სკონხებს აქტუალობა არ დაუკარგავთ. ამიტომ ეს ინტერვიუც ჩაერთეთ ჩეენს წიგნში.

— ბატონო ალექსანდრე, გვიამბეთ ზოგადად ევროპის ეკლესიათა კონფერენციისა და იმ მუშაობის შესახებ, რაც თქვენმა კონფერენციამ თბილისში ჩაატარა:

— დღესდღეობით ევროპის ეკლესიათა კონფერენციაში გაერთიანებულია დაახლოებით 120 ეკლესია, ანუ მთელი ევროპის ეკლესიები, გარდა რომის კათოლიკური ეკლესიისა. ეეპ-ის მონაწილეა, აგრეთვე ეპროპის ყველა მართლმადიდებელი ეკლესია და, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც.

ეეპ-ს აქვს სხვადასხვა სახის საბჭოები. ერთ-ერთი მათგანია მაგალითად, კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საბჭო, რომლის თავმჯდომარეც მე გახდავართ. ეს საბჭო სწავლობს სამეცნიერო-საღვთისმეტყველო პრობლემებს, რომელთა წინაშეც დგას დღეს ევროპის ეკლესიები. მე გახდავართ, აგრეთვე, ეეპ-ის საყონელტაციით საბჭოს წევრი. ამ საბჭოსა და მის პრეზიდიუმს ორჩევენ ეეპ-ის გენერალურ ასამბლეაზე და იგი პასუხს აგებს ეეპ-ის მუშაობაზე ორ გენერალურ ასამბლეას შორის

არსებული დროის მონაცემში. მე 1974 წლიდან ვარ ამ სამჭოს წევრი, ვითარცა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელი.

რაც შეეხება თბილისში ჩვენს მუშაობას, მინდა გითხვით რომ აუკინებილეთ შემდეგი საყითხები:

1. სრულიად ევროპის კონფერენციის მომზადება თემაზე: “ეკლესიის მისია რეფორმირებულ ევროპაში” (ამ საკითხს საბოლოოდ კრეტის აუდემიაში განვიხილავთ 1991 წლის ოქტომბერში).

2. ეეპ-ის X გენერალური ასამბლეის მოსამზადებელი საყითხები (უნდა ჩატარდეს 1992 წ. პრაღაში).

3. ეეპ-ისა და ევროპის კათოლიკური ეპისკოპალური საბჭოს შეხვედრა (უნდა შედეგს ესპანეთში). ამასთან ერთად გავეცანით იმ პრობლემებს, რაც საქართველოს ეკლესიის წინაშე დგას.

— თუ შეიძლება, გაგვაცანით თქვენი აზრი ეკუმენური მოძრაობის შესახებ.

— როგორც ცნობილია, მართლმადიდებლობა დასაწყისიდანვე მონაწილეობას იღებს ეკუმენურ მოძრაობაში. უფრო მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკუმენური მოძრაობა არის შედეგი, ანუ ნაყოფი იმ ინიციატივისა, რომელიც მსოფლიო საპატრიარქომ წამოიწყო ამ საუკუნის დასაწყისში. ეს იყო ოცნება თეოლოგიური და საეკლესიო ჰეგემონებისა, რომელთაც ეკლესიის განხეთქილებას შეხედეს, ვითარცა დიდ დანაკარგს და ლვითის ნების წინააღმდეგ მოქმედებას.

ვითარცა მართლმადიდებელნი, ეკუმენური მოძრაობიდან სრულიადაც არ ველოდებით იმას, რომ იგი შესძენს, შექმატებს რაიმეს ჩვენს რწმენას ან პირიქით, დააკლებს მას რაიმეს. მართლმადიდებლობის ღირსება არის მტკიცე დგომა ქრისტეს სახარებასთან, რამეთუ იგი არის რწმენა მოციქულთა, მამათა და ჩვენი ეკლესიის მოძღვართა. მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ, ვიყოთ მონაწილენი ეკუმენური მოძრაობისა. ვაჩვენოთ ცოცხალი და უბიწო მაგალითი ჩვენი რწმენისა. ბუნებრივია, ჩვენი ურთიერთობანი სხვა ტრადიციების მქონე ქრისტიანებთან, მათთან დიალოგი და მათი კრიტიკა, ხშირ შემთხვევაში შესაძლებლობას გვაძლევს, რომ უფრო მეტად ჩავუდრმავდეთ საყუთარ თავს და გადავამოწმოთ ყოველ ჯერზე ჩვენივე ცხოვრება, ჩვენი სიმტკიცე ჩვენივე ტრადიციების მიმართ. და, ამასთანავე, აშკარად დავინახოთ ის შეცდომები და ნაკლოვანებები, რაც ადამიანური არასრულყოფილების გამო გაგვაჩნია. ამის გარდა, მიმაჩნია, რომ ეკუმენური მოძრაობა ააღვილებს ურთიერთობებს მართლმადიდებელთა შორისაც. როგორც მოხდა თუნდაც ამ

კონკრეტულ შემთხვევაში. აი, თუნდაც მე პირველად მომეცა სამუალება და ბეჭინიერება, ახლოს გამეცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, გამეგო მისი სიხარული და სატეივარი. და ბოლოს, ეტუმენერი მოძრაობა ხელს უწყობს ქრისტეს ეკლესიებს იქადაგონ სახატებადან ეშვალ ხურონ თანამედროვე ადამიანს. ხელს უწყობს ხალხთა დაძმობილებასა და მშვიდობის განმტკიცებას. რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია სამართლიანობის, ადამიანის უფლებების განმტკიცებასა და თავისუფლების გარეშე, რაც ყოველ ხალხს უნდა გააჩნდეს უეჭველად, რათა თვითონვე შეძლოს განსაზღვროს თავისი ბედი. ბრძოლა ამ მიმართულებით გრძელდება და მით უფრო ძაცირი და რთული ხდება. ამიტომაც საჭიროა, ქრისტიანებმა, მიუხედავად ტრადიციებისა, შეაერთონ ძალები, რათა უფრო სარწმუნო გახდეს ერთგულება სახარებისა და უფრო ნაყოფიერი მათი საშახური ადამიანებისათვის.

— თქვენ ქრეტის მართლმადიდებელი საღვთისმეტყველო აკადემიის დირექტორი ბრძანდებით. გვიამბეთ რაიმე ამ აკადემიის შესახებ, მის სტრუქტურაზე, მისი მუშაობის ხასიათზე. რას წარმოადგენს თქვენი აკადემია?

— ნება მიბოძეთ, დასაწყისში გითხრათ ის, თუ რას არ წარმოადგენს ჩვენი აკადემია. იგი არ არის უნივერსიტეტი. იგი არ არის საღვთისმეტყველო ფაკულტეტი და არც სემინარია. იგი არ ამზადებს ღვთისმეტყველებს და არც სასულიერო პირებს. იგი ცდილობს იყოს ისეთი, როგორიც თავდაპირველად, სიურატესა და პლატონის დროს იყო აკადემია. ეს არის თავისებური გზა ჭეშმარიტების ძიებისა და პოვნისა და ეს გზა, როგორც ვიცით, არის დასალოგი, ანუ ჭეშმარიტების ერთად ძიება. როგორც ძველი ბერძნები ამბობდნენ: “სიმფილოსოფიი” - “თანაფილოსოფიისობა” (ე. ი. მარტონი კი არ უფილოსოფიისობთ, არამედ სხვასთან ერთად ვეძებთ ჭეშმარიტებას). ბერძნულ ენაში სხვა ამის მსგავსი სიტყვაც გაგვაჩნია. მაგ: “სიხიტისის” - საუბარი, კამათი, ბასი, განხილვა. ჩვენი ყოველდღიური საუბრები, ურთიერთობანი ოჯახში, ყავახანაში, ქუჩაში, სამსახურში, არის სხვებთან ერთად ძიება ჭეშმარიტებისა. ბუნებრივია, მართლმადიდებელი აკადემიისათვის პროტოტიპი ვერ იქნება სოციატეს და პლატონის აკადემია. უმთავრესი იქსო ქრისტეა, რომელიც, ვითარცა ხორცებს სხმული სიტყვა ღვთისა, არის საფუძველი ყოველი ჭეშმარიტი დიალოგისა. ამის გამო საუბრები ჩვენს აკადემიაში არ არის უბრალოდ დიალექტიფური (ურთიერთდაპირისპირება ლოგიური არგუმენტებისა),

არამედ დიალოგურია, ანუ უმთავრესი მიზანია ცხოვრებისეული პრობლემები განათლებს ღვთის სიტყვის ნათელით, რომელიც არ არის მხოლოდ ნათელი, არამედ არის “გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე” (იღატვე I, 1 ტე). ამ შევნებით ატარებს კადემია კონფერენციებს. ამ კონფერენციებს დროის კი ადამიანები ცხოვრობენ ერთად კადემიის შენობაში, იყოფენ ჰურს, წყალს, კრეტულ ღვინოს, რომელიც ისეთივე მშვენიერია, როგორც ქართული. და ბოლოს, ერთმანეთს გადასცემენ თავიანთ შემართებას, იმედებს, ლოცულობენ ერთად, ვისაც ამის სურვილი აქვს, და მადლობენ ღმერთს სიყვარულისა და წყალობისათვის.

1968 წლიდან, ე. ი. მას შეძლევ, რაც კადემია დაარსდა, დღემდე ჩატარებული გვაქვს 1200-ზე მეტი კონფერენცია. თითქმის ნახევარი ამათგან საერთაშორისო ხასიათის იყო. წელიწადში 270-300 სამუშაო, ანუ საკონფერენციო დღე გვაქვს. კონფერენცია შეიძლება გავრმელდეს 2-3 დღე, ან ყველაზე მეტი, სამი კვირა. არის შემთხვევები, როდესაც ორი სხვადასხვა თემატიკის კონფერენცია მიმდინარეობს ერთობლივად. კადემია მდებარეობს ლამაზ ადგილზე, კრეტის ჩრდილო დასავლეთ სანაპიროსთან. მის წინაშე გადაშლილია კრეტის ცისფერი ზღვა, ხოლო მის გარშემო მაღალი, თეთრი მთები სავსეა ათასობით ადამიანთა სისხლითა და ძვლებით, რომელიც შეწირნენ ქრისტიანულ რწმენასა და სამშობლოს. ფფიქრობთ, ასეთივე საქართველოს მთებიც. დროდადრო ვეუბნებით კონფერენციის მონაწილეებს, განსაკუთრებით კი უცხოელებს, რომ ზოგჯერ დიალოგზე მეტის მთებელია ის სიჩქმე, იქ რომ დასადგურებულა და ზარი ღვთისმშობლის სახელობის ძველი მონასტრისა, კადემიის გვერდით რომ დგას. და ეს იმიტომ, რომ თანამედროვე ადამიანი და, ვინ იცის, იქნებ უფრო მეტად თანამედროვე ბერძენი, რომელიც მართლმადიდებლობის საუკეთესო ბურჯია იქ, მაიც ვნებას განიცდის და განიცდის საშიშ სიყრეებს, რამეთუ მეტისმეტადაა დარწმუნებული თავის თავში და არ არის მიჩვეული სხვისოვის ყურის დაგდებას. აი, ამ აკადემიურობის განვითარება სურს კადემიას.

— რა თემას მიეძღვნა პირველი და რა თემას მიეძღვნა ბოლო კონფერენცია თქვენს კადემიაში?

— პირველი კონფერენცია 1968 წელს იქნა მოწვეული თემაზე: “ქრისტიანული მსახურება და თანამედროვე ადამიანი”. იგი კრეტის კადემიამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან ერთად ჩაატარა. ამ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ბევრმა ახალგაზრდა ღვთისმეტყველმა ევროპიდან, ამერიკიდან და აფრიკიდან.

სულ ბოლო კონფერენცია ამა წლის 4-7 აგვისტოს ჩივატარეთ მდე კონფერენციის თემა გახლდათ: „ნათელი წყარო სიცოცხლისა, ნათელი წყარო სიცოცხლისა“.

ერთობის

როგორც იცით, 1945 წლის 6 აგვისტოს ხიროსიმაშენამოგზებული იქნა ატომური ბომბი. 6 აგვისტოს მართლმადიდებელი ეკლესია ზემობს ფერიცვალების დღესასწაულს უფლისა, რომელიც არის ნათელი სამყაროსი და მომნიჭებელი ცხოვრებისა. ვიცით მამათა და მისტიკოსთა დღისძიებებაში და იყონოვრაფიაში, თუ როგორი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თაბორის ნათელს. იმავე დღეს, 45 წლის წინ კაცობრიობამ შეიცნო სხვა ნათელი, ნათელი ვითარცა წყარო სიცოცხლისა. დემოკრატემ, ატომური მეცნიერების მამამ, გაგვაფრთხილა: ნუ შეეცდებით იმოქმედოთ ბუნებაზე, რამეთუ იგი შეუს იძიებს. არ გავუგონეთ და ამიტომაც სიცოცხლი მივიღეთ შედეგად. კუტის კონფერენციაზე გამოსულმა მეცნიერებმა, პოლიტიკოსებმა, ფილოსოფოსებმა და მწერლებმა, საბერძნებლიდან და უცხოეთიდან მოწვეულმა დღისძიებებმა, მოიცონეს ხიროსიმა და ერთად დაფიქრდნენ სამყაროს მომავალზე. დელეგატები გვყავდა ხიროსიმადან და ამერიკიდანაც. ეს კონფერენცია, ისევე როგორც სხვა მისი მსგავსი კონფერენციები, გვიჩვენებს უწარმატარ შესაძლებლობებს და, ამასთანავე, იმ პასუხისმგებლობას, რაც ეკლესის აკისრია. ეკლესია ვალდებულია დიალოგი აწარმოოს ადამიანებთან, რომელიც წარმართავენ კაცობრიობის ბედს და აყალიბებენ მის მომავალს. მოაგონოს მათ და დაარწმუნოს ისინი იმაში, რომ ისინი უნდა იყვნენ თანამოღვაწენი ღმრთისა სამყაროს ფერიცვალების საიდუმლოში და არა თანამოღვაწენი სატანისა სამყაროს განადგურებაში.

— არსებობს თუ არა ამის მსგავსი მართლმადიდებელი აკადემია ქადევ?

— 1986 წელს ფინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაარსა მართლმადიდებელი აკადემია ნეო-ბალამონის მონასტერში. გვიხარია, რომ გვყავს ქმა ევროპის ჩრდილოეთით და უფრო ბედნიერები ვიქებით, თუკი სხვა მსგავსი მართლმადიდებელი აკადემიებიც დაარსდება. აი, თუნდაც საქართველოში. ამას იმიტომ ვამბობ, რომ 22 წლის გამოცდილების შედეგად, შეგვიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადოთ ეკლესის წინაშე, რომ ეს არის კიდევ ერთი გზა თანამედროვე ადამიანებთან შემოქმედებითი კონტაქტების დასამყარებლად.

— რას გვეტყვით თქვენი აკადემიის მმართველობით სტრუქტურაშე?

— ჩვენს აკადემიას მართავს საბჭო. საბჭოს თავმჯდომარე განცლავთ
მიტროპოლიტი კისამოსა და სელინისი ირინეოსი. საბჭოს სხდომა
ტარდება წელიწადში 2-3-ჯერ. აკადემიას ჰყავს რექტორი, რექტოლუტების ॥
დემისის წესლების მიხედვით, ყოველთვის საერთო პირი იქნება, შემდგენერაცია
სულ ექვსი თანამშრომელი ჰყავს და ისინი უქალავდებიან ამჟღალა საქმეს.

დიდად გვამხნევებს მიტროპოლიტი ირინეოსის მხარში დგომა. იგი
ცნობილია მთელს საბერძნეთში თავისი ღვაწლით მშვიდობის დაცვის
საქმეში. 15-16 სექტემბერს უნდა ჩატარდეს სხდომა სპარსეთის ფურისა
და შუა აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებით. ამ სხდომაში
მონაწილეობას მიიღებს საბერძნეთის მშვიდობის დაცვის მოძრაობის
ყველა წარმომადგენელი და მიტროპოლიტი ირინეოს მიენიჭება მშვი-
დობის დაცვის უმაღლესი ორდენი.

— რას გვეტყვით კრეტის მართლმადიდებელი აკადემიის დამკი-
დებულებაზე ახალგაზრდების მიმართ. ატარებთ თუ არა რაიმე განსა-
კუთრებულ ღონისძიებებს მათვის?

— კრეტის მართლმადიდებელი აკადემიის საბჭოს გადაწყვეტილე-
ბით, კრეტიზე ვაშენებთ ე. წ. ევრობელთაშუაზღვის ახალგაზრდულ
ცენტრს. ჩვენ შევისყიდეთ არაჩევულებრივად ლამბინი აღვილი კრეტიზე,
რომელსაც 200 მეტრიანი სანაპირო ზოლი აქვს ზღვის და უკკე ირი
წელია, შევუდექთ ამ ცენტრისათვის საჭირო სამუშაოებს. აქსტრიიდან
ჩამოვიყვანეთ არქიტექტორთა ჯგუფი, რომელთაც გააყეთეს შესანიშ-
ნავი პროექტი და პირველი სამუშაოებიც დავიწყეთ მთელი ევროპის,
ამერიკისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდების დახმარებით. 165 ახალ-
გაზრდა გვეხმარებოდა. ზოგი ერთი, ხოლო ზოგიც სამი კვირის განმავ-
ლობაში. გვერდა შეიდგათათიანი სამუშაო დღე. დიდის მონდომებით
იმუშავეს ბიჭებმა. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ვატარებდით მათვის ბერძ-
ნული ენის გაცვეთილებს, ვასწავლიდით ბერძნულ ცეკვებს, ვუკითხავ-
დით ლექციებს მათვის საინტერესო საკითხებზე, საბერძნეთის ისტო-
რიისა და კულტურის შესახებ. წირვა-ლოცვაზე და საღვთისმეტყველო
ხასიათის ლექციებზე აღარაფერს ვამზობ, რადგან ეს თავისთავად იგუ-
ლისხმება. თვითონაც გვიყითხავდნენ ლექციებს თავიანთი ქვეყნების შესა-
ხებ. გვაცნობდნენ თავიანთ კულტურას. ბოლოს კი მოვუწყვეთ შესა-
ნიშავი ერთყვირიანი მოგზაურობა საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქში,
მონასტერსა და მუზეუმში.

განსაზღვრულია, რომ ცენტრს პერიდეს ყველაფერი, რაც კი თანა-
მედროვე სოფელს სჭირდება, თვით კომპიუტერებიც კი. ამ ცენტრში

შესაძლებელი იქნება 300 ახალგაზრდის გამასპინძლება ერთდღოვანად. კუიკრობთ, ამ ცენტრის მშენებლობა 5 წელიწადს გასტანს.

მინდა გითხრათ, რომ ამ ჩვენს მიერ შერჩეულ ლამაზე მიღდა მოშენდება არის ერთი შევენიერი და მიშნიდველი ადგილი, რომელიც თამაშის გუშაგ ნება, მინდა თეატრი კიყო. ამიტომაც გადავწევიტეთ თეატრონისათვის ჩაგვეყარა საფუძველი. 800-1000 ადამიანს დაიტევს ეს თეატრონი. ამ თეატრონის დაარსების მისანი ის არის, რომ ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდეთ, შემოქმედებითად გამოიქვეან თავიანთი ნააჩრევი. ჩამოიყავონ მუსიკალური, ხალხური და თეატრალური კოლექტივები. წარმოადგინონ ძველი ანტიკური ტრაგედიები, ან თავიანთი ეროვნული პიესები. წარმოდგენებს დაეხსრებიან არა მხოლოდ იმ დროს იქ მყოფი ახალგაზრდები, არამედ ახლომახლო სოფლებისა და რაიონების მცხოვრებიც. ცენტრი ჩაეტილი კი არ იქნება, პირიქით, ღია იქნება ყველასათვის და მით უფრო, იქაურ ჭვილორთათვის. მინდა გითხრათ, რომ ხელოვნება და განსაკუთრებით თეატრალური ხელოვნება, დიდ ინტერესს იწვევს ჩვენში. მიგვაჩნია, რომ იგი ტრადიციულია ბერძნებისათვის და ვფიქრობთ, რომ იგი განუყოფელი ნაწილი იყო უკვე უძველესი ეპოქის ადამიანთათვის. იქნებ ვინმებ მითხრას, რომ დასხ, უძველესი ეპოქის, ქრისტიანობამდელი ეპოქის ტრადიცია და არა მის შემდგომი. იქნებ რომელიმე წმიდა მამის, თუნდაც იოანე ოქროპირის უარყოფითი სიტყვებიც კი შემახსენოს თეატრისა და ხელოვნების ზოგიერთი დარგის შესახებ. ამ შემთხვევაში მინდა გითხრათ, რომ მათ უნდა გაითვალისწინონ ის ეპოქა, როდესაც ამ წმიდა მამათ უხდებოდათ მოღვაწეობა. რას წარმოადგენდა თეატრი მამინ, ან რას ემსახურებოდა ხელოვნების ესა თუ ის დარგი იმ ეპოქაში.

როგორც უკვე ვითხარით, ცენტრის მშენებლობა 5 წელიწადს გასტანს. ამიტომაც მომავალი წლის ზაფხულში დიდი სიამოწებით ვიწვევთ თბილისის სახულიერო აკადემიის სტუდენტთა ჯგუფს. დაუწარელი, საქმის მცოდვე, ენერგიული ბიჭები გვინდა რომ ჩამოვიდნენ. მე მინდა იქ სპეციალური, საქართველოს კუთხე ავაშენოთ და მოვაწყოთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ღობებით, შენობებით, ორნამენტებით და ასე შემდეგ...

მიმაჩნია, რომ ახალგაზრდული ცენტრი ახალგაზრდებმა თავიანთი ხელით უნდა ააშენონ. თვითონვე უნდა დაადონ აგური აგურს და ასეთ შემთხვევაში, მათ განსაკუთრებული სიყვარული ექნებათ ამ ცენტრის მიმართაც და იმ საქმის მიმართაც, რის გაყეთებასაც მომავალში ითავებენ. მშენებლობის პროცესში და შემდგომაც, ახალგაზრდები ერთმა-

ნეთს გაიცნობენ, დაუახლოვდებიან და შემდეგ, როდესაც ისინი უკვე
გავლენიანი სასულიერო, ან საერო პირები იქნებიან, უფრო გაუგებენ
ერთმანეთს და უფრო გამონახავენ საერთო ენას სხვადასხვა პროტექტორების მების გადაჭრისას.

— ეს ჩევნი ბოლო შეკითხვაა. კიდევ რა შეგიძლიათ საინტერესო
გვამბოთ თქვენი აკადემიის ცხოვრებიდან?

— თქვენი და აკადემიის სტუდენტთა დაბმარებით მე გავეცანი რამ-
დენიმე ქართველი მხატვრის სახელოსნოს. მინდა გითხრათ, რომ ჩემზე
დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საპატრიარქის მხატვართა ნამუშევრებმა.
მაგრამ ეს ცალკე თემაა. საერთოდ, საპატრიარქოში ვხედავ, რომ დიდი
ყურადღება ეთმობა ფერწერას, ასლების გადაღებას, რესტავრაციას...
ერთი სიტყვით, ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა მიღის. მე ეს ძალიან
მახარებს. მიხარია, როგორც ქრისტიანს, მოძმე ეკლესიის სიკეთე, და,
კიდევ იმიტომაც, რომ ჩენმა აკადემიამ ამ რამდენიმე წლის წინათ
შესთავაზა საბერძნეთის, ხოლო შემდგომ მთელი მსოფლიოს მხატვრებს
თემა: “პირისპირ”, გვინდოდა შექმნილიყო საუკეთესო ფერწერული ტი-
ლო ამ თემაზე. ამიტომ ავიღეთ წმ. მაყარი მეგვიპტელის ცნობილი დია-
ლოგი წარმართის თავის ქალასთან. აი, ნიმუში:

ერთხელ აბა მაყარიმ უდაბნოში ხეგიალისას აღამიანის თავის
ქალა იძოვა. კვერთხი შეახო თუ არა, თავის ქალამ ხმა ამოიღო.

— ვინა ხარ შენ? — ჰყითხა წმინდაზება.

— წარმართთა ქურუმი ვიყავი. ახლა კი ჯოჯოხეთში ვიმყოფები.
— მიუგო თავის ქალამ.

— საშინელია, ალბათ, ჯოჯოხეთი.

— ნამდვილად საშინელია, მაგრამ ჯოჯოხეთზე უარესი ის არის,
რომ ბურგებით ერთმანეთზე ვართ მყვრელნი ისე, რომ არ ძალგვაძს
ერთმანეთის სახემი ცეკვა. როდესაც შენ ჯოჯოხეთში მყოფთათვეის
ლოცულობა, მოეშვება ხოლმე ცოგათი თოვები და შეგვიძლია
ერთმანეთის სახის დანახვა. ეს ჩვენთვის ყველაზე დიდი შეებაა.
რაღაც ერთმანეთს ვუცემთ, როგორც აღამიანი აღამიანს.

მოგვიანებით ხელოვნების ყველა დარგი: ქანდაკება, მუსიკა, ლი-
ტერატურა... ჩავრთეთ ამ საქმეში. დიდი გამოძახილი პერვა. ძალიან ბევრმა
მხატვარმა და ხელოვანმა გამოვეიზავნა თავისი ნამუშევარი. შესანიშნავი
გალერეა მოვაწყეთ. მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ კრეტის აკადემიას არ

აქვს სახსრები ამ ნამუშევართა შესასყიდად. ჩვენ ვღებულობთ საჩუქრად ამ ნამუშევრებს. კრეტის აკადემიის გასამრჯელონ ის არის, რომ წელიწადში ერთხელ იწვევს ყველა მონაწილეს და მასპინძლობს მათ. ასე მაგალითობად, გასულ წელს აღდგომა ერთად გაითვენს კრეტის აკადემიაში ჰმდანისმეტებს კა მონაწილეებმა. გაიცნეს ერთმანეთი, დაისვენეს კრეტაზე, შემდეგ დავათვალიერებინეთ საბერძნეთის ღიასშესანიშნაობანი. ასე იქნება მომავალშიც. ჩაფიქრებული გვაქვს გამოუცეთ აյ წარმოდგენილი ნამუშევრების ალბომი. ყოველ ქვეყანას, თუ სურვილი აქვს, ხუთი ნამუშევრის წარმოდგენა შეუძლია. ასე რომ, მოვუწოდებ ქართველ მხატვებს და შემოქმედთ, მონაწილეობა მიიღონ ამ ღონისძიებაში.

თბილისი, 1990 წლის სექტემბერი.

P. S. ეს ის ინტერვიუა, რომელიც გაჩერთმა „მადლმა“ არ დაბეჭდა იმის შიშით, რომ დისკუსიას გამოიწვევსო. ერთი წლის შემდეგ კი არას-წორი ინფორმაციის შედეგად, გაშემაგებულ სტუდენტთა რისწვა თავს დაატყვდა ჰატრიარქს:

ღია წერილი-შეკითხვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილა მეორეს

თქვენო უწმინდესობავ!

ამ გაფეხულს საქართველოს საპატრიარქოში საბერძნეთში, კერძოდ – კუნძულ კრეტაზე, წარეგბაენა თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტთა ჯგუფი ერთმორწმუნე ბერძნების დასახმარებლად, ვითომებდა, მართლმადიდებლური სასწავლო ცენტრის მშენებლობაში. აღმოჩნდა, რომ კრეტაზე, ფაქტიურად, წარმართული არეოპაგი შენდებოლა, ამ „მართლმადიდებლურ“ საქმეში თბილისის სასულიერო აკადემიის „მუშა-სტუდენტობამც“ თავისი „წელილი“ შეიგანა. უმორჩილესად გთხოვთ, ამ ფაქტით დაბრუოლებულ მრევლს ამბიონიდან, ან პრესის საშუალებით, განვგვიმარტოთ, თუ ზნეობრივად (რომ არაფერი ვთქვათ ამ საქმის რელიგიურ მხარეზე – სტუდენტობა ხომ თავისდაუწესებურად ჩათრეულ იქნა კერპითაღმშენებლობაში), რამდენადა გამართლებული საპატრიარქოს ამგვარი ნაბიჯი, როდესაც ნახევარი საქართველო მიწისძვრითაა დანგრეული?

გიორგი გაბაშვილი, გაბა ხომბერიძე
თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტები

* იხ. გმირთ „ახალგაზრდა იურიული“, 1991 წლის სექტემბერი.

მსგავსი დეზინფორმაციის შედეგია იმ „მამხილებელ“ წერილთა უმრავლესობა, რომელიც საპატრიარქოს მისამართით იქცევდება. სწორედ ამან გადამაწყვეტინა წინამდებარე წერილების შეკრება და ერთ წიგნად გამოქვეყნება. სტუდენტთა იმ ჯგუფს მეც ვახლობი კრეტიჩი ბიჭებმა მართლაც მიიღეს მონაწილეობა თეატრონის შექმნაზე.

მათთან ერთად იმ დროს იქ იმყოფებოდა ლენინგრადის საღვთისმეტყველო აკადემიის ათვაციანი ჯგუფი და გერმანელი სტუდენტები. ჩვენმა სტუდენტებმა თავი ისახელეს, ყველა გააოცა მათმა ამტანობამ იმ თავარა სიცხეში. ათი კაციდან მხოლოდ ერთი განვიდგა. მან დიდ ცოდვად ჩათვალა თეატრონის აშენება ქრისტიანულ ახალგაზრდულ ცენტრში. ალბათ, სწორედ მის მიერ იქნენ შეცდომაში შეყვანილი ზემოხსენებული წერილის ავტორები. სამწუხაროდ, ეს წერილიც უპასუხოდ დარჩა. ცხრა სტუდენტიდან, რომელიც არაჩვეულებრივად ქმაყოფილნი დაბრუნდნენ კრეტიდან, არც ერთმა არ გასცა პასუხი და არ გამარტა, თუ მართლაც რამი იყო საქმე. მე შევეცდები აღვიდვინო ცხრა წლის წინანდელი ზაფხული კრეტიზე.

ყოველი დილა წირვით იწყებოდა. როგორც ჩვენს ჯგუფს, ასევე ლენინგრადელ სტუდენტებს მოძღვარი ახლდათ. ეს აკადემიის მოთხოვნა იყო. ჩვენი თანმხლები, უფრო სწორად, ჯგუფის ხელმძღვანელი, მამა ლავრენტი და ლენინგრადელი მოძღვარი მამა ბენედიქტე სადაც დღეებში მორიგეობით ასრულებდნენ დილით წირვას, ხოლო საღამოს – ლოცვას. შაბათ-კვირას მახლობელი სოფლების ეკლესიებში დავყავდით ავტობუსთ. ამით სტუდენტებს საშუალება მიეცათ, უკეთ გასცნობდნენ იქაურ მართლმადიდებლურ ტრადიციებს და დაეთვალიერებინათ კიდევაც კრეტა. ჩვენ იქ აგვისტოს თვეში გახლდით, ამიტომ ორი დიდი დღე-სასწაულს – ფერისცვალებისა და ღმრთისმშობლის მიძინების საჩემო წირვა-ლოცვას უძველეს ტაძრებში დავესწარით. როტონდაში (VI საუკუნე) და X საუკუნის ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის გონიას მამათა მონასტერში.

წირვისა და საუკუნის შემდეგ, 9 საათიდან 2 საათამდე მუშაობდნენ სტუდენტები. ამის შემდეგ, ლოცვამდე თავისუფლები იყვნენ. ჩვენს წინ გადაშლილი იყო კრეტის ზღვა. მათ შეეძლოთ სანაპიროზე დაქვეწინათ. ლოცვისა და ვახშმის შემდეგ უტარებდნენ ლექციებსა და საუბრებს იქაური მღვდელები და თეოლოგები. იმართებოდა დისკუსიები. ძალიან ხშირად გვაყითხავდა მიტროპოლიტი ირინეოსი და აკადემიის დირექტორი. ყოველ ჯგუფს სპეციალური დღე დაეთმო თავისი ქვეყნის წარმოსახნად.

ამაში შედიოდა საინტერესო საუბარი, გალობა, სიმღერა... ყოველმა ჯერადაც გააცეთა სპეციალური სტენდი იუმორისტული შარქებითა და ნახატებით...

სტუდენტები მიპყავდათ და ასწრებდნენ აკადემიაში მიმდინარე ქონფერენციებს. იქ მათ გაიცნეს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მეცნიერები და სამოგადო მოღვაწეები, სასულიერო პირები. ბოლოს ექსკურსია მოუწყვეს კრეტის ქალაქებში, ირაკლიონსა და რეთიმნოში. დაათვალიერებინეს კნოსოსის სასახლე და კორტინა. დაასწრეს კრეტულ ქორწილს და ათენს გამოისტუმრეს. ათენში მათ ჰენდელის მონასტერში უმასპინძლა. სტუდენტებმა იცხოვრეს მონასტრის შესანიშნავ სასტუმროში სამი დღის განმავლობაში, დაათვალიერეს ათენიც და თბილის გამოემგზავრნენ.

არა ძვონია, ეს ინფორმაცია ქონოდათ ზემოთ ხსენებული წერილის აკტორებს და მაინც ისე მიემართათ პატრიარქისათვის. ეს არ მოხდებოდა, ვფიქრობ, არც მაშინ, თუკი ეს ინტერვიუ დაიბეჭდებოდა და დაახლოებით მაინც ექნებოდათ წარმოდგენა, თუ სად გაემგზავრნენ სტუდენტები.

რაც შეეხება თეატრონს, ტრადიციასთან ერთად, აქ, ელემენტარულად, საბერძნეთის კლიმატი უნდა მივიღოთ მხედველობაში. ზაფხულში ვერანაირ სხვა შენობაში ვერ ჩატარდება ღონისძიება. მე მქონდა ბედნიერება 1994 წელსაც ვწვევოდი კრეტის მართლმადიდებელ აკადემიას. ახალგაზრდული ცენტრიც მოვინახულე. თეატრონის შენებლობა უკვე დასრულებული იყო. აშენებული იყო ფერისცვალების სახელობის ტაძრიც და რამდენიმე კოტეჯი. როგორც აკადემიის დირექტორმა მითხრა, ამ ახალგაზრდულ სოფელში გათვალისწინებულია სხვადასხვა სამეცნიერო ლაბორატორიის შენებლობა, თვით ობსერვატორიისაც კი. ფადემიის სურვილია, ამ ლაბორატორიებში ახალგაზრდები დაწარმოენ მეცნიერების უახლეს მიღწევებს. საამისოდ ჩვენ ყველაზე ცნობილ მეცნიერებს ჩამოვიყვანთო მთელი მსოფლიოდან, შეკვექმნით მათ საკეთესო პირობებს დასასვენებლად, ხოლო ისინი თავის მხრივ, დასვენებასთან ერთად, ახალგაზრდებს თავიანთ მიღწევებს გააცნობენ. ეს ფაქტი კი ნიჭიერ ახალგაზრდებს სამომავლო ტას გაუკათავს. აქვე იქნებაო სახელოსნოები ტრადიციული ბერძნული ხელოვნების თაობიდან თაობაზე გადასაცემად. აქ ისწავლიან ადგილობრივი ახალგაზრდები ქსოვას, ქარგვას, ქერამიკის დამუშავებას და სხვა.

იმ დღეს თეატრონში ქრისტიანული საგალობლების საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა. ვუკურუბდი ამ ფესტივალს და მიხაროდა,



თეატრონი მშენებლობის პროცესში



თეატრონი ასაღვაზრდების სამსახურში


რომ ამ თეატრონის შშენებლობაში ქართველი სტუდენტების ოფელიც დაიღვარა. საგამოფენო დარბაზში კი, 1991 წლის ზაფხულში ქართველი სტუდენტების იქ ყოფნას, ჩვენს მიერ დატოვებული წმინდა ნინოს გვცარდ მოწოდება, რომელიც საგანგებოდ მოგვიქარგა ქალბატონშა ნინო კანდელაცია კრეტაშე გამგზავრების წინ.

ამის შემდეგ კრეტაშე აღარ კოფილვარ. უკვე ხუთი წელი გავიდა. ალბათ, კიდევ ბევრი რამ აშენდა ამ სოფელში. ღმერთმა ხელი მოუმართოთ! მე კი მას შემდეგ სულ იმაშე ვფიქრობ და დამეთანხმებით, ალბათ, ერთი ასეთი სოფელი საქართველოსაც არ აწყენდა.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ როდესაც საქართველოში ცხოვრება გაჭირდა და ჩვენმა თანამემამულებმა უცხოეთს მიაშურეს ლუკმაპურის საშოვნელად, ერთ-ერთი იმ სტუდენტთაგანი საბერძნეთს გაემტვავრა. ათენში რომ ვერ იშოვა სამუშაო და ხელმოცარელი დარჩა, კრეტაშე ჩავიდა. აკადემიამ შეიფარა იგი. სამუშაოც გამოუძებნა (მიუხედავად იმისა, რომ იქ სამუშაო სქესონურია და ზამთარში უჭირს აკადემიას ხალხის დასაქმება) და ბერძნული ენაც შეასწავლა. ახლა ის სტუდენტი ათენის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლობს. ხოლო სხვამ, იქ გაცნობილი გერმანელი მეცნიერის ხელშეწყობით გერმანიაში გაიყაფა გზა. სადოქტორო დისერტაციაშე მუშაობს.

კრეტის მართლმადიდებელ აკადემიაშე ძალიან ბევრის დაწერა შეიძლება, თავს აღარ შეგაწყენთ, მაგრამ უსამართლობა იქნება, ორიოდე სიტყვა მის სულისჩამდგელშე, მიტროპოლიტი ირინეოსშე არ გითხრათ.

მიტროპოლიტი ირინეოსი ამჟამად 90 წელშე მეტის იქნება. მიუხედავად ასკუისა, საოცრად ენერგიული, გონიერამანვილი და მკვირცხლია. კიბეებშე ასვლისას ორ-სამ საფეხურს ერთად არბის. მახსოვს, ერთხელ წიგნი ვთხოვე, იქვე მისი იპოდიაკონი იდგა. იმას კი არ დაავალა, უცებ მოწყდა ადგილს და სულმოუთქმელად აირჩინა კიბეები, წიგნი თვითონ ჩამომიტანა. არაჩვეულებრივად სასიამოვნო მოსაუბრება და მექანიზმებით მისი ქადაგებები ეკლესიაში გამოირჩევა უშუალობით და დიდი სიყვარულით. იგი ისე მიმართავს ამბიონიდან მრევლს, თითქოს კერძო საუბარს შეესწარიო. “რა ქნით, ქალები, - მიმართა ერთხელ ჩემს იქ ყოფნაში თავის მრევლს - გამოათავეთ სარეცხი საშუალებები? დარეცხეთ, დახეხეთ, დააპრიალეთ ყველაფერი? ყოჩაღ! მაგრამ სულშე თუ იფიქრეთ. განიშვინდეთ სული? აბა, გამოდით სათითაოდ და მიამეთ, რა კეთილი საქმე გაავეთეთ იმ კვირა დღიდან დღემდე. ვის შეუწყეთ ხელი, რითი ასიამოვნეთ ღმერთს და, რაც მოავარია, საყუთარ სულ...“



და ასე შემდეგ. დაამთავრა თუ არა /
ქადაგება, ჩამოჯდა ყკლების ჭრა /
მი ძღვარ მერჩხუ ჩა, სატიტაფუ /
გაესაუბრა იქ მყოფთ. იმას ზუ წარ-
მოიდგენთ, რომ ცოტა იყო ხალხი. /
მიტროპოლიტის კრეტაშე არავინ
არ ეძახის მეუფეს. მას ყველა
ერთიანად “ბაბუალ” მოიხმობს.

მიტროპოლიტი ირინეოსი
ახალგამზრდობაში სკოლის პედა-
გოგი ყოფილა. მერე გადაუწყვეტია
სასულიერო გზას გაძყოლოდა. ამ
გზით უფრო მეტად შემძლო
დავხმარებოდი ჩემს თანამემა-
მელეებს და ამიტომაც ავირჩიეო
ეს გზა, იმ დროს კრეტას მეტისმე-
ტად უჭირდა. კრეტა საკმაოდ

გვიან, 1915 წელს განთავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან. კუნძული
იყო უღარიშება, ხალხი დაშეული.

აყადემიის დირექტორი ალექსანდროს პაპალეროსი მისი მოწაფე ყო-
ფილა სკოლაში. ბატონმა ალექსანდროსმა ბევრი რამ მიამბო კრეტის
იმდროინდელი გაჭირების შესახებ და მიტროპოლიტ ირინეოსის ღვაწ-
ლზე კრეტის აყვავებისა და გაძლიერების საქმეში. პირველი ფეხსაცმე-
ლებიც ირინეოსმა მიყიდა, სკოლა რომ დავამთავრე და თესალონიკის უნი-
ვერსიტეტის საღმრთოსმეტყველო ფუნდულტეტზე წარმგნავნაო სწავლის
გასაგრძელებლად. მაშინ ვიკრძენა პირველად, თუ რას ნიშნავს ფეხსაც-
მელიო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიტროპოლიტმა ის გერმანი-
აში გააგხავნა. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ კრეტაშე ჩა-
მოიყვანა და აყადემიის იდეის ხორცმებსმა დაავალა. ნიჭიერ ახალგამზრ-
დას არაერთი წინადადება ჰქონდა, გერმანიაში დარჩენილიყო და იქ შე-
ექმნა თავისი სამეცნიერო კარიერა, მაგრამ ირინეოსი ამისი წინააღმდე-
გი აღმოჩნდა. განსწავლული კრეტელები მას კრეტისთვის უნდოდა. ამი-
ტომაც თითქმის ყველას, ვისაც დღეს კრეტაშე რაიმე თანამდებობა უკა-
ვია, ირინეოსის ხელშეწყობით აქვს განათლება მიღებული და შემდეგ ის
საქმე ჩაბარებული. ირინეოსის სახელთანაა დაყავშირებული ნებისმი-

რი ფერმის და ნებისმიერი საწარმოს დაარსება, სოფლის მუშაობის განვითარება. მან ზეთისხილის ნის სპეციალური ჯამში გამოაყვანინა და გაავრცელა ქრეტაზე – ისეთი ხე, რომელიც სწრაფად მიზრდება და იძლევა ნაყოფს. ააშენა ზეთის ქარხანა. ქრეტული ზეთი ერთ-ერთი საკუთრებული სოა მთელს საბერძნებიში.

ერთხელ თურმე ათენიდან ქრეტისკენ მიმავალი გემი ჩაიძირა. 400 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ კატასტროფამ. მთელი ქრეტა გლოვამ მოიცვა. ოჯახი არ დარჩა გაუუბედურებელი. ირინეოსმა მოიხმო თავისი ეპარქიის ხალხი. ქალებს მოუწოდა, რომ დაენებებინათ ტირილისათვის თავი. მოქსნათ თვით უკანასკნელი ოქროს ნივთი და მისთვის ჩაებარებინათ, რომ იმის საფასერად ქრეტელებს საკუთარი გემი ეყიდათ, იმ გემით დაყავშირებოდნენ დედაქალაქს და არ ყოფილიყვნენ დამყიდებული ვიღაც უპასუხისმგებლო ქერძო პირზე, რომელმაც თურმე გაუმართავი გემი გაუშვა ზღვაში. ხალხმა მხარი აუბა. იყიდეს საკუთარი გემი. ფიცი დადეს, რომ ქრეტელები სხვა გემით არ იმგზავრებოდნენ და ამ ფიცს დღესაც იცავენ. იმ ერთი გემით დღეს ქრეტელები უხარმახარი ფლოტის პატრონი გახდნენ. ANEK-ის (უსახელო სახელვაო კომპანია) კომპანია დღეს უძლიერესია საბერძნებიში. მისი თავმჯდომარე დღემდე ირინეოსა. მე მიმოგზაურია ANEK-ის გემებით. სხვა გემებისაგან განსხვავებით, მასზე პატარა ეკლესიაცაა. გემზე მღვდლებიც არიან მორიცე-ობით. მგზავრს შეუძლია დილა-სალამოს წირვა-ლოცვას დაესწროს შუაგელ ზღვაში. თუმცა ამ გემებს არც კაფე-რესტორნები და არც დისკო-თეკა აღლია. ყველანაირი მგზავრის სურვილია გათვალისწინებული. მიტროპოლიტს საკუთარი კაიუტა აქვს. იგი ხშირად არ მოგზაურობს. ამიტომაც ბევრ შემთხვევაში უთმობს მას სხვას, განსაკუთრებით ზაფხულობით, როდესაც ბილეთების შოვნა ჭირს. ANEK-ის გემები უკვე მხოლოდ ქრეტასა და ათენს შორის კი არ ნაოსნობენ, არამედ მთელს საბერძნებიში. მათი გემები ყველაზე გამართული და უსაფრთხოა. ამიტომაც ითხოვენ მათ სხვა კურძულთა მცხოვრებნიც.

ყველაფერი ეს უკვე ვიცოდი მიტროპოლიტის შესახებ და ამიტომ ჩემს სიხარულს სახლვარი არ ჰქონდა, როდესაც მან თავის საეპარქიო სახლში მიმიწვია.

გააღო ალაყაფის კარი თუ არა, ქნოში შუახნის ქალი გამოეგება. „რატომ არ ხმაურობენ ბავშვები? რატომ არ ისმის მათი ხმა? – ცითხა მიტროპოლიტმა. „მას შემდეგ, რაც კომპიუტერები ვუყიდეთ, ქნოში აღარ გამოდიან,“ – უპასუხა ქალმა. „ეს როგორ შეიძლება, ახლავე ქნო

ში მოუკარე ყველას თავი“ – უთხრა მიტროპოლიტმა და თავისი რომანისაკენ გამიძღვა.

უწარმაჩარი სასახლიდან მიტროპოლიტს თავისთვის ფრთხი პიტარა როთახი დაუტოვებდა. იქ მისი საწერი მავიდა, წიგნებით საუსუტევლის ველი თარო და რეინის საწოლი იდგა. მრგვალ საყიდზე ანაფორა ეკიდა. როთახის კუთხეში კუერთხი იყო მიყუდებული. გავოცდი, საბერძნეთში არსად ამის მსგავსი არაფერი მინახავს. მიტროპოლიტებს საეპარქიო სახლს გარდა საყუთარი ვიღები აქვთ. შემაწუხებელ სიმღიდრუში არიან ჩაფლული. აქ კი სრულად საწინააღმდევო რამ ვნახე. გარდა იმისა, რაც მე უკვე აღვიწერეთ, ირინეოსს ორმოციან წლებში გამოშვებული მანქანა აქვს. ისეთი მანქანა მხოლოდ ომზე გადაღებულ ფილმებში შეგიძლიათ ნახოთ. მთელი ის შენობა მიტროპოლიტს ბავშვებისათვის დაუთმია. კრეტა მაღალმთანია, ზოგიერთ სოფელში, მოსახლეობის სიმცირის გამო, დღემდე მხოლოდ დაწყებითი სკოლა არსებობს. ამიტომაც ირინეოსმა საეპარქიო სახლი ბავშვების სახლად აქცია. მაშინ სხვა საშუალება არ იყო. ახლა კი ისე შეეჩინა, რომ სხვაგვარად ვერც კი წარმოუდგენია. დაამთავრებენ თუ არა ბავშვები ოთხწლედს თავიანთ სოფლებში, შობლებს ისინი ირინეოსთან ჩამოჰყავთ და მას აბარებენ. ეს უწარმაჩარი შენობა გაყოფილია ორ ნაწილად: გოგონებისათვის და ვაჟებისათვის. ისინი ქ. კასტელის გიმნაზიაში და ლიცეუმში აგრძელებენ სწავლას. მიტროპოლიტი უზრუნველყოფს მათ კვებით. პყავთ ზედამხედველი ქალები. ბავშვები თავიანთ თავს თვითონ უვლიან, უფროსები უმცროსებზე ზრუნავენ. მიტროპოლიტი ირინეოსი ესწრება მშობელთა კრებებს. იცის ყოველი ბავშვის შესაძლებლობები. ამიტომაც მასწავლებლებთან შეთანხმებით, ზოგიერთს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ხელობას ასწავლის, უფრო ნიჭიერებსა და ბეჯითებს ლიცეუმსაც ამთავრებინებს, მერე უნივერსიტეტს. ბავშვები მის წირვა-ლოცვას ესწრებიან შეაბათ-კვირას. მას ეუბნებიან აღსარებას. ამიტომაც ის ყოველ მათგანს შესანიშნავად იცნობს. საღამობით თავს მოუყრის ხელმე მათ ქწოში, ზამთარში – ღუმელთან, და უყენება მათ ათასნაირ ამბებს. მოწამეებზე, წმინდანებზე, კრეტის და სამოგადოდ, საბერძნეთის ისტორიაზე. წინარე თაობათა თავ-გადასავლებზე. მათ ბეჭა და ცხოვრებაზე.

გაიგეს თუ არა ბავშვებმა მიტროპოლიტის დაბრუნება, ფივილ-ხივილით გამოეფინებ ქწოში. მიტროპოლიტმა ბავშვებს ჩემი თავი წარუდგინა. კოლხეთი და არგონავტების მოგზაურობა შეასსენა. მერე კი მე მოხოვა ქრისტიანული საქართველოს, წმინდა ნინოს შესახებ მეამბა მათთვის.

საუბარი რომ დავამთავრეთ, ბავშვებთან ერთად ვიგანშემცი. ასაკით უფრო პატარები ყელშე ეხვევიან, ჰეოცნიან, გულში ეკვრიან მოხუც. ჭამასაც კი არ აცლიან. სკოლის ამბებს უყვებიან. ვინც კარგი ჩიშანი დაიმსახურა, სიხარულს უზიარებს. ცუდი შეფასების მიმღები, დარცხუნ კენილინი იდგნენ შორია-ახლო. მიტროპოლიტმა გაამსნევა ისინი, არ დატუქსა. მიხედი გამოკითხა. შეპპირდა, მასწავლებელს ვნახავო... იმ დღეს მიეცვდი, რატომ ეძახის მას მთელი კრეტა „ბაბუ“ და არა – მეუფეს.

1969 წელს ცნობილი ბერძენი მწერალი იღიას ვენეზისი ეწვია კრუტიშე მდებარე კისამოსა და სელინის ამ პატარა ეპარქიას. ბავშვებისა და მიტროპოლიტის ურთიეროობით აღფრთოვანებულმა მწერალმა სპეციალური წერილი დაწერა ასეთი სათაურით: „ღმერთი კასტელიში ვიხილე“. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ წერილიდან:

„პირველივე გრძნობა, რომელიც კასტელის მიახლოებისას დაგვეუფლა, ჩვენი ბავშვობის ნახევრად წამლილი მოგონებების გაღვიძება იყო, თურქების მიერ დაპყრობილი ჩვენი სამშობლო, მცირე აბია გაგვახსენდა. ეკლესია იქ, ჭეშმარიგად თავს წარმოადგენდა, პატიც-ცემელს დევნილი ქრისტიანების მიერ. იგი მხოლოდ სელის ხსნაზე კი არა, სხეულზე, პურზე, ავადმყოფობაზე, მორწმუნის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. კასტელის საეპარქიო სახლი ერთი ღარიბელი შენობაა, ძველი, არაფრით გამორჩეული, არაფრით გამომწვევი. ცოგა ავეჯი, რამდენიმე სკამი, დიდი სასაღილო მაგიდა, ქალალდებით დაგვირთული საწერი მაგიდა. ლევაგელმა⁷ კი, ადამიანმა უბრალომ, ბრძენმა, თავმდაბალმა, ყველასაგან საუკარელმა, იყის სიყვარული და სხვების ბრუნვა. კედლებს ამშვენებენ პირგრეგები მისი წინაპრებისა. ასკეტური, მშრალი სახეებით, თვალებში ცეკვლი რომ უკიბგიბებით, თურქთა ბაგრონობის წლების კრებელი მღვდელმთავრები და იღუმენებია, რომელნიც უცემერენ მას, ძალას ჭმაგებენ და თვალუერს ადგენებენ.

მაგრამ თუ ასკეტი-მუსუს სახლი ასეთია, – ძველი და მოუხედავი, – სამაგიეროდ, ყველაფური ის, რაც მის ირგვლივ იმყოფება, ახალია და ქათქათებს, მისი ნაღვაზია, სეულ რამდენიმე წლის ნაამაგარია. ყოველი ბავშვი კი – კრეგის სოფლების საბრალო ბავშვები, რომელიც უკაცრიელი მთებიდან კასტელში უნდა ჩამოვიდნენ წერა-კითხვის შესასწავლად, ხელობის შესასწავლად – მისი შეიღუბია. ამიტომაც დააარსა მუკუმ ტექნიკური სასწავლებელი, ქალთა პასთონაგი, საოჯახო სასწავლებელი, მუსიკალური და ბეჭდვითი სიცემის სასწავლებლები...

„ამ სასწავლებლებსა და პანსიონაგებში მეტწილად უდედოსამო და ღარიბი ბავშვებს ვითარებთ. ხელს ვუწყობთ სწავლაში და ხელობის დაუფლებაში. მათ ჩვენი ეპარქიის მცირე შემოსავალსა და მატერიალური წირულობათა მეშვეობით ვინახავთ“.

ბოწყინავს შენობები, თვალები უბრწყინავთ ბავშვებს. არანაირი ნიშანი თვალითმაქცობისა, არანაირი მცდელობა იმისა, რომ ლეთის მოშიშად, ან არაამქვეყნიურად მოგაჩერებონ თავი. მათ თვალებში და გამოხედვაში კველაფრი მარტივი და ბუნებრივია.

„როგორ ართმევთ თავს თხხასამდე ბავშვის შენახვას?“

„ლეთის წყალობით“, – ამბობს მეუფე ირინეოსი.

მაყრამ ჩვენ სხვებთან საუბარში გავიგეთ, თუ რამდენ უძილობას, რამდენ სირბილს, რამხელა ყოველდღიურ შფოთვას მოიცავს მისი ნათქვაში „ლეთის წყალობით“, და ამას გარდა, რამოდენა უანგარობას.

ლევითელის ფულისადმი საარაფო გულერილობაზე ლაპარაკობს კველა ერთიანად. თავისი ეპარქიის სოფლებში გასამგბავრებლად მას მანქანაც კი არ გააჩნდა, მღვდელმთავარი გრასაბე გამოიღია და გამელელ საგვიროთ მანქანას ელოდებოდა, მერე მძღოლს სიხოვადა, რომ თან გაეყოლებინა...

მეუფე ქრისტიანული სოლიდარობის მომხრე და მონაწილეა. იყი „მშვიდობის საერთაშორისო ქრისტიანული მოძრაობის“ ახალგაზრდებს მასპინძლობს ხოლმე. ჟყოლია სტუმრები ბელგიიდან, პოლანდიდან, საფრანგეთიდან, შოგლანდიდან. ახალგაზრდებმა მადლიერება მასპინძლობისათვის იმით გამოხატეს, რომ ღმრთისმშობლის მონასტერთან არსებულ ბავშვთა თავშესაფრის მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა. მათ თან ფრანგი მღვდელი ახლდათ. კათოლიკე მღვდელმა გამომშვიდობისას მეუფეს ასე მიმართა:

„როდესაც თქვენს ქვეყანას, კერძოდ კი თქვენს ეპარქიის ვესტემრეთ, ჩვენ აღვიქვით ნათელი თქვენი ცისა, მიწისა და ბლეისა. ნელ-ნელა კი ჩვენ სულ სხვა ნათელი დავინახეთ, – თქვენი ეპარქიის ნათელი. ყველგან, სადაც კი არ მივედით, თქვენი ხალხი შეგვხვდა თბილად, არაჩვეულებრივი გელუხეობით გვიმასპინძლეს. სანამ საბერძნეთში ჩამოვიდოდით, გავონილი გვქონდა, რომ თქვენი ხალხი სტუმარითოყვარეა, მაყრამ არ შევვეძლო წარმოგვედგინა ასეთი დადი სტუმარმასპინძლობა, ასეთი გულუხვი და ასეთი წმინდა, რელიგიის რანგში აყვანილი.

იმ კონგაქტების საშუალებით, რომელიც აქ, თქვენს ფარაუნიში, თქვენს ხალხთან დავამყარეთ, შევძელით დაგვენახა, თუ რაოდენ ცოცხალია ჯერ კიდევ თქვენს მნეობაში და თქვენს ტრადიციებში. თქვენი უძველესი კულტურები, რომელთაც ხან აქ, ხან მუზეუმებში და ხან არქეოლოგიურ გათხრებშე ვხედავთ...“

გაბრუებულმა ნათლისაგან და ამ ნაღდი მამაკაცური ძალისაგან, მოვინდომე მეთქვა ამ ბავშვებისათვის, მაგრამ რას გამიგებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ვერ გამიგებდნენ. მინდოდა მეთქვა მათთვის, რომ არანაირი სიბრძნე, არანაირი განსწავლულობა, არანაირი ამქეუქნიური სანახაობა არა ღირს იმად, რომ მიაგოვოთ ქრეგა... დარჩით კრეგაბზე. დარჩით მის მთებში, მის ტყებში, მის ლეგენდებში, მის ადამიანთა შორის. გიყვარდეთ ისინი!“*

მიტროპოლიტი ირინეოსი არ ყვლდება არც ქორწილს, არც ძეობას, არც პანაშვიდს. ჩემს იქ ყოფნაში ყადემის ერთ-ერთ თანამშრომელს ვაჟი შეეძინა. მთელმა ყადემის გაიხარა, რადგან იმ ქალს პირველი გოგონას შემდეგ, შეიდი წლის მანძილზე აღარ რჩებოდა შვილი. სასწავლოდ იყიდეს ყვავილები და სავადმყოფოსკენ გაემურენ მისალოცად. მეც მათ გაყევი. სავადმყოფოს კიბეებზე მიტროპოლიტი ირინეოსი შეგვხვდა. მას უკვე მოესწრო დედა-შეილის დალოცვა და სხვა საქმეებზე გარბოდა. ყადემის თანამშრომლებმა ემოცია ვერ დაფარეს: ამ ადამიანს ხომ ვერაფერს დაასწრებო!

და მართლაც, კრთი ასეთი შემთხვევის მოწმეც გავხდი. კარგად არც კი იყო გათენებული, მიტროპოლიტი ირინეოსი რომ თავს დამადგა. ხელში გაშეთი ეჭირა. გამომიწოდა გაშეთი და მთხოვა, წმიერითხა. მასში ასეთი რამ ეწერა: ორი ქართველი ჩამოვიდათ კრეტაშე სამუშაოდ, როდესაც რამდენიმე თვის გასამრჯელო აუნაზღაურა კერძო პირმა, ვისთანაც მუშაობდნენ, ერთმა მეორე მოუღა, მიითვისა მისი ფულიც და შეეცადა გქეცეულიყო; პოლიციამ დამნაშავე დააყავა.

ამ ამბავს შეუშფოთებია მიტროპოლიტი. თავშარდაცემული მელაპარაკებოდა. მე დავამშვიდე, გზეთში დასახელებული გვარების მიხედვით მივხვდი, რომ საქმე ქართველებს არ ეხებოდა. მიტროპოლიტმა ხელი დამავლო და პოლიციის განყოფილებაში წამიყვანა. მართალი აღმოვჩნდი, დამნაშავე საქართველოს მოქალაქე იყო, მაგრამ ეროვნებით

* იბ. ფურნალი ΑΡΧΙΠΕΛΑΓΟΣ, ათენი, 1969წ.

არაქართველი. მიტროპოლიტმა საყვედური უთხრა პოლიციურებს პრე-
სამი არასწორი ინფორმაციის მიწოდებისათვის. ქართველები მართლმა-
დიდებლები არიან, ისინი ასეთ რამეს არ ჩაიდენენ, როგორ გამჭვიდვუ ჭარბი ॥
შეურაცხყოფა.

შესტუკის მიზანი

ამ ამბის მოყოლით იმის თქმა მინდოდა, რომ მის თვალსა და ყერს
არაფერი ეპარქება, ყველაფერი მისი ზრუნვის საგანაა.

საქართველოში რომ ვძრუნდებოდი, მითხვა: აღმოჩნდა, რომ კრე-
ტიქე მამაკაცები უფრო მეტია, ვიდრე ქალები. ამიტომ ბევრი დაუქორ-
წინებელი მამაკაცი მყავს 30-დან 50 წლამდე ასაყისა. ძალიან ბევრი უც-
ხო ტომის ქალს ირთავს, გერმანელებს, სკანდინავიელებს და ა.შ. ჩვენი
ტრადიციები განსხვავებულია. ხშირ შემთხვევაში, ოჯახები ინგრევა.
ბავშვები უმეტვალყურეოდ რჩებიან, ან დედებს თან მიჰყავთ. ამიტომ
გადავწყვატე, რომ თქვენს პატრიარქს ძოველაპარაკო. გამომიგზავნოს
ზაფხულში 30-50 ქალისაგან შემდგარი ჯგუფი, დავასვენებ აქ, შევინა-
ხავ ერთი-ორი თვის განმავლობაში. წირვა-ლოცვაშე მოსულებს ჩვენი
მამაკაცები გაიცონდენ, ვინ იცის, იქნებ კარგი ოჯახებიც შეიქმნას. ვი-
საც არ ენდომება, უკან გამოვისტუმრებო.

მე გამეცინა. არ მეგონა, ასეთი რამექეც თუ უნდა ფიქრობდეს მიტ-
როპოლიტი. მან კი ეს ძალიან სერიოზულად და დაბეჯითებით გამიმეო-
რა რამდენჯერმე.

„დიახ, — მითხვა, — კარგი ქრისტიანული ოჯახის შექმნაც მიტრო-
პოლიტის მოვალეობაში შედის. რა აჯაბებს ორი მართლმადიდებელი
ხალხის დამოყვრებას. ოჯახიც მტკიცე და ბეღნიერი იქნებათ.

ეს საუბარი 1991 წელს შედგა. მე ვერ გამოვდექი მაჭანყლად და ამ
საქმის ირგანიზაციორად. შერცხვენილი ვარ მიტროპოლიტთან, მაგრამ
არა უშავს. ცხოვრებაშ ისე მოიტანა, რომ ჩვენმა ქალებმა თავისით გაი-
ვლიეს გზა საბერძნეთისკენ. ალბათ, მიტროპოლიტი ასეთ შემთხვევას
ხელიდან არ გაუშვებდა.

სიყვარულთან ერთად, მიტროპოლიტი ირინეოს ძალიან აფისებდნ
და პატივს სცემენ კრეტიქე. ქალაქ ხანიას მერმა, ერთხელ თავის სიტყ-
ვაში ასე თქვა: „როგორც წმინდა ირინეოს იტყოდა..“

მე წმინდა ირინეოსის სიტყვები რომელიმე ჩემთვის უცნობი საეკ-
ლესიო მამის სიტყვებად აღვიქვი. ცოტა ხანში მერმა განმარტა: დიახ,
ჩვენი ირინეოსის სიტყვებს მოგახსენებთ, ბაბუს სიტყვებს. რატომ გა-
გივირდათ? რა, გარდაცვალების შემდეგ, ხომ ყველა ვიცით, რომ მას
წმინდანად შევრაცხავთ, ჰოდა, რატომ დაველოდოთ გარდაცვალებას,

რატომ არ უუთხრათ ახლავე ამ ადამიანს, რომ მისი სიტყვები ჩვენთვის
ძვირფასი და სამუდამოდ დაუკიტყარი იქნება!

ერთი სიტყვით, „წარმართული არეოპაგის“ ასაშენებლად ჩასულია ეს
მა სტუდენტებმა ასეთი მიტროპოლიტიც გაიცნეს, მის გვერდისთვის გაატარებული
რეს ერთი თვე. ყოველივე ზემოთქმულის მოგონებამ ძალიან მომარატრა
მიტროპოლიტი ირინეოსი. იგი, ხუთი წელია, აღარ მინახავს. როგორც
კი საბერძნეთში ჩავალ, მე მას უსათუოდ მოვინახულებ. დარწმუნებუ-
ლი ვარ, კიდევ ბევრ კარგ რამეს ვისწავლი მისგან.

გუვარდისა ზედა მშპლობაზე

მართლმადიდებელი ეკლესია გულმრღვინი აღვენებს ოვალურის მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ცდილობს, წინ აღუდებს ისეთ მოვლენებს, რომელიც კაცობრიობისათვის სიჩაონ აღმოჩნდება. ამიტომაც, 2001 წლის 19-20 დეკემბერს თავი მოუყარა ბრიტეშელში იუდაიზმის, ისლამისა და ქრისტიანობის წარმომადგენლუბს და კილვ ერთხელ დიალოგის მეშვეობით ეცადა მიეღწია ერთსეულოვნებისათვის, რათა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი რელიგიურ ომში არ გადამზრდილიყო. გთავაზობთ დიალოგის მონაწილეთა მიერ მიღებულ დეკლაციას.

პრიუსელის დეკლარაცია

სამი მონოთეისტური რელიგიის: იუდაიზმის, ქრისტიანობის, ისლამის, მშეიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესახებ

2001 წლის 20 დეკემბერი

რელიგიათმორისი შეხვედრის მონაწილენი ვძალლობთ ღმერის ამ თავ-შეყრის განხორციელებისათვის. შევყრიბეთ 2001 წლის 19-20 დეკემბერს ბრიტეშელში (ბელგია) მისი ყოვლადუწინდესობის მსოფლიო პატრიარქ ბართლმე I-ისა და მისი აღმატებულების ევროსაბჭოს თავმჯდომარის Romano Prodi-ის მიწვევით. ყურადღებას მივაჰყრობთ ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ 11 სექტემბერს განხორციელებულ ტერორისტულ აქტს და ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე შეტაკებებს. კეთილი ნებით და გულწრფელი გრძნობით შევაფასეთ იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის რეკომენდაციები არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით. სწორედ ჩვენს რელიგიებს შორის არსებული განსხვავებებისადმი განსაკუთრებული პატივისცემის გამო ვმონაწილეობთ ამ დიალოგში. ვითვალისწინებთ გამორტმულ თვალსამზრისებს და, აქედან გამომდინარე, გვჟრტოთ აღვასრულოთ ჩვენი საერთო პარტნიორების და ერთობლივად ვაცხადებთ „ღმრთისმიერ მშეიდობას ქვეყანასა ზედა“, ისე როგორც ეს ჩვენი რელიგიების შესაბამის მოძღვრებებშია დაცული:

1. ნება ღმრთისა – ზეციური მშვიდობის დამყარებაა ქვეყანასა ზედა, ღმრთისმიერი მშვიდობა მხოლოდ ომის გამორიცხვას კი არ ნიშნავს, არამედ ბედნიერ ცხოვრებას. მშვიდობასა და სამართლიანობას შერჩევა უკველად უშუალო და განუყოფელი კავშირი არსებობს, ამიტომ აუგვიანული განუწყვეტლივ ვლოცულობა მშვიდობის დასამეციდრებლად ქვეყანასა ზედა და უკელა რელიგიის წარმომადგენელთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის თანამედროვე მრავალეროვან და მრავალი კულტურის მომცველ მსოფლიოში.

2. ვალიარებთ, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, რელიგიურ საჩოგადოებებს ჩაუდენიათ დანაშაული, რისთვისაც ბოლიშს ვიხდით. მაგრამ, ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ექსტრემისტები თავიანთ რელიგიათა მოძღვრებებს არ ვამოხსატავენ. ისინი არღვევენ ამ მოძღვრებებს, ან ამ მოძღვრებათა არასწორი ინტერირეტაციის საფუძველზე მოქმედებენ. აქედან გამომდინარე, კვლავ ვიმერებთ 1992 წლის ბერნის და 1994 წლის ბოსფორის დეკლარაციის განცხადებას, რომ „ყოველი დანაშაული, რომელიც ჩადენილი იქნება რელიგიის სახელით, არის დანაშაული, მიმართული რელიგიის წინააღმდეგ“.

3. რელიგიის უმნიშვნელოვანესი როლი ქვეყნად ღმრთისმიერი მშვიდობის დამყვიდრებაშია, რეგიონალური თუ მსოფლიო მასშტაბით. რელიგიურ წინააღმდოლთა პასუხისმგებლობა იმაში მდგრმარეობს, რომ არ დაუშვან, რელიგიური მოშურნეობა გამოყენებულ იქნას მისთვის მიუღებელი მიწნებისათვის.

4. მონითევისტურ რელიგიათა ძირითადი საერთო ელემენტი არის რწმენა და კეთილი, კაცომყვარე, ყოვლადმოწყალე და შემწყნარებელი ღმერთისადმი მინდობა. ღმრთისმიერი სიყვარული ნებისმიერ ადამიანს ეძლევა თავისუფალი ნების ფარგლებში, იმულების გარეშე, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, კულტურული ტრადიციისა და სქესისა.

5. მოწმენეთა გამოძახილი ღმრთის მოწოდებაზე – რწმენაა, რაც გამოიხატება ლოცვით, სიყვარულით, კეთილი საქმით, სხვათა მიმართ ჰატივისცემით და, ამავე დროს, საყუთარი წვლილის შეტანით სამართლებრივი საჩოგადოების ჩამოყალიბებასა და საჩოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში. ჰერმიარიტად, ნებისმიერი რელიგიის არსი, დადგენილებებზე ჰქეოსად, გულის სიწმინდით გამოიხატება.

6. ეს სამი რელიგია სამართლიანობასა და მშვიდობას მიიჩნევს, ვითარცა საბოძვარსა და კურთხევას ღმრთისას, და ამასთანავე, ნებისმიერ მოწმენეთა მოვალეობად ერთმანეთის მიმართ. ამ რელიგიებიდან არც ერთი არ უჭერს მხარს ძალადობას, ტერორიზმს, ადამიანის ბოროტად

გამოყენებას. ეს სამი რელიგია გმობს რელიგიის გამოყენებას ძალადობისა და ნებისმიერი არაადამიანური ქმედებისათვის, რომელნიც არ ეთანხმებიან შშვიდობიანი თანაარსებობის სულისკვეთებას, სამართლოსანობას, შშვიდობიან ურთიერთობებს, თანამშრომლობას და ამასტანავაჟიტეფის ცემას ადამიანის ღირსებისა და მისი სახის მიმართ.

ამ ჭეშმარიტებათა აღიარების საფუძველშე ხაზგასმით აღნიშნავთ:

7. აუცილებელია წინ აღვუდგეთ დაძაბულობის კერების შექმნას რეგიონალურ და პერიფერიულ დონეზე, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ნამდვილად არსებობს უსამართლობა. ამიტომაც, პატივს უცემთ იმათ, ვინც მისი გამოსწორებისათვის იძრძვის, მაგრამ, ამასთან ერთად, ვაცხადებთ, რომ ეს სრულიადაც არ ამართლებს საპირისპირო ბოროტ ქმედებას, რომელმაც შეიძლება შეიწიროს უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე. ამიტომაც, ჩვენი სამი რელიგიის მისია იმაში მდგომარეობს, რომ შშვიდობა და მეტეოროდეს თავისუფლების, სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების მეშვეობით.

8. ერთხმად გამოვრიცხავთ იმ აზრს, რომ რელიგია ხელს უწყობს კულტურათა შეჯახებას. პირიქით, ვადასტურებთ, რომ რელიგიას შეუძლია განახორციელოს კონსტრუქციული და დიდაქტიკური როლი კულტურებს შორის დიალოგში.

9. მოუწოდებთ მათ, ვისაც საშუალება აქვს, ზემოქმედება მოახდინონ სახოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, მოერიდონ ადამიანთა შორის კეთილი ურთიერთობებისა და შშვიდობიანი თანაარსებობის საფრთხის ქვეშ დაყენებას, ზოგიერთი ექსტრემალური აზრის რელიგიური მოძღვრების სახით წარმოჩინებით.

10. გამოვრიცხავთ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას. მხარს ვუჭერთ ურთიერთპატივისცემას; ადამიანის უფლებების დაცვის, რელიგიური თავისუფლების, შშვიდობიანი თანაარსებობის ორმხრივობის პრინციპს და, ასევე, თანამშრომლობას რელიგიათა შორის.

11. მივგართავთ ხალხთა წინამდობლებს მსოფლიო მასშტაბით, რომ არ დაიშურონ ძალისხევა კონფლიქტების შშვიდობიანი მოგვარებისათვის. თანაარსებობის სულისკვეთებიდან გამომდინარე, შევძლოთ ძალადობის შეჩერება ცენტრალურ აღმოსავლეთში და აღვაღვინოთ შშვიდობიანი პირობები. ამიტომაც კლოცულობთ, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, სადაც კი არსებობს კონფლიქტი, შშვიდობას მიაღწიონ ადამიანებმა მხოლოდ სამართლებრივი გზით. გვწამს, რომ საამისოდ საჭიროა გამოყენებულ იქნას ყველა ეთიკური, პოლიტიკური და ეკონო-

მეცნიერი საშუალებები, რათა ერთოანად წაიწიოს წინ ხალხებისა და ერების განვითარებამ.

12. სოლიდარობის გრძნობით გამსჭვალული და ჩვენიდა სულიერი წყაროთა მიერ შესატყვისად გაძლიერებული, ვალდებულებებს ვრცელოვითანამშრომლოთ ყველა იმ სფეროში, რომელიც სამყაროს სიმშვიდისაყენ წარუძღვება. ამ მიზნიდან გამომდინარე კი, მივმართავთ ყოველ კუთილი ნების ადამიანს, ნებისმიერ ინსტანციას, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც რელიგიური და პოლიტიკური თანამდებობა აქვთ და ვალდებული არიან იღვაწონ საერთო კეთილდღეობისათვის, მიიღონ მშეიდობიანი თანამშრომლობის ეს მოწოდება.

13. ერთიანობის, სოლიდარობისა და სიყვარულის გრძნობით, და აგრეთვე, მეობებით ჩვენი ლოცვისა – „ქუეყანასა ზედა მშვიდობად“ – თავს ვალდებულად ვთვლით, რომ შესაბამის რელიგიურ საჩოგადოებებს მოვუწოდოთ:

ა) განსწავლონ მასმედიის წარმომადგენლები, პოლიტიკური და საჩოგადოებრივი განმანათლებლი და ასევე, საჩოგადოებრივი ინსტიტუტები და გამოიყენონ ისინი ურთიერთგავების გრძნობის დასამკვიდრებლად რელიგიურ საჩოგადოებებს შორის; დააახლოვონ ისინი ამ საჩოგადოებათა შესაბამის ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ ტრადიციებთან მსოფლიო დონქეზ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განათლების სფეროს, რაც იმას გულისხმობს, რომ ამოღებულ იქნას სახელმძღვანელოებიდან ყველანაირი განცხადება და მინიჭნება უწოდლობისა და ამასთანავე, რელიგიათა, კულტურათა და ეროვნებათა დისკრიმინაციის შესახებ.

ბ) ხელი შეუწყონ ახალი ინიციატივების დანერგვას რელიგიათა და კულტურათა შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, უმეტესად იმ რეგიონებში, სადაც ამის აუცილებლობა არსებობს და მსოფლიო დონქეც. დარწმუნებული იმაში, რომ დისკრიმინაცია არის შეძენილი თვისება და არა – თანდაყოლილი, ვალდებულებას ვიღებთ, მოვამზადოთ სულიერი წინამძღოლი, ჩვენი მორწმუნენი და წარმართოთ ისინი მშეიდობიანი თანაარსებობის, ორმხრივი პატივისცემისა და ნდობისაცენ.

გ) ამ შევედრის მონაწილეთა განცხადების თანახმად, გავაგრძელოთ არსებული დიალოგი და მიზნად დავისახოთ ამ სამ რელიგიას შორის თანამშრომლობის განვითარება.

დ) დავამყაროთ ურთიერთობის ისეთი ფორმა, რომ მუდმივად ხდებოდეს გადაწყვეტილებათა და იდეათა გაცვლა.

ბოლოსით გვარაბა

როგორც ვნახეთ, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და რელიგიური პროცესები ერთმანეთშეა გადაჯაჭვული და ჩვენი ექლესიის ცხოვრებაზეც ახდენენ გვალენას.

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მრავალ ქარტებილს გაუძლო ისე, რომ მისი მთლიანობა არ დარღვეულა. დღეს ნებისმიერი მოწიმენის სახერცენავი ამ მთლიანობის შენარჩუნება უნდა იყოს. ამ წიგნის მიხანიც სწორედ ის არის, რომ არსებული რეალობის გააჩრების შემდეგ, ეკლესიიდან განდგომილი სამღვდელო პირი და მათი მრევლი კვლავ დადა ეკლესიას მოუბრუნდენ, ისე, როგორც „უძღვის შვილი“ დაუბრუნდა „მამას“. დედა ეკლესიამ კი გულში ჩაიყრას ისინი და კვლავ აღდგეს მამა-შვილური ურთიერთობა.

თუკი ზოგიერთ საყითხშე მსჯელობისას ტონი მეტისმეტად მძაფრი და გაერთიანების მომწოდებლისათვის შეუფერებელი გეჩვენათ, ეს იმ მარტივი მიზნის გამო მოხდა, რომ თითოეული ეს წერილი ექსტრემალურ სიტუაციაში – სატელევიზიო გადაცემებისა და პრესაში ატეხილი აურჩაურის ფონზე დაიწერა და, ბუნებრივია, ვერც ჩვენ დავაღწიეთ თავი ემოციებს. თუმცა, აქ ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ მევახედ ის ლაპარაკობს, ვისაც გული შესტკივა.

მიმდინარე წლის თებერვალში ჩვენს ქვეყანაში კვლავ გააქტიურდა რელიგიური საყითხი. ამის მიზნის ის არის, რომ ეკლესინაციას მიაღწია ბრძოლამ კავკასიონათვის. ჩვენი ქვეყნის ბედი ერთხელ კიდევ უნდა გადაწყდეს. არ იქნება სწორი, რელიგიურმა ფაქტორმა განსახლვროს მოვლენები...

რა შედეგის წინაშეც არ უნდა აღმოვჩნდეთ, საქართველომ, ცხადია, მშერი ურთიერთობა უნდა განამტკიცოს ერთმორწმუნე რესეფთან, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ვერც ევროპასთან ურთიერთობას უგულებელყოფს. საერთაშორისო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობებიდან გამომდინარე, უაჰეველად დაღვება დღის წესრიგში ვერაპელებთან რელიგიური დიალოგის საყითხიც და მაშინ, ეს დაგვიანებული ინფორმაცია შესაძლოა აქტუალური აღმოჩნდეს.

შეიზვები და პოვანტარები

1. ზიღვისძით – რულიგიურ-პოლიტიკური მიმღინარეობა ბინანტიაში. და-არსდა XIV ს. თესალონიქში. ტრადიციის მიმღევარი, რომელიც ეწინააღმდევე-ბიან ხისხლებს.

მოგვიანებით ამ სიტყვამ სხვა მნიშვნელობებიც შეიძინა: ა). ფანატიკოს მიმღევარი თავისი რულიგიური მრჩაშისა. სინ. – ფუნდამენტალისტი. ბ). ის, ვინც ფანატიკურად იმრვევის ჭრისუტული იღეალისათვის.

2. რუსელი ემიგრანტული კელუსია – ემიგრანტული კელუსია არ უნდა შეგვეძალოს ამერიკის რუსელ მართლმადიდებლელ კელუსიაში, რომელიცაც მოსკოვის საპატრიარქო 1970 წელს ავტოკეფალია უქონა. ემიგრანტულ კელუსიას არა აქვს ურთიერთობა არც მოსკოვის საპატრიარქოსთან და არც სხვა კანონიცურ მართლ-მადიდებელ კელუსიასთან. ეს „ეკლესია“ დაარსდა მოსკოვის საპატრიარქოსთან განხეთქილებაში მყოფი ხარისულია და კიევის მიტროპოლიტ ანტონინისა და მისი მომხრების მიერ. მათ კარლოვიცში (იუგოსლავია) 1922 წელს დააარსეს „რუსელი საკელებო მართველობა უცხოეთში“ და მიტროპოლიტი ანტონი გახდა ე.წ. კარლოვიცის სინოდის თავმჯდომარე. მოგვიანებით ემიგრანტული კელუსია ამერიკაში დაფუძნდა.

3. ესტონეთის კელუსია – ესტონეთში 1840 წლამდე ცხოვრობდნენ მცირეოდენი მართლმადიდებლები, ძირითადად, რუსები. 1844-1849 წლებში ლუთერანების ერთმა დიდმა ნაწილმა მართლმადიდებლობა აღიარა. ამიტომაც პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ესტონელებმა თავიანთი საეპისკო-პოსტო დააარსეს. 1920 წელს მოსკოვის პატრიარქმა ტიხონმა სცნო ესტონეთის მართლმადიდებელი კელუსია, ვითარცა ავტონომიური კელუსია და მისი მთა-ვარეპისკოპოსიც, რომელიც 1920 წელს იქნა ხელდაბბმჼლი. 1918-1940 წლებში ესტონეთი იყო დამოუკიდებელი ქვეყნა. რუსეთის კელუსიაში იმ დროს მომხდარი მირეული ცელიდებების, მათთან კონფლიქტისა და ქვეყნის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე, ესტონეთის კელუსიამ მსოფლიო საპატ-რიარქოს მიმართა თავისი პრიზიციის გახამაყარებლად. მსოფლიო საპატრიარ-ქოშ 1923 წელს სპეციალური სიგელი გამოისცა, რომლითაც სცნო პატრიარქ ტიხონის მიერ აღიარებული ავტონომია და ესტონეთის კელუსია მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში გააქოთანა, ვითარცა „ესტონეთის მართლ-მადიდებელი მიტროპოლია“. ტალიის მიტროპოლიტმა 23-ე აღვილი დაიყავა მსოფლიო საპატრიარქოს დიპტიქში.

1926 წელს ესტონეთის ეკლესიაშ მოიწვევა სრულდად ესტონეთის მართლმადიდებელთა ქრება და შეიმუშავა თავისი წესდება; 1931 წელს ეპე 200 000-მდე მორწმუნე პყავდა; ქვინდა თავისი უცრნალი „ნეა ზეო“ ტარტუს უნივერსიტეტში კი – საღვთომძღვალო ფაზულტეტი.

მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც საბჭოთა ჯარების დამყრეს ესტონეთი, მიტროპოლიტი ალექსანდრე, სამღვდელოებათან და შეიდი ათასამდე მრევლთან ერთად შევედეთში გადასახლდა. ესტონელებმა იქ თავიანთი სათვისტომო დააარსეს. მიტროპოლიტი ალექსანდრე გარდაიცალა 1953 წელს. შევედეთში და უცხოეთის სხვადასხვა კონტინენტზე გაფანტული ესტონეთის ეკლესიის სულიერ მფარველად მსოფლიო საპატრიარქომ 1954 წლიდან დანიშნა თავატირის მიტროპოლიტი. ესტონეთში დარჩენდა მრევლი და პყლესია კი 1945 წლის 6 მარტს მოცეკვის საპატრიარქოში შეიერთა, ვითარცა რესეთის საპატრიარქოს ერთ-ერთი ეპარქია.

საბჭოთა კაფეირის დამლის შემდეგ, როდესაც ესტონეთმა აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა, მის ტერიტორიაში დარჩენილმა ესტონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიაშ უცხოეთში გაფანტულ თავალთ თანამოძმეობათან გაუზიანება და მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში შეხვდა მოინდომა, რაზედაც დადგებითი პასუხი მიღო. აი, ეს გახდა მიზნი რესეთისა და კონსტანტინეპოლის ეკლესიის ურთიერთობათა დაძაბვისა.

4. კიდრე ამ წერილში დღის სინათლე იჩიდა, სახიამოვნო ფაქტი მოხდა. ჯერ კიდევ პატრიარქ დიოილორისის სიკოცხლეში აღდგა მშერი ურთიერთობა საქართველოსა და იურისალიმის საპატრიარქოებს შეორის.

საპატრიარქო ტახტის პრეტენდენტთა შორის განლდათ მიტროპოლიტი ტიმოთეც, მაგრამ მისი რესული რიჩენტაცია წამგებიანი აღმოჩნდა. იგი პატრიარქად ვერ ჰქონითა.

5. თუ გამო „აღიასათვის“ აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია სწორია, მათი შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანეთის დაუმდე არ შეუცვლა პოლიტიკური კურსი და იგი მის გატარებას ახლა საქართველოში ცდილობს. ინგლისის კოუნილმა ელჩმა ბატონობა ჯენისიმა „საქართველოდან წინ მოინახულა აფხაზეთი, იქვე იუიციალურად განაცხადა, რომ მიუხედავად საკუთარი მისის ამოწურვისა, ყოველთვის მხარს დაუჭირს აფხაზ ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“ (იხ. გამზონი „აღია“, 87 (115), 2001წ.).

ამავე წერილის თანახმად, ბატონ ჯენისის ელჩობის დროს, ბრიტანეთის საელჩოს თანხმებით, ღონისძიები, ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა აფხაზი ავტორის წიგნი, სადაც საქართველოს ისტორია შეურაცხყოფილია. იგივე კურსს აგრძელებს თურმე ახლად ხელდასხმული ელჩი ქალბატონი დებორა კუნისი. მისი ვიზიტი აფხაზეთში თურმე იქაურია პრესამ „აფხაზური სახელმწიფო ბრიტობის განმტკიცებას მიაწერა და წინგადადგმულ ნაბიჯად ჩათვალა“ (იხ. იქვე). როგორც ჩანს,

იმპერიალისტური აშბიციების შეზონე ქვეყნების პოლიტიკა ერთმანეთს ჰგავს და არც იცვლება.

6. პროსელიტიზმი – 1. რელიგიური მწამებიდან გადაბირება, განსხვავებული დოგმატის თავს მოხვევა; 2. პროპაგანდის მეშვეობით შეხედულებული (პროლიტიკურ, ილურლოგიურ, ფილოსოფიურ და სხვ.) ზეგავლენა და თანამომარწმუნება ან მხარდაჭერად გადაბირება.

7. *Filioque* – ქართ. შესატყვევისი „ძისა თანა“.

მართლმადიდებელ კელებისასა და რომის კათოლიკურ კელების შორის არ-სებული უმთარესი დოგმატური განსხვავება, რომლის თანამდაც სულიშმიდა მამათან ერთად ძისაგანაც გამოვალს, ვთარეცა მეორე საწილისაგან.

ჯერ კალე IX საუკუნეში პატრიარქა ფორიოსმა სათანადო არგებულტაციას მოშველიერით წარმოაჩინა, რომ *Filioque* არყევს წმიდა სამების დოგმატს, აქვთიდრებს ორ საწყისს და, აქედან გამომდინარე, უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ თვით სულიშმიდასაც ქრისტეს იგივე „გამომავლობა“ და საბოლოოდ უამრავი პო-პოსტასების დაშვებამდე მიგვიყენოს.

მართლმადიდებლურ თეოლოგიაში წარმოჩენილ იქნა *Filioque*-ს დოგ-მის მეშვეობით, თუ როგორ მცირდება სულიშმიდას როლი; რომ ამ დოგმამ კათოლიკურ კელებიამი ხელი შეუწყო კომპლექსურ, წმიდა ქრისტოცენტ-რელ და სამოციქულო ფილოსოფიის განვითარებას; ისიც აღინიშნა, რომ კე-ლების ცხოვრებას მოაკლდა სულიერი თავისუფლება და ქარისმათა მრავალ-უროვნება.

გარდა ამისა, ეს დოგმატური განსხვავება მართლმადიდებელთა მიერ საყ-მაოდ მხარერად აღიქმება იმ ფაქტის გამო, რომ *Filioque* მხოლოდ თეოლოგი-ური შინაარსის მატარებელი არ არის, იგი დაერთვის ნიკა-კონსტანტინეპო-ლის მწამეს, რომელსაც წმიდა მამათა დადგენილების თანახმად, არ შეიძ-ლება რაიმე დაემატოს.

სამეცნიერო მიმოქცევაში დაშვეიდრებული პრის თანახმად *Filioque*-ს მოძღვრებამ VI საუკუნეში იჩინა თავი. თუმცა, მართლმადიდებელი კელების მიერ ჩატარებულმა ბოლოდროინდელმა გამოცვლევებმა ცნადევეს, რომ ამ ერებისათვის გაცილებით ადრე შეიქმნა წინაპირობები. მის სათავეს ხდავენ წმინდა ავეგასტინეს ნამრომში De Trinitate, რომელშიც ასეთი პრის გამოთ-ქმული, რომ „სულიშმიდა არის შემართობელი რეილი მამისა და ძისა“.

ამ დოგმის განვითარების ისტორია კი ასეთია:

VI საუკუნეში ესპანეთს არიანულთა ნარჩენებთან შეწინააღმდეგება მო-უხდა. *Filioque*-ს ასეთი სახით ჩამოყალიბება პრიორიტეტს ანიჭებდა ძესაც, რაც არიანელებს თავიანთი თეორიის უსაფუძვლობას უმტკიცებდა. ამიტო-მაც 589 წელს ტოლედოს კელების ადგილობრივმა კრებამ აღიარა, რომ *Filioque* ავსებს ნიკა – კონსტანტინეპოლის მწამეს.

ესპანეთიდან ეს ერები საფრანგეთში გავრცელდა. VIII საუკუნის მიწუ-რელსა და IX საუკუნის დასაწყისში *Filioque* თავს მოახვია ფრანგებს კარ-

ლოს დიდია. პატებს აღრიანე Ⅰ-სა და ლეონ III-ს ძალა დაატანა, რომელიც არ იყო მაშინვე იქნა დაგმობილი ეს დოკუმენტის კულტურული მნიშვნელობის გადანართი, 1054 წელს რომელი მაინც აღიარა ოფიციალურად *Filioque*, მოუწევა ვად იმისა, რომ დროდადრო ისეთი პატებიც ყოფილან თურმე, რომელითაც ეს მოდა ამ დოკუმენტის ერთეული მნიშვნელობა და კილევაც ეწინააღმდეგებოდნენ მის დანერგვას რომის კულტურისაში.

ამის შემდეგ *Filioque*-ს დოკუმენტის გამხდარა ცხარე კამათისა და დებატების საყითხო აღმოსავლეთისა და რომის ქრისტიანულ კულტურის შორის.

ვატიკანის II კრების შემდეგ (1962-1965 წ.) რომის კათოლიკური ეკლესია *Filioque*-სთან დაკავშირებით გარცვეულ ლოიალობას ამჟღავნებს. დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ღმრთისმსახურებისას მრწამსი *Filioque*-ს გარეშე წარმოითქმის.

1990 წელს პაპმა იოანე პავლე II-მ ოფიციალურად განაცხადა, რომ *Filioque*-ს საყითხოან მიმდინარე დიალოგში დადგინდება საბოლოო ჭეშმარიტება და იგი აღარ იქნება განმსაზღვრული და დამაბრუოლებელი „იმ სამომავლო შედეგებისათვის, რისთვისაც ყველანი ერთად შევთხოვთ სელიწმიდას“ [Επιστεφიς, № 449; 15.10.1990]

დიალოგში მონაწილე ღმრთისმეტყველებს კი მიაჩინათ, რომ დახავლეთი ასე აღვიდად ვერ განთავისუებლება *Filioque*-ს გავლენისაგან, რაღაც ნ. მაცუკას მხრით *Filioque*-ისტური ჩართვება ასახდოებს დახავლეთის თეოლოგიის ბევრ საყითხს – თეორიულსაც და პრაქტიკულსაც. „ას ასე ხდება იმიტომ, რომ *Filioque* იღვოლოგიური ინტრასტრუქტურაა და არა მხოლოდ ფორმალური დანართი. ვატიკანის II კრებამ, თავისი *Constitutio de ecclesia*-თი, ოდნავ მაინც შექმაბრუნა მართლმადიდებლური სელიწმებისაც, შეარბილა, ან, თუ გნებავთ, ოდნავ გვერდზე გადააყენა *Filioque*, მერე რა, თუ საბოლოოდ ვერ ჩამოაშორა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ *Filioque* არის სელიწმი, კულტურულობიური და, თუ გნებავთ, ფილოსოფიური საყითხი და არა მხოლოდ რადაც უბრალო დანართი“ [8, 66, 120].

8. უნაა – მუხულმანური უდლის ქვეშ მოქცეულმა აღმოსავლეთის ქრისტიანებმა XVI საუკუნიდან კათოლიკური კულტურის გავლენით ორიენტაცია რომის კენ აიღეს. ეს ქრისტიანები, ანუ უნიატები, მართლმადიდებელი კულტურის ტიპიკობის იცავენ, მაგრამ რომის პაპის ძალა-უფლებას აღიარებენ. არსებობენ კ.წ. ალექსანდრიული, ანტიოქიელი, სომეხი, ქალღვეული და ბიზანტიელი უნიატები. მათი რიცხვი 10 მილიონს აღიმატება. ბიზანტიელ უნიატები შედან რესი და უკრაინელი უნიატებიც, საბჭოთა კუმინის დაშლის შემდეგ სწორედ უკრაინელი უნიატების გამო საკმაოდ გამწყვება ურთიერთობა რომის პაპსა და ორესტიის საპატიო-არქის შორის. ძალაუფლების საყითხოან ერთად საკულტოსი ქონების (ძირითადად ტაძრების) საყითხიც დადგა დღის წესრიგში.

9. Confessio Augustana – იმპერატორმა კარლოსი V-მ წელიგიური შევადობის დასამყარდებლად 1530 წლის აღნახით სპეციალური ცარკველარით მიმართა გერმანელ ჰეგემონებს და მოუწოდა, წარუდგინათ მისთვის პროტესტანტთა წესის სასა და სხვა კრისტიანური საყოთხების მიმცველი ღია მენტი, რათა უფრო უკავშირ შეკრებაზე, რომის კათოლიკურ ეკლესიასთან დაალიგირას გამოვეყენებინა. ამასთანავე შეპირიდა, რომ თვითონ ნეიტრალურ პრინციპის დაცულობა.

1530 წლის პრილში იმპერატორს მიართვეს ღათიძეურ და გერმანულ ენებზე დაწერილი წიგნი (შედგება ორნაწილიანი ვრცელი შესავლისა და 28 თავისაგან). ამიტომ ესოდა მას Confessio Augustana, ანუ საიმპერატორო.

კინაიდან საბოლოო რედაქტირებისას დღუმენტში ღუთერანელი ოვალ-სამრისები უფრო ჭარბად გაიპარა, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამ წიგნმა ღუთერანთა შორის. ისინი მას სხვაგვარად *Symbolum Germanicum*-ს უწოდებენ.

1559 წელს ეს წიგნი ბერძნულ ენაში ითარგმნა და თავად შემდგენლების მიერ შეოფლილი საპატრიარქოს გაეტანა განსახილებულად. პატრიარქმა ითახაუ II-მ თხოვნა უპასუხოდ დატოვა. 1774 წელს პორტესტანტმა თეოლოგებმა პატრიარქ იერუმია II-ს მიმართებ იგივე თხოვნით და გაერთიანების იღეაც შესთავმჩეს. იერუმია II დიდმა გაყვრიტიყა Confessio Augustana, წარმოაჩინა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები და კიტენბერგის ღვთისმეტყველებს მართლმადიდულო საწილოს გაეტანაშის გადაწყვეტილება.

პროტესტანტიზმის მართლმადიდულებებს შორის გურუცელების მიწნით, ეს წიგნი მღვავანებით ჭარილულადაა; ითარებულია.

10. ლუკატელი – ბიბლიოტერი ლუკას (იაკობის მესამე შვილი ღიასაგან, მოსქე ლუდის იეჲოვედის მამა) შთამომავლები, რომელთაც მოსქემ საყდრის მსახურება დაუწესა. მათ უფლებამოსილებაში შედიოდა კარგის დამღება-გამართვა. თავდალებული სამსახურის გამო მიაღწიეს იმას, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ სუკულის კიდობას მიახლოოთ წინ კარავში, ან კადაათვილებისას.

ისინა არაჩემულებრივ გულმრთელების და იწერდნენ ობლუბის, ქვრივების და, სამიერადო, ნაბისმთხოვ ხელმისალურია მიმართ.

Διαθρησκευτική ιστορία των Αγίων:

1. Αναστασίου (Αρχιεπισκόπου Τιράνων και πάσης Αλβανίας), Παγκοσμιότητα και Ορθοδοξία, Αθήνα, 2000.
2. Αλεβίζοπούλου Α., Εγχειρίδιο Αιρέσων και Παραχριστιανικών Ομάδων, Πρέβεζα, 1991.
3. Βασιλεφ Α.Α., Ιστορία της Βυζαντινής Αυτοκρατορίας, τ. Α', Αθήνα, 1995.
4. Δαμασκινού (Μητροπολίτου Ελβετίας), Ορθοδοξία, Ιουδαϊσμός και Ισλάμ (Διασθρησκειακοί διάλογοι), βλ. «Επτά Ημέρες της «Καθημερινής» 23.5.1999.
5. Ηθική και Θρυσκευτική Εγκυκλοπαίδια 1-12, Αθήνα, 1962-1968.
6. Ματσούκα Ν., Δογματική και Συμβολική Θεολογία τ. Α'-Γ', Θεσ/νίκη, 1997-2000..
7. Μπούμη Π. Κανονικόν Δίκαιον, Αθήνα, 1991.
8. Παπαδοπούλου Αντ., Κείμενα Διορθοδόξων και Διαχριστιανικών Σχέσεων, Θεσσ/νίκη, 1984.
9. Παπαριγοπούλου Κ., Ιστορία του Ελληνικού Έθνους 6τ. και παράρτημα, Αθήνα, 1932.
10. Σταυρίδου Β., Ιστορία του Οικουμενικού Πατριαρχείου (1453-Σήμερον), Θεσσ/νίκη, 1987.
11. Τιμοθέου (Αρχιμανδρίτου), Τι είναι Ορθοδοξία, Αθήνα, 1990.
12. Χριστοδούλου (Μητρ. Δημητριάδος), Ιστορική και Κανονική Θεώρησις του Παλαιοημερολογιτικού Ζητήματος κατά τε την γένεσιν και την εξέλιξιν αυτού εν Ελλάδι, Αθήναι, 1982.
13. Χρυσάνθου (Αρχιεπισκόπου Αθηνών του από Τραπεζούντος), 'Αρθρα και Μελέται, υπό Γ.Ν. Τασούδη (βιβλίον Τρίτον), Αθήναι 1977.
14. Χρυσοστόμου (Μητρ. Μύρων), Ορθόδοξος Ανατολή και Δυτικός Κόσμος, Διάλογος Ιδεών, Αθήνα 1972.

15. Υπόμνημα περί των Τελουμένων υπό Σχισματικών Παλαιομερολογιτών «Μυστηρίων», Αθήναι, 1997.
16. Clément Olivier, "Η αλήθεια ελευθερώσει υμάς" (Συνομιλώντας με τον Οικουμενικό Πατριάρχη Βαρθολομαίο Α', Αθήναι, 1997).
17. Raiser Konrad, Το Μέλλον του Οικουμενισμού, Θεσ/νίκη, 1995.
18. История Византии, т. II, Москва, 1967.
19. Успенский Ф.И., История Византийской Империи, т. II, Ленинград, 1927.



გ 0 6 ა ა რ ს ი

ეროვნული
განაცხადი

წინასიტყვაობა	5
ნაკვეთი პირველი	7
რა ხდება საქართველოს ეკლესიაში	7
ევროპის ეკლესიათა მეორე ეკუმენური ასამბლეა	19
გვჭირდება თუ არა კავშირი მართლმადიდებელ ეკლესიებთან?	40
ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს VIII ეკუმენური ასამბლეა	68
საეკლესიო განხეთქილება და სახელმწიფო ებრიობა	79
სულიერი დაახლოებისა და თანამშრომლობისაუნ	96
„გამოწევება და პრობლემები 2060 წლისათვის“	114
ეკუმენური მოძრაობა და ადამიანის უფლებები	123
ნაკვეთი გვრცე	143
ჭეშმარიტება განუყოფელი ეკლესიისა (ინტერვიუ მის ყოვლადუწმინდებობა მსოფლიო პატრიარქ ბართლომე I-თან)	143
მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა (მისი ყოვლადუწმინდებობის მსოფლიო პატრიარქ ბართლომე I-ის საუბრები)	150
მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა წინაპირობები, პროგნოზები, სირთულეები (ინტერვიუ ტრიმითოს (კვიპრისი) მიტროპოლიტ ბახოლისთან)	160
ეკუმენურობა ქრისტიანული პოყვალითის მიხედვით „საქაებას“ ნიშნავს (ინტერვიუ თუალოვისა და ფილოსოფიის დოქტორ ნიკოს მაცეპანთან)	181
დიალოგი, ანუ „ჭეშმარიტების ერთად ძიება“ (ინტერვიუ ქრეტის მართლმადიდებელი ჯალემის დირექტორ ალექსანდროს პაპალერისთან)	192
ბრიუსელის დეკლარაცია	212
ბოლოსიტყვაობა	216
შენიშვნები და კომენტარები	217
დამოწმებული ლიტერატურის სია	222



დაიბუჭდა გამომცემლობა „ენა და კულტურა“-ს სტამბაში
ი.ჭავჭავაძის გამზ. 45

